კვირის პალიტრა

გზა

N47 (285) 24/XI.-30/XI.2005. ფას

1168
2005

...რას
...ზმარში
...ლავთ?

„დაბადების დღეზე
სილვიო ბერლუსკონი
მეწვია...“

...

„იმ დღეს საკმაოდ ნასვამები ვიყავით...“

ვინ და რატომ
დაანთო
სანთლები
ბარის წინ...

გზავნილები — რანი ვართ ქალები მამაკაცების გარეშე?

გრიგოლ რობაქიძის ორი ქორწინება და მესამე დიდი სიყვარული 80 წლის ასაკში

63

მადლი — „ყოველთვის, როდესაც გაჭირვებულს ვხედავთ...“

№24(110) 24.XI-7.XII.05

ოჯახის

მეუნიალი

საამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

პოდაგრა: ნუ დაავადებთ მარილებს!

როგორ შევაჩეროთ ავადმყოფობა

ასრეები: რა უნდა ვიცოდეთ მათზე

გსურთ, ახალგაზრდობა დაიბრუნოთ?

ორსულობა და ბრონქიტი

მთავარი თემა: სოკოვანი პათოლოგიები

პანკრეატიტი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№47 (285)
24 – 30 ნოემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„რევოლუციამ რა ჰქმნა“ ანუ 16 ნაბიჯი წინ თუ 116 – უკან?! 3
პოზიცია-ოპოზიცია
„ბედნიერი ვარ, რომ ამ პროცესებში უშუალოდ ვმონაწილეობ“; „სად არის ეს უჩინარი ბედნიერება...“ 4
გადაწყვეტილება
200-ლარიანგზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი გამოისახება 5
ექსპერტი
„პოლიტიკურ ავანსებს ხელისუფლება ყოველთვის იძლევა...“ 6
რეალითი-შოუ
„იმ დღეს საკმაოდ ნასვამები ვიყავით... პროექტში რაც უფრო მეტი სკანდალი იქნება, ის მით უფრო პოპულარული გახდება“ 8
პრობლემა
სტუდქალაქის კორპუსები შესაძლოა, ერთდროულად გაარემონტონ ან – რიგრიგობით 10
კრიმინალი
„ძმის მკვლელის სამარცხვინო სახელი არ უნდა ატაროს“ 12
საზოგადოება
„ჩვენ ბაღნები ვართ და ოჯახს ვარჩენთ...“ 16
მადლი
„ამ ბავშვებს სურთ, დაგროვილი სიყვარული ყველა სტუმარს უწილადონ...“ 17
გზავნილები
„ქალებო, გაიხარეთ ანუ რანი ვართ მამაკაცების გარეშე?“ 19
კოლორიტი
მამის სახსოვარი თოფით წაწყვეტილი თითი, ფინეთის საგზვარგზე დაჭერილი ჯარისკაცი და წარმატებული თამაში ავტოსადგურში 23
ჩემი თაობა
მამების კომუნისტური წარსული, მეგობრები, რომლებსაც გასართობად არ სცალიათ და შეყვარებული წყვილის რომანტიკული დღეები სარფში 24
პოსტზე
48-საათიანი თაფლობის თვე, სისუფთავისთვის ომის ფონგზე... 26
თემა
გელფრენდ-ბოიფრენდი ქართულ სინამდვილეში 27
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 28
საკითხავი ქალებისთვის
- თმის ცვენას გოგჯერ ნევროზი ან დიეტა იწვევს 30
- რა უნდა ვიცოდეთ ორთქლის აბაზანის შესახებ 31
- ათი მცნება დედებისთვის 31

„ჩვენ ბაღნები ვართ და ოჯახს ვარჩენთ...“

12 წლის ნუკრი და 13 წლის ირაკლი რაიონში ცხოვრობენ. დღისით, ჩვეულებრივად, სკოლაში დადიან, ყოველ ღამეს კი მაგარებელში ატარებენ და „ბორჯომსა“ და ლიმონათს ყიდიან, ოჯახი რომ არჩინონ...

16

შეუცნობელი – რას ნიშნავს, როდესაც ქილში პრეზიდენტს ხედავთ?

„თუ ბატონი მიშა თქვენს სიზმარშიც პრეზიდენტია, ჩათვალეთ, რომ მომდევნო ერთი კვირის მანძილზე აუცილებლად გადაჭრით მნიშვნელოვან პრობლემას. თუ მასთან ერთად მეგობრულად ზიხართ და ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებთ, მომდევნო კვირა შფოთიანი და „დაულაგებელი“ გექნებათ“.

57

„პროექტში რაც უფრო მეტი სკანდალი იქნება, ის მით უფრო პოპულარული გახდება“



„ცეკვასაც ვცდილობდი, მაგრამ არ გამომივიდა – ფეხი მერეოდა სიმთვრალისგან. სამჯერ, „ნატა“ დავიყვირე და ხუთჯერ – „თეო-თეო“, მაგრამ მაინცდამაინც ნატას მონაკვეთი ჩასვეს მონტაჟის დროს. ალბათ „ბარის“ წარმომადგენლებსაც გაუჩნდათ ეჭვი, რომ მე ნატას შეყვარებული ვიყავი“.

8

„მზე“ „დიდ ავიაციაში“ დაბრუნებას აპირებს

„ძირითადი ცვლილებები საინფორმაციო გადაცემებს შეეხო. კერძოდ, 5, 7-წუთიანი საინფორმაციო გადაცემები ყოველი საათის ბოლოს გავა ეთერში, თან – წამყვანის გარეშე. მინდა გითხრათ, რომ ასეთი საინფორმაციო გადაცემის ფორმა დსთ-ის სივრცეში არც ერთ ტელეკომპანიას არა აქვს. საღამოს 6 საათზე კი...“

54

ჯანმრთელობა
- მარდკენჭოვანი დაავადება 32
- მშვრები და ავადმყოფები 33
- პანაცეა ძროხებისგან 33

დღესასწაული
...დღემდე ანიჭებს კურნებას რწმენითა და სასოებით მლოცველთ 34

ქართველები
გრიგოლ რობაქიძის ორი ქორწინება და მესამე დიდი სიყვარული 80 წლის ასაკში 35

ასპარეზი
კახი კალაძე „მაქსის“ გამოშვებას საქართველოში არ გეგმავს 37

სპორტული მოზაიკა 41

რომანი
რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 43

პოპარტის მეფე
ენდი უორჰოლი – შაბრიკანტი და პოპარტის ხატი 47

ვარსკვლავები 49

ავტო 51

კოლეგა
ნატო ნიქარაძის ბუმერანგი, 9-ნომრიანი ნაგაზი და 7-ჯერ მძიმე „კასკა“ 52

ეკრანი
„მზე“ „დიდ ავიაციაში“ დაბრუნებას აპირებს 54

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 55

შოუბიზნესი
ექსპერიმენტი, რომლის გამოც პროდიუსერს ლამის დედა აგინეს... 56

შეუცნობელი
რას ნიშნავს, როდესაც ძილში პრეზიდენტს ხედავთ 57

ასტროლოგია
„ბედის რიცხვი“ და ჯანმრთელობა 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
- საურთიერთოდ რამდენად სასიამოვნო ადამიანი ბრძანდებით? 63
- მიდრეკილი ხართ თუ არა მარტოობისკენ? 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მამეგის კომუნისტური წარსული ... შეშვარდგული წყვილის რომანტიკული დღემები სარფში

„ორ ადამიანს შორის სულიერი დამოკიდებულება, ფიზიკურთან ერთად, არის ყველაფერი. როგორც შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც თითი აკლია ან თმა არ ამოსდის თავზე, ისევე შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელიც არ არის ქალწული...“

24

ჯესიკა ალბა საკუთარი მოძალადეობის გამო ისჯება

რეჟისორები ჯესიკა ალბას სერიოზული როლების თამაშს არ ანებებენ, მას მხოლოდ სექსუალური ქალბატონების როლებს სთავაზობენ და მისგან, კამერის წინ, მომხიბვლელი სხეულის გამომზეურებას მოითხოვენ....

50

გრიგოლ რობაქიძის ორი ქორწინება და მესამე დიდი სიყვარული 80 წლის ასაკში

...და არ იცის, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი ორი წელი სხვანაირი იქნება, ახალგაზრდა ქალი მოვა მის ცხოვრებაში – გრაფინია გიტა ფონ შტრახვიტცი... 48 წლით უფროსი იყო გრიგოლი გიტაზე... გრიგოლმა მიიღო ეს სიყვარული, როგორც ღმერთის საჩუქარი.

35

თქეში

ლანას მოეჩვენა, რომ ქეთოს ჩაეძინა და საწოლებს შორის, პატარა მაგიდაზე მდგარ ნავთის ლამპას ნელ-ნელა ჩაუწია.

– არ ჩააქრო! – მაშინვე თავი ასწია ქეთომ. – ჯერ შენთან ლაპარაკი არ დამიმთავრებია... ისე, თუ ძალიან გეძინება, მითხარი და ხვალისთვის გადავდოთ.

– არა, რას ამბობ?.. – იუარა ხის სახლის სურნელით გაბრუებულმა ლანამ...

43

„რევოლუციამ რა ჰქმნა"

ანუ 16 ნაბიჯი წინ თუ 116 — უკან?!

კიდევ ერთი დიდი დღესასწაული გადავაგორეთ ქართველებმა ჩვეული პომპეზურობით. არ დაგვიკლია აღლუმი და სახალხო სეირნობა, კონცერტი და ფეიერვერკი, სტუმრების დახვედრა და გაცილება, ქეიფი და დროს ტარება... მოკლედ, მაგრად ვიღრიანცელეთ. ჰოდა, ახლა, მთელი ქვეყანა იმ მდგომარეობაში ვართ, 2-3 დღე რომ ქეიფს გადააბამ კაცი და მეოთხე დღეს, თავი რომ გისკდება „პახმელიისგან", გონებაში გაგიფრენს ყველაფერი, რაც ამ დროში მოხდა და საშინლად ნერვიულობ — ნეტავ, რაიმე ისეთი ხომ არ ჩამიდენია, თავი რომ ვეღარ გამოვყო სოფელ-ქვეყანაზეო?..

ისეთი არც არაფერი, ჩემო ბატონო. ეგ იყო, რომ, როგორც მთვრალ ქვეყანას შეეფერება, ცოტათი ვიბაქიბუქეთ და ფულიც საჭიროზე მეტი მივახარჯეთ, მაგრამ ხომ იცით, „ოპოზიციის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაგინდ კარგი მთავრობა ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა..." ამიტომ, თუ ამ დღეებში, ისევე, როგორც ორი წლის მანძილზე, ყოველ დილა-საღამოს, ხელისუფლება მიღწევებით იწონებდა თავს, ოპოზიცია ხარვეზებსა და შეცდომებს ითვლიდა.

მოკლედ, რაც მოხდა და ტელევიზორშიც აჩვენეს, ყველამ კარგად იცით. მაგრამ ვერ დამიკმაყოფილა ამან ჩემი პროვოკატორული ცნობისმოყვარეობა და იმ რესტორანში, სადაც საზეიმო ბანკეტით უნდა დაგვირგვინებულიყო ყველაფერი, მერიქიფედ მოვეწყვე.

თბილისობაზე „ვალინკებით" დაწურულ ღვინოს კი დაჰკრავდა რეზინის „პრივკუსი", მაგრამ ერთ დალევად მაინც არა უშავდა. ვერ ავუდიოდი დოქების შევსებას, რადგან ჩამოსული სტუმრების პატივსაცემად გაშლილ სუფრას მთელი ხელისუფლება მისჯდომოდა. თამადობა, რა თქმა უნდა, ჩვენმა მამა-მარჩენალმა იკისრა და თავიდანვე თქვა — 16 რევოლუციური ცვლილება მოხდა ამ ორ წელიწადში და 16 სასმისი აუცილებლად უნდა მიირთვათ ყველამო... მოკლედ, მშვიდობა რომ ადღეგრძელა, „მუშა ჭიქები" გვერდზე გადადო და განსხვავებულს მიჰყვა: ადღეგრძელა განათლების რეფორმა — ალექსანდრე (კახა) ლომაიების თამადობით; ბათუმის მოცეკვავე შადრევანი — მისი ავლაბრელი და ზუგდიდელი „დედმამიშვილების" თამადობით; ვისაც ჩვენთან ყოფნა უნდა და გარკვეული მიზეზების გამო ვერ არიან — მამალაძისა და გიორგაძის თამადობით; პატარები — არველაძისა და კირკიტაძის თამადობით; მეზობლების სადღეგრძელო — ჩამოსული პრეზიდენტების თამადობით და მიჰყვა ასე, პირწმინდად...

სასმისების შერჩევაშიც ნამდვილი თამადური ფანტაზიის უნარი გამოავლინა „მამაჩვენმა": ენერგეტიკის მინისტრის სადღეგრძელო — ლამპის შუშით მირთვა; ჯანდაცვის მინისტრი — შპრიცით ადღეგრძელა; სოფლის მეურნეობის მინისტრი — კეცით დალოცა; შსს-ს და თავდაცვის მინისტრებს უთხრა — ორივე ერთნაირად მიყვარხართ და თქვენც ისე ერთად უნდა იყოთ, როგორც ამ თოფის ორი ლულაო, — და ისიც დაცალა. მართალია, შინაგან საქმეთა მინისტრს სწორედ ამ დროს, ცხელი კარტოფილი ჩაუდვია პირში და სამადლობელი მთლად გარკვევით ვერ თქვა, მაგრამ ისედაც გასაგები იყო ყველაფერი...

ბევრიც იმღერეს, ბევრიც იცეკვეს და სუფრაც ლამაზად დაამთავრა თამადამ: ჩვენი მფარველი ანგელოზების სადღეგრძელოთი — ჯორჯ ბუშის თამადობით...

თუმცა, სუფრას „ჩინჩხალის" გარეშე მაინც არ ჩაუვლია, რადგან ამ დარბაზის გვერდით კუპეში „ფრჩხილებში შრომის პარტიის" ელიტა იჯდა და თუ ხელისუფლების სუფრაზე 16 მიღწევის სადღეგრძელო გამოცხადდა აუცილებლად, „ლეიბორთა" თამადამ თავიდანვე წაიტრაბახა — მე 116 სირცხვილს ჩამოვთვლი, რაც ამ ორ წელიწადში მოხდაო... ომახიანად კი დაიწყო, მაგრამ იმდენად „მალალიტრაჟი" აღმოჩნდა, რომ მეოთხე-მეხუთე სადღეგრძელოზე „გაჭედა" და სუფრაზევე წაუძინა...

ოპოზიციური კუპედან კი, გამთენიამდე ისმოდა შეძახილები, — დემოკრატიულ ქვეყანაში ყველას აქვს ინტიმურ ტელეფონზე დარეკვის უფლება და საკრებულოში ტელეფონი ჩაგვირთეთო... ისე, სამართლიანი მოთხოვნაა: პოლიტიკოსებიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან და უნდათ, დაიკმაყოფილონ სულიერი მოთხოვნილებები...

P.S. ლეიბორისტული პარტიის სხდომაზე:

თავმჯდომარე:

— მოგვეჭრა თავი, ხალხო, სად გცალიათ საკრებულოში, ინტიმურ ტელეფონებზე სასაუბროდ?!

— რა ვქნათ, ბატონო, როგორც დაგვავალეთ, ვკრებთ ნებისმიერ ნომერს და მოსახლეობას ვესაუბრებით, მათ პრობლემებს ვსწავლობთ. ისინი ხომ ამომრჩევლები არიან!..

— მერე?!

— ჰოდა, როცა ეს ნომერი შემთხვევით ავკრიბეთ, ისე კვნესოდა და გმინავდა საცოდავი ამომრჩეველი, რომ მას შემდეგ, ყოველდღე ვურეკავდით...

პროვოკატორი

რევოლუციიდან ორი წლის შემდეგ, საზეიმოდ მორთულ ქალაქში, პრეზიდენტი არნახულ წინსვლაზე ლაპარაკობს, პარლამენტის თავმჯდომარე კი, კვლავ იმედს გამოთქვამს, რომ ვარდების რევოლუცია ამ ხელისუფლების ერთადერთ მიღწევად როდი დარჩება... „ეს არის შანსი და დიდი გამოცდა სააკაშვილის გუნდისთვის“, — აცხადებს ოპოზიციის ნაწილი. უფრო რადიკალური ფრთა კი, სრულიად იმედგაცრუებულია. რა ხარვეზებს ხედავს ხელისუფლება საკუთარ ნამოღვაწარში და რას უთვლის წარმატებად მას ოპოზიცია; სწორედ ამგვარად დავსვით საკითხი, ორი მხარის წარმომადგენელთა პოზიციის დასაფიქსირებლად.

„ბედნიერი ვარ, რომ ამ პროცესებში უშუალოდ ვმონაწილეობდი“

„სად არის ეს უჩინარი ბედნიერება...“

ხათუნა მაღრაძე

ნინო ბურჯანაძე, *პარლამენტის თავმჯდომარე:*

— ჩვენმა ოპონენტებმა კარგად იცოდნენ, რომ ყველა იმ სურვილის სრულფასოვნად შესრულება, რაც რევოლუციის დღეებში გვქონდა, შეუძლებელია. საქართველოს ხელისუფლებამ მუხლჩაუხრელი შრომით შეძლო: საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, სამხედრო ბაზების გაყვანის დაწყება, პენსიების გაორმაგება, აშშ-ის დახმარებით ისეთი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რომლებიც ეტაპობრივად გამოიღებს შედეგს. ამ კუთხით აღსანიშნავია „მილენიუმის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც, ჩვენი ქვეყნისთვის 300 მილიონი გამოიყო. გასულ წლებში, ბიუჯეტის პერმანენტული სეკვესტრირების შემდეგ, 5-ჯერ ბიუჯეტის გაზრდაც არ უნდა იყოს ურიგო... მიუხედავად ამისა, ოპონენტები მაინც ხშირად და უსაფუძვლოდ გვაკრიტიკებენ.

5-ჯერ ბიუჯეტის გაზრდაც არ უნდა იყოს ურიგო...

— რისი გაკეთება ვერ შეძლო ხელისუფლებამ?

— ჩვენ თვითკმაყოფილებისგან შორს ვართ და ვიცით, რომ უფრო მეტია გასაკეთებელი. დასამთავრებელია სასამართლო რეფორმა, მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა, მომატებული პენსიები და ხელფასები მაინც არ არის საკმარისი. რაც ყველაზე მთავარია, აღსადგენია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ უკვე მოვიპოვეთ საერთაშორისო მხარდაჭერა სამშვიდობო გეგმასთან დაკავშირებით და იმედი გვაქვს, რომ სულ მალე, საიუბილეო თარიღებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც აღვნიშნავთ. ხელისუფლება წარმატებების მიღწევას ჩქარობს. ამ სიჩქარეში, მოსახლეობას ზუსტს განმარტებებს ვერ ვაძლევთ. მომავალი წლიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი უფრო აქტიურად ამუშავდება და მოსახლეობა უკეთესად იქნება ინფორმირებული, თუ რა კეთდება და რატომ.

ლევან ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— აუცილებლად უნდა აღინიშნოს, საგარეო პოლიტიკაში მიღწეული წარმატება. მაგალითად კი, იმას მოვიყვან, რომ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტების სამიტზე მკაფიო და გამოკვეთილი სიტყვით მიმართა ვლადიმირ პუტინს. ჩემი აზრით, ეს ეპიზოდი უსამართლოდ არის დავიწყებული. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს პრეზიდენტმა მთელი ერის სათქმელი უთხრა რუსეთის მმართველს. აღსანიშნავია წარმატება პოლიციის, განათლების და სამხედრო სფეროებში. ვერანაირად ვერ ვუწოდებთ გამარჯვებას იმას, რასაც კორუფციასთან ბრძოლა ჰქვია. ბევრი ადამიანი ჩავსვით ციხეში, მაგრამ ამ მოვლენასთან გამკლავების შანსიც კი არ გაჩენილა. ასევე წარუმატებელი იყო პოლიტიკა მასმედიის სფეროში. ორიოდე დღის წინ, პრეზიდენტმა თქვა — სულელებს არ ელაპარაკოთო. მე მგონი, ეს პუშკინის სიტყვებია და არა ჭავჭავაძის — როგორც პრეზიდენტმა მოგვახსენა. სამწუხაროდ, ბატონ მიშას, ჭავჭავაძეების მიმართ ასეთი განსაკუთრებული სიყვარული სახლ-მუზეუმის გასხვისების პერიოდში ვერ შევატყვე.

— ამბობენ, ეს იყო მინიშნება, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციასთან დებატებში აღარ მიიღოს მონაწილეობა.



ვერანაირად ვერ ვუწოდებთ გამარჯვებას იმას, რასაც კორუფციასთან ბრძოლა ჰქვია

— ილია ჭავჭავაძეს ნუ დავაბრალებთ, თუ ქართულ ტელესივრცეში დებატები მოისპობა. უბრალოდ, ხელისუფლებას გაუჭირდა საკუთარი პოზიციების დაცვა — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სიმართლე ოპოზიციის მხარეს აღმოჩნდა. ჩვენი მოსახლეობა კი ისმენს განცხადებებს ბედნიერების შესახებ, თუმცა, მას არავინ ეუბნება, სად არის ეს უჩინარი ბედნიერება, რომელიც მათ ოჯახებს არ სწვევია...

გიგა ბოკერია, *უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერი:*

— წლისთავების პომპეზურ აღნიშვნას ბოლშევიკური გადმონაშთი უწოდეს. ღირს თუ არა ამ ტიპის ღონისძიებებზე თანხის ხარჯვა?..

სხვათა შორის, სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნებიც ამ ხელისუფლების მონაპოვარია

— როცა მოსკოვი უამრავ ფულს ხარჯავს იმისთვის, რომ საქართველოს წინააღმდეგ შავი პიარკამპანია აწარმოოს და მთელ მსოფლიოს დაანახვოს, რომ საქართველო მაჩანჩალა, წარუმატებელი სახელმწიფოა, ჩვენ — თითქოსდა ეს როლი „შეგვეფერებინოს“ — ნაჭუჭში ვერ ჩავიკეტებით... რევოლუციის ორი წლისთავზე ჩამოსულმა უცხოელმა სტუმრებმა სრულიად საპირისპირო დაინახეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა: გავიდა რუსის ჯარი, მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციის მასშტაბები, გატარდა წარმატებული რეფორმა განათლების და სამხედრო სფეროებში, გაორმაგებული პენსია დროულად მიეწოდება ნებისმიერ ადამიანს, მკვეთრად გაუმჯობესდა ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ოპოზიციას თავისი როლი აქვს შესასრულებელი, ამიტომ ხან ბოლშევიკებს იხსენებენ, ხან — მენშევიკებს.

— თქვენი აზრით, როგორია საზოგადოების განწყობილება ვარდების რევოლუციიდან ორი წლის შემდეგ?

— ეს იყო სახალხო რევოლუცია. ადამიანები ბედნიერები არიან საკუთარი გამარჯვებით და ამ განწყობილებას თუნდაც მსგავსი ღონისძიებების დროს კარგად აფიქსირებენ. ბოლო პერიოდის არჩევნებმა არაერთხელ დაამტკიცა, თუ როგორია ხელისუფლების რეიტინგი და ვის ენდობა მოსახლეობა. სხვათა შორის, სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნებიც ამ ხელისუფლების მონაპოვარია. ოპოზიციაც კი იძულებული იყო, ეს ეღიარებინა. საქართველო სულ მალე გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. ეს უდიდესი

ეტყობა, ვიღაცას ქვეცნობიერებაში ჩარჩენილი აქვს კომკავშირულ-პიონერული სალუტები

წარმატებაა და მე ბედნიერი ვარ, რომ ამ პროცესებში უშუალოდ ვმონაწილეობ. თუმცა, მთავარი გამარჯვება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მაინც წინ გველის.

დავით ზურაბიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— ხელისუფლებამ საკუთარ ანგარიშზე „ნ გამარჯვება“ ჩაიწერა. ამ ბუკლეტის რამდენ პუნქტს ეთანხმებით?

— პირველ ყოვლისა იმას, რომ „რევოლუციამდელი ბავშვები გონებაჩლუნგები იყვნენ“ და სპორტული მოედნებისა და სკვერების შეღებვით, „უფრო ბედნიერი ბავშვობა“ ვაჩუქეთ... ეტყობა, ვიღაცას ქვეცნობიერებაში ჩარჩენილი აქვს კომკავშირულ-პიონერული სალუტები, საზეიმო ღონისძიებები და ეს ყველაფერი ეძვირფასება. საინტერესოა, გზების შეკეთება და სკოლების გარემონტება. თუმცა, ასეთ პრობლემებს აგვარებდა ლუკაშენკოც. ჰიტლერიც რომ შემოვიდა, ჩრდილოეთ კავკასიაში, პირველი, რაც გააკეთა, გზების დაგება იყო. ბერია რომ იყო ცეკას მდივანი, „დინამოს“ სტადიონიც მაშინ აშენდა და ცირკიც. ამის გამო ვთქვათ, რომ ბერია კარგია?.. ამ ორი წლის განმავლობაში, სააკაშვილი ან შადრევნებს ხსნის, ან ლენტს ჭრის, ან საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება. ხალხს დღესასწაული უყვარს, მაგრამ ამდენი ეიფორია და ტაშ-ფანდური, რევოლუციის თარიღის დევალვაციას იწვევს.

— ეი. თქვენი მოსაწონი ხელისუფლებამ ვერაფერი გააკეთა?

— რამდენიმე მიღწევის დასახელება შემიძლია: აჭარიდან აბაშიძის გაძევება, ძველი ავტოინსპექციის გაუქმება, არმიის მშენებლობის პროცესი. მიხარია, რომ ცალჩექმიანი და მშიერი ჯარისკაცები აღარ გვყავს. რაც შეეხება ბიუჯეტის გაზრდას, მე ეს წარმატებად არ მიმაჩნია, რადგან, ადმინისტრირების გაზრდამ ბიზნესის რეკეტი გამოიწვია. გარდა ამისა, მოკლა საინვესტიციო გარემო.

— თქვენ რევოლუციის აქტიური მონაწილე იყავით. დღეს იმ მოვლენების გახსენებისას, რა ემოცია გეუფლებათ?

— ისტორია უკუღმა რომ დატრიალდეს, ისევე მოვიქცეოდი, როგორც მაშინ. მაგრამ თუ ნორმალური სახელმწიფო გვინდა, სიტყვა „რევოლუცია“ უნდა ამოვაგდოთ ხმარებიდან. საბოლოოდ, როგორ შეფასდება ეს თარიღი ისტორიაში, ეს დამოკიდებულია მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე... ■

ლარის ახალი ბანკნოტები და მონეტები

ეროვნულ მოღვაწეთა გამოსახულებითა და სრულყოფილი დაცვითი მექანიზმით

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამზადების კომისიის გადაწყვეტილებით, 200-ლარიანი ნომინალის ფულის ნიშანზე საქართველოს ეროვნული გმირის, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პორტრეტი გამოისახება. გათვალისწინებულია აგრეთვე, სამახსოვრო და საიუბილეო მონეტების სერიის გამოშვება. 200 ლარის ნომინალის ოქროს მონეტას გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი დაამშვენებს.

რომან გოცირიძე, *ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:*

— 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის ერთ მხარეზე მოთავსებული იქნება დაპყრობილი სოხუმი, მეორე მხარეს კი — საქართველოს ეროვნული გმირი, რომელიც ებრძოდა დამპყრობლებს, რაც ეხმიანება საქართველოს დღევანდელობის ამოცანებს. ფულის ნიშანი ქვეყნის კულტურას, ისტორიას თუ სხვა მიღწევებსა და მიზნებს ასახავს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი დღევანდელი საქართველოს ისტორიული მომენტისთვის, ერთ-ერთ სიმბოლოდ აღიქმება. ჩვენ ასევე გვაქვს დაგეგმილი, გამოვუშვათ სხვადასხვა ნომინალის სამახსოვრო და საიუბილეო მონეტები, რომლებზეც აისახება გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები. პირველი ასეთი მონეტა, რომელიც უახლოეს მომავალში დამზადდება, იქნება ასევე 200 ლარის ნომინალის ოქროს მონეტა და ზედ გამოსახული იქნება ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი; ალბათ გახსოვთ — ეროვნული ბანკი გარკვეული პერიოდის წინ გეგმავდა, რომ ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი 200-ლარიან ბანკნოტაზე ყოფილიყო, მაგრამ ახლა გადაწყდა, რომ მისი პორტრეტი 200-ლარიან ოქროს მონეტაზე გამოისახოს. რაც შეეხება იმ 200-ლარიან კუპიურას, რომელზეც ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი იქნება, მის დიზაინზე ჩვენ უკვე დიდი ხანია ვმუშაობთ. შესაძლებლობა გვაქვს არჩევანი გავაკეთოთ, რამდენიმე დიზაინერის მიერ შესრულებულ ესკიზებს შორის და დაახლოებით 10 დღეში გამოვავლენთ გამარჯვებულს. რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი აგრეთვე, თუ რომელი ევროპული კომპანია განახორციელებს ბანკნოტების დამზადებას. აქვე მინდა გითხრათ, რომ განაცხადები მიღებული გვაქვს ევროპის წამყვანი ფულის მწარმოებელი კომპანიებისგან და მათ შორის ერთ-ერთი, სულ მალე, ახალი 200-ლარიანი ბანკნოტის ბეჭდვას შეუდგება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი 200-ლარიანი კუპიურა იქნება ერთ-ერთი ყველაზე დაცული ფულის ნიშანი მსოფლიოში, რადგან მასში გამოყენებული იქნება ფულის დაცვის ისეთი უახლესი ტექნოლოგიები, რომლებიც ევროპის ქვეყნების ბევრი ბანკნოტის დამზადებისას არ გამოუყენებიათ. მაგალითად,



ერთ-ერთი დამცავი ნიშანი, რომელიც ჩადებული იყო საკონკურსო პირობებში, ევროსაც კი არა აქვს. უფრო კონკრეტულად — ეს გახლავთ ჰოლოგრამა, რომელიც იცვლის ფერს და გამოსახულებას. პარალელურად ვმუშაობთ 50-თეთრიანი, 1 და 2-ლარიანი მონეტების შექმნაზე, მათი დიზაინი უკვე შემუშავებულია და ამ მონეტების მოჭრაც სულ მალე დაიწყება.

ემა ტუხიაშვილი



მოყვარეს პირში უძრახე — ასეთია პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრის სოსო ცინცაძის პოზიცია, რომელიც დაუფარავად აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს, რის გამოც ხელისუფლებაში, გამოუცდელი ბიჭები მოდიან... პოლიტოლოგის აზრით, ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ „ნაცმოძრაობა“ ინტელექტუალებისთვის ჩაკეტილია, ამ კარჩაკეტილობის მიზეზი კი, მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის ეკონომიკური ინტერესებია...

„ქოლიტიკუს ავანსებს ხელისუფლება ყოველთვის იძლევა“...

ხათუნა მაღრაძე

— რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების მოღვაწეობის ორი წლისთავზე, რამდენიმე პოზიტივი გამოიკვეთა, პირველ ყოვლისა — აჭარის დაბრუნება, რომლის წყალობითაც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია, ისეირნოს ბათუმის ბულვარში, გაირუჯოს ზღვის ნაპირზე და ზურგს უკან თვალთვალს არ გრძნობდეს. ეს უკვე ნიშნავს ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნებისკენ გადადგმულ ნაბიჯს. გარდა ამისა, ჩემთვის როგორც იმ ადამიანისთვის, რომელიც 30 წელია, მეცნიერებაშია და საკუთარი თვალით აქვს ნანახი მისაღები გამოცდების დროს უსამართლოდ დაჩაგრული აბიტურიენტები, გულწასული მშობლები და გამოცდების პერიოდში გამდიდრებული უნივერსიტეტის თანამშრომლები, — ერთიანი ეროვნული გამოცდები, ნამდვილი რევოლუციაა. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვი მეცნიერებათა აკადემიისა და პროფესორ-მასწავლებელთა მდგომარეობასთან დაკავშირებით... ხელისუფლების აქტივში ითვლება პოლიციის რეფორმაც. როგორც ამბობენ, ავტოინსპექციაც, შექმნიდან რამდენიმე წლის განმავლობაში, პატიოსნად მუშაობდა. მაგრამ შემდეგ ჩაიძირა კორუფციაში. პატრული ჯერჯერობით არ გარყვნილა, იმედი მაქვს, შეძლებენ, 10 წლის შემდეგაც, იგივე ავტორიტეტი შეინარჩუნონ.

— მიუხედავად პატრულის მუშაობისა, ქვეყანაში კრიმინალი არ შემცირებულა. რაში მდგომარეობს მათი წარმატება?

— თუ გადავხედავთ აშშ-ის პრეზიდენტების — ბუშის, კლინტონისა და მათი წინამორბედების საარჩევნო კამპანიას, დავინახავთ, რომ ქუჩის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მათ პროგრამაში ყველაზე პრიორიტეტულია. სწორედ ქუჩის დანაშაულმა მიაღწია საქართველოში კატასტროფულ მაჩვენებელს — სადარბაზოებში დახვედრა, თავში ჩარტყმა და დანის ტრიალი. რეფორმირებულმა პოლიციამ ამ სახის დანაშაულს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. თუმცა, სანამ შიდაპრობლემებზე გავაგრძელებთ საუბარს, მინდა, კიდევ ერთი პოზიტივი აღვნიშნო: საქართველოს სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. ყველას გვახსოვს შევარდნაძის გამოსვლა, როცა ის დევნილებს დაჰპირდა — რუს სამშვიდობოებს კიდევ 6 თვე ვაცადოთ და თუ არაფერი შეიცვალა, მე ჩაგიდგებით სათავეში და აფხაზეთში შევალთო. ეს განცხადება ომის დაწყების მუქარა იყო, მაგრამ არც რუსეთის დუმა გამოხმაურებია და არც არძინბა. ყველამ იცოდა, რომ მისი სიტყვები, ბლეფი იყო. ახლა ხომ ნახეთ, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას რა აჟიოტაჟი მოჰყვა! ნურავის ეგონება, რომ რუსეთის დუმაში სულელები სხედან. თვით ჟირინოვსკი უზომოდ განათლებული ადამიანია. უბრალოდ, იცის, ვინ წარმოადგენს მის ელექტორატს: 6 მილიონი გიჟი ჰყავს და მათ შესანარჩუნებლად თავს იგიჟიანებს. დღეს როგოზინები და ჟირინოვსკები მიხვდნენ, რომ ამ ხელისუფლების სიტყვა ემყარება არა ბლეფს, არამედ პოლიტიკურ ნებას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ადეკვატური ნაბიჯები.

— თუმცა, ამ ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას ხელისუფლება არ ჩქარობს. ერთი წლის წინ, სააკაშვილმა განაცხადა — რევოლუციის ორი წლისთავს ცხინვალში ვიზეიმებთო.

— ასეთ პოლიტიკურ ავანსებს ხელისუფლება ყოველთვის იძლევა, საზოგადოებამ კი თვალი უნდა ადევნოს დანაპირების შესრულებას. ერთ-ერთ ტოქშოუში უმრავლესობის წარმომადგენელმა განაცხადა — იმიტომ ვერ გავათავისუფლეთ მეწარმეები გადასახადისგან, იმიტომ ვერ გაუმჯობესდა ცხოვრების პირობები, რომ პრიორიტეტები შეიცვალაო. თუ მათ დავუჯერებთ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ორი წლისთავზე იქცა პრიორიტეტად. ეს ნონსენსია. სამწუხაროდ, ოპოზიციაში არ არიან ძლიერი პოლემისტები, რომ ასეთ აბსურდულ განცხადებას სათანადო პასუხი გასცენ. ოპოზიციის კიდევ ერთი ნაკლი ის არის, რომ მათ ხალხში გასვლა არ უნდათ და მთელი ძალისხმევა ტოქშოუებისკენ აქვთ მიმართული. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ საქართველო ევროპაა, ჩვენ მაინც აზიელები ვართ, სადაც პირადი კონტაქტები — უმთავრესია: შენთან თუ მოვიდა პრეზიდენტი, დაგელაპარაკა, გაგიცინა და შენი შვილიც ხელში აიყვანა, უკვე „იმისი“ ხარ — არჩევნებში 500-ჯერ მისცემ ხმას! სააკაშვილის უპირატესობა სწორედ ამაშია...

— თუმცა, პრეზიდენტის პარარესურსიც ხომ არ შეიძლება, განუსაზღვრელი იყოს...

— განუსაზღვრელი და უვადო მხოლოდ საბჭოთა ობლიგაციები იყო... თუმცა, ეს რესურსი ჯერჯერობით მოქმედებს და ძნელი სათქმელია, კიდევ რამდენ ხანს გასწვდება... მე ისიც არ ვიცი, თუ რა ინფორმაციას აწვდიან პრეზიდენტს. ბატონმა მიშამ ცოტა ხნის წინ თქვა — 8-ჯერ გაიზარდა შობა-



ფრაზები გენიალური

ზოგიერთი დიდი თანამდებობა ციცაბო კლდესა ჰგავს: ან არწივი უნდა იყო, რომ აფრინდე, ან ქვემძრომი, რომ აცოცდე.

შარლ ტალეირანი

დობაო. იმავე დღეს, პრესაში დაიბეჭდა სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ყოველი მეექვსე ბავშვი კვდება, ყოველ მესამეს რაქიტი აქვს, ყოველი მეათე კი, საშინელი პროდუქტით იკვებება. როგორც ჩანს, პრეზიდენტს უთხრეს, რომ შობადობამ მოიმატა, მაგრამ რამდენმა მიაღწია თუნდაც 2 წლის ასაკს, მან არ იცის.

— გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი... როდემდე უნდა იყვნენ ჩვენი პრეზიდენტები ინფორმაციულ ვაკუუმში?

— აქ ჩნდება გარემოცვის პრობლემა. მრჩეველთა საბჭომ რეკომენდაციით მიმართა პრეზიდენტს, რომ თანამებრძოლები თანამოაზრეებით შეეცვალა. საზიზღარმა ტირანმა — ფიდელ კასტრომაც კი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გვერდით ვეღარ აიტანა თანამებრძოლი ჩე გევარა, რადგან ბრძოლა საჭირო აღარ იყო და მეორე კაცად, პროფესორი ოსვალდო დორტიკოსი აირჩია... საქართველოს პრეზიდენტს სათანადო პატივი უნდა მიეგო იმ ბიჭებისთვის, რომლებიც რევოლუციის დღეებში, დიდ რისკზე მიდიოდნენ, მაგრამ გარშემო ინტელექტუალები უნდა შემოეკრიბა. სახელმწიფოს მართვა და პოლიტიკა დაუნდობელი სპორტია — აქ ლირიკა და ძმაკაცობა უადგილოა. როცა 24 წლის ბიჭი ინიშნება აჭარაში განათლების მინისტრად, ჩნდება კითხვა — რა ცოდნა აქვს მას ისეთი, რომ 50-ზე მეტ პროფესორს უხელმძღვანელოს?.. ეს ახალგაზრდები დანიშვნისთანავე აცხადებენ — ჩემი გუნდით მოვდივარო! სიტყვა „გუნდის“ მოსმენაზე თმის ბოლო ღერიც გამცვივდა... რა გუნდი უნდა ჰყავდეს 23 წლის ბიჭს?! ეს არის ქუჩის საძმაკაცო — „შპანა“!..

— ბატონო სოსო, როგორც ამბობენ, ნებისმიერი ხელისუფლების ავკარგიანობის ბარომეტრი, მაინც მისი ხალხის ცხოვრების დონეა. ამ კუთხით იმედის მომცემ ნიშნებს თუ ხედავთ?

— ორ წელიწადში ასეთ მნიშვნელოვან პრობლემას ვერავინ აგვარებს. ისრაელს 9 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ იქ შიმშილის პრობლემა მოხსნილიყო, მაგრამ მათ ყოველდღიურად ემატებოდათ იმედი — სწორედ ეს არის მთავარი. ჩვენ ჯერ კიდევ შოკური თერაპიის პროცესში ვიმყოფებით.

— შოკი აშკარად არ გვაკლია, მაგრამ თერაპიას ვერავინ ხედავს...

— მეც ამ აზრის ვარ. არ შეიძლება, შოკური თერაპია წლების განმავლობაში გრძელდებოდეს. მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას საშინელი მემკვიდრეობა ერგო. როცა ოპოზიციაში ხარ, ფიქრობ, რომ ყველაფერს ერთ წელიწადში შეცვლი. შემდეგ ცარიელ ხაზინაში ჩაიხედავ, შემოსავალ-გასავლებს დააკვირდები და ხვდები, რომ ყველაფერი გაცილებით რთულადაა. რასაც არ ვეთანხმები — ეს რის საზოგადოების პოლარიზაცია. მე ვერავინ დამაჯერებს — პატარა ბიჭს, ქიტოშვილს იმხელა დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე, რომ ყოველთვიურად 14-ათასლარიანი ხელფასი უნდა ჰქონდეს, ხოლო დამსახურებულ პროფესორს — 60 ლარი. შევარდნაძის დროს, ხელფასმა დაკარგა მთავარი — სოციალური ფუნქცია: ადამიანები მუშაობდნენ და ჯამაგირით არსებობა არ შეეძლოთ. დღეს სოციალური ფუნქცია მიენიჭა მხოლოდ ჩინოვნიკებისა და პარლამენტარების ხელფასებს. აუცილებელია, ჩვეულებრივ მოქალაქეებს ანაზღაურება გაეზარდოთ, მოიმატოს პენსიებმა. ამავე დროს, თუ ეს მატება ინფლაციამ შეჭამა, მხოლოდ ხალხის მოტყუება გამოვა და სხვა არაფერი. თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, თუ უმუშევართა რიცხვი არ შემცირდა, ხელისუფლება სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება... ■

პრეზიდენტს სათანადო პატივი უნდა მიეგო იმ ბიჭებისთვის, რომლებიც რევოლუციის დღეებში, დიდ რისკზე მიდიოდნენ, მაგრამ გარშემო ინტელექტუალები უნდა შემოეკრიბა

ამ ბოლო დროს, რეალითი-შოუ იმდენად შემოვიდა მოდაში, რომ ბრაზილიური და არგენტინული სერიალებიც კი უკან ჩამოიტოვა და დიდი თუ პატარა ყოველ საღამოს მოთმინებით ელის ეკრანზე ნაცნობი სახეების გამოჩენას... თავიდან, „ჯეობარს“ საზოგადოების საკმაო ნაწილი ფრად უკმაყოფილოდ შეხვდა: ასეთ რაღაცეებს ეკრანზე არ უნდა აჩვენებდნენო, — ამბობდნენ. თუმცა, ბევრი ახლაც გამოთქვამს უკმაყოფილებას, მაგრამ ამავე დროს, მაინც უყურებს და მეორე დღეს ტრანსპორტში, ქუჩაში თუ სამსახურში ყველა წინადღეს მოხდარ ამბებს განიხილავს. განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა ნატა ნუცუბიძის ერთ-ერთი თაყვანისმცემლის საქციელს, რომელმაც გასულ კვირას, ბარის წინ სანთლები აანთო და ნატას, „ცოცხალი შესრულებით“ სიმღერები მიუძღვნა... იმის გამო, რომ ეს პიროვნება შოუბიზნესში ცნობილია, მისი მოძებნა არ გაგვჭირვებია და ინტერვიუსთვის ვესტუმრეთ. მართალია, ბაკო (თემო) გუნცაძეს მაინცდამაინც არ ესიამოვნა ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ კითხვებზე მაინც გვიპასუხა.

„იმ დღეს ესკამოდ ნასვამები ვიუყვით...

ჭოტოქაში ჩაც ოთხი შეცი სკანდალი იქნება, ის მით ოთხი ჭოჭოლაჩოლი კახდება“

ნათია ქინიძე

— ბაკო, პროფესიით ვინ ხარ?

— ეკოლოგისტ-პოლიტოლოგ-ნიადაგმცოდნე ვარ, თუმცა, ამჟამად, ამ პროფესიებიდან არც ერთს არ ვიყენებ. სად ვმუშაობ — ამის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება იმას, თუ რითი ვარ გატაცებული, ვიტყვი, რომ ლათინურ-ბრაზილიურ საღამოებს ვაწყობ ხოლმე. ამასთანავე, ვარ ერთ-ერთი ბარის მფლობელი და ძალიან მალე, ისეთ სანახაობრივ დისკოთეკას გავხსნით, რომლის მსგავსიც საქართველოში ჯერ არ ყოფილა და ეს ქართველებისთვის სიურპრიზი იქნება.

— „ჯეობართან“ რა გაკავშირებს?

— მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობა: ადრე, „აჭარა მიუზიკ-ჰოლის“ ხშირი სტუმარი ვიყავი. რაც ეს კლუბი გაუქმდა და „ბარი“ დაიწყო, თითქმის ყოველ საღამოს ბარის სტუმარი ვარ. შესაბამისად, ამ პროექტის ყველა მონაწილესთან ვმეგობრობ.

— ამ პროექტის დაწყებამდე თუ იცნობდი მასში მონაწილე ადამიანებს?

— ვიცნობდი — ქეთის, ნატას და გიორგის, რომელიც ჩემი მეგობრის, „ნუცასსკოლელი“ ელენე ფოჩხუას ძმაა.

— ნატას რამდენი ხანია იცნობ? როგორ და სად გაიცანი?

— ნატა ჩემი ბიძაშვილის, შაკო გველესიანის კლასელი იყო. თუმცა, იქიდან არ გამიცნია. დაახლოებით ოთხი წლის წინ, ერთ-ერთ კლუბში ნატა კონტროლიორად მუშაობდა. პირველად, მას რომელიღაც დისკოთეკაზე შევხვდი, თავის დასთან ერთად იყო. მივედი და ვუთხარი — შენ საიდანღაც მეცნობი-მეთქი... მერე შევყევით საუბარს, როგორც ქართველებს გვჩვევია, და აღმოვაჩინე, რომ ჩემი ბიძაშვილის კლასელი იყო და ფოტოებზე მყავდა ნანახი. ამის შემდეგ ვმეგობრობდით და ხშირად ვნახულობდი. ჩვენი შეხვედრა ძირითადად, იმ დისკოთეკაზე ხდებოდა, სადაც ის მუშაობდა. მისი დაც, თუ არ ვცდები, იმავე კლუბში მუშაობდა.

— ნატა როცა გაიცანი, უკვე გათხოვილი იყო?

— არა, მაშინ არ იყო გათხოვილი. ჩვენი გაცნობიდან მალევე გათხოვდა.

— მის მეუღლეს იცნობდი?

— არა, არასოდეს მინახავს. ნატა დისკოთეკაზე ისევ მარტო მოდიოდა, მეუღლესთან ერთად არასოდეს მოსულა. როცა გათხოვდა, წლოვანებით საკმაოდ პატარა იყო. ნატასთან ისევ ჩვეულებრივ მეგობრობას ვაგრძელებდი. ჩვენ შორის მართლა, არაფერი ყოფილა...

— აბა, რით დაიმსახურა ასეთი რომანტიკული საჩუქარი?

— ერთხელ, როცა „ჯეობარში“ ვიყავი, ნატასაც და ამ პროექტის ყველა სხვა მონაწილესაც ვუთხარი — ამდენი ხანია, აქ ხართ, მინდა, რომ პატივი გცეთ, ამიტომ დაველაპარაკები ამ პროექტის ხელმძღვანელობას და ვთხოვ, რომ რესტორანში გამოგიშვან, მათი მხრიდან ვინც უნდათ, ის წამოვიდეს და ყველამ ერთად ვიქეიფოთ-მეთქი. ისინიც ამ წინადადებაზე სიამოვნებით დამთანხმდნენ. მაგრამ „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებმა მათ გამოშვებაზე უარი მითხრეს. კარგიმეთქი, ვუთხარი და წამოვედი. მათ ეგონათ, რომ იქ აღარ მივიდოდი. მეგობრებთან ერთად ჯერ ერთ რესტორანში წავედი, მერე — მეორეში. მოკლედ, იმ დღეს საკმაოდ ნასვამები ვიყავით. სულ თორმეტნი ვიყავით: ორი — დამკვრელი, ოთხი — დაცვის თანამშრომელი და ორიც — საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი...

— დაცვა და პატრული რაში გჭირდებოდა?

— რა ვიცოდი, რაში გამომადგებოდა... ჯერ ეს დამკვრელები ძლივს ვიპოვეთ. სადღაც გლდანში, რომელიღაც რესტორანში ვიპოვეთ ერთი, ისიც — მხოლოდ აკორდეონზე დამკვრელი; მერე ის დაგვეხმარა მედოლის მოძებნაში. იქიდან „აჭარისკენ“ რომ მივდიოდით, ჩემმა ძმაკაცმა მოიფიქრა: მოდი, სანთლები ვიყიდოთ და დავანთოთ. ეს იდეა ყველას მოგვწონა და ასეც მოვიქეცით. ის მახსოვს, ეს სანთლები როგორ ავანთეთ, რაღაც კადრებიც მახსოვს, მაგრამ ისეთი მთვრალი ვიყავი, ბევრი რამ მერე, ტელევიზიით რომ ვნახე, მაშინ გამახსენდა... იქ ყველას სახელს ვყვიროდი და არა მხოლოდ ნატასას, მაგრამ როგორც ჩანს, დაამონტაჟეს და ისე გაუშვეს. ბევრი ვიმღერეთ, უფრო სწორად — მათ იმღერეს, თორემ, რომელი „მართვეს“ მომღერლები ჩვენ ვართ?.. ცეკვასაც ვცდილობდი, მაგრამ არ გამომივიდა — ფეხი მერეოდა სიმთვრალისგან. სამჯერ, „ნატა“ დავიყვირე და ხუთჯერ — „თეო-თეო“, მაგრამ მაინცდამაინც ნატას მონაკვეთი ჩასვეს მონტაჟის დროს. ალბათ „ბარის“ წარმომადგენლებსაც გაუჩნდათ ეჭვი, რომ მე ნატას შეყვარებული ვიყავი.

— მაგრამ ნატა ყვიროდა — გოგონებო, გამოიხედეთ, ნახეთ, ბაკომ რა გამიკეთაო!..

— არ ვიცი, ის რას ყვიროდა, მაგრამ მე ეს მხოლოდ მისთვის არ გამიკეთებია. ნატას მაგივრად, იქ სულ სხვა ვიღაც რომ ყოფილიყო, მე მაინც მივიდოდი და ვიმღერებდი...

— გამორიცხულია, რომ ნატას მიმართ რაიმე გრძნობა გაგიჩნდეს?

— გამორიცხულია. მეგობრობის გარდა, ჩვენ არანაირი გრძნობა არ გვაკავშირებს.

— რატომ? რა სჭირს შენ დასაწუნ?..

— არაფერი. ნატა, როგორც ქალი, ძალიან

მომწონს. კაცს, ნებისმიერ ქალთან შეიძლება, რაღაც გამოუვიდეს — გააჩნია, ეს კაცი როგორ მოიქცევა.

— მართალია, სანთლებით თუ უმღერებ ღამით ქალს, აუცილებლად შეაბამ_

— არა, ყოველღამე ნამდვილად ვერ ვუმღერებ ვერავის. მაგრამ გეუბნებით, რომ მე და ნატას მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. უკვე იმდენი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს, რომ თუ ერთმანეთი უნდა შეგვყვარებოდა, აქამდე შეგვიყვარდებოდა. ახლა, რადგან მას მეგობრული თვალით ვუყურებ, ალბათ, არასოდეს შემიყვარდება და სულ მეგობრებად დავრჩებით. თუ რამე იქნება ჩვენ შორის, მერწმუნეთ, ნამდვილად არ დავმალავ და აუცილებლად ვიტყვი. ძნელია, მეგობარს სხვა თვალით რომ შეხედოს ადამიანმა...

— მეორე დღეს ბარში რომ მიხვედი, ნატამ რა გითხრა?

— ნატამაც და „ბარის“ ყველა მონაწილემაც დიდი მადლობა გადამიხადეს და ყველამ სათითაოდ მაკოცა. მითხრეს — ჯიგარი ხარო!

— ბესომ პერსონალურ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი აზრით, გიორგის ნატა მოსწონს. შენ რას ფიქრობ ამის შესახებ?

— არ ვიცი, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ყველას თავისი გზა აქვს და როგორც უნდა, ისე მოიქცევა. ეს ჩემი საქმე არ არის. ნატას ამის შესახებ ჩემთვის არასოდეს არაფერი უთქვამს. მას ყველა მოთამაშესთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. საერთოდ კი, პროექტში რაც უფრო მეტი სკანდალი იქნება, ის მით უფრო პოპულარული გახდება. ამ პროექტსაც სჭირდება სკანდალი.

— დაგვიხასიათე ნატა — როგორი ადამიანია?

— მის დასახასიათებლად მხოლოდ სამ სიტყვას ვიტყვი: ნატა არის ძალინ მეგობრული, უკომპლექსო და საყვარელი.

— შენ მოგწონს უკომპლექსო ქალები, სადაც დასჭირდებათ, იქ რომ იხდიან?_

— უკომპლექსო ქალები, რა თქმა უნდა, მომწონს, მაგრამ გახდა რა შუაშია?..

— ნატას ვგულისხმობ, აუზიდან წელს ზემოთ გახდილი რომ ამოვიდა_

— იცი, რა, 35.000 ლარის გამო ადამიანი რას გააკეთებს, ეს არავინ იცის... ნატას ეს რომ არ გაეკეთებინა, ხომ შეიძლებოდა, პროექტიც დაეტოვებინებინათ მისთვის?! არავინ იცის, მას როგორ სჭირდება ეს ფული. ვისთვისაც რაღაც-რაღაცები მიუღებელია, ის არც შეიტანდა მაგ პროექტში საბუთებს. ნატას კი ცუდი არაფერი გაუკეთებია. უბრალოდ, ქართველები ძალიან აზიატები ვართ და ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ ევროპელობისგან...

— ნატას პირად ცხოვრებაზე თუ იცი რამე?

— ვიცი, რომ ჰყავდა შეყვარებული. მაგრამ ეს სხვებისგან ვიცი და ნატასთან ამ საკითხზე არასოდეს მილაპარაკია, რადგან არ მიმაჩნია სწორად, რომ ქალს ჰკითხო, შეყვარებული ჰყავს თუ არა. თუ იმ ქალს სხვა თვალით ვუყურებ, შესაძლოა, ვკითხო კიდეც და ალბათ, მისი პირადი ცხოვრებითაც დაწვრილებით დავინტერესდები. მაგრამ ნატას შემთხვევაში, ასე არ არის. მსგავსი კითხვა მისთვის არასოდეს დამისვამს და არც თვითონ უთქვამს რაიმე.

— ნასვამი რომ არ ყოფილიყავი, იმ სალამოს ასეთ საქციელს თუ ჩაიდენდი?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი. ალბათ, არა.

— ხომ არ ნანობ შენს საქციელს?

— არა, რატომ უნდა ვინანო?! მე ისინი გავახარე და გავამხიარულე. ვფიქრობ, ჩემი საქციელი მათ ძალზე მოეწონათ.

P.S. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ამ პროექტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. საზოგადოების დიდი ნაწილი კი მას სრულიად მიუღებლადაც მიიჩნევს და „ჯეობარის“ შეწყვეტასაც კი მოითხოვს. როგორც ცნობილია, სწორედ ასეთი მოთხოვნა წამოაყენეს იმ საპროტესტო აქციის მონაწილეებმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ტელეკომპანიის ოფისთან, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრთა ინიციატივით მოეწყო.

მამა დავითი (ძვლივიძე), *წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი:*

— ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ყოველთვის გამოირჩეოდა ძალადობის, მკვლელობის, ამორალობის ქადაგებით. სერიალები, რომელსაც ამ არხზე უჩვენებენ, ეძღვნება ყველანაირი უზნეობის პროპაგანდას, მაგრამ „ჯეობარი“ უზნეობის სრული აპოგეაა. ახალგაზრდები ტელეეკრანებზე უყურებენ ჰომოსექსუალისტების კეკლუცობას, როგორ ეფერებიან ერთმანეთს ლესბოსელები. „ჯეობარის“ მონაწილეები პირდაპირ ეთერში მრუშობენ. ეკლესიის მსახურთა დანიშნულება — ლოცვაა, მაგრამ დღეს იძულებული გავხდით, ქუჩაში გამოვსულიყავით და საპროტესტო აქცია მოგვეწყო... ამის შემდეგ, „რუსთავი 2“ უფრო შორს მიდის და საჯაროდ დასცინის ეკლესიის მსახურთ. საპატრიარქოს მიერ ხელდასხმული მოძღვრების დაცინვა, მათი გაქილიკება და აბუჩად აგდება, მათ მიმართ სიბრალულის განცდას უფრო მეტად გვიღრმავებს. ჩვენ ამ ადამიანების გადარჩენას ვცდილობთ, იმ ათასობით ახალგაზრდასთან ერთად, რომელიც მსგავს უზნეობას უყურებს. როცა უცხოელი დამპყრობლები შემოდიოდნენ, რჯულს გვართმევდნენ, „რუსთავი 2“ კი, ქვეყანაში ზნეობისა და მორალის აღმოფხვრას ცდილობს. ამ პრობლემაზე წესით, ხელისუფლება უნდა ფიქრობდეს. მაგრამ ის დუმილს არჩევს.

რამდენიმე წლის წინ, „რუსთავი 2“ ახალგაზრდებზე მავნე ზემოქმედების მქონე გადაცემების გაშვების გამო, 5.000 ლარით დაჯარიმდა. ჩვენ ამ ტელეკომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში შევიტანთ სარჩელს, რომ შევაჩეროთ უზნეობის პროპაგანდა. გადაცემას, რომელშიც გამარჯვებულია ის ადამიანი, ვინც ყველა დანარჩენზე გარყვნილი და მაბეზღარაა, მთელი საზოგადოება უნდა დაუპირისპირდეს. ■

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სტუდენტური საერთო საცხოვრებელი რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც დაარსდა. ბაგებში წამოჭიმული ხუთი კორპუსი, ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ, სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს იფარებდა. მას შემდეგ, რაც აფხაზეთი დავკარგეთ, მეოთხე და მეხუთე კორპუსებში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შეიხიზნა. პირველი სამი კორპუსი გასულ გაზაფხულამდე, კვლავ სტუდენტების განკარგულებაში რჩებოდა.

სტუდქალაქის კორპუსები შესაძლოა, ერთდროულად გაარემონტონ ან - რიგრიგობით...

თამარ როსტიაშვილი

შარშან, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სტუდენტებს განუცხადა, რომ საზაფხულო არდადეგების პერიოდში, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში რეაბილიტაცია უნდა განხორციელებულიყო და სასწავლო წლის დასაწყისისთვის მათ ახალგარემონტებული კორპუსები დახვდებოდათ. დაპირება ფუჭი აღმოჩნდა. პირველი და მესამე კორპუსები ხელუხლებელი, ხოლო მეორე (როგორც ამ ბოლო დროს ჩვენში „მოდური“ გახდა), ფასადშელებილი დახვდათ, ისიც — საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობის ხარჯით. სამაგიეროდ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სტუდენტებს უსიამოვნო „სიურპრიზი“ დაახვედრა: თუ თითო სტუდენტი საერთო საცხოვრებლით სარგებლობისთვის წლიურად მხოლოდ 60 ლარს იხდიდა, უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით, ამიერიდან, თითოეული მათგანი ყოველთვიურად 30 ლარს გადაიხდის. მარტივი არითმეტიკა რომ მოვიშველიოთ, 60 ლარის ნაცვლად, სტუდენტს წლიურად 300-ის გადახდა მოუწევს, ეს კი სოფლიდან ჩამოსული, გაჭირვებული გლეხკაცის შვილისთვის სოლიდური გადასახადია. ამ ყველაფერს ვინ ჩივის?! სტუდენტები გადასახადის სიძვირეს უკვე შეგუებული იყვნენ, როცა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ „ახარა“ — სამივე კორპუსში რემონტი უნდა ჩატარდეს და აუცილებელია, შენობები გათავისუფლდესო. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ რექტორატის განცხადება მოსალოდნელი რემონტის შესახებ, მათი მხრიდან ნასროლი სატყუარაა და მასზე წამოგებას არ აპირებენ: თუ რემონტის გაკეთება სურთ, პირველი და მესამე კორპუსები თავისუფალია, ჯერ ის შენობები გაარემონტონ და მას შემდეგ, რაც გარემონტებულ კორპუსებში გადავინაცვლებთ, მეორე კორპუსიც შეაკეთონო, — ამბობენ სტუდენტები.

ვიქტორ და ივერ კახნიაშვილები თბილისში სასწავლებლად 3 წლის წინ, ზესტაფონის რაიონიდან ჩამოვიდნენ. მათი თქმით, შექმნილ სიტუაციას ძალზე განიცდიან, რადგან თუ უნივერსიტეტის რექტორატმა გადაწყვეტილება არ შეცვალა, ისინი ქუჩაში აღმოჩნდებიან.

ვიქტორ კახნიაშვილი, *ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი:*

— მეოთხე წელიწადია, რაც საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. 3 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად თითო სტუდენტი 60 ლარს ვიხდიდით. ახლა უკვე, ყოველთვიურად 30 ლარის გადახდა გვიწევს. თითოეულ ოთახში 3 სტუდენტი ცხოვრობს და შესაბამისად, თვეში 90 ლარს ვიხდით. აქამდე თუ სტუდქალაქის ხელმძღვანელობასთან მიგვქონდა გადასახადი, წლეულს უკვე უნივერსიტეტის რექტორატს ვუხდით. მხოლოდ ერთ ელექტროღუმელს და ერთ ნათურას ვიყენებთ. განა, რამდენ ენერგიას ვწვავთ და წყალს ვხარჯავთ, რომ 90 ლარს გვახდევინებენ?! პასუხი მოვითხოვე: უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსს, კორძაიას მივმართე, მაგრამ მან არათუ პასუხი გამცა, არც კი მომისმინა. უნივერსიტეტში ჩემთან ერთად ჩემი ძმაც სწავლობს. ჯერჯერობით, სამსახური არ გვაქვს და ქირის გადახდა მშობლებს უწევთ. შეიძლება, ზოგმა თქვას — თვეში 60 ლარის გადახდა რა პრობლემააო? — მაგრამ სოფლის გაჭირვებული მოსახლეობისთვის ეს არცთუ ისე მცირე თანხაა. ეს კიდევ არაფერი, ახლა საერთო საცხოვრებლიდან საერთოდ, სტუდენტების გამოყრა სურთ. არ ვიცით, სად უნდა წავიდეთ, თუ რექტორატმა ჩანაფიქრი განახორციელა?.. 60 ლარად ბინას ვერსად დავიქირავებთ. თბილისში ნათესავები, სამწუხაროდ, არ გვყავს. გამოდის, რომ სწავლას თავი უნდა დავანებოთ. ერთი კონკრეტული პირის ინტერესებმა ასამდე სტუდენტის მომავალი რატომ უნდა გადაწყვიტოს?!.

ივერ კახნიაშვილი, *ეკონომიკის ფაკულტეტის კურსის სტუდენტი:*

— თუ რეალურად დადგა საკითხი საერთო საცხოვრებლიდან სტუდენტების გამოსახლების თაობაზე, ჩვენ, სტუდენტები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს გავმართავთ. არანაირი პრეტენზია არ გვაქვს სტუდქალაქის მმართველობასთან, რადგან ის აკეთებს იმას, რაც შეუძლია. მათ თავიანთი ხარჯებით შეღებეს და გაასუფთავეს საერთო საცხოვრებლის მეორე კორპუსი. ამ შემთხვევაში, სტუდქალაქის უფროსობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დაკვეთას ასრულებს. თუმცა, სტუდენტების გამოსახლების ბრძანება, როგორც სტუდქალაქის ხელმძღვანელი, გია ხორავა ამბობს, რექტორატს არ გაუცია.

— თუ არც უნივერსიტეტის და არც სტუდქალაქის ხელმძღვანელებს სტუდენტებისთვის მოსალოდნელი გამოსახლების თაობაზე არაფერი უთქვამთ, მაშინ რატომ ატყდა აჟიოტაჟი?

— პირადად არ უთქვამთ, მაგრამ მოვიდა ხმები, რომ სულ მალე, სტუდენტების გამოსახლებას დაიწყებენ. ამის შესახებ ბევრად უფრო ადრე შევიტყვეთ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სასწავლო წლის დასასრულს გვეუბნებოდნენ, რომ საერთო საცხოვრებლის კორპუსები უნდა გარემონტებულიყო. ახლა უკვე ინტენსიურად მოდის ინფორმაცია გამოსახლების თაობაზე. დანებებას არ ვაპირებთ. ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალები შემოგვიერთდებიან და მხარს დაგვიჭერენ.

მეოთხეკურსელი სტუდენტი, თერჯოლელი **თინათინ ჩაფიძე** *ამბობს, რომ თუ საცხოვრებლიდან გამოასახლებენ, იძულებით დაანებებს თავს სწავლას, შინ დაბრუნდება და მისი ოცნება — ექიმი გახდეს — წარსულს ჩაჰბარდება:*

— სტუდენტური საერთო საცხოვრებლით გაჭირვებული ოჯახების შვილები სარგებლობენ. თუ გამოგვასახლებენ, ალბათ, სასწავლებელს ვეღარ დავამთავრებთ. ბინის ქირაში 100 და 200 ლარის გადახდა ჩემს მშობლებს ნამდვილად არ შეუძლიათ. სწავლის დასრულებამდე ორიოდე წელიწადი დამრჩა. გული მწყდება, რომ შეიძლება, სწავლის შეწყვეტა მომიხდეს. მით უმეტეს,

რომ გამოვიარეთ მძიმე პერიოდი, როცა არც გათბობა და არც წყალი არ გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გაყინულები ვიყავით, სწავლას მაინც ვახერხებდით და ლექციებზე მოუმზადებლები არ მივდიოდით. ამის შემდეგ, გვეუბნებიან, რომ ჩვენს გამოსახლებას აპირებენ. დანებებას არ ვაპირებთ, ვიბრძოლებთ ბოლომდე, რათა ჩვენი უფლებები დავიცვათ. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არის სტუდენტური საცხოვრებლები. ქვეყნის ხელისუფლებას პრეტენზია აქვს ევროკავშირში შესვლაზე და სტუდენტებს ვერ უნდა მიხედოს, რომ ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოს?!.

ნუციკო დეიდა — *როგორც მას სტუდენტები მიმართავენ — 3 ათეული წელია, რაც საერთო საცხოვრებლის უფროსი დიასახლისია. ის ძალიან წუხს სტუდენტების ბედზე და ამბობს, რომ საერთო საცხოვრებლიდან ბავშვების „უპრაგონოდ“ გაყრა უსამართლობა იქნება:*

— ერთი თვის წინ, ბავშვებისგან გავიგე, რომ კორპუსები სტუდენტებისგან უნდა დაიცალოს. რემონტი უნდა გავაკეთოთ და შენობა აუცილებლად უნდა დაიცალოსო. თუ რემონტის გაკეთება სურდათ ამ დალოცვილებს, არდადეგების დროს სად იყვნენ?! ეს ხომ ტყუილია და მეტი არაფერი. შვილო, ამ საერთო საცხოვრებელში სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული, გაჭირვებული ოჯახების შვილები ცხოვრობენ. ისინი ყოველგვარი „ჩაწყობისა“ და ქრთამის გარეშე მოხვდნენ უმაღლესში. შეიძლება, მათი ბინიდან გამორეკვა?! როგორ არ რცხვენია მას, ვინც სტუდენტების გაყრის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო?! მაშინ, როდესაც არ იყო შუქი, წყალი და სტუდენტების უმრავლესობა მშიერი დადიოდა, ისხდნენ და მაინც წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ. შეიძლება, ასეთი ბავშვების გაწირვა?!. თუ მართლა აიძულებენ შენობის დატოვებას, 99% შეწყვეტს სწავლას და კვლავ სოფლებს დაუბრუნდება. რისთვის?! იმიტომ, რომ ზოგ-ზოგებმა ამ შენობებში თავიანთი ინტერესები განახორციელონ და სასტუმროები გააკეთონ?!.

— რას გულისხმობთ?

— როგორც ამბობენ, ამ შენობების პრივატიზაცია რომელიღაც ბიზნესმენს სურს, სასტუმროებად რომ გადააკეთოს. უფიქრია იმაზე, თუ ამ შენობებს მითვისებს, სტუდენტები სად უნდა წავიდნენ?.. ნუთუ შეიძლება, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ვიფიქროთ?! კარგია, თუ რაღაცას აკეთებ, მაგრამ სხვისი უბედურების ხარჯზე?!.

სტუდქალაქის ხელმძღვანელი, **გია ხორავა** *ამბობს, რომ მას რექტორატთან საუბარი საერთო საცხოვრებლიდან სტუდენტების გამოსახლების თაობაზე არ ჰქონია. მისი თქმით, სრუდენტების მოსალოდნელ გამოსახლებზე ინფორმაცია მასმედიისგან შეიტყო, რაც ერთობ საკვირველია...*

— სტუდქალაქთან დაკავშირებული ინფორმაცია ადრეც მასმედიის მეშვეობით მიგიღიათ, თუ ეს შემთხვევა გამონაკლისია?

— უნივერსიტეტის რექტორატთან კავშირი, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ სტუდენტთა გამოსახლების საკითხზე ლაპარაკი არ ყოფილა. ვიცი, რომ რექტორატი გეგმავს კორპუსების გარემონტებას და აუცილებელია, სტუდენტებმა გარკვეული დროით საერთო საცხოვრებელი გაათავისუფლონ. თუმცა, რექტორის ბრძანება ამის თაობაზე ჯერჯერობით, არ მიგვიღია.

— სად უნდა წავიდნენ რემონტის პერიოდში სტუდენტები? ალტერნატივას ხომ არ სთავაზობთ?

— სტუდენტები სად უნდა წავიდნენ, ამას ვერ გეტყვით, წარმოდგენა არ მაქვს. ალბათ, თავად უნდა მიხედონ საკუთარ თავს. სტუდქალაქის ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის დაკვეთას ასრულებს. ჩვენ ე.წ. „გამხმოვანებლები“ ვართ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, **კახაბერ კორძაიას** *თქმით, სტუდენტების მიერ ატეხილი პანიკა უსაფუძველოა და ის დასძენს — სტუდენტთა ინტერესების დაცვა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტული საკითხია და მათ საერთო საცხოვრებლიდან გამოსახლებას არავინ გეგმავს:*

— სტუდენტების პანიკა, ვითომ საერთო საცხოვრებლიდან მათ გამოსახლებას ვგეგმავთ, უსაფუძვლოა. ამ ეტაპზე, ვეძებთ ინვესტორს ან მეცენატს, რომელიც საერთო საცხოვრებლის კორპუსების გარემონტებაში ფინანსურად დაგვეხმარება. ვთხოვთ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაგვეხმარონ სტუდქალაქის რეაბილიტაციაში. ოპოზიციურმა ძალებმა ააგორეს ჭორი, ვითომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კორპუსები სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტს“ მივყიდეთ. ეს ჭორია და სიმართლეს არ შეესაბამება.

— თუ მოძებნეთ მეცენატი, რომელიც დააფინანსებს სამივე კორპუსის რეაბილიტაციას?

— კორპუსები შესაძლოა, ერთდროულად გავარემონტოთ ან — რიგრიგობით, როგორც აუცილებლობა მოითხოვს. ნებისმიერ შემთხვევაში, სტუდენტები ღია ცის ქვეშ არ აღმოჩნდებიან. თუ სამივე კორპუსის რემონტი ერთდროულად წამოვიწყეთ, სტუდენტებს უნივერსიტეტის ხარჯებით დაახლოებით 3 თვის განმავლობაში, ბინებს ვუქირავებთ. პირობას ვდებ, რომ დღეისათვის, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები ღია ცის ქვეშ არ დარჩებიან.

საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საერთო საცხოვრებლის 3 კორპუსს სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტი“ იჯარით იღებს, ამ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერის, **თიკა რუხაძის** *თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება:*

— სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის კორპუსებთან სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტს“ არავითარი შეხება არ აქვს. არანაირი მოლაპარაკება უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან კორპუსების იჯარით აღების ან პრივატიზაციის თაობაზე არ გვქონია. გავრცელებული ინფორმაცია ჭორია და სიმართლეს არ შეესაბამება. საერთოდ, რატომ აგორდა ეს ჭორი, ჩვენთვის გაუგებარია.

■

PSP ᲐᲡᲞ

ᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ? ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ!

ჩვენი საინფორმაციო სამსახურის ნომერზე ხშირად შემოდის ზარები შეკითხვით:

რატომ არ გააჩნია პსპ-ს აფთიაქებს ე.წ. ხარისხის ნიშანი "A"?

პსპ საინფორმაციო სამსახური გაცნობებთ, რომ "PSP - აფთიაქის" პრიორიტეტი, უდავოდ, ხარისხია, რომელსაც ჩვენი სააფთიაქო ქსელი უზრუნველყოფს GDP (სათანადო დისტრიბუციის პრაქტიკა) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ნიშანი "A" კი არ წარმოადგენს საერთაშორისო ექსპერტების ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილ ხარისხის ნიშანს. აღნიშნული ნიშანი მხოლოდ კომპანია ჯი-პი-სი-ს ანუ რიგით მესამე ფარმაცევტული დისტრიბუტორის სარეკლამო კამპანიის ნაწილია.

პსპ-ს სააფთიაქო ქსელს გამოარჩევს თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნიშანი „PSP“. ჩვენ ყოველდღიურად ვემსახურებით 20 000 მომხმარებელს, რომელთათვისაც ხარისხი და "PSP" იდენტური ცნებებია.

ᲞᲡᲞ-Ს ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

"ძმის მკვლელის სამარცხვინო სახელი არ უნდა აჭარს"

„სიმართლე რომ ეთქვათ, ამ ამბავს არ გავახმაურებდი" – ბურუსით მოცული დანაშაულის ორი მხარე

„სიმართლე რომ ეთქვათ, ამ ამბავს არ გავახმაურებდი და არც პოლიციას მივმართავდი. ყველას სათითაოდ ვემუდარებოდი, გაემხილა ჩემთვის, სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ არ გატყდნენ, პირიქით, ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ სიმართლე არ გამოაშკარავებულიყო და დამნაშავისთვის როგორმე პასუხისმგებლობა აეცილებინათ. როცა დამნაშავის ვინაობა გაირკვა, მისი დასჯის სურვილი აღარც მე მქონდა, ჩავთვალე, რომ ამ სასტიკი და სამარცხვინო ქმედებისთვის მას ღმერთი გადაუხდიდა სამაგიეროს. თუმცა, შემდეგ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ დავრწმუნდი, სამართალს უნდა ეზეიმა და საქმე ბოლომდე მიმეყვანა", — ამბობს მოკლულის მეუღლე.

მეგი ცანავა

56 წლის ქმრის გარდაცვალების შესახებ ცნობა საბერძნეთში მყოფმა რუსუდან ხარატიშვილმა სრულიად მოულოდნელად მიიღო. მას შეატყობინეს, რომ ქმარი უეცრად, ინფარქტით გარდაეცვალა. თბილისში დაბრუნებულს, სულ სხვა სიტუაცია დახვდა. *„ფაქტები და გარდაცვლილის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები მეტყველებდა იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა არა უეცარ და ბუნებრივ სიკვდილს, არამედ განზრახ ჩადენილ სასტიკ მკვლელობას",* — აღნიშნავს **რუსუდან ხარატიშვილი**. მისი თქმით, დამნაშავის თაობაზე მათ ეჭვი მალე გაუჩნდათ, მაგრამ საბოლოოდ, მისი ვინაობა გამოძიებით დადგინდა. ჭირისუფლის ეჭვები პროკურატურამ დაადასტურა.

რამინ ხარატიშვილი 2002 წლის 28 მარტს გარდაიცვალა. საქმის მასალების მიხედვით, ზესტაფონიდან თბილისში ის წინადღეს იყო ჩამოსული. ღამე ძმის ოჯახში გაათია. მეორე დღეს, დაახლოებით 5 საათისთვის, სწორედ ამ ბინიდან გავრცელდა ცნობა მისი სიკვდილის შესახებ.

ნინო კოგიძე, *რამინ ხარატიშვილის რძალი (ძმის ცოლი):*

„ჩემი მაზლი ზესტაფონიდან ჩემი მეუღლის სანახავად ჩამოვიდა. ის ჩემს ქმარზე 9 წლით უფროსი გახლდათ, თითქმის მისი გაზრდილი იყო და ამიტომაც ძმებს ყოველთვის კარგი და განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. ამის დადასტურება ძალიან ბევრ ადამიანს შეუძლია, მათ შორის, ჩემს მეზობლებსაც, რომლებიც შემთხვევის წინადღეს, მოწმენი გახდნენ ძმების თბილი შეხვედრის. რამინი რომ მოვიდა, ზურა (ჩემი ქმარი) შინ არ დახვედრია. ეზოში ყველას იცნობდა და მითხრა — ჩავალ, ცოტა ხნით გავივლი, ვიდრე მოვა, თან იქნებ, ქვემოთ ვნახო კიდეც სადმეო. ერთმანეთს სწორედ ჩვენი კორპუსის ეზოში შეხვდნენ. ისეთი დრო იყო, რომ მეზობლები გარეთ იყვნენ გამოფენილები, ზოგი ფანჯრიდან იხედებოდა, ზოგი ეზოში იდგა. მათი შეხვედრა ბევრმა დააფიქსირა. სახლში სუფრა გავშალეთ. ჩემი ქმარი, იმის გამო, რომ წლების მანძილზე ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, ალკოჰოლს არ იღებდა, მაგრამ სასმელი მაინც ამოიტანეს. რამინმა იმ საღამოს, ლუდიც დალია და ერთი ბოთლი არაყიც. მათი საუბრისთვის ყური არ დამიგდია. საერთოდ, არ მჩვევია მამაკაცების საუბრისთვის ყურისგდება, მხოლოდ ის გავიგონე, რომ მაზლმა ჩემს ქმარს სადღაც გაყოლა სთხოვა. ზურამ უპასუხა — ციხიდან ახალი გამოსული ვარ, შარი არ მინდა, ვერ გამოგყვები, დამაცადე ბავშვების მოსიყვარულებაო. ამ სიტყვებს რაიმე უთანხმოება არ მოჰყოლია. არანაირი დაძაბულობა ან კამათი სუფრასთან ძმებს შორის არ ყოფილა. ჩემი მაზლი მოთამაშე კაცი იყო. ხშირად თამაშობდა ფულზე ბანქოსა და ზარს. იმის გამო, რომ ერთხელ თამაშისას დიდძალი ფული წაგო, ცოლ-ქმარმა გლდანში მდებარე ბინა დააგირავა. შემდეგ კი, საბერძნეთში სამუშაოდ წასვლა და ვალის ამ გზით გასტუმრება გადაწყვიტეს. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემს ქმარს, ძმის ნაცვლად, გადაუბარებია თუ ჩაუბარებია ვალი და თავი საფრთხეში ჩაუგდია. სხვათა შორის, ძმებს თავისებური შეხედულება ჰქონდათ ყველაფერზე. დანარჩენები არც ვერეოდით მათ საქმეებში და არც არავინ ჩაგვრევდა. ვფიქრობ, იმ საღამოსაც თამაშთან დაკავშირებული პრობლემის გასარკვევად უნდოდა რამინს ძმის წაყვანა.

ის ღამე მან ჩვენთან გაათია. მეორე დილით, ჩემი მაზლი წავიდა, თუმცა წასვლამდე, ლუდი და რამდენიმე ჭიქა არაყი დალია. რაც შეეხება ზურას, იმ დილით ის ახმეტაში გაემგზავრა. წინადღეს აპირებდა წასვლას, მაგრამ ძმის გამო გადადო. პროფესიით პედაგოგი ვარ. 164-ე საშუალო სკოლაში წლების მანძილზე, მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლად ვმუშობ. იმ დილითაც, ჩვეულებრივ, წავედი სამსახურში. სკოლიდან სახლში ჩემს ვაჟს დავურეკე, რათა ბაზარში პროდუქტების საყიდლად გამომყოლოდა. მაშინ მითხრა — ბიძამ მამას დაურეკა, დღესაც აპირებს მოსვლას და მამამ დაიბარა, შინ დახვდითო. მე და ჩემი მაზლი დაახლოებით დღის 3 საათისთვის, კორპუსის სადარბაზოსთან შევხვდით ერთმანეთს და სახლში ერთად ავედით. ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. მაშინვე სადილი გავუცხელე და სუფრა გავუშალე. მაგიდას მიუჯდა, ერთი კოვზი წვნიანი გასინჯა და ცოტა ღვინოც დააყოლა. მაგრამ ჭამა ვეღარ გააგრძელა, იქვე, დივანზე გადაჯდა და თქვა, ცუდად ვარო. რა თქმა უნდა, ძალიან ავფორიაქდი. მაშინვე წყალი მივასხურე, საფეთქლებიც დავუზილე, მაგრამ ვხედავდი, რომ ფერს სულ უფრო და უფრო კარგავდა. ჩემს ქალიშვილს ვთხოვე — გაიქეცი, ჩქარა, მედიკო დეიდას დაუძახე-მეთქი. მედიკო ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. პროფესიით ექიმი არ იყო, მაგრამ ამ საქმის ესმოდა და თუკი კორპუსში ვინმეს რამე გაუჭირდებოდა, პირველ დახმარებას ყოველთვის ის უწევდა. „სასწრაფოც" დაუყოვნებლივ გამოვიძახეთ. მანამდე მეზობლებმაც მოიყარეს თავი ჩემს ოჯახში. როცა ჩემს მაზლს შეხედეს, ყველამ თავი გადააქნია — ამას აღარაფერი ეშველებაო. თავზარდაცემული ვიყავი და იმედს ბოლო წუთამდე არ ვკარგავდი. ვფიქრობდი, რომ „სასწრაფოს" ექიმები მაინც უშველიდნენ რამეს და ამ უბედურებას გადაგვარჩენდნენ. სამწუხაროდ, მათაც იგივე გაიმეორეს. ჩემს მაზლს პულსი აღარ უცემდა, ქუთუთოებიც აუწიეს და თქვეს — უკვე გვამიაო".

მოკლული რამინ ხარატიშვილი

ნინო კობიძის თქმით, გარდაცვლილის სხეული „სასწრაფოს“ ექიმს არ დაუთვალიერებია. აქედან გამომდინარე, არც მას და არც ექთანს არაფერი შეუნიშნავთ.

„მაშინ არც ჩვენ დაგვინახავს რამე საეჭვო. ყველაფერი მას შემდეგ გაირკვა, რაც გვამი ტახტზე გადავასვენეთ. დივანზე, რომელზეც ის მანამდე იჯდა, სისხლი იყო დაღვრილი. ჩემი მაზლი დაჭრილი აღმოჩნდა. ჭრილობა ზურგზე, მარცხენა ნეკნის არეში ეტყობოდა. შემდეგ ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ მას დაზიანება თავის არეშიც ჰქონდა მიყენებული. დარტყმის კვალი თავიდან მას არ ეტყობოდა, არც „სასწრაფოს“ ექიმს უთქვამს ჩვენთვის ამის შესახებ რამე. გარდაცვლილს მან ყბა აუკრა და დაზიანებას თუ შენიშნავდა, იტყოდა კიდეც. მეც ვერაფერს შევამჩნევდი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი მაზლი ქუდს არასდროს იხდიდა, არც ჭამის დროს. თავადაც არაფერი უთქვამს და ეჭვი საიდან უნდა გამჩენოდა? გარდაცვლილს ძალიან ბევრი სისხლი სდიოდა და ეს საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ქვეშ სქელი ნაჭერი დავუფინე, რათა სისხლი იატაკზე არ დაღვრილიყო, ამასობაში მისი ოჯახის წევრებიც მოვიდნენ. რა თქმა უნდა, მაშინვე შეიტყვეს ჭრილობის შესახებ. გარდაცვლილს სისხლი ჯერ კიდევ სდიოდა და ეს მათაც დააფიქსირეს“.

გურანდა ხარატიშვილი, გარდაცვლილის შვილი:

„მშობლებთან და ჩემს ქმარ-შვილთან ერთად, ზესტაფონში ვცხოვრობ. დედაჩემი რამდენიმე წლის მანძილზე, საბერძნეთში ცხოვრობდა და შემთხვევის დროსაც იქ იმყოფებოდა. 2002 წლის 27 მარტს მამაჩემმა თბილისში ძმის სანახავად გამგზავრება გადაწყვიტა. ბიძაჩემი ბევრჯერ იყო ნასამართლევი, მაშინაც ციხიდან ახალი გამოსული გახლდათ და მამას დიდი ხნის უნახავი ძმის მონახულება უნდოდა. მეორე დღეს, საღამოს, დაახლოებით 5 საათისთვის, სახლის ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ჩემმა 7 წლის გოგონამ აიღო. მაშინვე დამიძახა, ვიღაც ქალი გკითხულობსო. ტელეფონთან რომ მივედი, უცნობმა მამაკაცმა მითხრა, — ზურას დავალებით ვრეკავ, მამაშენი მოკვდა ინფარქტითო. ზესტაფონიდან ნახევარ საათში გავედით. თან წამომყვნენ მეუღლე, დედამთილი და მამამთილი, შორაპანში გავიარეთ და იქიდან ბებია და ბიძაც წამოვიდნენ. თბილისში დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის ჩავედით. ბიძაჩემის სახლში რომ მივედით, იქ ბიცოლაჩემი და ბიძაშვილები დაგვხვდნენ. მამაჩემის გვამი უკვე ტახტზე ესვენა. პირი და ხელები აკრული ჰქონდა. ბიცოლაჩემს ვკითხე, რა მოხდა-მეთქი? აღელვებულმა მიპასუხა — არაფერი ვიცი, უცებ გულით გარდაიცვალა, „სასწრაფოს“ ექიმმა თქვა, რომ ეს ინფარქტიაო. ამ დროს ბებიაჩემმა გვამს ზეწარი გადახადა და თქვა — ეს არ არის გულით მკვდარი, სანთელივით თეთრიაო. ის და ბიცოლაჩემი ერთმანეთს შეეპასუხნენ. ბებიაჩემი უმტკიცებდა, ინფარქტით მკვდარი ადამიანი შავდებაო. ამ საუბრის შემდეგ, გლდანში, მამაჩემის კუთვნილ ბინაში წავედი. ბინა გაქირავებული იყო და რადგანაც მიცვალებულის იქ გადასვენებას ვაპირებდით, მდგმურებს ვთხოვე, ბინა დაეცალათ. სანზონაში რომ დავბრუნდი, მაშინ შევიტყვე, რომ ბებიაჩემი და ნინო ისევ კამათობდნენ. ნინოს უთქვამს, პატარა გაკაწრული აქვს ფერდზეო. ამ სიტყვებზე ბებიაჩემმა გვამს ხელი შეუყო ქვემოდან ბეჭებისკენ და რომ გამოიღო, სულ სისხლიანი ჰქონდა. თქვა — ეს არის ნაკაწრი? ღრმა ჭრილობაა, სისხლისგანაა ადამიანი დაცლილი და ამიტომაც გარდაიცვალაო...

29 მარტს მამა გლდანში გადავასვენეთ, პირზე ახვეული ნაჭერი ავხსენით და მაშინ ვნახეთ, რომ ჭრილობა მას თავზეც ეტყობოდა. თავიც გახეთქილი ჰქონდა და კისერზეც ეტყობოდა ხელის მონაჭერები. ამან კიდევ უფრო დაგვაეჭვა. შემდეგ ისიც შევიტყვეთ, რომ სანამ ჩვენ ზესტაფონიდან ჩამოვიდოდით, ოჯახში ბალზამის გამკეთებელი მიუყვანიათ. მას ბალზამზე უარი უთქვამს: გვამს სხეულზე ჭრილობა აქვს და პოლიცია უნდა გამოიძახოთო. ამის შემდეგ მივაკითხეთ პროკურატურას და გვამი ექსპერტიზის ცენტრში გადავიტანეთ. ექსპერტმა მეავანაძემ თქვა, რომ ჭრილობაში ტამპონი იდო“.

მოკლულის შვილის თქმით, საშინელი დანაშაულის შესახებ ეჭვი მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც ბიცოლას შეატყვეს, რომ უცნაური თავშეკავება გამოიჩინა ჭრილობასთან დაკავშირებით. *„აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ქალიშვილმა და იქ მყოფმა სხვა ნათესავებმაც მითხრეს, ნინო კობიძე საეჭვოდ აქტიურობდა მიცვალებულის, რაიონში გადასვენების საკითხთან დაკავშირებით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მას კუბო უკვე შეკვეთილი ჰქონდა. რატომღაც ძალზე ჩქარობდნენ მიცვალებულის კუბოში ჩასვენებას. უნდოდათ, მოესწროთ და ზესტაფონიდან ჩამომსვლელი ჭირისუფლისთვის მიცვალებული გამზადებული დაეხვედრებინათ. მაშინვე ვიეჭვეთ, რომ ეს ყველაფერი დანაშაულის კვალის წასაშლელად კეთდებოდა. კუბოში ჩასვენებულს, ხელს ვინღა დააკარებდა? შესაბამისად, ჭრილობების შესახებაც ვერავინ შეიტყობდა. ტამპონი, რომელიც ექსპერტმა ჭრილობაში აღმოაჩინა, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ შეეცადნენ, ამით სისხლი შეეკავებინათ, სხეულიდან არ გადმოღვრილიყო და სხვებს არ შეენიშნათ“,* — აცხადებს გარდაცვლილის მეუღლე.

ამას დაერთო ისიც, რომ ჭირისუფალმა, კერძოდ — გურანდა ხარატიშვილმა, როგორც თავად ამბობს, სააბაზანოში სისხლიანი ჩვრები აღმოაჩინა და რაც მთავარია, არსად ჩანდა თავად ბიძა — ზურაბ ხარატიშვილი. *„ეს მაშინვე გამიკვირდა. ბიცოლაჩემს ვკითხე მისი ასავალ-დასავალი და მითხრა, ამ დილით ადრე გავიდა სახლიდან და სად არის, არ ვიცი, მას შემდეგ არ მინახავსო. ბიძაჩემი არც პანაშვიდებზე, არც დაკრძალვაზე გამოჩენილა...“* — აღნიშნავს **გურანდა ხარატიშვილი**.

დაზარალებული მხარის ვერსია:

მოკლულის ოჯახის წევრებმა ეჭვი მიიტანეს ზურაბ ხარატიშვილზე და არა მარტო მასზე: მათი თქმით, დანაშაულში მისი ცოლ-შვილიც მონაწილეობდა. ამ ვერსიის თანახმად, მკვლელობა გაცილებით ადრე მოხდა. ძმებს ერთმანეთთან შელაპარაკება მოუხდათ, ამ დროს, ზურაბ ხარატიშვილმა რამინ ხარატიშვილს დანა მოუქნია და სასიკვდილოდ დაჭრა. ჩხუბის დროს რამინმა სხეულის სხვა დაზიანებებიც მიიღო — თავში მკვრივი, ბლაგვი საგნის ჩარტყმის შედეგად, მასთან ჭიდილის ფაქტს, რასაც კისერზე დაფიქსირებული ნაჭდევები და სისხლჩაქცევები ადასტურებს. რამინ ხარატიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. მკვლელმა შემთხვევის ადგილი მაშინვე დატოვა და მიიმალა, ოჯახის წევრები კი მკვლელობის კვალის დაფარვას შეუდგნენ. გაასუფთავეს სისხლიანი ადგილები (რასაც სააბაზანოში დაყრილი სისხლიანი ჩვრები მოწმობს), მოკლულს გამოუცვალეს დასისხლიანებული ტანსაცმელი (ნაცრისფერი შარვალი დაზარალებულმა შემთხვევის დღეს სააბაზანოში დაგდებული დაინახა), ხოლო დივნის გადასაფარებელი წყლით სავსე გობში ჩაადგეს (დაზარალებულის თქმით, როცა ის ნახეს, წყალს სისხლისფერი ჯერ კიდევ ეტყობოდა). როცა ყველაფერი მოაწესრიგეს, „სასწრაფო დახმარება“ მხოლოდ ამის შემდეგ გამოიძახეს. ექიმს მომხდარის შესახებ არაფერი გაუმხილეს და უთხრეს, თითქოს რამინ ხარატიშვილი ინფარქტის შედეგად გარდაიცვალა. პოლიციის გამოძახებაზე მათ არც უფიქრიათ. *„თითქმის მთელი ცხოვრება ციხეში გაატარა, ამბობდა, რომ „შავი გაგების“ იყო და თუკი დამნაშავე თვითონ არ იყო, რატომ არ დაინტერესდა, მისი ძმა ვინ დაჭრა? ერთხელ მაინც ეკითხა ამბავი!“* — ამბობს მოკლულის მეუღლე.

ჭირისუფლებმა პოლიციაში განცხადება 29 მარტს შეიტანეს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პროკურატურამ ერთადერთ ეჭვმიტანილად, შემდეგ კი ბრალდებულად, ზურაბ ხარატიშვილი გამოაცხადა. იმ დროისთვის ხარატიშვილი ჯერ კიდევ არსად ჩანდა. სამართალდამცველებმა მასზე ძებნა გამოაცხადეს. დაზარალებული მხარის განცხადებით, ძმებს შორის შელაპარაკება ფულის გამო მოხდა. *„ზურაბს ჩემი ქმრისთვის 2.000 დოლარი უთხოვია — ციხეში შესაგზავნად მჭირდება და უნდა მომცეო. ჩემმა მეუღლემ მთელი სიცოცხლე ძმაზე მზრუნველობაში გაატარა და მისთვის, ისევე, როგორც მისი შვილებისთვის არაფერს იშურებდა. მაგრამ იმდენი საშუალება არც მას, არც საერთოდ ჩვენს ოჯახს არ ჰქონდა, რომ ზურასთვის ციხეში გასაგზავნად ასე უეცრად და სასწრაფოდ 2.000 დოლარი მიეცა. იმ დღეს ჩხუბიც ამის თაობაზე მოუხდათ. შემთხვევის დღეს მათ დაძაბული სატელეფონო საუბარი ჰქონიათ, რასაც მოწმე კვესიაშვილი ადასტურებს. 28 მარტს, დილით, ძმის სახლიდან რამინ ხარატიშვილი, როგორც მოწმის ჩვენებიდან ჩანს, კვესიაშვილთან მივიდა ბინაში, იქიდან ზურაბს დაურეკა.*

ტელეფონზე საუბრისას, რამინს ზურასთვის გაღიზიანებული ტონით უთქვამს — დამელოდე, არსად წახვიდეო, — და სასწრაფოდ მასთან წასულა", — ამბობს ***რუსუდან ხარატიშვილი***.

თუმცა, შემთხვევის დღეს, ზურაბ ხარატიშვილის ოჯახში ძმებს შორის შელაპარაკებას, მათ ხმამაღალ საუბარს ან ჩხუბს, ან კონკრეტულად ფულის გამო დავას, საქმის მასალებში დაფიქსირებული არც ერთი თვითმხილველი მოწმე არ აფიქსირებს. ნინო კობიძე და მისი შვილები ამას კატეგორიულად უარყოფენ. ამის თაობაზე გამოძიების მასალებში არ არსებობს არც ხარატიშვილთა მეზობლების ჩვენებები. როგორც ჩანს, პროკურატურა ამ საკითხით და მეზობლების დაკითხვით არ დაინტერესებულა. ნინო კობიძე აცხადებს, რომ გამოძიება მხოლოდ დაზარალებული მხარის ვერსიასა და მათ მიერ მითითებული მოწმეების ჩვენებებს დაეყრდნო და ბრალი მის ქმარს ყოვლად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ წაუყენა.

ნინო კობიძე:

„აბსურდული და ყოვლად წარმოუდგენელია დაზარალებული მხარის ეჭვი ჩემი ქმრის მიერ ჩადენილი მკვლელობის, შემდეგ, კვალის მოსპობისა და შემზარავი დანაშაულის დაფარვის შესახებ. არანაირი ლოგიკა და იურიდიული მტკიცებულება ამ ეჭვის საფუძველს არ იძლევა. არასდროს უჩხუბიათ. ზურა ძმას ფულს არასდროს სთხოვდა, პირიქით, ყოველთვის თავად ეხმარებოდა მას. ჩემი ქმრის დასადანაშაულებლად დაზარალებულის მხარემ მხოლოდ ის იკმარა, რომ ის ძმის დაკრძალვაზე არ გამოცხადდა და არც თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მიაკითხა მის ოჯახს. ორივე საქციელს აქვს ახსნა. ზურა დაკრძალვაზე ვერ მივიდოდა, რადგან ის იმ დღიდან, რაც ახმეტაში გაემგზავრა, საერთოდ არ გამოჩენილა. დაზარალებულის ოჯახმაც ძალიან კარგად იცის ზურას ამ ჩვევისა და მისი ცხოვრების წესის შესახებ. მისი გაუჩინარება პირველი შემთხვევა არ ყოფილა და ეს არანაირად არ იყო დაკავშირებული ძმის გარდაცვალების ფაქტთან. მომხდარის შესახებ მან რამდენიმე თვის შემდეგ შეიტყო, მაშინ, როდესაც შინ მოულოდნელად დაბრუნდა. გაიგო იმის თაობაზეც, რომ ძმის მკვლელობას მას აბრალებდნენ და რომ ამის გამო იძებნებოდა. სწორედ ამიტომ აარიდა თავი ძმის ოჯახში გამოცხადებას. თანაც, იმ დროისთვის გარდაცვლილის მეუღლე უკვე საბერძნეთში გახლდათ წასული, შინ მხოლოდ მისი ფეხმძიმე ქალიშვილი იმყოფებოდა. რა უნდა ეთქვა ან როგორ უნდა აეხსნა ყველაფერი ზურას ასეთ მდგომარეობაში მყოფი ძმისშვილისთვის? იცოდა, რომ ძალზე დაძაბული საუბარი შედგებოდა და ფეხმძიმე ქალთან კონფლიქტს თავი აარიდა. ვინ რა იცის, რა შეიძლებოდა დამართვოდა ნერვიულობის ნიადაგზე ამ მდგომარეობაში მყოფ ქალს? აბსურდია ისიც, თითქოს ქმრის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის მოსპობას შეეცადე და ამ მიზნით მას ტანსაცმელი გამოვუცვალე. ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სისხლიანი ტანსაცმელი ექსპერტიზას ჩაჰბარდა და ის საქმის მასალებზე, ნივთმტკიცების სახითაა დართული. თუკი ტანსაცმელი გამოვუცვალე, მაშინ მას დავმალავდი ან გავასუფთავებდი კიდეც. კვალის დაფარვა რომ მნდომოდა, მაშინ გასისხლიანებულ დივანსაც გადავაგდებდი, მით უმეტეს, თუ, როგორც ამას დაზარალებული ამბობს, მკვლელობა დიდი ხნის მომხდარი იყო და ამისთვის დრო საკმარისი მქონდა. შარვალი, რომელზეც დაზარალებული ლაპარაკობს, ჩემი შვილის იყო და მასზე სისხლის არც ერთი წვეთი არ ყოფილა დაფიქსირებული. დივნის გადასაფარებელი კვალის წასაშლელად თუ ჩავაგდე წყალში, მაშინ გავრეცხავდი კიდეც. არც ის შეესაბამება სიმართლეს, თითქოს რამინის დაჭრის ამბავი თავიდან არ გავამხილე. ჭრილობის შესახებ მათ მაშინვე ვუთხარი, რაც შეეხება სხვა დაზიანებებს, ისინი მისთვის არც თავად შემინიშნავს, რადგან არაფერი ეტყობოდა".

ამ სიტყვების საპასუხოდ დაზარალებული აღნიშნავს: *„ცხადია, რომ აპირებდა კიდეც ყველაფრის გარეცხვას, მაგრამ არ ელოდა, ზესტაფონიდან ასე მალე თუ ჩამოვიდოდნენ და უბრალოდ ვერ მოასწრო. მაშ, რისთვის ჰქონდა გადაბრუნებული გასისხლიანებული დივანი, თუკი კვალის დაფარვას არ ცდილობდა?!"* *დივნის გადაბრუნების ფაქტს ნინო კობიძე უარყოფს: „ტახტს ცელოფანი გადავაფარე, დივანი კი კედლისკენ მივაბრუნე, რათა სისხლიან ადგილზე არავინ დამჯდარიყო".*

თავისი სიტყვების დასადასტურებლად, კობიძე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას იშველიებს. დასკვნის მიხედვით, სხეულზე დაფიქსირებული ჭრილობა მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით უნდა იყოს მიყენებული. ექსპერტმა ჩაჩუამ არ გამორიცხა, რომ ხარატიშვილმა მიღებული დაზიანების შემდეგ შეძლო გადაადგილება, საკვების მიღება. მისი თქმით, არ არის გამორიცხული, რომ პიროვნებამ ასეთი დაზიანებით შეძლოს 50 წუთის განმავლობაში, რაღაც აქტიური მოქმედებების შესრულება, მე-4 სართულზე ასვლა, ლაპარაკი და სხვა. დასკვნის მიხედვით, დაკარგული სისხლის უმეტესი ნაწილი ჩაღვრილი იყო გულმკერდის ღრუში და შესაბამისად, დაჯდომის ან ადგომის დროს, ხარატიშვილის სხეულიდან არ დაიღვრებოდა იმ რაოდენობით, რომ ის ვინმეს შეემჩნია. სხეულში ჩაღვრილი სისხლი მხოლოდ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნისას გადმოიღვარა გარეთ — ე.ი. მაშინ, როცა უკვე გარდაცვლილი ხარატიშვილი, ნინო კობიძემ, მეზობლების დახმარებით, როგორც თავად ამბობს, ტახტზე დააწვინა.

დასკვნა ამ ნაწილში ალტერნატიულმა ექსპერტიზამ უარყო. ექსპერტმა ნიკოლეიშვილმა განაცხადა, რომ დაჭრილი, ასეთი დაზიანებით ამდენ ხანს თავისუფლად გადაადგილებას და ჭამას ვერ შეძლებდა, მას აუცილებლად გაუჭირდებოდა სუნთქვა, დაეწყებოდა ქოშინი, იქნებოდა ფერმკრთალი, მივარდნილი და მისუსტებული, რაც აუცილებლად შესამჩნევი იქნებოდა გარშემო მყოფთათვის. მისი თქმით, დაუხმარებლად ის მე-4 სართულზე ასვლასაც ვერაფრით შეძლებდა. მესამედ დანიშნულმა, კომისიურმა ექსპერტიზამ პირველი დასკვნა დაადასტურა. ამჯერად ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სისხლდენა ინტენსიური უნდა ყოფილიყო. დაზარალებული არ იზიარებს ჩაჩუას მიერ ხელმოწერილ დასკვნას და მას არაობიექტურს უწოდებს, მეორე მხარე კი, პირიქით, ნიკოლეიშვილს სდებს ბრალს ტენდენციურობაში.

დაკავებულმა, ზურაბ ხარატიშვილმა სამართალდამცველებს ჩვენება არ მისცა. სისხლის სამართლის საქმე თავდაპირველად, გლდანი-ნაძალადევის, შემდეგ კი — თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა. ხარატიშვილი ორივე სასამართლომ დამნაშავედ ცნო ძმის განზრახ მკვლელობაში. მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულის მხარემ საჩივრით უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას მიმართა.

საკასაციო სხდომა პირველი დეკემბრისთვისაა დანიშნული. დაზარალებული მხარე განაჩენის ძალაში დატოვებას მოითხოვს.

„თუ მისი ძმა სხვამ მოკლა, რატომ აირჩია დუმილის უფლება?" — ამ კითხვით მიმართა სასამართლოზე მოწინააღმდეგე მხარეს დაზარალებულის ადვოკატმა და აღნიშნა, რომ განსასჯელის დანაშაულზე ბევრი რამ მეტყველებს. *„თუნდაც ის, რომ ნინო კობიძეს, კანონის თანახმად, შეეძლო, საერთოდ არ მიეცა ჩვენება, მაგრამ ის აქტიურობს, რათა პასუხისმგებლობა აცილოს თავის მეუღლეს. ამ დროს, უამრავ შეცდომას უშვებს. კობიძეს ამხელენ, როგორც შინაურები, ასევე ოჯახისთვის უცნობი პირებიც (მ. ფეიქრიშვილი — ბალზამირების გამკეთებელი, ბიჭაშვილი). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აწ გარდაცვლილს დაზიანებები აღმოაჩნდა არა მარტო ტანზე, არამედ თავისა და სახის არეშიც. თუკი ხარატიშვილი უკვე დაჭრილი მივიდა ძმის სახლში, მაშინ აღნიშნული დაზიანებები აუცილებლად უნდა შეემჩნია ნებისმიერ თვითმხილველს. ამასთანავე, ექსპერტებმა ხარატიშვილის ქურთუკსა და ქუდზე ვერავითარი ძალადობის ნიშანი ვერ აღმოაჩინეს, იმიტომ, რომ სინამდვილეში, რამინ ხარატიშვილმა ძმის სახლში, ვიდრე მათ შორის ჩხუბი მოხდებოდა, ქურთუკიც გაიხადა და ქუდიც მოიხადა და შესაბამისად, მათზე სისხლი არ დაფიქსირდებოდა. საქმის მასალებში არსებული ჩვენებებიდან გამომდინარე, ნინო კობიძე ჩქარობს, ბალზამირება გაუკეთოს თავის სახლში გარდაცვლილს, ამისთვის იძახებს კიდეც ბალზამის გამკეთებელს. მას არ ეუბნება არაფერს ჭრილობის შესახებ და აცნობებს, რომ მისი მაზლი ინფარქტის შედეგად გარდაიცვალა. როცა მებალზამემ ნახა ჭრილობა, კობიძემ მაშინვე შეცვალა ნათქვამი და უთხრა მას, რომ არ უნდოდა ამ ამბის გახმაურება, რადგან გარდაცვლილი უცნობებს ჩხუბის დროს დაუჭრიათ. მისთვის ეჭვის გასაქარწყლებლად ისიც უთხრა, თითქოს საქმის*

კურსში იყო პოლიცია“, — აღნიშნა ადვოკატმა.

დაზარალებული მხარის პოზიცია სასამართლომ გაიზიარა. საოლქო სასამართლოს განაჩენში მოყვანილი ჩვენებები მსჯავრდებულის მეუღლის სიტყვებს ეწინააღმდეგება. განაჩენის მიხედვით, „სასწრაფოს“ ექიმებმა პროცესზე დააფიქსირეს, რომ ზურაბ ხარატიშვილის ოჯახში, გამოძახებიდან 15 წუთში მივიდნენ; იმ დროს, რამინ ხარატიშვილი უკვე ჩაცმული, გაპატიოსნებული, მიცვალებულისთვის შესაფერისად იწვა დივანზე; იგი გარდაცვლილი იყო დახლოებით ერთი საათის წინ. დიასახლისმა მათ უთხრა, რომ ხარატიშვილი 3 დღის განმავლობაში სვამდა, მას გული აწუხებდა და ინფარქტით გარდაიცვალა. *„ეს ჩვენებები სასამართლოს უქმნის რწმენას, რომ ხარატიშვილი გარდაცვლილი იყო არანაკლებ ერთი საათის წინ, რომ „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება მოხდა არა დაუყოვნებლივ, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხარატიშვილი მისი ძმის ბინაში გარდაცვალების შემდეგ მოაწესრიგეს, გაწმინდეს სისხლისგან, გამოუცვალეს და აუხვიეს თავზე მიღებული დაზიანებები“*, — აღნიშნულია სასამართლო განაჩენში.

ნინო კოგბიძე:

„ჩემი მაზლი დივანზე დააწვინეს ისე, რომ მარცხენა მხარე დივნის რბილი საზურგისკენ ჰქონდა. მოგვიანებით, ექსპერტებმაც თავზე ჭრილობა სწორედ მარცხნივ დააფიქსირეს. ამით აიხსნება ის, რომ არავის, თვით „სასწრაფოს“ ექიმებსაც არ შეუნიშნავთ თავზე ნაჭდევი და ჭრილობიდან გადმოღვრილ სისხლსაც ვერავინ შენიშნავდა, რადგან სისხლი დივნის რბილმა ნაწილმა შეიწოვა. ექიმმა რამინს შეუმოწმა სკლერები, პულსაცია, გულზე ფონენდოსკოპი დაადო და მკითხა, რა მოხდაო? მეც ვუთხარი, რაც ვიცოდი. თვითონ გამოიტანა დასკვნა, ინფარქტი მოსვლიაო, თორემ მე, მათემატიკოსი, საიდან დავსვამდი დიაგნოზს? ან თუკი ვიცოდი, რომ ჩემი მაზლი უკვე მკვდარი იყო, „სასწრაფო“ რაღად მინდოდა, ზედმეტ პრობლემებს რატომ შევიქმნიდი? ექიმები ვალდებულები იყვნენ, პოლიციისთვის შეეტყობინებინათ სიკვდილის ფაქტი. თავს იმართლებენ იმით, რომ საეჭვო არაფერი უნახავთ. პასუხისმგებლობას იცილებენ თავიდან თუ ტყუიან? რატომ უჯერებენ ყველას, ჩემ გარდა? რატომ არ დაჰკითხეს არც ერთი ჩემი მეზობელი, სადარბაზოს ან საერთოდ, კორპუსის მცხოვრებლები?“

პროკურატურამ ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად არაპირდაპირი მოწმეების — არუთინიანის, ბარამიძის, ახალაძის, ბახტურიძის ჩვენებები დაასახელა. ისინი ჩვენებებში წერდნენ, თუ როგორ შეხვდა მათ ხარატიშვილი შემთხვევის შემდეგ და უთხრა, რომ ჩხუბისას ძმა შემოაკვდა. საოლქო სასამართლოში გაირკვა, რომ ისინი ცრუჩვენებებს იძლეოდნენ. სააპელაციო პალატამ ოთხივე ჩვენება გააუქმა.

ნინო კოგბიძე:

„რატომ მოხდა 4 ცრუმოწმის მოსყიდვა? საოლქო სასამართლოში მათი ჩვენებები რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა ერთმანეთისგან. ახალაძემ პროცესზე თქვა, რომ მასთან სახლში მისული იყო მეორე მხარე, ადვოკატთან ერთად და მას ჩემი ქმრის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემა მოსთხოვეს. მისივე თქმით, ზეწოლა იყო პოლიციიდანაც. რაც შეეხება არუთინიანს, ის შეურაცხადია. პროცესზე მსჯავრდებული საერთოდ ვერ იცნო. ადვოკატის შუამდგომლობა, ჩატარებულიყო ექსპერტიზა არუთინიანის შეურაცხადობაზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა, თუმცა, ამ მოწმის ჩვენება მაინც გააუქმა. ბარამიძემ და ბახტურიძემაც დაადასტურეს პროკურატურის მხრიდან ზეწოლის ფაქტები. ბარამიძემ აღნიშნა, რომ ის გაურკვეველ ვითარებაში აიყვანეს მეტროს სადგურ „ახმეტელიდან“. ამ მოწმეებმა წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები მას შემდეგ უარყვეს, რაც პროკურორი თორდია დაეკავეს ქრთამის აღების ფაქტზე. სიმართლის თქმა მათ მხოლოდ ამის შემდეგ გაბედეს. რატომღაც ჯიუტად, ნებისმიერი მეთოდით ცდილობენ ზურას თავიდან მოცილებას. მას დანაშაული არ ჩაუდენია და მკვლელობა რისთვის უნდა დასწამონ? ამ ამბავს საშინლად განიცდის და ძმის მკვლელის სამარცხვინო სახელი არ უნდა ატაროს“.

გიორგელ ძებნიაური, მსჯავრდებულის ადვოკატი:

„როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის, ისე თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი უკანონო და აბსოლუტურად დაუსაბუთებელია. ორივე შემთხვევაში, სასამართლომ დასკვნა ისე გამოიტანა, რომ საქმის მასალები სრულყოფილად არ განუხილავს. ხარატიშვილი ბრალდებულის სახით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ და მხოლოდ ორი არაპირდაპირი მოწმის — ბარამიძისა და არუთინიანის ჩვენებების საფუძველზე მისცეს. საოლქო სასამართლოს მიერ ამ და კიდევ ორი მოწმის ჩვენებების გაუქმების შემდეგ, ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში საერთოდ აღარ დარჩა, მაგრამ რატომღაც, ამან განაჩენზე არ იმოქმედა. ხარატიშვილისთვის წარდგენილი ბრალდება მხოლოდ დაზარალებული მხარის ჩვენებებზე დაყრდნობით დაადასტურეს. ისინი ამბობენ, რომ გარდაცვლილს სხეულზე ჭრილობა აღენიშნებოდა, მაგრამ ეს იმას ვერ ამტკიცებს, რომ დანაშაული კონკრეტულად ზურა ხარატიშვილმა ჩაიდინა. არსად არაფერია ნახსენები დანაშაულის მოტივის შესახებ. გამოძიებამ ვერაფერი მიუთითა მოტივად, რადგან სინამდვილეში, ძმებს საჩხუბარი მართლაც, არაფერი ჰქონდათ. დაზარალებული მხარის ვერსია ფულთან დაკავშირებით, სინამდვილეს არ შეესაბამება, საქმის მასალებში ამის დამადასტურებელი საბუთი არ მოიპოვება. არ არსებობს მოწმე, რომელიც შემთხვევის დღეს, ამ დავას ადასტურებდეს. ბრალდების მხარე იმასაც ვერ ხსნის, თუ რატომ აქვს ხარატიშვილს 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლი წაყენებული. დანაშაული მის მიერაც რომ იყოს ჩადენილი, ფაქტებიდან გამომდინარე, სახეზე გვაქვს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად, სიკვდილი მოჰყვა. არც ერთმა სასამართლომ ამაზე არ იმსჯელა. ამ მხრივ ყურადღებას არც ჩვენ ვამახვილებთ, რადგან ზურაბ ხარატიშვილს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და ჩვენ მის გამართლებასა და საქმის შეწყვეტას მოვითხოვთ. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო უკანონო განაჩენს არ გააუქმებს, აუცილებლად მივმართავთ სტრასბურგის სასამართლოს“.

■

საიმ "მიდიან" მკვდრები...

ექსპერტები, ვარაუდები და რისი ეშინიათ მორგის თანამშრომლებს

„...ჩვენ „ვამარაგებთ“ მიცვალებულებით ერთ-ერთ დამკრძალავ ბიუროს, ისინი უკავშირდებიან მერიას და მერია ვალდებულია, დაკრძალვის ხარჯი გაიღოს“.

„იმ ადგილზე, სადაც ახლა მორგია, წინათ თავლა იყო. მაშინ მიცვალებულები ურმებით გადაჰყავდათ და თავლა აუცილებელი გახლდათ“.

„ექსპერტიზისთვის, თიანეთის რაიონში ამოვთხარეთ მიცვალებული, რომელიც დიდი ხნის დამარხული იყო და კუბო რომ გავხსენით, გაოცებული დავრჩით: თითქოს რამდენიმე საათის წინ მომკვდარყო ეს ადამიანი...“

მორგი და სასაფლაო — ის ადგილებია, სადაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მკვეთრი ზღვარი გადის. ორივეგან ადამიანი ძრწოლას განიცდის... 7 მიცვალებული ელოდა იმ დღეს პატრონს... გაყვითლებული კიდურები, ჩალურჯებული ფრჩხილები... წკაპ! წკაპ! — წყლის წვეთი მონოტონურად ითვლის წამებს. მორგის შესასვლელში კი, უხეიროდ გამოჩორკნილი კუბო დგას და მომავალ „ბინადარს“ ელის... — მომავალ ხუთშაბათს, „გზის“ მომდევნო, №48-ში.

„ჩვენ პალნეპი ვართ და ოჯახს ვარჩენთ!..“

12 წლის ნუკრი და 13 წლის ირაკლი რაიონში ცხოვრობენ. დღისით, ჩვეულებრივად, სკოლაში დადიან, ყოველ ღამეს კი მატარებელში ატარებენ და „ბორჯომსა“ და ლიმონათს ყიდიან, ოჯახი რომ არჩინონ...

ირმა ხარშილაძე

ნუკრი:

— პირველად დედაჩემმა მასესხა ფული. საკუთარი ფული მომცა და ვიყიდე „ტავარი“, გავყიდე მერე, ის „თავი ფული“ დედაჩემს ჩავაბარე და მერე ასე ვაბრუნე იქ...

ირაკლი:

— ჩვენ ხუთნი ვართ. მამაჩემი ავადაა და დედაჩემი... ამდენ სულიერს გარეცხვა და საჭმლის გაკეთება ხომ უნდა!.. მე ვარჩენ ოთხ სულს. დღეში 3, 5, 10 ლარიც გამიკეთებია, 15-იც. გააჩნია...

მათი შემოსავალი სეზონზე, დღეზე და კიდევ იმ ადამიანებზეა დამოკიდებული, ვისაც ყოველღამე ხვდებიან. ზოგი მათგანი კარგია, ზოგი კი — უხეში და, როგორც თავად აღნიშნეს, „ხისთავიანი“.

ირაკლი:

— აი, ვიღაც მთვრალი ბიჭი გამოვა, ხან ლიმონათს ამოგიღებს ჩანთიდან, გაგიტეხავს... უნდა გაუძლო, აბა, რა უნდა ქნა?!

ნუკრი:

— ხანდახან ფულს მაცლიან ჯიბიდან, ჩხუბიც მომსვლია აქ, მატარებელში.

— ვინ გაცლის ფულს?

— ხალხი, მგზავრი ბიჭები, მთვრალები, ნარკომანები. დადიან ამისთანები აქ...

— ვინმე წილს გთხოვთ?

ირაკლი:

— წილს — არა. „პრავადნიკს“ უნდა მისცე ლიმონათი, „ბორჯომი“ ან „პივა“...

— თქვენს მშობლებს არ ეშინიათ, მარტო რომ გიშვებენ?

— იმედი აქვთ... ქურდი რომ ვიყო, კი არ გამომიშვებენ! იციან, არაფერს არ გავაფუჭებ, სხვას არ ავუშარდები... ახლა, აგერ, „პლაცკარტში“ ფეხბურთელი ბიჭები არიან, ჰოდა — რა ღირს ლიმონათიო? — ახირებულად მელაპარაკებოდნენ... ჩვენ არ ვაძლევთ იმის ნებას, რომ დაგვჩაგრონ. მეუბნებიან, — რა არის, ბიჭო, ლიმონათს ყიდი, ამხელა კაი ბიჭი ხარო!.. მე ვუთხარი — რა შუაშია, კაი ბიჭი. კაი ბიჭია ყველა, გლახა კი არ ვართ-მეთქი...

ცუდ ბიჭებად არც სანდრო, ბიძინა და გია (სახელები შეცვლილია) მიიჩნევენ თავს. ეს 14-16 წლის ბიჭებიც ძირითადად, ღამით „მუშაობენ“, ოღონდ — თავისებურად.

სანდრო:

— ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო... როცა მომენტი ჩაგვივარდება, მაშინ ვიპარავთ. აი, მაგალითად, მანქანა ღიაა და მაგნიტოფონი დევს.

— რამდენი წუთი გჭირდება მოსაპარავად?

გია:

— სამი, ორი... შეიძლება, უფრო ნაკლებიც. ნებისმიერ მანქანას ვხსნით. თითქმის ნახევარ წუთში მზად არის, თუ არა და, გვერდითა შუშას ვტეხთ... მოპარულს ვყიდით.

სანდრო:

— ამას უფრო, გაჭირვებული ყიდულობს.

გია:

— თუ მოიპარავ, საცოდავ კაცს არ უნდა მოჰპარო!

— ასე როგორ აარჩევთ?..

ბიძინა:

— ადამიანს რომ 220-გრამიანი „ცეპი“ უკეთია და ქუჩაში მაგით სეირნობს, იმას ის არ სჭირდება...

— ხომ შეიძლება, შემორჩენილი ჰქონდეს?

სანდრო:

— მაშინ, დადოს სახლში ან გაყიდოს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თუ ქუჩაში დადიხარ ფეხით და ამხელა რაღაც გიკეთია, ეს არის — „მარიაჟობა“. მეორეც, სხვა ადამიანს აღიზიანებს: იმას აქვს და მე არ მაქვს, ფულიც აუცილებლად მჭირდება — რა უნდა ვქნა?..

— მშობლებმა თუ იციან, რომ ქურდობთ?

ბიძინა:

— ჩემთან — კი, ნატაციებსაც მიკითხავენ. ერთი, დღე, ვითომ პატიოსანი ბიჭი ვარ, მეორე დღეს იმავეს ვაკეთებ. ადამიანი, რაც ხარ, ვერ შეიცვლები...

— მოგწონთ რასაც აკეთებთ? არ გინდათ, იმუშაოთ?

გია:

— რა მოსაწონია? მაგრამ, ისევ და ისევ, ცხოვრება მოითხოვს. აბა, კარგი სამუშაო რომ იყოს, თვის ბოლოს პურის ფული რომ მივიტანო სახლში, მეც დამრჩეს სახარჯოდ, რატომ არ ვიმუშავებ?!

ბიძინა:

— რომ მოინდომოს, მე მგონი, ადამიანი ყოველთვის იშოვის სამუშაოს, მაგრამ რა აზრი აქვს ეგეთ სამუშაოს, რაც საქართველოში არის: უნდა იმუშაო ვირივით და გექნება ხელფასი, ერთი ლარი... პარლამენტში და სადღაც რომ მოხვდე, განათლება უნდა გქონდეს ან დიდი ფული გინდა, რომ სადმე მოეწყო სამუშაოზე. ამიტომ ვართ ქუჩაში და ქუჩით ვცხოვრობთ.

— სხვის ხარჯზე ცხოვრობთ, ასე გამოდის...

— ყველა სხვის ხარჯზე შოულობს ფულს, ჰაერიდან არ მოდის. ელემენტარულად, ეგეთი ქვეყანაა და ეგეთი ცხოვრება!..

„ეგეთ ცხოვრებას“ სანდროც, ბიძინაც, გიაც, ნუკრიც და ირაკლიც თავისებურად აღიქვამენ და, შესაბამისად, ცხოვრების სტილიც, სურვილისდა მიუხედავად, თავისებური აურჩევიათ.

ირაკლი:

— ...ერთხელ მოვდივარ და ბიჭი მეუბნება — ბიჭო, ლიმონათით ვაჭრობას ქურდობა არ სჯობიაო?!. მე ვუთხარი — პირიქით, აქ ყველას, „ლუბოი პრავადნიკს“ ვიცნობთ, ყველა ბრიგადირს, ყველა პოლიციელს და თუ რამე ერთმა „პრავადნიკმა“ გაიგონა, მერე — „ვსიო“... სამუშოს კი არ დავკარგავთ, მარა — სირცხვილია. რამდენჯერ დაგვაბრალეს რაღაცის ქურდობა, მაგრამ მშობლებს ვუთხარით და იმათ გაარკვიეს.

— რატომ აკეთებენ ამას ადამიანები?

— შურთ, რომ დავდივართ, ფულს რომ ვაკეთებთ. ადრე დედაჩემი და მამაჩემი კარგად იყვნენ და ჯადო როა — დასაცილებელი წამალი, — ის გაუკეთა ბიცოლამ დე-

ყველა სხვის ხარჯზე შოულობს ფულს. ეგეთი ქვეყანაა და ეგეთი ცხოვრება!..

დაჩემს. შეშურდა, რა, რომ „ბულკს“ ვაცხობდით და დღეში 20 ლარი გვრჩებოდა. მამაჩემი აცხობდა და მე აგერ ვვაჭრობდი. შეშურდა და ასე დაგვინგრია ოჯახი ბიძის ცოლმა. თვითონვე წამოსცდა ერთხელ.

— ნუთუ არავინ გყავთ გვერდით, რომ დაგეხმაროთ?

ნუპრი:

— არა. ვინმე თუ გვაჩუქებს 10-20 თეთრს...

— ძალიან იღლებით ალბათ, ხომ?

ირაკლი:

— კი ვიღლებით, მარა რა ვქნათ?.. მე სკოლაში დილას რომ მივდივარ, მერე, 2 საათზე მოვდივარ, საჭმელს შევჭამ და რასაც ვასწრებ გაკვეთილებს, სახლში ვწერ, დანარჩენს სკოლაში ვიწერ ბაღნებისგან, დასვენებაზე. მასწავლებლებმაც იციან, ღამით რომ ვმუშაობთ და უფრო გვიწყობენ ხელს. როცა გვიჭირს, მასწავლებლის გულზეც მოქმედებს და თუ გაკვეთილი არ ვიცით, გვაპატიებს...

მასწავლებლის გულზე ალბათ, ისიც მოქმედებს, რომ, ამდენი ღამის თევით, სიმძიმის თრევით და შრომით, ყოველდღე უარესდება ირაკლის ჯანმრთელობა, რადგან დაბადებიდან თავის შიდაქალის წნევა აქვს.

ირაკლი:

— ცხოვრებაში გაჭირვება არ უნდა ნახო და... ჩვენ ახლა, ყოველდღე რომ ვვაჭრობთ, მე ასე მგონია, ბავშვობა გვაქვს დაკარგული: თამაში ჩვენთვის არ არის, წყალი ჩვენი მოსატანია და საქმეა ყოველთვის. ეზოში ბიჭები მეტყვიან ხოლმე — რაია, ბიჭო, შენ ლიმონათზე რო ვაჭრობ, ვერ ჩამოხვალ და ბაღნებთან ვერ ითამაშებო?! რა უნდა ვუთხრა?.. აგე, ბოდიში და, კაცი დამჯდარა სახლში, არაფერს აკეთებს და კაცად მოაქვს თავი. ჩვენ ბაღნები ვართ და ოჯახს ვარჩენთ!..

ყოველდღიური შემოსავლიდან საკუთარი თავისთვის 2 ლარს თუ გაიმეტებენ. მშობლები კი არ დაგვამადლიან, მაგრამ ყველაფერი რომ საყიდელია სახლისთვის, ჩვენთვის როგორ დავხარჯოთო?! — ამბობენ...

— ბევრი ფული რომ გქონდეთ, რას გააკეთებდით?

ირაკლი:

— ოჯახს მივაბარებ. დახარჯვით, ვერ დავხარჯავ. ახლა, დიდი რომ ვიყო, სახლს ავიშენებდი...

ნუპრი:

— მე მაღაზიას გავხსნიდი. ტყუილუბრალოდ არ დავხარჯავდი.

— იმედი გაქვთ, რომ რაღაც შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში?

ირაკლი:

— მაგი არავინ იცის. მე მინდა, რომ კარგი ცხოვრება იყოს. ხალხს, ყველას უჭირს, ასე მგონია, დალხინებული არავინ არის დღეს.

ნუპრი:

— მე მგონია, უფრო უარესი იქნება, ისე მიდის საქმე... ■

„თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ შემიკედლა, ღვთის კალთა ხომ ფართოა!..“ — უთქვამს ილიას. ცოტა ხნის წინ, საქართველოში კიდევ ერთი საქველმოქმედო ფონდი „ბავშვები — ჩვენი მომავალი“ დაარსდა. როგორც ამ ფონდის მესვეურთაგან შევიტყვეთ, საქართველოში სულ 48 ბავშვთა სახლია, სადაც 2000-მდე მზრუნველობას მოკლებული მოზარდი ცხოვრობს. ამას ემატება იმ მაწანწალა ბავშვების რაოდენობა, ვისთვისაც თავშესაფრად ქუჩა, ხოლო ცხოვრების ერთადერთ მიზნად — წებოსგან მიღებული კაიფი ქცეულა. აღნიშნული ფონდის მონაცემებით, ასეთი ბავშვების რაოდენობა მხოლოდ დედაქალაქში 150-ს აღწევს. ახალშექმნილი ფონდის მიზანია, ცხოვრებისგან გარიყული ბავშვები საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს დაუბრუნდნენ და შრომითი რეაბილიტაციის მეშვეობით, ნათელი მომავლის იმედი ჩაესახოთ.

ამ ბავშვებს სუნთ, ღაგროვილი სიყვარული ყველა სტუმარს უწილადონ...

ემა ტუხიაშვილი

პეტრე გელბახიანი, *ფონდის დამფუძნებელი:*

— ამ ფონდის ჩამოყალიბების იდეა მიმდინარე წლის ზაფხულში გაჩნდა. მატრონო ბავშვების პრობლემების მოგვარებაში. მეტიც — ის აქტიურად მონაწილეობს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი — ბათუმის ბავშვთა სახლის ცხოვრებაში. მეუფე დიმიტრის რჩევით გადაწყდა, რომ ფიზიოლოგიური ნაკლის მქონე 20-მდე ბავშვი ოჯახებში გაგვენაწილებინა და საზაფხულო არდადეგები მშობლების ზრუნვას მოკლებულებს, ოჯახურ გარემოში გაეტარებინათ. ამ პროექტმა საოცარი შედეგი გამოიღო: ბავშვთა სახლის 3 აღსაზრდელი იქაურმა ოჯახებმა იშვილეს, ერთ-ერთი გოგონა კი, ფეხმძიმე აღმოჩნდა და ის მეუფემ შეიკედლა. სხვათა შორის, გოგონამ ამ დღეებში უნდა იმშობიაროს.

ვნახეთ, რომ ერთ-ერთი პატარა მაწანწალა ბიჭი რამდენიმე ფიცრისგან შეკრულ, სკივრისნაირ ყუთში ცხოვრობს

— მე მომეცა შესაძლებლობა, ამ საზაფხულო პროექტის ამსახველი დოკუმენტური ფილმი მენახა. გაშვილებული ბავშვების ბედნიერი სახეები და სასოწარკვეთა, რომელიც დაეუფლა მათ, ვისაც ოჯახური კერიდან ისევ უკან, ბავშვთა სახლებში აბრუნებდნენ, ძალზე შთამბეჭდავი გახლდათ. ამ ფილმის ნახვის შემდეგ, გამიჩნდა კითხვა — იქნებ, ოჯახურმა სითბომ, რომელსაც ეს ბავშვები ეზიარნენ, სიკეთესთან ერთად, უარყოფითად იმოქმედა მათ ფსიქიკაზე?

— ეს სავსებით ბუნებრივი კითხვაა, მაგრამ მასზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: ის, რომ 3 უდედმამო ბავშვი, ბავშვთა სახლის ნაცვლად, ოჯახებში იცხოვრებს. რა თქმა უნდა, მსგავსი ქმედება

თითოეულ ბავშვზე ინდივიდუალური ანკეტა უნდა შედგეს

მოზარდებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს და შესაძლოა, შურის საბაბიც გახდეს, მაგრამ თუნდაც, ერთი ბავშვის სიხარულად ეს ნამდვილად ღირს. მათ, ვისაც ასეთ ბავშვებთან ურთიერთობა აქვთ, კარგად იციან, რამდენად რთული შეიძლება იყოს მათთან ურთიერთობა, მათ სულებში იმედის გაღვივება. ბევრი მათგანი სრულიად არაკონტაქტურია და ქვეყნად მხოლოდ ერთი ინტერესი დარჩენია — მიიღოს საკვები და დაიძინოს.

— რის გაკეთებას აპირებს ფონდი ეწ. ქუჩის ბავშვების დასახმარებლად?

— როგორც აღვნიშნე, ეს საკმაოდ მძიმე კონტინგენტია. ისინი სრულიად არანორმალური ცხოვრების წესს მისდევენ. ჩვენ ვნახეთ, რომ ერთ-ერთი პატარა მაწანწალა ბიჭი რამდენიმე ფიცრისგან შეკრულ,

პირველ ნაბიჯს ყოველთვის ისინი დგამენ: სურთ, რომ დაგროვილი სიყვარული ყველა სტუმარს უწილადონ...

სკივრისნაირ ყუთში ცხოვრობს. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ამ ბავშვებს ფული, რომელსაც მათხოვრობით შოულობენ, ერთადერთი მიზნით სჭირდებათ — რაც შეიძლება მეტი წებო შეიძინონ, რომელსაც ნარკოტიკივით იყენებენ და არ აღელვებთ, რამდენიმე დღე თუ იშიმშილებენ. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა ბიზნესმენმა შემოგვთავაზა ასეთი ბავშვებისთვის შრომითი სასწავლო რეაბილიტაციის ცენტრის შექმნა. ვფიქრობთ, რომ ისინი შეძლებენ მარტივი დეტალების დამზადებას. ამავე დროს, ეს ხელს შეუწყობს აღნიშნული მდგომარეობიდან მათ გამოყვანას.

ნათია კოგბიძე, *გამგეობის წევრი:*

— ბავშვთა სახლების ბინადარნი და ქუჩის ბავშვები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან: თუ პირველ შემთხვევაში, ძალზე იოლია მოზარდის სიყვარულისა და ნდობის მოპოვება, ქუჩის ბავშვებს არ სჯერათ, არ სწამთ შენი და სჭირდებათ მხოლოდ ფული, რომელიც შეიძლება აჩუქო. ბუნებრივია, თითოეული მათგანი თეორიულად, კარგ ცხოვრებაზე ოცნებობს, მაგრამ რეალურად, ეს მათთვის გაუცნობიერებელი თემაა...

ვიკა ბუაძე, *გამგეობის წევრი:*

— მართალია, ბავშვთა სახლების აღსაზრდელები ნაწყენი არიან მშობლებზე, მაგრამ ამავე დროს, სულ მათ ელოდებიან. ისინი ოცნებობენ, როგორც დედაზე, მამაზე, ისე საკუთარ ოჯახზე. როდესაც ბავშვთა სახლში მათ მოსანახულებლად მივდივართ, დაკონტაქტების პირველ ნაბიჯს ყოველთვის ისინი დგამენ: სურთ, რომ დაგროვილი სიყვარული ყველა სტუმარს უწილადონ...

— თქვენ ბრძანდებოდით კასპის და სენაკის ბავშვთა სახლებში. როგორ შეაფასებდით იქ არსებულ საცხოვრებელ პირობებს?

— მიუხედავად იმისა, რომ კასპის ბავშვთა სახლის ხელმძღვანელი, ღვთისნიერი ქალბატონია, აღსაზრდელებს გაუსაძლის პირობებში უხდებათ ყოფნა. ისინი ცხოვრობენ ნახევრად დანგრეულ შენობაში, არ გააჩნიათ გათბობის ელემენტარული საშუალებაც კი... სხვაგვარი სურათი დაგვხვდა სენაკის ბავშვთა სახლში, სადაც გაცილებით კომფორტული საცხოვრებელი პირობებია, მაგრამ არსებობს ფსიქოლოგიური პრობლემები აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს შორის. ბავშვები შეიძლება ითქვას, ყაზარმულ რეჟიმში ცხოვრობენ, გამეფებულია დირექტორის კულტი, რომლისაც ბავშვებს ძალიან ეშინიათ.

— უახლოეს მომავალში რა გაქვთ დაგეგმილი?

ნათია კოგბიძე:

— ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ის ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მათხოვრობენ, ცოტა ხანში, საშიშ დამნაშავეებად ჩამოყალიბდებიან... ამ ეტაპზე, ერთადერთი გამოსავალი, მათი ჯანმრთელობისა და შრომითი რეაბილიტაციაა. თითოეულ ბავშვზე ინდივიდუალური ანკეტა უნდა შედგეს, სადაც ასახული იქნება მათი ინტერესები, მისწრაფებები. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის მხოლოდ ასეთი მიდგომა გამოიღებს სასურველ შედეგს. შესაძლოა, დაპურებისა და შემოსვის საკითხი ყველას მიმართ ერთნაირად გადაიჭრას, მაგრამ ცხოვრების გზის განსაზღვრისას, თითოეულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. ჩვენ ვიცით, რომ სწორი გზა ავირჩიეთ, ეს არ არის ქველმოქმედება — ეს არის საქმე, რომელსაც ჩვენი შვილების მომავლისთვის ვაკეთებთ.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II:

— ის, რასაც ეს ფონდი აკეთებს, ქრისტიანი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია. მართალია, უნდა დავეხმაროთ უმწეოებს, მაგრამ ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ არ შევლახოთ მათი თავმოყვარეობა. თუმცა, ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის ეხმარება: კეთილი საქმის კეთებით ხომ გვეძლევა შესაძლებლობა, სულიერად ავმაღლდეთ. მინდა, ერთი ამბავი გავიხსენო: ძალზე მორწმუნე ქალბატონი ყოველდღე ლოცულობდა, რომ უფალი მისულიყო მასთან და ცხოვრების ჭეშმარიტი გზა ეჩვენებინა. ერთხელაც, ხმა მოესმა ზეციდან: მე მოვალ შენთან და მოემზადეო. ქალმა სახლში ყველაფერი დაალაგა, დაასუფთავა. მისი სახლის კარს მათხოვარი მიადგა და დახმარება სთხოვა, მაგრამ ქალმა ის შინ არ შეუშვა... მოგვიანებით, ობოლი ბავშვი მივიდა მასთან, ტირილით. ქალმა ისიც უყურადღებოდ დატოვა. მესამედაც მისცა უფალმა ქალს ნიშანი, მაგრამ ქალმა ისიც მოწყალების გარეშე დატოვა. ქალი უშედეგოდ ელოდა უფალს, ტიროდა და ევედრებოდა. მაშინ მოესმა ხმა ზეციდან: მე სამჯერ მოვედი შენთან და შენ სამივეჯერ უარი მითხარიო... ამიტომ ყოველთვის, როდესაც გაჭირვებულ ადამიანს ვხედავთ, უნდა ვიცოდეთ, რომ მისი სახით უფალი მოდის ჩვენთან...

■

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II: ...ყოველთვის, როდესაც გაჭირვებულ ადამიანს ვხედავთ, უნდა ვიცოდეთ, რომ მისი სახით უფალი მოდის ჩვენთან..

რა შეუძლია მამაკაცს?

ქალებო, გაიხარეთ ანუ რანი ვართ მამაკაცების გარეშე?

თუ იცით, რატომაა დედამიწაზე ქალების რაოდენობა მეტი, ვიდრე მამაკაცების? იმიტომ, რომ საფიქრალი გაცილებით მეტია, ვიდრე — სასმელი... ქალბატონები ალბათ მომიტევებენ, თუ მათ ნათქვამს „გზავნილებში“ ცოტას შევარბილებ და მკითხველამდე ისე მივიტან. აქაოდა, მამაკაცები არიანო, თქვენ გგონიათ, ბევრის ატანა შეუძლიათ? თქვენს მესიჯებს კარგად რომ დააკვირდნენ, კარგა ხანს ეყოფათ სანერვიულოდ... თუმცა, იქნებ, მათ ნერვიულობაც არ შეუძლიათ? ცოტას წაინერვიულებენ და შინ მოსულები, ჯიქურ შეგეკითხებიან — ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვსო?.. თუ თქვენი კამათი ჩიხირთმისა და ბოზბაშის თემას გასცდა, საქმე მოსალოცად გქონიათ... ისევე, როგორც წინა „გზავნილებში“, ამჯერადაც შემოგთავაზებთ მკითხველების მესიჯებიდან ამოწერილ ფრაზებს, ოღონდ — მამაკაცების შესახებ. მაშ ასე, მამაკაცი არის არსება, რომელსაც: ეშინია ქორწინების, უყვარს ძილის წინ მსუყე საჭმლის მირთმევა, ამბობს, რომ ქალი მას ტვინს უბურღავს, უყვარს ფეხბურთზე ლაპარაკი, ეშინია ჭკვიანი ქალების, ავიწყდება მნიშვნელოვანი თარიღები, აღმერთებს „სტერვებს“, დადის სტრიპტიზის საყურებლად, უწესრიგოდ ყრის ტანისამოსს, ეფიცება სიყვარულს ერთ ქალს და ამ დროს, სულ სხვაზე ფიქრობს, თევზაობისას იჭერს დიიიდ თევზს, დამოკიდებულია დედაზე, არ უყვარს ურთიერთობების გარკვევა, არ უგდებს ყურს ცოლის მიერ მიცემულ რჩევებს, უყვარს ძალაუფლება, თავზე ხელის გადასმა და ამბობს, რომ ქალში სულიერ სილამაზეს აფასებს, თუმცა, პირველ რიგში, „პრარეზის“ სიგრძითა და დეკოლტეს სიღრმით ზომავს საპირისპირო სქესს...

ახლა კი სიტყვა ისევ მათ დავუთმოთ — დაე, შეიქონ თავი!.. ხოლო შემდეგ, ქალბატონების მიერ გამოგზავნილ მესიჯებს შემოგთავაზებთ.

მარი ჯაფარიძე

რთული გადაწყვეტილება

„ახალგაზრდა, უცოლო მამაკაცი ვარ, საკმაოდ ნორმალური გარეგნობის, „შემადგენლობისა“ და მდგომარეობის. ხელფასი+შემოსავალი საკუთარი ბიზნესიდან+ბანკში დარიცხული პროცენტები, — საშემოსავლო, მოგებისა და კომუნალური გადასახადები, არის ჩემი სრული დახასიათება. ქალებს მაინც სხვა არაფერი აინტერესებთ. ყველა ჩემი მეგობარი, მათი დები, დედები, ცოლები ცდილობენ, რომ დამაქორწინონ. მე ვფიქრობ, ვერ აუტანიათ, ვინმე თავს ბედნიერად რომ გრძნობს და სწორედ ამიტომ არიან ასე მოწადინებული. მე კი, არ ვჩქაროობ. ჩემი გარეგნობისა და მონაცემების წყალობით, შემიძლია, მთელ საბალეტო დასზე ან მოდელების საგენტოზე დავქორწინდე, მაგრამ რა მეჩქარება?! მამაკაცს რა შეუძლია, მე მკითხეთ... სულაც არ მინდა, დავოჯახდე და ერთ ადგილს მივეჯაჭვო. ერთფეროვნებას ვერ ვიტან. მთელი ცხოვრება ვიცვლიდი მისამართებსა თუ სამსახურს — როცა არ მომეწონებოდა მეზობელი, პეიზაჟი ან თუნდაც, თანამშრომლის ხმის ტემბრი... ჩემს თავს ხშირად ვახსენებ — დათო, გენაცვალე, ჯერ ადრეა ბორკილის დადება, ჯერ არ დამტკბარხარ ცხოვრებით-მეთქი... ავდექი და ერთ ექიმ ქალს შევუჩნდი. ვიცოდი, გასათხოვარი, პატიოსანი გოგო იყო, მაგრამ მაინც... ჭკვიანი ქალი იყო. მაგიდაზე ისეთი სექსტანიანი დისერტაცია ედო, ძლივს ვძრავდი... კარგა ხანს ვიყავით ერთად და ლამის მმაჩის ბიურომდეც კი მივედით, მაგრამ დროზე ვუშველე თავს. შემდეგ იერიში ერთ გამოჩერჩეტებულ, მაგრამ ლამაზ გოგოზე მივიტანე. მთელი დღეები პირდაღებული იჯდა და მიყურებდა. საუბარსაც კი ვერ ვაწყობდით... ცოტა ხნის შემდეგ, ჩემი თავი „დავასტოპე“. საკმარისია-მეთქი, — შევუძახე საკუთარ „მეს“ და იქიდანაც გამოვიქეცი. შინ კი ერთადერთი ცოცხალი არსება — სარკეში საკუთარი გამოსახულება მელოდა... ახლა კი, ქალებო, დღეს გადაწყვეტილება მივიღე: ვიდრე თმა გამცვივდება, დავვაადდები და ისე დავძაბუნდები, რომ კედელზე მისაყუდებელი გავხდები, უნდა მოვასწრო ცოლის მოყვანა. აი, რა შეუძლია კაცს — მიიღოს ასეთი რთული გადაწყვეტილება...**

თქვენ კიდევ ამბობდით, რომ მამაკაცს არაფერი შეუძლიაო. ხედავთ? თურმე რთული გადაწყვეტილების მიღება შესძლებია. ეს — ერთი. ხოლო ქალბატონებს, ვისაც რომანტიკა, სიურპრიზები და თავგადასავლები მოსწონთ, ვაფრთხილებ, რომ ყურადღებით იყვნენ: შესაძლოა, ოცნება მართლაც აუსრულდეთ, მაგრამ სიხარულის მომგვრელი იქნება ის თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია.

ვეტერინარი – მამაკაცის მომთვინიერებელი

„პროფესიით ვეტერინარი ვარ. ამიტომ მიჩვეული ვარ ყველანაირი ჯიშის ცხოველთან ურთიერთობას, მაგრამ მამაკაცებს ვერაფერი გავუგე. ყველაზე ალერსიანმა, კარგად „განვრთნილმა“ მამაკაცმაც კი შესაძლოა, უეცრად დაგკბინოს, თუ ოდნავ მოადუნებ ყურადღებას. აქედან შეიძლება დავასკვნათ — მამაკაცთან ურთიერთობისას, ცალ ხელში მათრახი უნდა გეჭიროს, მეორეში — შაქრის ნატეხი, რომ მუდამ დამორჩილებული გყავდეს... აი, ასეთი წარმოდგენა მაქვს ძლიერ სქესზე და სულელი არ ვარ, რომ ყოველივე ამის შემდეგ მაინც გადავწყვიტე, ერთ-ერთი მათგანის შებმა?! ვინაიდან მიმაჩნია, რომ მამაკაცს აქვს კარგად განვითარებული ესთეტიკური ინსტინქტი, გადავწყვიტე, მის მოსარჯულებლად საფუძვლიანად მოვმზადებულიყავი. დავიწყე იმით, რომ წავედი მაღაზიებში და შევიძინე ყველაფერი — ქვედა საცვლიდან დაწყებული, კოსტიუმებით დამთავრებული; ეს ყველაფერი შინ მივიტანე და საწოლზე დავყარე. თავიდან, სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა ტანში, მაგრამ ხარჯი რომ დავთვალე, ლამის გულშეწუხებული გავიშლართე ძირს... როგორც იქნა, გონს მოვედი და გადავწყვიტე „საბრძოლო შეღებვა“ დამეწყო. სახეზე ისეთი მაკიაჟი გავიკეთე, ჩემი თავი სარკეში რომ შევათვალიერე, მეორედ გამისკდა გული... გადავწყვიტე, სილამაზის სალონში წავსულიყავი. იქიდან დაბრუნებულს, კარი მამამ გამიღო და ისეთი თვალებით შემომხედა, ვიფიქრე, ახლა გაგიუდება-მეთქი. მის უკან მდგარ დედას შევავლე თვალი იმ იმედით, რომ მამის რისხვისგან დამიცავდა. ის კი მეუბნება — შვილო, ეკა შინ არ არისო... ეკა მე ვარ... აი, ასე შევიცვალე უცებ... ახლა მთავარი იყო, სწორი ტაქტიკა შემემუშავე-**

ბინა, რომ ჩემი „პატარა ცხოველი“ არ დამეფრთხო. პირველი სამი შეხვედრის დროს თავბრუ დავახვიე მაღალფარდოვანი ფრაზებითა და „ლამაზი“ ლექსებით... შემდეგ შეხვედრაზე ვუთხარი, რომ მრავალშვილიან ოჯახზე ვოცნებობდი და რომ გავთხოვდებოდი, მინიმუმ 6-7 შვილს მაინც გავაჩენდი... მიკვირს, მაშინვე რომ არ გაიქცა. ერთ დღეს, როცა შინ მარტო ვიყავი, სტუმრად დავპატიჟე. ათასი ნუგბარი მოვამზადე. ჭამა, დალია და იქვე, დივანზე დაეძინა. მე შუქი ჩავაქრე და სრულ სიბნელეში, მის პირდაპირ, სავარძელში ჩავჯექი. ჩემი თვალით დავინახე, შუალამისას, როგორ გამოიღვიძა და წელში მოხრილი, ფეხაკრეფით გაიპარა სახლიდან... აბა, ამის მერე რაღა უნდა ვილაპარაკო?!. ეს შეუძლიათ კაცებს, მეტი არაფერი.. მე კი ამდენი მსხვერპლი გავიღე მისი გულისთვის“.

ეჰ, ამდენი თუ აჭამეთ და ასვით, რა გიკვირთ, თუ დაეძინა?.. ცოტა ხანში ის უკვე გაზარმაცდებოდა, აღარც სამსახურში წავიდოდა, ვეღარც ლურსმანს მიაჭედებდა და ვერც „შნუროკებს“ შეიკრავდა. ამიტომ, გული ნუ დაგწყდებათ...

ნებისმიერ მამაკაცს რომ ჰკითხო — ნამდვილი კერკეტი კაკალია. მაგრამ თუ ქალი მოახერხებს დაუმტკიცოს, რომ კერკეტი კაკალი კი არა, ნამდვილი ქლიავია, მაშინ?.. საინტერესოა, მაშინ რა შეუძლია კაცს?..

მუშტი... მუშტი დაჰკარი...

„კაცს რა შეუძლია, ამას ახლავე მოგიყვებით. როდესაც გავთხოვდი, მაშინ მხოლოდ ის მაინტერესებდა, რომ საყვარელი ადამიანის გვერდით ვყოფილიყავი. დაუფიქრებლად გადავდგი ეს ნაბიჯი და ახლა ძალიან ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანია. მთელი 20 წელია გასული მას შემდეგ. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი მეუღლე დედასთან ერთად, ერთოთახიან, მოცუცქნულ ბინაში ცხოვრობდა და ძალზე ღარიბი იყო; არც მარიფათით გამოირჩეოდა, მაგრამ მიყვარდა და უყოყმანოდ გავყევი. ის ღამე მის ნათესავთან გავათენეთ და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მე და ჩემს ქმარს ოთახში მარტო გვეძინა... ჩემი დედამთილი მუდამ შინ იყო და ჩვენი საწოლიდან ზუსტად 2 მეტრში ეძინა. ერთმანეთისგან თხელი ფარდა გვყოფდა მხოლოდ. მერწმუნეთ, ყველას უკვირდა, როგორ მოვახერხეთ ამ პირობებში ორი შვილის გაჩენა. ჩემი დედამთილი ჭკვიანი, ძალზე საყვარელი ქალი იყო. დედა-შვილივით ვიყავით. სულ მეუბნებოდა — ვიცი, შვილო, რომ ცოლ-ქმარს ერთმანეთის ალერსი და მოფერება სჭირდება, მაგრამ გარეთ ხომ ვერ დავიძინებო!.. საწყალი ქალი ხშირად, დილაუთენია — 7 საათზე გადიოდა სახლიდან, ჯანმრთელობისთვის სუფთა ჰაერზე გავლა კარგიაო, — იტყოდა ხოლმე... შემდეგ, როცა ბავშვი შეგვეძინა, მას ასეირნებდა ხოლმე. ასეთი ცხოვრების შედეგად, მე და ჩემს ქმარს ჩვენად გვექცა — როგორც კი მარტო დავრჩებოდით, მაშინვე ვწვებოდით, დღისით თუ ღამით, ყოველდღე და დღეში რამდენჯერმე. ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ ვუშვებდით. ეს უკვე ინსტინქტურად ხდებოდა... შემდეგ, დედამთილი გარდაიცვალა. სამაგიეროდ, შვილები წამოგვეზარდნენ. როგორც კი სკოლაში წასულებს დავიგულებდი, მაშინვე ჩემი ქმრის საწოლში გადავვრებოდი ხოლმე... გამომდინარე იქიდან, რომ 16 წლის გავთხოვდი, სულ ახალგაზრდას უკვე დიდი შვილები მყავს. უმცროსი, უცხოეთში სწავლობს, უფროსი — ჯარშია. მე და ჩემი ქმარი კი ისევ იმ ბინაში ვცხოვრობთ, მაგრამ ახლა უკვე — მარტო. ის ხშირად დადის სოფელში, სადაც მიწის ნაკვეთს ამუშავებს. მე კი სულ მარტო ვრჩები. ამ დროს, ძველი ინსტინქტი მახსენებს ხოლმე თავს... ერთ საღამოს, როდესაც შინ მარტო ვიყავი, ჩემმა თანამშრომელმა ქალმა მომჯითხა. მას თავისი ქმარი ახლდა. სულ 10-15 წუთი გაჩერდნენ, რადგან მადონას საბუთები უნდა გადმოეცა და წავიდნენ. ერთი საათის შემდეგ, ვიღაცამ დაკაკუნა. კართან მადონას ქმარი იდგა. დაპატიჟებას არც დალოდებია, პირდაპირ შემოაბიჯა. რა გნებავთ-მეთქი (იმ დღეს პირველად ვნახე ეს კაცი)? — ვკითხე. უეცრად მეცა და კოცნა დამიწყო. ძალიან არ შევწინააღმდეგებივარ... შემდეგ მითხრა — ისეთი თვალებით მიყურებდი, როცა მადონასთან ერთად ამოვედი, რომ მივხვდი, შველა გჭირდებოდაო... ამის შემდეგ, საყვარლები გავხდით. მთელი 6 თვე ისე ვხვდებოდით ერთმანეთს, რომ ვერავინ გაიგო. ერთ მშვენიერ დღეს, კი, ჩემი ქმარი დაგვადგა თავზე. ტკბილად გვეძინა, როცა ღამის 3 საათზე საკუთარი გასაღებით გაღო კარი და შუქი ანთო. ორივენი წამოვხტით. ჩემმა ბედოვლათმა ჯერ პირი დააღო, მერე, როცა გონს მოეგო, მითხრა — შენი ბედი, რომ შუალამეა, თორემ, გარეთ გაგაგდებდიო... ამის შემდეგ, რა უნდა ვთქვა მამაკაცებზე? ისიც არ შეუძლიათ, რომ ღალატისთვის ქალს ისე მოექცნენ, როგორც საჭიროა... მუშტი მაინც დაჰკარი მაგიდაზე, შე...“

ნათქვამია, სიყვარული ბრმააო... ჰოდა, ალბათ თავდაპირველად, სიყვარულით დაბრმავებულნი, საყვარელი მამაკაცის ბევრ ნაკლს ვერც კი ვამჩნევთ. გავა დრო, მოვიხსნით ვარდისფერ სათვალეს და გვიკვირს — ის ხომ სულაც არ ყოფილა იდეალური მამაკაცი, ნუთუ ეს ის პრინცია, ვისზეც ვოცნებობდი?!. ერთბაშად უამრავ კატლეტს სანლავს, ღამით საშინლად ხვრინავს, ეს „სულელური“ ფეხბურთი მოსწონს და სიდედრთანაც ვერ რიგდება... ეჰ! — ოხრავს შემდეგი რესპონდენტი და საინტერესო ამბავს გვიყვება...

„კაკ მინიმუმ“, მინისტრის მოადგილე

„ღმერთო ჩემო, რაც დრო გადის, ადამიანი უფრო უნდა ბრძენდებოდეს და გაცილებით მეტი უნდა იცოდეს, ვიდრე ახალგაზრდობაში, მაგრამ... მაგალითად, ჩემს ქმარს წინათ, მართლა ყველაფერი შეეძლო. ახლა კი აღარაფერი ძალუძს. ამიტომ თქვენს კითხვა — რა შეუძლია მამაკაცს? — პასუხს ჩემი თავგადასავალი გასცემს. 23 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. გოჩა — 25-ის გახლდათ. ღმერთო, როგორი დახვწილი იყო!.. კარგი მანერები ჰქონდა. გამოხედვა? პირველსავე შეხვედრისას თვალებით მომინადირა. გრძელი, ხშირი წამწამების ქვეშიდან ისე მომნუსხველად მიყურებდა, მაშინვე გავიფიქრე — ან ეს ბიჭი ჩემი ქმარი გახდება, ან — თავს მოვიკლავ-მეთქი, მაგრამ როცა მივხვდი, რომ მასაც მოვწონე, თავი შორს დავიჭირე. რამდენიმე თვე ვაწვალე და მერე გამოვუტყდი, რომ მეც მიყვარდა. სადაც არ უნდა წავსულიყავით, ყველგან უცებ იგებდა ადამიანების გულებს. გოგონებს ხომ ძლიან ვიგერიებდი. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დავქორწინდით. თავიდან ყველაფერი კარგად იყო და ვფიქრობდი, სულ ტყუილი ყოფილა, რომ ამბობენ — უნაკლო ადამიანი არ არსებობსო... ცოტა ხანში აღმოვაჩინე, რომ უზომოდ ბევრს ჭამდა... სიმთვრალეში კი, ერთი ჩვევა ჰქონდა — გადმოიღებდა ალბომს, სადაც ძველი შეყვარებულების ფოტოები ჰქონდა, სათითაოდ აიღებდა სურათებს და იტყოდა — „აი, ეს რომ ცოლად მომეყვანა, დღეს საზღვარგარეთ ვიცხოვრებდი... ამაზე რომ დავქორწინებულიყავი, ისეთი სიმამრი მეყოლებოდა, „კაკ მინიმუმ“, მინისტრის მოადგილე ვიქნებოდი... ოოოო... ესა? ეს რომ ჩემი ცოლი იყოს, დღეს ჩემი ბიზნესი მექნებოდა...“ — და ა.შ. სულ გულზე ვსკდებოდი... ასეთი 25 სურათი მაინც ჰქონდა და წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი მოუნდებოდა ამ მონოლოგის წაკითხვას. ვიდრე ბოლოში გავიდოდა, გამოფხზილდებოდა კიდეც. შემომხედავდა და იტყოდა — ქალო, ამდენ ანგელოზში რაღა მაინცდამაინც შენ ამოგირჩიე, შე ჯოჯოხეთის მაშხალავო!.. არადა, სულაც არ ვარ შეუხედავი, პირიქით — საკმაოდ მადის აღმძვრელი და კარგი გარეგნობა მაქვს და სულ ვფუქრები, თუ ჭკუით არ იქნები, იცოდე, გიღალატებ-მეთქი. ასეთ დროს თვალმოჭუტული შემომხედავს, ამათვალიერ-ჩამათვალიერებს, ხელს ჩაიქნევს, დამცინავად ჩაიცინებს და პასუხის ღირსადაც არ მხდის... ამ ბოლო დროს, ხვრინვაც დასჩემდა, ღიპიც დაეტყო, ქოჩორიც შეეთხელდა და... ამას წინათ კიდევ, ვიღაც ქალმა დამირეკა და მითხრა — შენს იდიოტ ქმარს მიხედე, გული გამიწყალა, მე ის ქალი არა ვარ, ასეთი „დიშოვი“ კაცებზე „ვიკერეებოდეო“... აფსუს, ჩემო გოჩა! რა დრო დაგიდგა! უკვე ქალებს შებმაც აღარ შეგძლებია, ჩემო სიცოცხლევ-მეთქი, გავიფიქრე და თითქოს შემეცოდა კიდეც... არადა, იყო დრო, მაგის შიშით დედალი ქათმებიც კი კანკალებდნენ... ეჰ!“

*კაცი ოჯახის უფროსია. ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, რომ იყოს და საწოლის ქვეშიდანაც, თუ უნდა — გამოძვრება, თუ არ უნდა — არა... ჩემმა ქმარმა, მაგალითად, მილიონამდე თვლაც კი არ იცისო, — მწერს ერთ-ერთი მკითხველი... რა აუცილებელია მილიონამდე?.. ამდენი ფული მაინც არ ეკნება, რომ დათვლა დასჭირდეს... საერთოდ, მთავარია, კაცმა სამამდე დათვლა იცოდეს — ასე გვასწავლის ერთი ანეკდოტი: 3 ძმაკაცი დანაძლევდა, ვის უკეთ ეჯერობოდნენ სიდედრ-სიმამრის ოჯახში. გადაწყვიტეს, ერთმანეთის ცოლოურს სტუმრად წასულიყვნენ. პირველის ოჯახში მისულებს სიდედრმა მყავე ღვინო დაალევინა, ისიც სულ ძმრად ადინა ცხვირში... მეორე ოჯახში სიდედრმა მყავე ღვინოს, პრასი და ხმელი პური მოაყოლა, თან სიძეს წყევლა არ მოაკლო — შენ ჭამე ცეცხლი და მიაყოლე ნავთიო! — ეძახა... მესამე ოჯახში სიძეს დიდი პატივით შეხვდნენ: საკლავი დაუკლეს, საუკეთესო ღვინო მიართვეს; რა გნებავთ, სიძეკ-პატონოო? — წამდაუწუმ ეკითხებოდნენ და თვალებში შესციცინებდნენ... გაოცებულმა ძმაკაცებმა ჰკითხეს — როგორ მიაღწიე ამასო? — როცა ცოლი მომყავდა და ქორწილის დღეს, ოჯახში პატარძლის წასაყვანად მოვედი, ძაღლმა შემომიღრინა. წამოვიძახე — ერთი. შემომიყეფა. ვთქვი — ორი! მაინც არ გაჩერდა და საკბენად გამოიწია. სამი! — ვთქვი, იარაღი ამოვიღე და ძაღლს შუბლი გავუხვრიტე... მერე? — იკითხეს გაოცებულმა ძმაკაცებმა. — რაღა მერე? ახლა ჩემი სიდედრისთვის ორამდე უკვე დათვლილი მაქვსო, — უპასუხა

გონიერმა სიძემ... შემდეგი რესპონდენტის სიძემ კი ალბათ, სამამდეც არ იცის დათვლა, თორემ, ასეთ მესიჯს არ მოგვწერდა.

სიდედრი მაინც სიდედრია

„მამაკაცებს რა შეუძლიათ, ამას ჩემი სიძის მაგალითზე მოგიყვებით. ჯერ იყო და, ჩემი გოგო ძალით წაიყვანა. თავბრუ დახვია თავისი საჩუქრითა და სიურპრიზით. ერთხელ ღამით, როცა ეგონა, რომ ნინო მარტო იყო სახლში, სახურავიდან ჩვენს აივანზე (მე-6 სართულზე ვცხოვრობთ) თოკით ჩამოვიდა. მე და ნინო ტელევიზორს ვუყურებდით. ზაფხული იყო, მაგრამ თავსხმა წვიმა მოდიოდა და აივნის კარი დაკეტილი გვქონდა. უეცრად, სწორედ აივნიდან მოგვესმა რაღაც ხმა. ნინომ კარი გამოაღო და ერთიანად გაწუწულ-გალუმპული ვაუბატონი ოთახში შემობრძანდა. თან ახალმოპრიალებულ პარკეტზე წყლის გუბეც დააყენა. ხელში ერთი ცალი, „გასაცოდავებული“ ვარდი ეჭირა. ნინო, მიყვარხარო, — უთხრა ჩემს გოგოს და გადაეხვია. მე ვერ მხედავდა და ასე თავხედურად იმიტომ იქცეოდა. ნინომ ჩემზე ანიშნა... უჰ, უკაცრავადო, — თქვა და აივანზე გავიდა. — კარიდან გადიო, — შესთავაზა ნინომ, მაგრამ ის მაინც აივნიდან თოკით ჩაცურდა ძირს... ასე, თავიდანვე არ ვეხატებოდი გულზე ჩემს სიძებატონს. მერე, ჩემი დედისერთა გოგო ცალკე წაიყვანა საცხოვრებლად. სტუმრად როცა მოვა, მომითრევს ერთ ცალ „ბამბანერკას“, რამდენიმე კილო ხილს, დაჯდება და ტელევიზორს უყურებს, ჩვენს ლაპარაკში კი არ ერთვება. თავის გარეშე არსად უშვებს ცოლს, თვითონაც ყველგან თან დაჰყვა. ნინოს გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ დგამს. არ ამოასუნთქა გოგო. ახლა ეჯუჯღუნება, მეორე შვილი გამიჩინეო. ჯერ პირველი მხოლოდ 4 წლის ჰყავთ. უნდა დაიტანჯოს ჩემი სათუთად გაზრდილი შვილი... აი, ეს შეუძლიათ კაცებს. ისიც ტიპური მამაკაცია... სიდედრი“.

მოდი და ნუ ასწავლი ამისთანა სიძეს სამამდე დათვლას და იარაღის ხმარებას...

სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, კითხვაზე — აუცილებელია თუ არა ერთგულება საყვარული ადამიანის მიმართ? — გამოკითხულთა 95% პასუხობს: აუცილებელია. მაშინ გაუგებარია, რატომ ხდება ისე, რომ კვლავ და კვლავ სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილია — ოჯახების 75% ერთ-ერთი მეუღლის ღალატის გამო ინგრევა.

„მე მამაკაცი ვარ, ჩემთვის ყველაფერი შეიძლება...“ — ამბობენ კაცები. — „მე ქალი ვარ, სუსტი არსება და ნებისყოფა არ მეყო, რომ გრძნობას მოვრეოდი...“ — თავს იმართლებენ ქალები... ჰოდა, მამაკაცებო, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ღალატის შემდეგ, შინ მისული აღმოაჩენთ, რომ თქვენს მეუღლეს უცხო ოდეკოლონის სუნი ასდის. ის ხომ ქალია — სუსტი არსება, მასთან კი ისეთივე მამაკაცი იყო, რომლისთვისაც, როგორც თქვენთვის, ყველაფერი დასაშვებია...

ზოგ კაცს შეუძლია, ზოგს – არა

„9 წელია, რაც გავთხოვდი. მე და ჩემი ქმარი ვთვლიდით, რომ ერთმანეთისთვის ვიყავით შექმნილი. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მეორე შვილის შეძენის შემდეგ, თითქოს ჩვენ შორის ვიღაც თუ რაღაც ჩადგა. თორნიკე ჩემ მიმართ გაცივდა. შინ მოსული თითქმის არც კი მელაპარაკებოდა. გამუდმებით ტელევიზორს უყურებდა, ხან საქმეს აკეთებდა. ის არქიტექტორია და შინ მუშაობა უწევდა. ყველანაირად ვცდილობდი, აღმედგინა ძველი ურთიერთობა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ბოლოს, თავის სამუშაო ოთახში, დივანზე იძინებდა ხოლმე. ამის გამო, ბუნებრივია, პრეტენზიას გამოვთქვამდი, მაგრამ თავის გასამართლებლად ამბობდა — თქვენთვის ვშრომობო... მერე ნაცნობებმა ჩამაწვეთეს, რომ საყვარელი ჰყავდა. მერე ისიც გავიგე, რომ იმ ქალმა შვილი გაუჩინა. სკანდალი არ ამიტეხია. ჩემს ნაჭუჭში ჩავიკეტე და ვიფიქრე, შვილების აღზრდას გადავაყოლებ გულს-მეთქი. უფროსი გოგონა ცეკვაზე დადიოდა. გაკვეთილის დამთავრებამდე იქვე ველოდებოდი ხოლმე. მასთან ერთად ცეკვავდა კიდევ ერთი გოგონა, რომელიც მუდმივად მამას მანქანით დაჰყავდა. ერთ უბანში ვცხოვრობდით და მე და ჩემი შვილიც სახლამდე მას მოვყავდით ხოლმე. ვგრძნობდი, რომ მოვწონდი. უამრავ კომპლიმენტს მეუბნებოდა, მანქანის სარკეში მიყურებდა, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, რომ სიტყვები საჭირო აღარ იყო... მე არ ვიმჩნევდი... ხანდახან ბავშვები „მაკდონალდსში“ მიჰყავდა... ბოლოს და ბოლოს, ერთ დღეს, როცა ბავშვების გაკვეთილის დამთავრებას ველოდით, გამომიტყდა, რომ მოვწონდი და მთხოვა, მეორე დღეს შევხვედროდი. შორს დავიჭირე, ვიუარე და არც მას დაუტანებია ძალა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ შემომიტია. ბოლოს და ბოლოს, დავთანხმდი შეხვედრაზე. მთელი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ფიზიკური კონტაქტი არ გვქონია. არც თვითონ მაჩქარებდა. ვგრძნობდი, რომ დღეს თუ ხვალ ჩვენ შორის სერიოზული რომანი გაიბმებოდა და ძალიან ვშიშობდი. ჩემს თავსაც კი არ ვუმხელდი, რომ ეს კაცი სიგიჟემდე მიყვარდა... ზაფხულში, როცა ბავშვები დასასვენებლად იყვნენ წასული, უფრო ხშირად ვხვდებოდით და ერთ მშვენიერ დღეს, დავნებდი კიდეც. საოცრად კარგი და თბილი ადამიანი იყო... ჩემს ქმარს ჩემში მომხდარი ცვლილებები შეუმჩნეველი არ დარჩენია. გამაფრთხილა კიდეც — იცოდე, რამე რომ გავიგო, კისერს მოგიგრეხო... მაგრამ მე უკვე ვერაფერი შემაჩერებდა, მთლიანად გადავეშვი სიყვარულის მორევში და საყვარელ ადამიანთან ყოფნისას ყოველი წუთით ვეტკბებოდი. ერთ დღეს კი, ქმარი ამიხირდა — მამაკაცის ოდეკოლონის სუნი აგდისო. ვიუარე, მაგრამ მაგარი ჩხუბი მოგვივიდა. დღემდე ასე გრძელდება ჩვენი ურთიერთობა. უკვე მესამე წელიწადი დაიწყო. რა იქნება მომავალში, არ ვიცი... აი, რა შეუძლია კაცს. ერთმა შეძლო, რომ ღალატისკენ ებიძგებინა, მეორემ კი შეძლო, იარები მოეშუშებინა ჩემთვის და ეჩვენებინა, რა არის ნამდვილი სიყვარული. პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი“.

ახლა კი დროა, მოკლე მესიჯებს და „საჩივრის სვეტს“ გადავხედოთ.

მარტო რუსები ტირიან?

„მოგესალმებით ათენიდან თქვენი რუბრიკის მუდმივი მკითხველები, სოფო და მაიკო... რაც შეეხება მამაკაცების შესაძლებლობებს, ჩვენი აზრით, მათ არაფერიც არ შეუძლიათ. ისინი მხოლოდ ერთ წერტილში იყურებიან და ჭკუა-გონება არ უჭრით. ამ მესიჯს შოთიკო და ბესო რომ წაიკითხავენ, მიხვდებიან, რომ ჩვენ გაცილებით მეტი შეგვიძლია და არ გაგვინაწყენდებიან“.

„მარი, ბოდიში რომ ასე გვიან გიმესიჯებ. პატიმარი ვარ, „გზავნილების“ კითხვა სწორედ ახლა დავასრულე. ერთი გოგო შემიყვარდა თავდავიწყებით. კოლეჯში ერთ კურსზე ვსწავლობდით. მერე თავისიანებმა იმის შიშით, რომ არ მომეტაცებინა, სასწავლებლიდან გამოიყვანეს და ჩემთან შეხვედრა აუკრძალეს. დედამისს არ ვევასებოდი. ტყუილებით ჩემი თავი შეაძულეს. მე კიდევ, დარდის გასაქარვებლად, ქუჩას მივაშურე და ციხეში ამოვყავი თავი. მინდა, თქვენი საშუალებით, თემქის მე-4 კვარტალში მცხოვრებ ანას ვუთხრა, რომ სიკვდილამდე მეყვარება და აქედან რომ გამოვალ, აუცილებლად მოვიტაცებ. წინასწარ გიხდით მადლობას. ზაზა ბ.“

„მინდა, ჩემს სიცოცხლეს, ჩემი შვილის მამას ვუთხრა: ნუ შეგაშინებს ნურაფერი და უარს ნუ იტყვი საკუთარ შვილზე, თორემ მერე გვიან იქნება. თორნიკე, მარი უშენოდ ძალიან მოწყენილია. ნათი“.

„მარი, შენ ყურადღებას ნუ მიაქცევ იმ პროვოკატორ ხალხს, ვისაც არ სჯერა, რომ მესიჯებს ნამდვილად ჩვენ გიგზავნით. „გზას“ ვიყიდი თუ არა, ჯიხურთანვე ვკითხულობ „გზავნილებს“. ახლა საავადმყოფოში ვწევარ, საწოლს მივჯაჭვული. თათია, მარის შეურაცხყოფას ნუ აყენებ, თორემ ცუდად წაგიგა საქმე. არ გჯერა, რომ მართლა ჩვენ ვუგზავნით მესიჯებს? დამიმესიჯე და მე დაგაჯერებ. ლაშა-1“.

„მამაკაცები? ამათი გაკეთებული ვინ რა ნახა? კაცებო, აღიარეთ, რომ ქალების გარეშე, არარაობა ხართ. თუმცა, ვაღიარებ, რომ თქვენს იქით გზა არ გვაქვს. ელზა“.

„ო-ოო! კარგი თემაა! გიომ ისე ამიცრუა გული კაცებზე, რომ დავრწმუნდი, არაფერიც არ შეუძლიათ. ერთმანეთზე უფრო ეგოისტი, მესაკუთრე და თვითდაჯერებულები არიან. აი, ქალებო, თქვენ კი გაიხარეთ! ანი“.

„ვარ სასიამოვნო გარეგნობის, 42 წლის, გაუთხოვარი ფილოლოგი. ამჟამად ვიმყოფები საბერძნეთში. იქნებ, ამ მესიჯმა ბედი მაპოვინოს?..“

„ერთი წელია, ჩემი ქმარი საზღვარგარეთაა, ძალიან მენატრება. ლერი, ძალიან მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლეს! მამაკაცს შეუძლია, ქალი გაბედნიეროს. თეა“.

„მამაკაცს შეუძლია ღამის 2 საათზე, ფეხით, საბურთალოდან თემქაზე გამოვიდეს, ფანჯარაში დაგლანდოს და უკან ფეხით გაბრუნდეს. ეს იყო 13 წლის წინ. ახლა მესამე ბაიას ველოდებით. ბაკო, გკოცნი!“

„კაცს შეუძლია, ცოლის გვერდით იწვეს და თან 15 წლის გოგონას მესიჯებით თავბრუს ახვევდეს. არც მისი ოჯახის დანგრევა მინდა და არც მისი დაკარგვა... სულელი და უბედური ბავშვი“.

„ცოლშვილიან კაცს, ერთი ქალი შემიყვარდა უზომოდ. მის გარეშე ველარ ვძლებ. მას კი ჩემთან ურთიერთობის ეშინია. ყველაფერს დავთმობ ჩემი სიყვარულისა და მისი ბედნიერებისათვის. აი, ეს შეუძლია მამაკაცს. ნამდვილ სიყვარულს არ უნდა გაექცე. იცხოვრე მასთან ერთად, ვისკუნაც გული მიგიწევს. „მე-მი“.

„კაცი არის „მექანიზმი“, რომელსაც შეუძლია ვადაგასული პროდუქტის გასაღება, ბავშვის მოვლა, ჭურჭლის რეცხვა და ა.შ. გაუმარჯოს მატრიარქატს!“

„18 წლის ასაკში, გარიგებით გავთხოვდი.

ერთხელ მნახა და მაშინვე დამნიშნა. ძალიან მალე შემაყვარა თავი. ახლა კი საზღვარგარეთ წავიდა. ვზივარ და ველოდები. კუსა, მიყვარხარ და გელოდები. მარად შენი ბატი“.

„ჩემი და ლევანის სიყვარულის ამბავი 2 წლის წინ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, დედამისი წინააღმდეგი იყო ჩვენი ურთიერთობის, რადგან მე განათხოვარი და შვილიანი ქალი ვიყავი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ბედობა დღეს, ლევანმა გადაწყვიტა, ჩემთვის თავისი ნათესავები გაეცნო. მეც დავთანხმდი და სტუმრად წავედით. სწორედ აქ დასრულდა ჩვენი სიყვარული. ლევანმა თავისი დანაპირები ვერ შეასრულა. ის ხომ ამბობდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ერთად ვიქნებოდით... ამ ბედობა დღიდან დაიწყო ბრძოლა ჩვენს დასაცილებლად. იმ ოჯახიდან ძალზე გულნატკენი წამოვედი... მას კი მგონი, სულ დაავიწყეს ჩემი არსებობა... და ვინმეს შეუძლია თქვას, რომ მამაკაცს შეუძლია თავისი გრძნობის დაცვა?!. არა, ბატონებო. ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს. ლევან, იქნებ მოაღწიოს შენამდე ამ მესიჯმა, გაგახსენდე და შემეხმიანო. „დტს“.

„მარი, ბოდიში, ასე გვიან რომ გიმესიჯებ. ათ დღეში იტალიაში მივდივარ და იცი, რატომ მიხარია?.. ჩემს საყვარელ მამაკაცს — კახი კალაძეს ვნახავ. აქ ვერ გავიცანი, მაგრამ იქ მაინც ვნახავ და გავიცნობ. იქნებ, დავმეგობრდეთ კიდეც... ჩემს დაქალებს არ სჯერათ „გზავნილების“ არსებობა და ახლა, ამას რომ გწერ, მაგრად დამცინიან... იტალიაში რომ ჩავალ, იქიდანაც აუცილებლად დაგიმესიჯებ“.

„სიხ, იცი, რა უნდა გთხოვო? როგორ ჩუმადაც შემოიპარე ჩემს ოთახში, ისე ჩუმად და უხმაუროდ გაიპარე ჩემი ცხოვრებიდან, თორემ, იმ ღამეს გაგახსენებ, შემოპარვის მერე, დაკაწრულ-დაკბენილი და ნაცემი რომ წახვედი. თეთრი გოჭი“.

„რა შეუძლია კაცს? 17 წლის ვიყავი, როცა ნაცოლარმა და შვილიანმა ბიჭმა თავი ისე შემაყვარა, რომ ყველაფერზე თანახმა ვიყავი. ახლა სხვისი ცოლი ვარ და მას კი ვერ ვივიწყებ“.

„ახლავე გეტყვით, მამაკაცებს რა შეუძლიათ. 2 თვის წინ, მეგობარმა გოგომ თავისი მეგობრის მამიდაშვილი გამაცნო. სიმართლე რომ გითხრათ, ამ ბიჭით დიდად არ დავინტერესებულვარ, მაგრამ იმდენი ქნა, რომ სულ მალე დამაინტერესა. იცით, ეს როგორ მოახერხა? იმდენი მეფერა, რომ უიმისოდ უკვე ველარ ვძლებდი. როცა ვეკითხებოდი — სულ ჩემთან რატომ ხარ, ნუთუ არავინ მოგწონს-მეთქი? — ყოველთვის უარობდა — შენ გარდა არავინ მინდაო... მისი ცხოვრებით დავინტერესდი. აღმოჩნდა, რომ 5 თუ 6 თვის ფეხმძიმე ცოლი ჰყოლია. როცა ვკითხე — რას ნიშნავს შენი საქციელი? შინ ცოლი გყოლია, შენ კი მე დამდევ-მეთქი! — მიპასუხა — იდა არ მიყვარს, უბრალოდ, თვითონ უნდა და ბავშვს იმიტომ აჩენსო. მე კი შენ მიყვარხარ და სულ შენ გვერდით იმიტომაც ვარო. როგორ მეზიზღები, დაჩი! მე გიყვარვარ და ის ქალი არა, რომელიც შვილს გიჩენს? ეს დაუჯერებელია. ანი“.

„მარი, დამიბეჭდე ეს მესიჯი, თორემ, თავს არ ვიცოცხლებ და მერე ნეკროლოგში მომიხსენიებ!.. კაცთა მოდგმას იცი, რა შეუძლია?.. მოგათვინიეროს, თავის ჭკუაზე გატაროს და თუ მოუნდება, გატიროს კიდეც. იკა, როგორ გგონია, თავს რომ მანატრებ, უფრო გადამრევ?.. სანამ დროა და ღმერთს გადარეკ, მოდი მანამდე...“

„ყველა მამაკაცი ერთნაირად ამაყი და ამპარტავანია. ისე გაწირავენ და გაანადგურებენ ქალს, რომ თვალსაც არ დახამხამებენ. მეზიზღება ყველა კაცი, ლევან ნ-ძის თამადობით. მარი“.

„რა შეუძლიათ კაცებს?.. მგონი, გოგოების კაფეში დაპატიჟებისა და ფულის იმათთვის გადახდევინების გარდა, არც არაფერი. ისე, ამ ბოლო დროს, წყევლაც მაგრად დაამუღამეს... აფერისტობა?.. ეგეც მაგათი მოგონილია... აი, ასე თუ ვახასიათებთ კაცებს, ეს მათი დამსახურებაა. „ვაჟკაცუნა გოგონები“. მარი, გმადლობთ „გზავნილების“ „დედობისთვის“.

„რუსი შეყვარებული მყავს. ჩემთან დაკავშირებით ყველა დეტალს განიცდის და ხშირად ტირის. მე კი ვერ ვიტან მტირალა მამაკაცებს და ეს ვერ გავაგებინე. მაინტერესებს, თქვენც ასე ტირით, ქართველო მამაკაცებო? თუ ის, რუსი რომ არის, იმიტომ ტირის?..“

„კაცებს ის შეუძლიათ, რაც ამ სქესის ერთერთმა წარმომადგენელმა შეძლო. მას თავი სუპერმენი ჰგონია. ფიქრობს, რომ ყველა გოგო ფეხებში ჩაუვარდება. ჩემგან რომ უარი მიიღო, იცით, რა გააკეთა? კოლეჯის წინ მეგობრებთან მდგარს, ისეთი რამ მომაძახა, წნევამ ამიწია... ვაჟბატონო, მე შენ დაგიმტკიცებ, რომ არაკაცი ხარ. პანკი გოგო“.

„იცით, რა მიხარია? ის, რომ კაცებს ჩვენზე მეტი არ შეუძლიათ. ჰგონიათ, რომ გვატყუებენ, მაგრამ ის კი არ იციან, რომ ჩვენ თავს ვიკატუნებთ, თორემ, კაცი და ქალის გამცურებელი?.. სად გაგონილა?! ისინი მხოლოდ რამდენიმე „ფუნქციით“ გვჯობნიან... ერთი კაცი მიყვარდა და ქვა და კლდე აღმოჩნდა. მთელი 5 წელი ვერ შევასმინე ჩემი გულის ძახილი. ბოლოს მითხრა კიდეც — ვიცი, შენზე ძლიერად ვერავინ შემიყვარებსო, მაგრამ რა?.. მოკლედ, გაღიმებული დამტოვა. ლონდრე ჩემთვის დღემდე კაცობის ეტალონია. ის ერთადერთი კაცია, რომელიც წყლიდან მშრალად ამოვიდა. სხვა კაცები ყველანი ერთნაირები არიან. შეუძლიათ, ერთ დღეს მთელი ქვეყანა დაგიმტკიცონ, მეორე დღეს კი, უტარო კოვზივით დაიკარგონ. თავის გასამართლებლად კი ისეთ უნაირო მიზეზს გეტყვიან, რომ სიბრალულით ატირდები. წესიერად თავის მართლებაც კი არ შეუძლიათ“.

„მინდა, ყველა მამაკაცს გავაგებინო, რომ ქალის გარეშე თითოეული მათგანი არარაობაა. ჩემი ქმარი რომ გავიცანი, თავდაჯერება საერთოდ არ ჰქონდა. 7 წელიწადში ისეთ კაცად ჩამოვაყალიბე, უკვე მეამყება, რომ მისი ცოლი ვარ. ამას იმით მივაღწიე, რომ სულ ვაქებდი და წამდაუწუმ კომპლიმენტს ვუუბნებოდი. ახლა ერაყიდან მესიყვარულება... ნონა“.

„ძვირფასო „აბონენტო“ მარი, თქვენს მობილურში დამონტაჟებულია ბომბი. თუ ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, შენი მობილური აფეთქდება... წავიდა დრო...“

„ბედობის დღეს, ტელეფონით გავიცანი ზურა. თავდავიწყებით შემიყვარდა. ერთ თვეში მომიტაცა ზაზამ, რომელიც უზომოდ მეზიზღებოდა. ორ კვირაში დავქვრივდი. 17 წლის გოგო დავრჩი მარტო. მეც დამინგრია ცხოვრება და თვითონაც დაილუპა... ზურა მიყვარს და ვალდებული ვარ, ზაზას ქვრივის სახელით ვიცხოვრო, რომ მის ხსოვნას პატივი ვცე...“

„მამაკაცებს ჩვენზე მეტი ნამდვილად არ შეუძლიათ. რომელი ბიჭიც მომეწონა, ყველა საზღვარგარეთ წავიდა. ვინც მიცნობს, ყველა მეკაიფება — ყველა გზას გაუყენე და ისეთი არავინ გამოჩნდა, რომ შენც გაეყოლებინეო?.. ახლახან კიდევ ერთი „პაკლო“ დამეჩითა. არც მე დავიწუნე. ან რატომ დავიწუნებდი? მარტო ფრთებიღა აკლდა. ჰოდა, ეს ვაუბატონიც, თვის ბოლოს შვეიცარიაში მიდის... სანაცვლოდ კი საჩუქრების გამოგზავნას მპირდება. იდიოტი! თუ გამიმართლა და შემდეგმა „პაკლომ“ თან გამიყოლა, ხომ კარგი, თუ არა და, კიდევ შეგეხმიანებით. ნიცა-ნიცა“.

საჩივრის სვეტი

„ვუჩივი ჩემს ალგებრის მასწავლებელს. წინა წლებში საერთოდ არაფერს ვსწავლობდი. ახლა, ლომაიას რეფორმების წყალობით, უკვე ყველამ სწავლა გადაწყვიტა. ეს დიდად არ მსიამოვნებს, მაგრამ... ლომაია, უჰ... ჰოდა, ეს ჩემი ალგებრის მასწავლებელი უკვე მოხუცია და ისევ ძველი დრო ჰგონია — როცა არ ვსწავლობდი, ის — ყველა გაკვეთილს ჩემი ლანძღვით იწყებს. დავალება მაქვს თუ არა, ამას მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მისთვის მაინც უსინდისო ბავშვი ვარ. მშობელთა კრებაზე დედაჩემს აგიჟებს... დედაჩემი კი მათემატიკოსია და ყოველდღე თავს ალგებრის წიგნზე მარტყმევინებს. მშობლები არ მიჯერებენ, რომ ვსწავლობ. უკვე ფიქრობენ, რომ შინ ნასწავლი, სკოლამდე იმიტომ ვერ მიმაქვს, რომ გონებაჩლუნგი ვარ“.

„ვუჩივი მამაჩემს. მას ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ აქვს სათქმელი და არ მეუბნება: ვიცი, რომ სხვა ქალთან 6 თვის შვილი ჰყავს. ისიც ვიცი, რომ ის ქალი არ უყვარს, პატარაზე კი ჭკუა ეკეტება... მამიკო, მითხარი და აღიარე დანაშაული“.

„მარი, დიდი სიამოვნებით გიჩივლებდი, „გზავნილების“ დაარსების გამო. შენ რა, გინდა, გამაკოტრო?!.“

„ვუჩივი ჩემს ქმარს. თუ იმ პალტოს არ მიყიდის, 1 თვე საძინებელ ოთახს გამოემშვიდობოს!.. შორენა“.

„ვუჩივი საყვარელ მულს, რომ თვითონ რუსეთიდან ჩამოვიდა და ჩემი ქმარი არ ჩამოიყვანა“.

„ვუჩივით მამას, რადგან გვიანობამდე არ გვაყურებინებს ტელევიზორს. მოვითხოვთ ახალი ტელევიზორის ყიდვას. ნათია და ფიქრია“.

„ვუჩივი აბიტურიენტ ბიჭს. ძვირფასო, კარგია მეცადინეობა, მაგრამ როგორ ფიქრობ — დიდხანს ავიტან უყურადღებობას?.. „აბიტურიენტკა“.

„ვუჩივი რძალს, რომელიც ზის და ელოდება, როდის ჩამოვა ჩემი ძმა საქართველოში. გოგო, ეგ ჩამომსვლელი არ არის. სანამ დროა, თავს მიხედე, თორემ, მერე გვიან იქნება. P.S. ახლა რძლის მობილურით გიმესიჯებთ. იცის, სადაც ვგზავნი, მაგრამ რას გწერთ, ის არ იცის. მული“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად გთავაზობთ — ჩემს ცხოვრებაში მომხდარი სასწაული. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■



ცნობილი მსახიობი, მონადირე და უბრალოდ, ცხოვრების მოტრფიალე გურამ ფირცხალავა სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობაზე უარს ამბობს და არც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან გვანებივრებს ინტერვიუებით. მაგრამ „გზისთვის“ გამონაკლისი დაუშვა და ჩვეული იუმორით, თავისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა.

ვაქის სახსოვარი თოფით წაწყვეტილი თითი, ფინეთის საზღვარზე დაჭეჭილი ჯარისკაცი და წარუმატებელი თამაში აეროსადგურში

ნუცა თოფჩიშვილი

— ობივატელის თვალით, გურამ ფირცხალავა მუდამ თავისუფალი ცხოვრებით ცხოვრობდა, ქეიფსა და დროს ტარებაში იყო. მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ყურადღებაც არ მოჰკლებია და ალბათ, ერთი ანეკდოტისა არ იყოს (მეგრელი მეძავს რომ ეკითხება — ქალბატონო, თავისუფალ დროს რითი ერთობითო?..). ფიქრობენ, ნეტავ, თავისუფალ დროს რითია დაკავებულიო...

— მართალია, მსახიობის მძიმე შრომა არ ჩანს. რაღა შორს წავიდე — დედაჩემიც ამ აზრის იყო. სულ მეუბნებოდა — გეყოფა ახლა თამაში, საქმეს მოჰკიდე ხელიო... ერთხელ, ზამთარში ჩავედი დედასთან. შეშა იყო დასაჩეხი. წადი, შვილო, დაჩეხეო, — მთხოვა. ჩემი უმცროსი ძმა ცეცხლთან იყო წამოწოლილი. ვეუბნები დედას — უმცროსი ეს არის, შეშა ამან დაჩეხოს-მეთქი. — შენ სულ თამაშობ, სულ დროს ატარებ და ერთხელაც ფიზიკურად რომ იშრომო, არაფერი მოგივაო... დავჩეხე ის შეშა. იმავე წელს, ზაფხულში ფილმ „მიზანის“ გადაღებები გვქონდა. ჭაობის სცენები იყო, ტალახში, ჭაობში არიადნა შენგელაია ხელში აყვანილი დამყავდა, ძალიან ვიღლებოდი. შინ ტალახში ამოსვრილი, ქანცგაწყვეტილი ვბრუნდებოდი, მივეგდებოდი და ვიძინებდი. დედაჩემმა ამას რომ უყურა — უმე, შვილო, თურმე, შენც მუშაობ და შენც იღლებიო! — წამოიძახა...

— თქვენ ცნობილი მონადირე ბრძანდებით და ამბობენ, ქალებზეც გინადირია...

— ამასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთხელ, რომელიღაც რადიოდან დამისვეს კითხვა — საქართველოში საროსკიპოები უნდა გაიხსნას თუ არაო? — ეგ დაღუპავს ქართველებს, თუ დაღუპავს-მეთქი, — ვუპასუხე. თუ ქალზე არ ინადირე, მუხლი თუ არ გივარგა, მარიფათი არ გივარგა, თუ ქალის შებმა არ შეგიძლია და მისი გულის მონადირება, რას წარმოადგენ კაცი?.. ეს იმას დაემსგავსება, მონადირემ იხვები და ქათმები რომ დახოცოს. რა კაცობაა საროსკიპოში სიარული?! ჭაობში, წყალსა და სიცივეში რომ ხარ ჩასაფრებული, ელოდები ფრინველს თუ ნადირს. და რომ ჩამოაგდებ, ესაა საქმე!.. ქართველი მამაკაცები ქალებზე სულ ნადირობდნენ. ზოგი კი „მათხოვრობს“: ერთმა მითხრა — მე „მათხოვარი“ ვარ, რა ვქნა — ვთხოვ ხოლმეო...

— თავად თუ გახვეულხართ ქალის მიერ დაგებულ ხაფანგში?..

— მამაკაცები ხშირად ვტრაბახობთ — ქალი გამოვიჭირე, ასე ვქენი, ისე ვქენი, წკაპ და ანკესზე გამოვაბიო, — მაგრამ ანკესსაც ქალი ისვრის, ხაფანგსაც ქალი გიგებს და შენ რომ გგონია, ის გამოიჭირე, შენ თვითონ ხარ გამოჭერილი. ამას დიდი ხანია მივხვდი *(იცინის)*.

— ცოლს თუ გამოუჭერიხართ „ცულლუტობაში“ და რა მოჰყოლია ამას?

— ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა. მოგეხსენებათ, ქართველები შეხვედრისას, ერთმანეთს გადავკოცნით ხოლმე: პომადიანი ქალები ამ დროს ცდილობენ, ტუჩები არ მოგადონ და ჰაერში გკოცნიან... დიდი ხნის უნახავი დაქალი შემხვდა, გადავკოცნეთ ერთმანეთი და თურმე, ლოყაზე პომადის კვალი დამრჩა. მე და ჩემი ცოლი ახალდაქორწინებულები ვიყავით. შინ რომ დავბრუნდი, — ეს რა არისო? — მკითხა. რომ მოვუყევი, არ დამიჯერა. მერე, მისი თანდასწრებით სხვამ რომ მაკოცა და მაშინაც დამრჩა კვალი, ვუთხარი — ხედავ, როგორ რჩება კვალი-მეთქი!.. სხვათა შორის, ერთგული კაცი ვარ, რუსები რომ იტყვიან — „ოდნოლიუბ“. იმიტომაც მყავს დღემდე „24“ (ა/მ „ვოლგა“)...

რომ არა იმედას ოინი, მართლა მივდიოდი მინვოდში „საომრად“...

— კინოგადაღებასაც და ნადირობასაც ხშირად, ხიფათი ახლავს თან. ალბათ, თქვენც გადაგხდენიათ, ხომ?

— მართალია, ხიფათი სულ თან მდევდა. აი, ნადირობისას, თოფმა თითი წამაწყვიტა. სხვათა შორის, ამ ზაფხულს, ქურდებმა ის თოფიც წაიღეს, ტელევიზორიც და დაბადების დღეზე, ფლორას *(იმედა კახიანის მეუღლე. — ავტ.)* ნაჩუქარი თბილი საბანიც გააყოლეს ხელს. ის თოფი მამაჩემმა ფრონტიდან ჩამოიტანა, მამის სახსოვარი იყო. ხელში რომ ამიფეთქდა და თითი მომაცალა, აღარ გამიკეთებია, სანადიროდ აღარ ვარგოდა. ეტყობა, ბევრი მოკლული იხვის ცოდვამ მიწია და იმიტომ წამაცალა თითი. ჰოდა, იმ მათხოვარმა ქურდებმა არ წაიღეს ეს გაფუჭებული თოფი?!. თუ წაიკითხავენ ამ ინტერვიუს, მომიტანონ ის სამახსოვრო თოფი, თორემ, ვაი, მაგათი ტყავის ბრალი!..

— ჯარში სამსახურის დროს ფათერაკი არ მოგსვლიათ?

— ჯარში Марш бросок-ს ეძახიან — 32-კილოგრამიანი ტვირთით, თხილამურებზე შემდგარმა 25 კილომეტრი უნდა გაიარო ბატალიონთან ერთად. ამ დროს, ტანკებიც მოძრაობენ და მანქანებიც. ტანკი რომ მიდის, ნაკვალევს ტოვებს, თხრილივით ღრმას. მომინდა, ტანკისთვის გადამესწრო. თხილამურებზე ახალი დამდგარი ვიყავი. ფეხი ამისრიალდა და ტანკის გაკეთებულ თხრილში ჩავვარდი. მოდის ჩემკენ ტანკი, ამოსვლას ვერ ვასწრებ, რაც არ უნდა უყვირო, ვერ გააგონებ. ყვირიან ბიჭები — Стой, стой! — მაგრამ არ ესმის. მოდის ჩემკენ გრუხუნით. თურმე, მძღოლს დავუნახავვარ, რომ ჩავვარდი, მაგრამ ჩემი შეშინება უნდოდა და პირდაპირ ჩემ წინ გააჩერა. ცუდი მომენტი იყო... მეორე ამბავი კი მართლაც, სახიფათო შემემთხვა. ჯარში ჩემი ყოფნისას, კუბაში დაიძაბა სიტუაცია — ე.წ. კარიბის კრიზისს ვგულისხმობ. შეიძლებოდა, ომიც დაწყებულიყო. ჩვენზე ადრე ჩასული ჯარისკაცები, რომელთაც შინ წასვლის დრო მოუვიდათ, არ გაუშვეს. ერთი უკრაინელი მეგობარი მყავდა, ბონდარი, რომელიც 6 თვით ადრე უნდა წასულიყო. ერთ დღეს, დათვრა და მოაჯდა ბულდოზერივით მანქანის საჭეს. ამ მანქანას სახლისხელა ცხვირი აქვს, დიდთოვლობისას გზის საწმენდად იყენებდნენ. ვერაფერი აჩერებს, ქვა-ღორღი, ყველაფერი მიაქვს. ჩვენი ნაწილი ფინეთის საზღვართან

ახლოს იყო. მთვრალი ბონდარი ამ მანქანით გაზავს საზღვრისკენ. მე, როგორც მის ძმაკაცს, მთხოვეს — როგორმე დააბრუნეო. სამხედრო მანქანით გავეკიდე, გადავუსწარი და გზაზე გადაველობე. მიყვირის, გადიო! არ წავედი. ვუყვირი — ჩამოდი, დავლიოთ და დავილაპარაკოთ-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, დამიჯერა. ისიც გადავარჩინე და მეც გადავრჩი, თორემ, უეჭველად ესროდნენ. თუ არ მოკლავდნენ, დაჭრიდნენ მაინც...

— ახლა თქვენს კოლეგებთან ურთიერთობაზეც გვიამბეთ რამე. მსახიობები ერთმანეთს ხშირად უწყობთ ოინებს...

— ლვოვიდან ვბრუნდებოდი. რთული გადაღებები მქონდა იქ, თან ცოტა თანხაც ავიღე... უამინდობის გამო, თბილისმა არ მიგვიღო და ჩვენი თვითმფრინავი მინვოდში დაჯდა. დილის 5 საათია, გადაღლილი ვარ, მეძინება. ავტობუსს ვეძებ თბილისში გამოსამგზავრებლად. ავტოსადგურში რომ მივედი, ვიფიქრე, — სადმე დავჯდები და წავუძინებ-მეთქი. უეცრად, ემოციური ლაპარაკი მესმის. გავიხედე — დგას ბიჭი, გარშემო ხალხი შემოხვევია. იმას კი თავზე ხელები აქვს შემოწყობილი და იმერული კილოთი მოთქვამს — ეს რა დამემართაო! მივედი და ვკითხე — რა მოგვიდა-მეთქი? — ჩემმა მეზობელმა თავის სტუდენტ შვილთან ფული გამომატანა და ის ფული წავაგე, ახლა რა მეშველებაო!.. გვერდით ჩეჩენი ზის, წინ სამი ჭიქა უდგას და კამათელს ათამაშებს. დავინახე, კამათელს რომელი ჭიქა დააფარა. ვეუბნები ამ ბიჭს — აი, შენ 300 მანეთი და მიდი, ითამაშე-მეთქი: მინდა, ამ ბიჭმა თავისი წაგებული მოიგოს, თან დარწმუნებული ვარ, სწორად გამოვიცანი, რომელი ჭიქის ქვეშაა კამათელი... ეს ბიჭი მეუბნება — 100 მანეთიც დამიმატე, წაგებული რომ ამოვიღო და ცოტაც დამრჩესო. — არა, მეტი არ მაქვს, ითამაშე-მეთქი. ხალხი მოგროვდა. სხვებმაც დაინახეს, კამათელი სად იყო და მათაც დადეს ფული. აიღო ჭიქა ჩეჩენმა — არ არის კამათელი!.. სანამ აზრზე მოვედი, ის ქართველი გაშპა. დავიწყე ძებნა, ვერსად მივაგენი.. გამწარებული ჩამოვედი თბილისში. კინოსტუდიაში რომ მივედი, იმედა კახიანი შემხვდა. მოვუყევი, რაც დამემართა. ახლა შინ მივდივარ, გამოვიძინებ და ისევ მინვოდში მივდივარ, ის ბიჭი უნდა ვიპოვო, უნდა მოვკლა-მეთქი!.. იმედა მეუბნება — კი, მოსაკლავია, მეც წამოგვყებიო. — არა, შენ შარში როგორ გაგხვევ, არავის უთხრა ეს ამბავი-მეთქი. ერთი საათი არ მიძინია, ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ვუპასუხე. ვიღაცა კაცი მეუბნება — ეს რა დაგმართვია, რა მაგარი მოთამაშე ყოფილხარო!.. — რა თამაში-მეთქი? — მინვოდში ვიყავი და გავიგე, ბევრი ფული მოგიგიაო. — ტყუილიაო-მეთქი, — და დავკიდე ყურმილი... ახალგაღვიძებული, ჯერ ბოლომდე გამოფხიზლებული არა ვარ. ახლა ქალი რეკავს — ტელეფონით — უიმე, ცოტა ფულს ვერ მასესხებ, მოგიგია რუსეთში ფულიო!.. ოხ, იმედა, შენი!.. ამ ამბავმა გამომიყვანა მდგომარეობიდან და სიბრაზე გამინელა, თორემ, რომ არა ჩემი ძმის, იმედას ოინი, მართლა მივდიოდი მინვოდში „საომრად“...

■

პოპულარული ტელეწამყვანი ნიკა ქავთარაძე თავის დროზე, პოპულარული თამადაც ყოფილა. მართალია, ახლა, არც ეწევა და არც სვამს, თუმცა, როგორც თავად მითხრა, ძალზე იშვიათად, მაინც უწევს დალევა, მაგრამ ეს იმდენად იშვიათად ხდება, რომ „ამ სიმღერაში“ ტყუილი „სიტყვები“ არ არის... ნიკას მიაჩნია, რომ კარგი თაობის წარმომადგენელია: მის წარმომადგენლებს საუკეთესო მეგობრობა სჩვევიათ, ურთიერთგატანის უნარი აქვთ და სხვა სიკეთეც უხვად დააბერტყა ღმერთმა.

ქაქების კომუნისტური წარსული, ეგოზრეები, როლლებსაც გასართობად არ სცალიათ და უეუვარებული ნუვილის რომანტიკული ღღეები სარფში

ნათია ქივიძე

— ნიკა, როგორი თაობის წარმომადგენელი ხარ?

— საკუთარი თაობის უარყოფით თვისებებზე ვერაფერს გეტყვი. ალბათ, ყველას თავისი თაობა საუკეთესოდ მიაჩნია. მეც ასე ვფიქრობ. თუმცა, ეს არ შეიძლება, თაობის ყველა წარმომადგენელს ეხებოდეს. ჩემს თაობაშიც არიან ნარკომანები, ქურდები და ა.შ. მაგრამ უფრო ხშირად, ჩვენი თაობის წარმომადგენლებს საკუთარი ნიჭიერების, შესაძლებლობებისა და მეგობრობის ხარჯზე უწევდა ცხოვრებაში გზის გაკაფვა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ გარშემო სულ ასეთი ადამიანები ტრიალებენ. დღეს კი, ეს ადამიანები სხვადასხვა სფეროში ბევრ ისეთ ადგილას მუშაობენ, რომ ამას სხვა ვერ შეძლებდა და ეს ვერც შეძლო ჩვენმა წინა თაობამ, იმის გამო, რომ მას სხვა მენტალიტეტი აქვს: მაშინ, კომუნისტური წყობილება იყო... ჩვენი თაობა კი, ბევრ რამეში უკაფავს გზას მომდევნო თაობას. კომუნისტების შემდეგ, ჩვენ გარდამავალ პერიოდში მოვყევით, ამიტომ ყველაზე მეტი პრობლემის გადაწყვეტაც სწორედ ჩვენ მოგვიხდა.

— მაინც რა არის ისეთი, რაც წინა თაობისგან ისწავლე?

— ყველა ადამიანი ბევრ რაღაცას წინა თაობისგან სწავლობს. მამაჩემის მაგალითზე რომ ვთქვათ, რაც მას ახასიათებს, ის ყველაფერი, ქვეცნობიერ და გენეტიკურ დონეზე, ჩემშიცაა. მაგრამ წინა თაობას ბევრი ისეთი რამ ახასიათებს, რაც ჩვენთვის საერთოდ, უცხოა — ურთიერთობის რაღაც ფორმები ან თუნდაც, საქმიანობის ისეთი სახეობები, როგორიც მაშინ იყო; ოჯახთან დამოკიდებულება და ა.შ. ჩვენი თაობა საკუთარ ინტერესებს მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე ამას წინა თაობა აკეთებდა. ახლა უფრო პრაგმატული თაობა მოდის. საკუთარ საქმეს ყველაფერზე წინ აყენებენ, ჰარი-ჰარალისთვის ნაკლები დრო რჩებათ. ეს კი, ჩემი აზრით, ჯანსაღ და სუფთა ურთიერთობებს ნიშნავს. წინა თაობას (მაგალითად, მამაჩემს) ჰყავს უამრავი მეგობარი, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ბევრ ისეთ საქმეში, სადაც მეგობრის მხარში დგომაა საჭირო, ამას არ გააკეთებენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ კომუნისტურმა წყობამ წინა თაობის მინუსები წინა პლანზე წამოსწია, ხოლო პლუსები — უკანაზე გადასწია. ამიტომ მათ კარგი თვალით თუ არ შეხედავ, პლუსების პოვნა გაგიძნელდება... ისინიც ჩვენში დადებით მხარეებს უფრო ნაკლებად ხედავენ. ეს ასეც უნდა იყოს, ჩვენ თუ ჩვენს წინა თაობას აბსოლუტურად მოვეწონებით, მაშინ საქმე წინ ვერ წავა. მე რომ ჩემი შვილი არ მომეწონება, ეს მისი თაობის წინსვლას ნიშნავს, თორემ, რომ მომწონდეს, გამოდის, რომ ის ჩემნაირია და თაობებს შორის სხვაობა აღარ იქნება. მამაჩემსაც რომ არ მოვწონდი რაღაც-რაღაცების გამო, ამიტომ ამაყობს ახლა ჩემით. დღესაც არ მოსწონს რაღაც-რაღაცები, მაგრამ დრო გავა და მოეწონება...

— შენი აზრით, რამდენად ერთგულად მისდევს ტრადიციებს თქვენი თაობა?

— ქართული ტრადიციები რა არის, ეს ცოტა გაურკვეველია. ადამიანები სხვადასხვანაირად უდგებიან ამ ცნებას. ტრადიცია ზოგჯერ, არის რამდენიმე წლის წინ დანერგილი წესი, რომელიც „გაატრადიციეს“. უფრო კონკრეტულად მკითხე, რა ტრადიციაზე მელაპარაკები.

— ვთქვათ, ქართული სუფრის ტრადიციაზე, ვაჟკაცობაზე...

— მე ვარ ისეთი ოჯახის წარმომადგენელი, რომლის ყველა თაობის მამაკაცები განთქმული თამადები იყვნენ. ამ ტრადიციას მეც ვაგრძელებ და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ ბევრს ვერ ვსვამ. თამადა მხოლოდ ის ადამიანი არ არის, რომელიც პირველი ამბობს სადღეგრძელოს. თამადა არის ადამიანი, რომელიც სუფრას უძღვება. მოკლედ რომ ვთქვათ, სუფრის კარგი მენეჯერია. ქეიფი კარგად რომ წარიმართოს, აუცილებლად კარგი

თამადა უნდა ჰყავდეს, გინდა, 100-კაციანი სუფრა იყოს და გინდა — 7-კაციანი. ტრადიცია არის ის, რომ ქართველებმა კარგი ქეიფი იციან. მინახავს სუფრები, სადაც ვითომ ტრადიციულ სადღეგრძელოებს ამბობდნენ, მაგრამ სინამდვილეში, ის სუფრა ყველაფერ იმის შემარცხვენელი იყო, რითიც ქართველი მოქეიფეები ამაყობდნენ. პრობლემა ის არის, რომ ზოგიერთმა ტრადიციული სადღეგრძელო შეიძლება „სამ ჩ-ს“ უწოდოს ან „ჩვენს ტკბილ მოგონებას“. ეს არ არის ტრადიცია. ტრადიცია ის არის, რომ ქართველები სუფრასთან კარგ დროს ატარებენ და ქეიფი ღრეობაში არ გადადის. დღეს, მსუქანი ქართველების რაოდენობა გაცილებით გაიზარდა ადრინდელთან შედარებით. ადრე, უფრო ტანხმელი ქართველები იყვნენ, რომლებიც ღვინოსაც ზომიერად სვამდნენ, ქეიფიც იცოდნენ, მკლავიც უჭრიდათ და ა.შ.

— ქალიშვილობის ინსტიტუტზე რას იტყვი?

— ნელ-ნელა საზოგადობა სექსუალური რევოლუციისკენ მიდის და ძალიან მალე, ქალიშვილობა აღარ იქნება მთავარი. ქალსა და მამაკაცს შორის მთავარი, ადამიანური ურთიერთობებია. ორ ადამიანს შორის სულიერი დამოკიდებულება, ფიზიკურთან ერთად, არის ყველაფერი. როგორც შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც თითი აკლია ან თმა არ ამოსდის თავზე, ისევე შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელიც არ არის ქალწული...

— ახლა მეგობრობაზე ვისაუბროთ. როგორი მეგობრობა იციან შენი თაობის წარმომადგენლებმა?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი მეგობრობა წინა თაობაში არავის სჩვევია. ჩვენ მეგობრობისა და საერთო იდეების გამო, ისეთ რამეებზე გვაქვს უარი ნათქვამი, რომ... მშივრებიც ვყოფილვართ, ღამეებიც გვითენებია ქუჩაში, აგვიტანია დაცინვა, პრობლემები და კონფლიქტები ჩვენს ოჯახებში, შეყვარებულებს დავშორებივართ და ა.შ. ამ ყველაფერს ერთადერთი რამის გამო ვაკეთებდით — რომ ნათელი მომავალი ჰქონოდა ჩვენს მეგობრობას. ჩვენს მეგობრობაში დიდი ძალა დავინახეთ და დღემდე ჩემთვის ყველაზე საამაყონი, ჩემი მეგობრები არიან. მეგობრობაც განსხვავებულია: მაგალითად, ჩვენ ჯოკერს არ ვთამაშობთ, ხშირად არ ვქეიფობთ და სხვა მსგავს რაღაცებსაც არ ვაკეთებთ. მაგრამ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა ამით არანაირად არ კნინდება. ჩვენ სხვა საერთო ინტერესები გვაქვს. ალბათ, საქმე გვაქვს ბევრი და იმიტომ. მაგრამ მაინც უფრო მყარია ჩვენი მეგობრობა, ვიდრე ვიღაც ტიპებისა, რომლებიც რესტორნებში დადიან და ჯოკერს თამაშობენ...

— აბა, შენს მეგობრებთან ერთად არაფრით ერთობი ხოლმე?

— მართლა არ გვაქვს გართობის დრო. წელიწადში ერთხელ, შეიძლება, რაღაც შეკრება გვქონდეს, თუმცა არც ასეთი წლები გვაქვს ხშირად... თან, ჩვენ ძირითადად, ცოლიანი კაცები ვართ და თუ ვთქვათ, ჩვენ ვიცლით გასართობად, მეუღლეები ვერ იცლიან, ამიტომ არც ვერთობით...

— როგორ გამოხატავდით სიყვარულს? ამ გრძნობის ახსნის წერილობითი ფორმა თუ გამოგიყენებიათ?

— ზურიკელა ვაშალომიძის პონტში, პირადად მე, არ ვიქცეოდი, ეგ გზა არ ამირჩევია რატომღაც. თუმცაღა, ჩემ გარშემო არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ასე იქცეოდნენ. იმ ასაკში, როცა ჩემი თაობის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ სიყვარული ხელშეუხებელი რაღაცაა, მე ვთვლიდი, რომ სიყვარული არის ფიზიკურისა და სულიერის ერთობლიობა. ეს არის კონკრეტული დამოკიდებულება ადამიანისადმი: ის გიყვარს, გინდა და აუცილებლადაც უნდა მიხვიდე და იმ გოგონას პირდაპირ უთხრა შენი გრძნობების შესახებ. სხვანაირად, თვითგვემა გამოვა. მართალია, არც ისეთი ეკლესიური ვარ, მაგრამ ისედაც ვიცი, რომ უამრავი ცოდვა მაქვს ჩადენილი და არანაირი სურვილი არ მაქვს, ამ ცოდვებს კიდევ თვითგვემა დაემატოს...

— როგორ, გოგონებთან მიდიოდი და პირდაპირ ეუბნებოდი — მე შენ მინდიხარო?..

— არა — მე შენ მომწონხარ, მიყვარხარ-მეთქი, — და ამ გზით ძალიან მალე ხდებოდა ურთიერთობების გარკვევა. ამ გრძნობას ალბათ, სიყვარულიც არ ერქვა. იმ ადამიანისგან რაც მინდოდა, იმას ვიღებდი. მაგრამ თუ უარს მივიღებდი, ჩალიჩს აღარც ვაგრძელებდი. აბა, ერთი კოცნის გამო, მთელი წელი ხომ არ ვიჩალიჩებდი?!. ცხოვრებაში მიუღწეველი ოცნებები არ მიყვარს.

— სიყვარულზე ისეთი შეხედულების ყოფილხარ, რომ ალბათ, ქალის გამო სისულელეებსაც არ ჩაიდენდი...

— არა. სურვილი კი მქონდა, შეყვარებულის ფანჯრების წინ რომ მემღერა, მაგრამ რატომღაც ეს ვერ განვახორციელე.

როგორც შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც თითი აკლია ან თმა არ ამოსდის თავზე, ისევე შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელიც არ არის ქალწული...

არც არსაიდან გადმოვმხტარვარ, რადგან სიმაღლის მეშინია... არასოდეს მსგავსი რამ არ ჩამიდენია, რადგან ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩემი ასეთი საქციელი უფრო მეტ ყურადღებას გამოიწვევდა, ვიდრე საჭირო იყო: ჯერ გოგონასგან უნდა მეგრძნო სიყვარული...

— ხომ იცოდი, რომ ვერიკოს (მეუღლეს) უყვარდი. არც მისთვის გაგიკეთებია რაიმე განსაკუთრებული?

— მიუხედავად იმისა, რომ მეც და ვერიკოც მართლა რომანტიკულები ვართ, ჩვენ უკვე ზრდასრული, პასპორტიანი ადამიანები ვიყავით, როცა დავქორწინდით. ამიტომ მსგავსი სისულელეები არ ჩამიდენია, არ ღირდა ამის გაკეთება. თუმცაღა, ის გარემო, სადაც მე ვერიკოს სიყვარული ავუხსენი და სადაც ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ, ძალიან რომანტიკული იყო. მკითხველს, ვინც ჩემს ინტერვიუებს თვალს ადევნებს, ალბათ ეცოდინება, რომ ეს მოხდა სარფში, ზღვის პირას. ძალიან ლამაზი წუთები, საათები და დღეები იყო ჩვენთვის. ვერიკოს ძალიან უყვარს ყვავილები და ამ სიამოვნებას არ ვაკლებ, ხშირად ვუძღვნი. მიყვარს სიურპრიზების გაკეთება. მაგალითად, ვერიკო ბათუმში იყო წასული და ისე ჩავაკითხე, რომ წინასწარ არ გამიფრთხილებია. ზაფხულობით, როცა სურამში ისვენებს, იქაც ისე ჩავდივარ, რომ წინასწარ არ იცის და ჩემი მოულოდნელი დანახვით ვახარებ...

— ე.წ. „ქუჩის აკადემია“ თუ გაგივლია?

— „ქუჩის აკადემიას“ არ ვაღიარებ. ასეთი რამ არ არსებობს. ბირჟაზე როგორ არ ვმდგარვარ, მაგრამ ამას „ქუჩის აკადემია“ არ ჰქვია. ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც გავიარე. ვიღაცები ისევ ბირჟაზე დარჩნენ, მე კი, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარვმართე. მყავს მეგობრები, რომლებიც ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ. „ქუჩის აკადემიის“ წარმომადგენლები, ქურდები, ნარკომანები და ა.შ. ჩემს ცხოვრებაში არ შემოსულან და არც მე შევდივარ მათ ცხოვრებაში. არასოდეს მიჩხუბია, არასოდეს არავის დავუჭრივარ და არც პირიქით მომხდარა. მოკლედ, ყოველთვის კარგი ბიჭი ვიყავი...

— შენს მომდევნო თაობაზე რას იტყვი?

— მგონია, რომ მომავალ თაობაში ძალზე დიდი პოტენციალია. რომ ვთქვა — ისინი არ მომწონს-მეთქი, — ისეთივე ტიპი გამოვალ, როგორიც მამაჩემია... რა თქმა უნდა, მათში ბევრი რაღაც არ მომწონს, მაგრამ ისინი ჯერ პატარები არიან და ყველაფერს ისწავლიან. მთავარია, მათ გადაწყვეტილებების მიღების უნარი გამოიჩინონ ნებისმიერ საკითხში. საშუალება და გასაქანი უფრო მეტი აქვთ. ცხოვრების გზაც იმაზე უფრო გაწმენდილი აქვთ, ვიდრე ჩვენ გვქონდა. მათ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ, ამიტომ ძალიან ვაფასებ მათში არსებულ ენერგიულობას, ორიგინალობას და თავისუფლების ხარისხს. ქართული ელემენტები მათში ზუსტად იმდენია, რამდენიც საჭიროა... ■

სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის სტუმრობა, ხუმრობა რომ არ არის, ამაში უკვე კარგად დარწმუნდნენ მის მიერ დაჯარიმებული ობიექტების მესვეურებიც და ჩვენი საზოგადოებაც. დავით მესხიშვილი არც წინასაახალწლოდ ამბობს უარს მუშაობის აქტიურ ტემპზე: გასულ კვირას მან რამდენიმე რეგიონული სამსახურის უფროსი გაათავისუფლა თანამდებობიდან და ამავდროულად, ცოტა არ იყოს, ორიგინალური მეთოდებით სცადა ანტისანიტარიასთან გამკლავება.

როგორც შევიტყვეთ, მოუცლელობის მიუხედავად, დავით მესხიშვილმა დაოჯახებაც მოასწრო. ვინ არის მისი რჩეული, როდის იგრძნო დიდი სიამოვნება რესპუბლიკის მთავარმა სანიტარმა და რა კავშირი აქვს შონზოს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციასთან?

48-საათიანი თაფლობის თვე, სისუფთავისთვის ომის ფონზე...

ნინო ჯავახიშვილი

— გასულ კვირას ჩატარებული აქცია მართლაც ორიგინალური და უჩვეულო იყო. დაახლოებით 2000 შპრიცი გავანადგურეთ, ჩვენი აქცია იყო ერთგვარი პროტესტის გამოხატვაც ნარკომანიის წინააღმდეგ. ამ პრობლემის დასაძლევად რამდენიმე გზა არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყურადღება გავამახვილეთ ნახმარ შპრიცებზე, რომლებიც ყრია პირდაპირ ქუჩაში, ეზოებში, კორპუსებისა და კლინიკების მიმდებარე ტერიტორიებზე, სკოლის ეზოშიც კი... ჩემთვის გაუგებარი და წარმოუდგენელია, ექიმმა ნახმარი შპრიცი ფანჯრიდან როგორ უნდა მოისროლოს. მან ხომ ყველაზე კარგად იცის, ამით რა საფრთხე შეიძლება შეექმნათ ადამიანებს? ყველა კლინიკა ვალდებულია, შესაბამის სამსახურებთან გააფორმოს ხელშეკრულება, რათა სანიტარული წესების დაცვით მოხდეს ოპერაციის შემდგომი ნარჩენების განადგურება. ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი აქცია. ხომ შეიძლება, ბავშვი, რომელიც ეზოში თამაშობს და არ იცის, რა საფრთხეს წარმოადგენს შპრიცისთვის ხელის მოკიდება, დაინფიცირდეს. ამ აქციით დაინტერესდნენ ცნობილი ადამიანებიც. შონზო (ზურა გაჩეჩილაძე) კი, ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი გახლდათ და ღონისძიების დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობდა. ძალზე მესიამოვნა, საზოგადოებამ მხარი რომ დაგვიჭირა. დიდი სურვილი მაქვს, იმ ადამიანებმა, ვინც ქალაქს შპრიცებით აბინძურებს — ექიმი იქნება ეს თუ ნარკომანი, — მეტი სერიოზულობით შეხედონ ამ საკითხს.

— იქნებ გვითხრათ, ახლო მომავალში რა ღონისძიებებს დაგეგმავთ? თუ ეს გასაიდუმლოებული ინფორმაციაა?

— კონფიდენციალურია მხოლოდ რეიდები. ვგეგმავთ ერთ-ერთი რეგიონის კლინიკების მრავალმხრივ შესწავლას. ჩავალთ და ორიოდე საათში ერთდროულად შევამოწმებთ ყველა კლინიკას. ძალზე უკმაყოფილო ვარ თბილისის და რაიონების სანიტარული ინსპექციების მუშაობით — ნელი ტემპით სრულდება ის მოთხოვნები, რომლებსაც მათ ვუყენებ. ამიტომაც დავატოვებინე პოსტი ზოგიერთ ხელმძღვანელს. ალბათ რამდენიმე რაიონის სანიტარული ინსპექციის უფროსის პასუხისმგებლობის საკითხსაც დავაყენებთ. გვაქვს მასალა, რომელიც გადაეცემა პროკურატურას შემდგომი კვლევისთვის, ზოგიერთი ფაქტის გამო კი, შეიძლება, კონტროლის პალატასაც მივმართოთ.

— თქვენ მიერ ჩატარებული თითქმის ყველა ღონისძიება ვრცლად შუქდება მასმედიის მიერ. ამიტომაც ხომ არ გდებენ ბრალს ოპოზიციონერები იმაში, რომ „პიარშიკი“ ხართ?

— გეთანხმებით. ჩვენი აქცია ხმირად, სკანდალურია და ამას თავისი საფუძველიც აქვს. ზოგიერთები კი ამბობენ ჩემზე, „პიარშიკიაო“, ის კი არ იციან, რომ პიარი საზოგადოებასთან ურთიერთობას ნიშნავს და ძალიან კარგი რამეა, მით უმეტეს, თუ მას საქმე უდევს საფუძვლად. ასე რომ, ეს ამბავი ნაკლებად მაღელვებს. ერთი წლის წინ, თუ არავინ იცოდა, რა ფუნქციები აკისრია ჩვენს სამსახურს, ბოლო კვლევის შედეგებით, მოსახლეობის 40-50% კარგადაა გარკვეული ამაში. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მოიმატა ცხელ ხაზზე შემოსული ზარების რაოდენობამ. პირადად მე, ბევრი საჩივრის შესამოწმებლად გავსულვარ ადგილზე.

— კვლავაც აქტუალურია სანიტარული ნორმების დარღვევა სკოლებსა თუ ბაგა-ბაღებში. ალბათ ყველა მშობელი აღაშფოთა ერთ-ერთი ბაგა-ბაღის მასწავლებლის მშვიდმა ტონმა — რა ვქნათ, ვირთხები მართლაც არიან შენობაში. რამდენად დაზღვეულია მშობელი, ამგვარი შემთხვევებისგან?

— ხსენებული სიუჟეტის შემდეგ, მშობლების მხრიდან გარკვეული უნდობლობა მართლაც გაჩნდა, მაგრამ გარწმუნებთ — სადმე ინფექციის კერა თუ არის, ამის შესახებ ინფორმაციას ვფლობთ და საჭიროების შემთხვევაში, ვხურავთ კიდეც. ჩვენ შევამოწმეთ ქვეყნის მასშტაბით ყველა სკოლა და ბაგა-ბაღი. გარდა ამისა, განათლების მინისტრთან ერთად გადავწყვიტეთ, მომავალში ერთობლივი რეიდები მოვაწყოთ.

— ბაზრებზე რას გვეტყვით — საახალწლოდ თბილისელებს მოწესრიგებული დახლები დახვდება?

— ბაზრის ხელმძღვანელებს გეგმა-დავალებები უკვე მივეცი და ვფიქრობ, ყველა ბაზარში საახალწლოდ, იმაზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნება, ვიდრე გასულ წელს იყო. ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ფრინველის გრიპის ვირუსი. საქართველოში მტრედისა და შაშვის სიკვდილიანობის ერთიორი შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ ფრინველიც ბერდება და კვდება, ამიტომ საშიში არაფერია. პანიკის საფუძველი არ გვაქვს.

— ვფიქრობ, ინფორმაცია თქვენ დაოჯახების შესახებ კონფიდენციალური არ არის. გილოცავთ გაბედნიერებას. იქნებ, თქვენ მეუღლის შესახებ გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

— ჩემი მეუღლე, მაკა მჭედლიძე გახლავთ. გერმანული ენის სპეციალისტია, უნივერსიტეტსა და გოეთეს ინსტიტუტში მუშაობს. მე და მაკა თანაკლასელები ვიყავით. სკოლის დამთავრების შემდეგ, ურთიერთობა აღარ გვქონდა. ბოლო ერთი წელია, რაც ერთმანეთს ვხვდებით. დაქორწინება გადავწყვიტეთ და ეს ამბავი გასულ კვირას მოკრძალებულად აღვნიშნეთ კიდეც. ქალაქიდან მხოლოდ 2 დღით გავედით — მცხეთაში. ეს იყო ჩვენი თაფლობის თვე. უფრო ზუსტად — თაფლობის 48 საათი. სამსახურებრივ საკითხებზე იმ 2 დღის განმავლობაშიც გამუდმებით ვურეკავდი თანამშრომლებს. რა ვქნა — სამუშაოს ერთი წუთითაც ვერ ვწყდები, წყნარ გარემოში ვერ ვისვენებ... არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ აქტიური ცხოვრება უფრო მომწონს. მეუღლეც ხელს მიწყობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომ გააპროტესტებდა! შინაგანი პროტესტი კი, ვფიქრობ, მაინც ექნება...

— ეი. მისგან საყვედურები ჯერ არ დაგიმსახურებიათ?

— ჯერჯერობით, არა. დაოჯახების შემდეგ, ბუნებრივია, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და მეტი ტვირთი მაწევს. სახლიდან დილით გამოვდივარ და გვიანობამდე ვმუშაობ. ღამის 12 საათზე და უფრო გვიანაც ვბრუნდები ხოლმე შინ. მაკა უფრო ადრე ამთავრებს სამუშაოს და მელოდება. სანამ ჩემი მეუღლე გახდებოდა, მოვლენებს ადევნებდა თვალყურს და წინასწარ იყო შეგუებული ამას... რა ვიცი, ჯერჯერობით რამდენიმე დღეა, ერთად ვცხოვრობთ და საყვედური არ უთქვამს. რამდენიმე დღე კი არა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი — რამდენიმე ღამე-მეთქი: სამწუხაროდ, დღისით ჯერ არ მინახავს *(იცინის)*. ღმერთმა ქნას, მომავალ წელს „გავფართოვდეთ“ და უკვე სამნი — ბავშვთან ერთად წავიდეთ სადმე დასასვენებლად.

— საინტერესოა, როგორია მთავარი სანიტარი ოჯახში?

— შარიანი... ძალიან მოწესრიგებული ვარ: მიყვარს, როცა ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. მიმაჩნია, რომ ამქვეყნად ყველაფერს და ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს... ■

გელფრენდ-მოიფრენდი ქართულ სინამდვილეში



ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც საქართველოში გელ-ფრენდ-ბოიფრენდის ურთიერთობას ელობება, ის ჩვენში მაინც იკიდებს ფეხს. თუმცა, უმრავლესობას ალბათ, მაინც ის ადამიანები წარმოად-გენენ, ვინც თუ კატეგორიულად არ უარყოფს დაუქორწინებლად ერთად ცხოვრებას, თავად ამ ნაბიჯის გადადგმას გაუმართლებლად მიიჩნევს. გამოდის, რომ წყვილი, რომელსაც წარმოგიდგენთ — ნუცა და გეგა — სხვაგვარად ფიქრობს: ამ ახალგაზრდებმა შეუღლების, თავისუფალი თანაცხოვრების გზა აირჩიეს და ფიქრობენ, რომ სწორი ნაბიჯი გადადგეს.

გვანცა მამისაშვილი

გეგა, *25 წლის:*

— სამი წელია, რაც შეყვარებულები ვართ. თავიდანვე გვქონდა გადაწყვეტილი, რომ ვიდრე დავქორწინდებოდით, ერთად ვიცხოვრებდით, რადგან ჩვენი აზრით, ასე უფრო კარგად გავიცნობდით ერთმანეთს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ერთად ვცხ-ოვრობთ და ჯერჯერობით, ყველაფერი რიგზეა.

ნუცა, *24 წლის:*

— ჩვენ გარშემო ძალიან ბევრი ოჯახი ინგრევა და პირადად მე, ამის მიზეზად, მხოლოდ ის მომისმენია, რომ მომავალი მეუღლეები ერთმანეთს კარგად არ იც-ნობენ. სწორედ ამიტომ მივიღეთ ეს გადა-წყვეტილება. ვცდილობთ, ზედმეტი პრობ-ლემები ავიცილოთ თავიდან.

— თქვენი გადაწყვეტილების განხ-ორციელებას დიდი წინააღმდეგობე-ბი შეხვდებოდა...

გეგა:

— რა თქმა უნდა, შეგვხვდა, რადგანაც ქართული რეალობისთვის ასეთი ურთ-იერთობები ძალზე უცხოა. ჩვენს გადაწ-ყვეტილებას პირველი რეაქცია მშობლები-სგან მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ მათ თავიდან იცოდნენ ჩემი და ნუცას სიყ-ვარულის შესახებ, როცა ოთხივე ერთად დავსვით და ვუთხარით, რომ ყველანაირი ჯვრისწერისა და ხელის მოწერის გარეშე ვაპირებდით ერთად ცხოვრებას, გადა-ირივნენ. დედებმა ტირილი დაიწყეს — ოჯახს გვირცხვენთ, ნათესავებს და მე-ზობლებს თვალებში როგორ შევხედოთო?!. მამებმა კი ცალ-ცალკე გაგვიყვანეს და ცდი-ლობდნენ, დავერწმუნებინეთ, რომ ხელი აგვეღო ამ გადაწყვეტილებაზე. მამაჩემი მეუბ-ნებოდა, რომ მომავალში ვინანებდი, ნუ-ცასაც მომავალს დავუნგრევდი. ისიც კი მითხრა — ვაითუ, არაფერი გამოგივიდეთ და მერე ნუცას მშობლებმა გიჩივლონ გოგოს შეცდენისთვის, მერე რა უნდა ქნაო?.. ცოტა ხანში მამას, ატირებული დედაჩემი შეენ-აცვლა — მაგისთვის გაგზარდე, რომ ოჯახ-ისთვის ლაფი დაგესხაო? ნუცა ანგელოზ-ივით გოგოა და თუ მაინცდამაინც ერთად გინდათ ცხოვრება, დაოჯახდით და ჩვენც დავწყნარდებითო... სანამ დედაჩემი და მამა-ჩემი ჩემს გადარწმუნებას ცდილობდნენ, მე ფიქრით ნუცას გვერდით ვიყავი: მას მე-ორე ოთახში უყვიროდა მისი დედ-მამა. მოგკლავთ და არ მოგცემთ მაგის უფლე-ბასო, — ეუბნებოდნენ. ჩემდა გასაოცრად, ნუცამ მედგრად დაიცვა ჩვენი პოზიცია.

ნუცა:

— შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სიტუაცია იქნებოდა?! მამაჩემი და დედა-ჩემი თავს იკლავდნენ: არაფერი დაგკლებია ცხოვრებაში, რამ გაგაგიჟა, საკუთარ თავზე იფიქრე, რას იტყვიან ახლობლებიო?! ბავშ-ვობაში მანქანა დამეჯახა, ძლივს გადამარ-ჩინეს და მამაჩემმა ახლა მითხრა: მერჩივნა, მაშინ არ გადარჩენილიყავი, ვიდრე ასე მომქცეოდი, რა ვქნა, ხალხში როგორღა გამოვჩნდეო?!.

გეგა:

— ცალ-ცალკე რომ „დაგვამუშავეს“, მერე ერთად დაგვსვეს, თვითონ ნერვიუ-ლად დადიოდნენ ოთახში წინ და უკან, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს: თუ უარს არ იტყვით მაგ გადაწყვეტილებაზე, დაივიწყეთ ჩვენი არსებობაო! მაგრამ ჩვენ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი გვქონდა. როცა ნაქირავებ ბინაში გადავედით, არც კი რეკავდნენ. მერე გავიგეთ, რომ ნუცას დედას ახლობლებისთვის უთქვამს — საზღ-ვარგარეთ სამოგზაუროდ გავუშვითო... რამდენიმე კვირის წინ დამირეკა დედაჩემ-მა. ნუცას მშობლები ჯერ არ რეკავენ, თუმცა, სახლში როცა გავივლით ხოლმე, ნორ-მალურად გველაპარაკებიან.

ნუცა:

— სახლში გავლა რას ნიშნავს, იცით?.. მე გეგას გარეშე და გეგა უჩემოდ, ნახევარი საათით რომ შევივლით. მიუხედა-ვად იმისა, რომ უკვე რამდენიმე თვეა, რაც ერთად ვართ, მშობლები მაინც ვერ შეე-გუვნენ ჩვენს გადაწყვეტილებას. მამაჩემი დღესაც არ მელაპარაკება. ჩვენც არ გვინ-და მათი ზედმეტად გაღიზიანება და ვცდი-ლობთ, რაც შეიძლება ნაკლებად მოვხვ-დეთ თვალში. მე და გეგა თანაცხოვრებას მათ ხარჯზე არ ვაპირებდით. გადაწ-ყვეტილების განხორციელება მხოლოდ მა-შინ მოვახერხეთ, როცა გეგამ კარგი სამ-სახურის წყალობით, მყარ მატერიალურ მდგომარეობას მიაღწია. ასე რომ, ამ მხრი-ვაც უკვე დამოუკიდებლები ვიყავით. ნა-ქირავებ ბინაში ვცხოვრობთ და ჩვენს თავს ჩვენ თვითონვე ვუვლით. ასე რომ, მატე-რიალური გარანტიები გადაწყვეტილების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

გეგა:

— რაც შეეხება სხვა წინააღმდეგობებს: საზოგადოებისგან გარკვეულწილად გარიყულები აღმოვჩნდით. მე და ნუცამ სახლიდან შორს ვიქირავეთ ბინა, მშობლებ-ისთვის სხვა ზედმეტი პრობლემები რომ არ შეგვექმნა. მათ ხომ ყველაზე მეტად ის აწუხებდათ, მეზობლები და ნაცნობები რას იტყოდნენ!.. მაგრამ არც ჩვენი ახალი მე-ზობლები აღმოჩნდნენ უკეთესები: რომ გავივლით მე და ნუცა, როგორც კი ერთი ნაბიჯით გავცდებით მათ, მაშინვე ჩურ-ჩულს იწყებენ, გამარჯობის გარდა, არაფერს გვეუბნებიან და უცნაურად გვიყურებენ... მხოლოდ რამდენიმე ახალ-გაზრდასთან გვაქვს ნორმალური ურთ-იერთობა. მეც და ნუცასაც უმცროსი და-ძმები გვყავს. საბედნიეროდ, მშობლები ჩვენთან მოსვლას არ უშლიან. ყველაზე მეტად მათი სტუმრობა გვიხარია. ჩვენი გადაწყვეტილება მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან იცოდნენ, რომ ამას ვაპირებდით. ერთხელ ნუცას დამ გვითხრა: — ეს რა გააკეთეთ, წამით მაინც დაფიქრე-ბულიყავით ჩემზე — ყოველ საღამოს შე-გონებებისა და დარიგებების ატანა უკვე აღარ შემიძლიაო... 18 წლისაა და ნუცას მშობლებს ეშინიათ, მეორე შვილმაც არ „შეარცხვინოს“... მეგობრები გვეუბნებოდ-ნენ, რომ არ უნდა გადაგვედგა ეს ნაბიჯი — მაინც საქართველოაო... თუმცა, ჩვენ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არასდროს გამოუმჟღავნებიათ. თითქმის

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. სანდალი მომცრო ნავია.

2. ნერონმა ცემით მოკლა საკუთარი ცოლი.

3. ინდირა განდი საკუთარი დაცვის ორმა წევრმა მოკლა.

4. ჩინელები ქაღალდის რამდენიმე ფენისგან აბჯარს ამზადებდნენ.

5. კარკასული ტიპის სახლებს სეისმოლოგები მკვლელებს ეძახიან.

6. პატარა ოთახს ახალდაქორწინებულთათვის იმერეთში სანთიობო ერქვა.

7. აბრამ ლინკოლნის ქანდაკება მარმარილოს 28 ნაჭრისგან არის აგებული.

8. ოფიჭო, ბლის გამხმარი ქერქია, რომლისგანაც ქვევრის სარეცხ სარცხს აკეთებენ.

9. „ვსე მუშჩინი სვინიი, ზა ისკლიუჩენიემ ტეხ, კატორიე კაზლი“, — ამბობენ რუსი ქალები.

10. „ანდროპოვის ყურებს“ რესპუბლიკის მოედანზე მეორენაირად, „ბრეჟნევის კარდიოგრამას“ ეძახდნენ.

11. ბუნებაში ძალზე ცოტაა კაციჭამია ვეფხვი. ვერაფრით გამოიცნობთ ამის მიზეზს — მათ უბრალოდ, ეშინიათ ადამიანის.

12. უოლტ დისნეი კინოისტორიაში შევიდა, როგორც რეკორდული რაოდენობის — 32 „ოსკარის“ მფლობელი.

13. ამერიკულ ტანკ „აბრაამსს“ მოტორის დასაქოქად და გასახურებლად 30 ლიტრი ბენზინი სჭირდება.

14. პირველ მსოფლიო ომში საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი შარლ დე გოლი ხუთჯერ იყო დაჭრილი.

15. გრეტა გარბო არასოდეს იძლეოდა ინტერვიუსა და ავტოგრაფს. 36 წლის ასაკში მან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა კინემატოგრაფთან. დღესაც არავინ იცის ამის მიზეზი.

16. 1000 წლის წინ ჩინელმა სწავლულებმა, რომლებიც სიცოცხლის ელექსირს ეძებდნენ, კალიუმის გვარჯილა, გოგირდი და ხის ნახშირი აურიეს ერთმანეთში და მიღებული მასა გაახურეს. გახურებამ აფეთქება გამოიწვია. ასე, სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს დენთი.

17. ალექსანდრე დიუმას ოდნავადაც არ ქენჯნიდა სინდისი, როდესაც საკუთარ მოგზაურობათა დღიურში ისეთ ქვეყნებსაც აღწერდა, სადაც სინამდვილეში, არ ყოფილა.

18. ატილას ეპოქის ყველა ჰუნ მა-

ყველა ეთანხმება ჩვენს გადაწყვეტილებას, ნათესავები კი, ჩვენს მშობლებთან ჩვენს უზნეობაზე ლაპარაკის მეტს არაფერს აკეთებენ და თუ ქუჩაში შემთხვევით შევხვდით, ვითომ ვერც გვამჩნევენ. ოღონდ ეს ახალგაზრდებს არ ეხება — ისინი ჩვენთან სტუმრადაც მოდიან და საკმაოდ კარგი ურთიერთობაც გვაქვს.

— ეი. მიგაჩნიათ, რომ წყვილის ქორწინებამდელი თანაცხოვრება მყარი ოჯახის გარანტიას წარმოადგენს?

ნუცა:

— ჩემი აზრით, ეს ურთიერთობები ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს მომავალი ოჯახის სიმყარეს. ძალიან ბევრი რამეა — თუნდაც, მყარი მატერიალური მდგომარეობა, ფსიქოლოგიური და სქესობრივი შეთავსება, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია და ა.შ. ეს ყველაფერი კი მოქცეულია თანაცხოვრებაში. ზოგი ცოლ-ქმარი დაოჯახებიდან რამდენიმე თვეში ვეღარ იტანს ერთმანეთს. ცოლი ქმრის სარეცხს ზიზღით რეცხავს და საჭმელს წყევლა-კრულვით უმზადებს, ქმარი კი ყოველ ნაბიჯზე ცოლს აკრიტიკებს, აღარ ენდობა და ოჯახიც ინგრევა. თანაცხოვრებამ ჩემსა და გეგას სიყვარულს გარკვეულწილად გამოცდა მოუწყო. ამ პერიოდში, გეგა უფრო შემიყვარდა და მის მიმართ ნდობა უფრო გამიმყარდა. ის საკმაოდ თავისებური პიროვნებაა, არ უყვარს გრძნობების გამომჟღანება და ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ყურადღებიანი და თბილი იქნებოდა. მაგრამ მაინც, არც ერთხელ არ მიფიქრია — პირდაპირ რატომ არ დავოჯახდით-მეთქი? პირიქით — ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზეც ადრეა ჩვენი შეუღლება: ჯერ კიდევ უნდა გავიდეს დრო და ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება მერე უნდა მივიღოთ.

გეგა:

— ნუცამ ამ პერიოდში გამოამჟღავნა თავისი ძლიერი ხასიათი: მაშინ, როცა მის მშობლებს არც კი დაურეკავთ, როცა ნათესავები და მეზობლები ზურგს უკან უაზრობებს ლაპარაკობდნენ, მას ერთხელაც არ უთქვამს — რატომ გადავდგით ეს ნაბიჯიო?! ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ადამინია, რომელსაც ბოლომდე ვენდობი. ახლა ვფიქრობ — რომ დავქორწინებულიყავით, არანაირი პრობლემა არ შეგვექმნებოდა. მაგრამ დაოჯახების მერე, რომ ვერ შევწყობოდით ერთმანეთს, ეს ხომ უარესი იქნებოდა! მე და ნუცა ბედნიერები ვართ, ერთმანეთი გვიყვარს და ერთად ვცხოვრობთ. როცა მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი გრძნობები საბოლოოდ გამყარდა, ხელსაც მოვაწერთ და ჯვარსაც დავიწერთ.

ევროპასა და ამერიკაში მცხოვრები წყვილები ჯერასდროს წარმოიდგენენ, რომ ამ ურთიერთობების გამო შეიძლება, ისეთმა პრობლემებმა იჩინოს თავი, როგორიც ნუცასა და გეგას წინაშე დგას. რადგან როგორც ვიცი, იქ ამგვარი თანაცხოვრება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. და მაინც, საინტერესოა, როგორია დასავლური გელფრენდ-ბოიფრენდის „ინსტიტუტი“, იმ ქართველი გოგონას თვალით დანახული, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე აკვირდებოდა მას ამერიკაში?

რუსუდანი, *სტუდენტი, 21 წლის*:

— ამერიკაში შეხვდებით ისეთ წყვილებს, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ისეთ წყვილებსაც, რომლებიც წლობით შეყვარებულები არიან, მაგრამ ერთმანეთისთვის არც კი უკოცნიათ. როცა ისინი ერთმანეთს გელფრენდ-ბოიფრენდს ეძახიან, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მათ ძალიან სერიოზული ურთიერთობა აქვთ. ერთად ცხოვრობენ თუ არა, მათთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. იქ, როცა ბიჭს მოსწონხარ, მოდის და პირდაპირ გეუბნება — არ გინდა, ჩემი გოგო იყოო? ასე რომ მათთვის ეს ურთიერთობები ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენში კი, სულ სხვანაირადაა ყველაფერი: მაშინაც კი, როცა ბიჭთან დიდი ხნის ურთიერთობა გაქვს და ყველაფერი იქითკენ წავა, რომ ფიზიკურ ურთიერთობაზე თანხმდები, მასაც უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება შენ მიმართ... სქესობრივ შეთავსებას დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის სიმყარისთვის. ამიტომ, ჩემი აზრით, კარგიც კია ასეთი ურთიერთობები. მაგრამ ჯერ ამას საქართველოში ვერ აცნობიერებენ. თუმცა, რა გასაკვირია? როცა საქართველოში დავბრუნდი, არა მარტო ბიჭებისგან, ჩემდამი ყველასგან საეჭვო დამოკიდებულება ვიგრძენი — თითქოს, რაკი ამერიკაში ვიცხოვრე, ეს ჩემს ზნეობაზე იმოქმედებდა...

საქართველოში გელფრენდ-ბოიფრენდის ურთიერთობების ჩამოყალიბებას ახალგაზრდების ნაწილი მხარს უჭერს, ნაწილი კი ამ საკითხთან დაკავშირებით სიფრთხილეს იჩენს. იმისათვის, რომ უფრო კარგად გავრკვეულიყავი, თუ რას ფიქრობენ ამ საკითხზე ახალგაზრდები, სოციოლოგიური მინიგამოკითხვა ჩავატარე: 16-დან 25 წლამდე 50 ბიჭს და 50 გოგოს დავუსვი კითხვა — მხარს უჭერთ თუ არა გელფრენდ-ბოიფრენდის ურთიერთობის ჩამოყალიბებას? ამ კითხვას დადებითი პასუხი ბიჭების 76%-მა, უარყოფითი — 24%-მა გასცა — თუმცა, ისინი აღნიშნავდნენ, რომ გოგონასთან ერთად კი იცხოვრებდნენ, მაგრამ მას ცოლად არავითარ შემთხვევაში აღარ მოიყვანდნენ...

გიორგი, *22 წლის:*

— გოგოსთან კი ვიცხოვრებდი, მაგრამ ცოლად მას არ მოვიყვანდი. ცოლთან ყველაფერი პირველ ღამეს უნდა მოხდეს.

ნიკა, *20 წლის*:

— შეიძლება, ვიღაცისთვის მისაღებია, მაგრამ ჩემი აზრით, საქართველოში ასეთი რამ არ უნდა მოხდეს.

გიგი, *25 წლის:*

— არავითარ შემთხვევაში არ დავუჭერ მხარს. პატარა და მყავს და ჩემმა დამ რომ ბოიფრენდი გაიჩინოს, ჯერ იმას მოვკლავ და ჩემს დასაც ზედ მივაყოლებ...

გოგონებიდან კითხვას დადებითი პასუხი 28%-მა გასცა, უარყოფითი კი — 72%-მა. დადებითი პასუხის მიზეზად, რესპონდენტები (გოგონებიც და ბიჭებიც) ერთმანეთის უკეთ გაცნობას ასახელებენ და ოჯახების დანგრევის მიზეზად მიიჩნევენ

იმას, რომ მომავალი მეუღლეები ერთმანეთს კარგად არ იცნობენ. უარყოფითი პასუხის მიზეზად, ძირითადად სახელდება: ქართული მენტალიტეტი, სარწმუნოება და ტრადიციები. აღსანიშნავია, რომ გოგონების ის ნაწილი, რომელიც კითხვაზე უარყოფითად პასუხობდა, ამავე დროს აღნიშნავდა — რომ თუ არა ქართული მენტალიტეტი, მხარს დაუჭერდა ასეთ ურთიერთობებს, რადგანაც წყვილის ქორწინებამდელი თანაცხოვრება ოჯახის სიმყარის გარანტიას წარმოადგენს.

სალომე, *19 წლის:*

— მე კი მხარს ვუჭერ, მაგრამ ეს რომ გავაკეთო, იმავე დღეს, ჩემი ოჯახის ყველა წევრი მტკვარში გადახტება...

მაია, *25 წლის*:

— არ ვუჭერ მხარს — ეგ უზნეობაა და მეტი არაფერი!

ნინო, *20 წლის:*

— ჩემი აზრით, ასეთი ურთიერთობები საჭიროა, მაგრამ ტრადიციები და მენტალიტეტი ამის საშუალებას არ გვაძლევს.

ახლა კი, პროფესიონალს — სოციალურ ფსიქოლოგს, დავუგდოთ ყური:

— თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, ახალგაზრდებში დამკვიდრებული აზრი, რომ წყვილის ქორწინებამდელი თანაცხოვრება მომავალში მყარი ოჯახის გარანტიას იძლევა?

მარიანა მიჩიტაშვილი, *სოციალური ფსიქოლოგი:*

— თანაცხოვრებისას ნამდვილად უკეთ ეცნობი ადამიანს. შეყვარებულებიც რომ არ იყვნენ და უბრალოდ, როგორც ჩვეულებრივმა მეგობრებმა, გადაწყვიტონ ერთად ცხოვრება, ისინიც კი უამრავ ახალ თვისებას აღმოაჩენენ ერთმანეთში. გოგონები ჩვენში ჩქარობენ გათხოვებას, მიყვარს და გავთხოვდებიო, — ამბობენ. 25-27 წლის ასაკში კი, როცა ადამიანს შეხედულებები ეცვლება, შეიძლება, სულაც აღარ მოეწონოს ეს ადამიანი. ამიტომ საჭიროა ეს საპასუხისმგებლო ნაბიჯი გვიან გადაიდგას, რათა პრობლემები თავიდან ავიცილოთ. მაგრამ აქვე ჩნდება მეორე საკითხი, რა ვუყოთ სექსუალურ მოთხოვნილებას, რომელიც, უნდა თუ არა, ადამიანს აქვს?.. ბოლოდროინდელი ტენდენციით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ოჯახები ძირითადად, სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იქმნება და სწორედ ამიტომ ინგრევა ბევრი მათგანი. ასეთ ოჯახებში პრობლემაც მეტი ჩნდება და რადგანაც არ არსებობს სიყვარული, რომელიც ოჯახის სიმტკიცის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, მატულობს როგორც ღალატის პროცენტი, ასევე ფსიქიკური პრობლემები და ეს ყოველივე მეუღლეთა გაყრით მთავრდება. ცალსახად იმის თქმა, რომ სწორედ გელფრენდ-ბოიფრენდის ურთიერთობები გადაარჩენს ოჯახს და საჭიროა, რომ შეყვარებულმა წყვილმა ერთად იცხოვროს, არ შეიძლება, რადგან ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ჩვენი მენტალიტეტიდან, ქალიშვილობის ინსტიტუტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალზე რთულია ამ საკითხის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა. შეიძლება, თაობების მერე, რაიმე შეიცვალოს. იდეაში ეს ურთიერთობები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ — არა საქართველოში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში არ გაამართლებს?

— გაამართლებს თუ არა, ეს კულტურაზეა დამოკიდებული. ევროპასა და ამერიკაში ასეთი ურთიერთობები მისაღებია იმიტომ, რომ იქ ინდივიდუალური კულტურაა — ანუ იმ სამყაროში ინდივიდები დამოუკიდებლად არსებობენ და ერთმანეთის ცხოვრებაში არ ერევიან, ჩვენში კი, ყველაფერი პირიქითაა, რადგან საქართველოში კოლექტიური კულტურაა და ყველა ვალდებულადაც კი მიიჩნევს თავს, რომ სხვის საქმეში ჩაერიოს. სწორედ ამიტომ, ცოტა ვინმე თუ შეძლებს ჩვენში ასეთი ნაბიჯის გადადგმას. გარდა ამისა, ჩვენში ქალიშვილობის ინსტიტუტი ფასობს, რაც გოგონებს არ აძლევს იმის გარანტიას, რომ ასეთი ურთიერთობების შემდეგ ისინი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ხელნაკრავები არ იქნებიან... ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ თანაცხოვრებას სჭირდება მყარი მატერიალური გარანტიები, რომლებიც საქართველოში არათუ ახალგაზრდას, არამედ ზრდასრულ ადამიანსაც კი არ გააჩნია... ჩნდება კიდევ ერთი საკითხი: არ შეიძლება, დაუფიქრებლად მოიქცე და თუ ერთ ადამიანთან თანაცხოვრებისას არ გაგიმართლა, მეორესთან გადაწყვიტო ცხოვრება, მერე — კიდევ სხვასთან და ასე, დაუსრულებლად. ამ ურთიერთობებმა აღვირახსნილობის სახე არ უნდა მიიღოს...

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ასეთი სახის ურთიერთობა გოგოს არ აძლევს იმის გარანტიას, რომ ის მომავალში, ხელნაკრავი არ აღმოჩნდება. ჩვენი გამოკითხვისას, ბიჭების 76%-მა აღნიშნა, რომ გოგონასთან იცხოვრებდა და მას ცოლადაც მოიყვანდა, გოგოების 72%-მა კი, შეკითხვას უარყოფითი პასუხი გასცა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ასეთი განსხვავებული შეხედულება?

— შეიძლება, ნელ-ნელა მენტალიტეტი იცვლება, რის შესახებაც გოგონებმა არ იციან. სუსტ სქესს არა აქვს იმის გარანტია, რომ ასეთი ურთიერთობების მერე, საკითხი მათთვის დადებითად გადაწყდება, ამიტომ პასუხი — „არა“ — მათთვის უფრო მისაღებია: რომ იტყვიან, ისინი ბევრს კარგავენ, ბიჭები კი — რას კარგავენ? არაფერს. შეიძლება ითქვას, რომ პირიქითაც კია, რადგან ისინი „ქულებს იწერენ“, გარკვეული პიროვნებების თვალში. ჩვენს ქვეყანაში სქესობრივი თანასწორობა არ არსებობს: რაც ეპატიება ბიჭს, არ ეპატიება გოგოს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს ურთიერთობები ნამდვილად კარგია, მაგრამ საქართველოში ასეთი ნაბიჯის გადადგმას არავის ვურჩევ.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

მაკაცს სახეზე ნაჭრილობევი ჰქონდა. ეს იარები ყოველთვის ბრძოლაში როდი იყო მიღებული — ჰუნები, სანამ ახალდაბადებულ ვაჟს დედას გადასცემდნენ, სახეს უსერავდნენ.

19. „არასდროს შეიბრალოთ მტერი. თუ ბრძოლაში ჩაებით, ეცადეთ, მოწინააღმდეგეს სრულად მიუზღათ საკადრისი“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი.

20. პეტრე ჩაიკოვსკი თბილისში მცხოვრებ ძმას ნიუ-იორკიდან სწერდა — თბილისიდან საცხოვრებლად არსად გადახვიდე, ჩემი საყვარელი ქალაქია, სიცოცხლის უკანასკნელი წლები მანდ მინდა გავატაროო.

21. ერთხელ, მას შემდეგ, რაც კახა ცაბაძემ მაყურებელთა დაჟინებული თხოვნით შეასრულა მამამისის, გოგი ცაბაძის სიმღერა — „ჩემო თბილის ქალაქო“, მასთან ხანდაზმული სომეხი კაცი მივიდა და უთხრა: „კახა ბატონო, მამათქვენი „ჩვენო თბილის ქალაქოს“ მღეროდა!“.

22. ინგლისის კანონი კრძალავს ბილწსიტყვაობას მათთვის, ვისაც ინგლისურ მიწაზე უდგას ფეხი. ამის გამო ლონდონში, ჰაიდპარკში შეკრებილი ორატორები ხის ყუთებზე დგებიან და ისე ილანძღებიან.

23. „პიერ კარდენის კომერციული ნიჭი, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია. იაპონური კაპიტალი რომ არა, კარდენი არც იარსებებდა“, — ამბობენ ფრანგები. „კარდენი ეს მე ვარ, ის კი მხოლოდ პიერია“, — ამბობს კარდენის იაპონელი მენეჯერი, ქალბატონი ტაკადა.

24. ძველრომაელთა მოკლე ხმალს გლადიუსი ერქვა. ამ ხმლის პირი 56 სანტიმეტრის სიგრძის იყო, კილოგრამნახევარს იწონიდა და იდეალურ იარაღად ითვლებოდა ბრძოლის ველზე, სანამ თოფის წამალი არ გამოიგონეს. P.S. გლადიუსის უბადლო ფლობის გამო ეწოდათ არენაზე მოასპარეზე მონებს გლადიატორები.

25. პროგრამა „დისქავერიმ“ ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენა ამერიკელი მათხოვარი, რომელიც იჯდა ყულაბით ხელში და მღეროდა. კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული წარწერა: „მაჩუქეთ 25 ცენტი და გავჩუმდები!“

თმის ცვენას ზოგჯერ ნევროზი ან დიეტა იწვევს

როგორი ვარცხნილობები და რა ფერის თმაა დღეს მოდაში? ამ კითხვებზე კვალიფიციური პასუხის მისაღებად, ერთ-ერთ პოპულარულ სტილისტს, ბადრი სუნჯოევს ვესტუმრეთ.

— დღეს მოდაშია გრძელი ტალღოვანი თმა, სქელი „ჩოლკით". საერთოდ, ვარცხნილობა უნდა იყოს მაქსიმალურად ბუნებრივი.

— ფერზე რას გვეტყვი, რომელია მოდაში?

— მოდაშია შემოდგომის თბილი ფერები, განსაკუთრებით — წაბლისფერი და წითელი.

— თინეიჯერები უფრო მეტად როგორ ვარცხნილობას ირჩევენ?

— გრძელ, ბუნებრივ ვარცხნილობას. თუმცა, ბევრი ძალზე მოკლედ შეჭრასაც მთხოვს.

— თუ გაქვს შენ მიერ შემუშავებული ვარცხნილობა, რომელიც ყველასაგან განსხვავდება?

— კი. ჩემ მიერ შემუშავებული ვარცხნილობა 80-იანი წლების როკვარსკვლავის, სიუზი კვატროს ვარცხნილობას წააგავს.

— ახლა, სადღესასწაულო ვარცხნილობაზე გვითხარი — როგორი სტილია მოდაში?

— სადღესასწაულო ვარცხნილობებიდან 30-იანი წლების — ე.ი. რეტროს სტილია პოპულარული.

— თუ გახსოვს, პირველად თმა ვის შეჭერი?

— მახსოვს, პირველად ბიძაშვილზე გამოვცადე თავი. რომ დავიწყე ღამის 11 საათზე, დილის 5-ისთვის მოვრჩი: გრძელი, წელამდე თმა ჰქონდა და მეც 5 საათის განმავლობაში 4-ჯერ მომიხდა სხვადასხვა სიგრძეზე მისი შეჭრა, ბოლოს — მოკლე, კარეზე, შევჩერდი.

— რა არის მთავარი სტილისტისთვის?

— მთავარია, სტილისტმა ყველა კლიენტთან ინდივიდუალური მიდგომა გამოიჩინოს. უნდა ეცადოს, რომ მასთან მისულ თითოეულ კლიენტს საკუთარი სტილი მოაძებნინოს.

— დღეში რამდენ მანდილოსანს უკეთებ ვარცხნილობას?

— ვერ გეტყვი. შეიძლება, დღეს 30 ადამიანს შევჭრა თმა, ხოლო მეორე დღეს — გაცილებით ნაკლებს ან უფრო მეტს.

— ცნობილი ადამიანებიდან ვინ გსტუმრობს ხშირად?

— აქ ბევრი ცნობილი ადამიანი მოდის. ჩემთან მოდიან მსახიობები, მომღერლები და რეჟისორები. თითქმის ყველასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, მაგრამ განსაკუთრებით ია ფარულავასთან ვმეგობრობ.

— ცნობილი ადამიანები ალბათ, განსაკუთრებით პრეტენზიულები არიან, არა?

— სხვათა შორის, ცნობილ ადამიანებზე მეტად პრეტენზიულები, უცნობი ადამიანები არიან... პირადად ჩემთვის, ყველა კლიენტი ერთნაირია, ყველას ერთნაირად ვემსახურები — რა მნიშვნელობა აქვს, ცნობილია თუ არა?! ის ხომ, პირველ რიგში, ჩემი კლიენტია და თანაც — ქალია!..

— ახლა უშუალოდ რჩევებზე

გადავიდეთ. რას ურჩევ მანდილოსნებს?

— დაბანის დროს, თმის ძირები რომ არ დაიზიანოთ, თითის ბალიშებით ნაზი მოძრაობები გაიკეთეთ — არ არის საჭირო, თმის ძირებს ფრჩხილები მიაკაროთ. თუ სახლში იღებავთ თმას, 15-დან 30 წუთზეე მეტხანს საღებავს ნუ გაიჩერებთ, თორემ თმა დაგეწვებათ. ისე კი გირჩევთ, ამ მიზნით სალონს ეწვიოთ, რათა თქვენი თმა უფრო ჯანსაღი იყოს... თუ ცხიმიანი თმა გაქვთ, შეგიძლიათ, ნებისმიერ ბავშვის შამპუნს შეურიოთ ვაშლის ძმარი და ამ ნარევით დაიბანოთ. შეგახსენებთ, რომ სასურველია, თვეში ერთხელ შეიჭრათ თმა. თუ ბალზამს ხმარობთ, ეცადეთ, თმის ძირებს არ მოახვედროთ და საერთოდ, გირჩევთ, ბალზამ ან ჟელეწასმული თმა დაიბანოთ იმ დღესვე. თუ ქერტლმა შეგაწუხათ, წაისვით ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი. თუ შენიშნეთ, რომ თმა გცვივათ, მთავარია, დაადგინოთ ამის მიზეზი. თმის ცვენას ზოგჯერ, ნევროზი ან დიეტა იწვევს: დღეს ხომ ყოველი მეორე ქალი შიმშილობს.

ეკა მინდაძე

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები - მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

რა უნდა ვიცოდეთ ორთქლის აბაზანის შესახებ



ორთქლის აბაზანა კოსმეტიკური კაბინეტის ერთ-ერთი ძირითადი პროცედურაა. იგი სასარგებლოა, როგორც ცხიმიანი, ისე გაუხეშებული, ფორებდაცული კანისთვის. პირველი ორთქლის აბაზანის შემდეგ, კანი შემდგომ დამუშავებას — წმენდას, მასაჟს, ნიღბის დადებას — იოლად ემორჩილება.

ორთქლის აბაზანას წარმატებით იყენებენ ისეთი კანისთვის, რომელსაც ჭარბად აქვს შავი წერტილი ან მუწუკი: ორთქლის მოქმედების წყალობით, კანი რბილდება, უფრო სუფთა და გლუვი ხდება. ამავე დროს, ორთქლი ხელს უწყობს გამაგრებისა და ანთებითი წარმონაქმნების გაწოვას.

კოსმეტიკურ კაბინეტში ამ პროცედურას ხშირად, ცხიმიანი კანის დროს იყენებენ, რათა თავიდან აიცილონ საცობები, რომლებიც ფარავს ცხიმიანი ჯირკვლების სადინარებს. ორთქლის გავლენით, ისინი რბილდება და ადვილად სცილდება კანს.

თუმცა, ორთქლის ზედმეტად გამოყენებაც არ შეიძლება. მშრალი კანისთვის ორთქლის აბაზანა მხოლოდ მკვეთრი გაჭუჭყიანებისას გამოიყენება. კანზე წინასწარ უნდა წაისვათ ცხიმიანი კრემი და მსუბუქად შეიზილოთ დაზიანებულ ადგილზე. თუ მშრალი კანი გაქვთ, ორთქლის აბაზანა საკმარისია, გამოიყენოთ 3-4 თვეში ერთხელ, სასურველია — ცივ ამინდში, ოღონდ — არა ზამთარში.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა კანის სიმშრალე უმნიშვნელოა, ორთქლის აბაზანა ძალზე იშვიათად უნდა მივიღოთ; ცხიმიანი, გაჭუჭყიანებული კანის დროს კი, სასურველია, თვეში 2-ჯერ მისი გამოყენება.

გაფართოებულფორებიანი, ვარდისფერი, მუწუკიანი, მოდუნებული კანისთვის ორთქლის აბაზანა უკუნაჩვენებია. ის არ არის რეკომენდებული აგრეთვე მათთვის, ვისაც მომატებული წნევა, ბრონქული ასთმა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებები აქვთ. თუ სახეზე კანთან ახლოს გაქვთ სისხლძარღვები, ორთქლის აბაზანის დროს იმ უბნებზე ცხიმიანი კრემი უნდა წაისვათ. აბაზანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5-6 წუთს. მსგავს შემთხვევაში, არ არის სასურველი, სახის გაწმენდის პროცედურის ზამთარში ჩატარება.

თვეში ორზე მეტჯერ ორთქლის აბაზანის მიღება საერთოდ, არ შეიძლება — ცხვირზეც კი, თუ ნორმალური კანი გაქვთ. აბაზანის დანიშვნისას უნდა გამოიჩინოთ სიფრთხილე, რადგან ის იწვევს კანის დარბილებას, ხელს უწყობს სისხლძარღვთა გაფართოებას, აგრეთვე აქვეითებს კანის კუნთების ტონუსს. ეს განსაკუთრებით 30 წელზე უფროსი ასაკის ქალებმა უნდა გაითვალისწინონ, რადგან ამ ასაკიდან შეინიშნება კანის ელასტიკურობის ფიზიოლოგიური მოდუნება.

ორთქლის აბაზანის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კანის ხასიათსა და მდგომარეობაზე: მშრალი კანის შემთხვევაში, ის 5-7 წთ-ია, მშრალი და ჭუჭყიანი კანის დროს — 7-10 წთ, ხოლო ნორმალური კანისთვის — 10-12 წთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ორთქლის აბაზანის ქვეშ გატარებული ზედმეტი წუთები, კანის ცხიმიანობის დაკარგვას, კანის კუნთების ტონუსზე არასასურველ მოქმედებას ნიშნავს. და კიდევ ერთი დეტალი: კარგია, თუ ორთქლის აბაზანის პროცედურას ლურჯი სინათლის ფონზე ჩაიტარებთ — ამის წყალობით, სისხლი ზომიერად მოძრაობს და პროცედურა უფრო სასიამოვნო და მსუბუქი ხდება.

თამუნა კვინიკაძე

■

ასი მცნება დედებისთვის



1. ნუ ელით, რომ თქვენი შვილი თქვენნაირი ან თქვენ რომ გსურთ, სწორედ ისეთი იქნება. პირიქით, ხელი შეუწყვეთ, რომ დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

2. ნუ მოსთხოვთ, სამაგიერო გადაგიხადოთ იმისთვის, რაც მისთვის გაგიკეთებიათ. გახსოვდეთ, ის თქვენს ამაგს ვერასოდეს გადაიხდის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თქვენ მას სიცოცხლე აჩუქეთ — როგორ უნდა გადაგიხადოთ შვილმა მადლობა?

3. თუ გსურთ, სიბერის წლები არ გაგიმწარდეთ, სიბრაზესა და აგრესიას შვილზე ნუ გადაანთხევთ: რასაც დასთესთ, იმას მოიმკით;

4. მის პრობლემებს ქედმაღლურად ნუ მიუდგებით. ცხოვრებისეულ სიძნელეებს ყველა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში უძლებს. იცოდეთ, თქვენი შვილისთვის ცხოვრებისეული ტვირთი გაცილებით მძიმეა, ვიდრე თქვენთვის — რადგან მას, ბუნებრივია, თქვენზე გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვს.

5. არასოდეს დაამცირეთ!

6. თვითგვემას ნუ მიეცემით, თუ შვილისთვის რაიმის გაკეთება არ შეგიძლიათ. სინდისმა მაშინ უნდა შეგაწუხოთ, თუ შეგიძლიათ და არ აკეთებთ;

7. თუ შვილისთვის ყველაფერს არ გაიღებთ, ეს ნიშნავს იმას, რომ არასაკმარისად გაგიღიათ;

8. დაიმახსოვრეთ, შვილი ტვირთი კი არა, ღვთის მიერ ბოძებული ჯილდოა, რომელიც ცხოვრებამ შესანახავად, გასაფრთხილებლად და მასში შემოქმედებითი ცეცხლის გასაღვივებლად მოგაბარათ;

9. უნდა შეგეძლოთ სხვისი შვილის სიყვარული. ყოველთვის ისე მოექეცით სხვის შვილს, როგორც გინდათ, რომ თქვენს შვილს მოექცნენ;

10. გიყვარდეთ შვილი ისეთი, როგორიც არის — ჯიუტი, ზარმაცი, უნიჭო თუ უიღბლო... იხარეთ მასთან ურთიერთობით, რადგან ბავშვი ის დღესასწაულია, რომელიც ჯერჯერობით თქვენ გვერდითაა.

■

შარდკენჭოვანი დაავადება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

შარდკენჭოვანი დაავადების გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ნივთიერებათა ცვლის მოშლა, რის შედეგადაც თირკმლებში ირღვევა მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა და იწყება კრისტალიზაცია — წარმოიქმნება სხვადასხვა სახისა და ფორმის კენჭი.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევა ორგანიზმში ხშირად უკავშირდება ისეთ პათოლოგიებს, როგორებიცაა: შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, ვიტამინების დეფიციტი.

კენჭების წარმოქმნას ხელს უწყობს არასრულფასოვანი კვება, მშრალ და ცხელ გარემოში დიდხანს ყოფნა (ასეთ დროს ოფლის სახით დიდი რაოდენობით სითხე იკარგება).



სიმპტომები:

შარდკენჭოვანი დაავადება მეტწილად შეტევითი ხასიათის ტკივილით ანუ თირკმლის ჭვალით ვლინდება. შეტევა, როგორც წესი, უეცრად იწყება და იმდენად ძლიერია, რომ ავადმყოფი ადგილს ვერ პოულობს და განუწყვეტლივ იცვლის პოზას. ტკივილი უმთავრესად წელის მიდამოში ლოკალიზდება და ეპიგასტრიუმში, საზარდულისაკენ, სასქესო ორგანოებისაკენ გადაეცემა.

ზოგჯერ ტკივილი მუდმივი ხასიათისაც შეიძლება იყოს.

ტკივილის ინტენსივობა დამოკიდებულია არა კენჭის ზომაზე, არამედ მის გადაადგილებაზე. მაგალითად, მცირე ზომის მიგრირებადი კენჭი განსაკუთრებით ძლიერ ტკივილს იწვევს, დიდმა, უძრავმა კენჭმა კი შეიძლება მხოლოდ ყრუ შეგრძნება ან დისკომფორტი გამოიწვიოს.

ტკივილის ლოკალიზაცია და გადაცემა კენჭის მდებარეობას გვკარნახობს. მაგალითად, თირკმლის ფიალებში მდებარე კენჭი წელ-ზურგის არეში იწვევს ტკივილს, შარდსაწვეთში მდებარე კენჭით გამოწვეული ტკივილი კი, მუცლის ქვედა-არისა და საზარდულისკენ მიემართება.

ზოგჯერ თირკმლის ჭვალს თან სდევს მაღალი ტემპერატურა შემცივნებით, რაც თირკმელში მიმდინარე შეგუბებითი მოვლენებითაა განპირობებული.

კენჭების გადაადგილებისას შეიძლება, საშარდე გზების ლორწოვანი გარსის სისხლძარღვთა მექანიკური დაზიანება მოხდეს, რის შედეგადაც სისხლიანი შარდი გამოიყოფა. ხშირად, თირკმელში წარმოქმნილი კენჭები ინფექციის შეჭრას იწვევს, რაც ტკივილს უფრო აძლიერებს. შარდკენჭოვანი დაავადებისას ავადმყოფებს გულისრევა და პირღებინებაც აღენიშნებათ.

დიდი ზომის ე.წ. მარჯნისებრ კენჭებს, რომლებიც თითქმის მთლიანად ავსებს თირკმლის ღრუ ნაწილებს (7-8 სმ და მეტი ზომის) და არ გადაადგილდება, ადრე მუნჯ კენჭებს უწოდებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ მათი ოპერირება საჭირო არ იყო. მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დგინდება, რომ ასეთი კენჭები ნელ-ნელა, პერმანენტულად აზიანებს თირკმლის ქსოვილს და მისი ფუნქციის დარღვევას იწვევს. ამიტომ მკურნალობა აუცილებელია.

დიაგნოსტიკა

შარდკენჭოვანი დაავადების დიაგნოსტიკა, უპირველეს ყოვლისა, ექოსკოპიურ კვლევას ემყარება. ყველაზე დიდი მნიშვნელობა კი ამ დაავადების ზუსტ დიაგნოსტირებაში რენტგენოკონტრასტულ გამოკვლევას აქვს. ჯერ საშარდე გზების მიმოხილვითი სურათი კეთდება, შემდგომ შეჰყავთ საკონტრასტო ნივთიერება და აფასებენ თირკმლების მენჯ-ფიალოვანი სისტემის, შარდსაწვეთების მდგომარეობას, კენჭის მდებარეობას, ფორმას, სიდიდეს და ა.შ.

ზოგიერთი კენჭი რენტგენოგრამაზე ვლინდება (ე.წ. რენტგენოკონტრასტული კენჭი), ზოგი კი სურათზე არ ჩანს. რენტგენოკონტრასტულია, მაგალითად, ოქსალატური კენჭები; რენტგენოგრამაზე არ ჩანს უმთავრესად ურატული კენჭები, ნაწილობრივ ან მკრთალად მოჩანს ცისტინური და ე.წ. ინფიცირებული — ინფექციების შედეგად წარმოქნილი კენჭები, რომლებიც შემთხვევათა არცთუ ისე მცირე ნაწილს შეადგენს და საკმაოდ ძნელი სამკურნალოა.

კენჭების მდებარეობის, ზომის, ფორმის, ხასიათის მიხედვით იგეგმება მკურნალობის ტაქტიკა. გარდა ამისა, რენტგენონეგატიური (ე.წ. ურატული) კენჭების არსებობისას, მკურნალობის სწორად წარმართვისათვის აუცილებლად უნდა შეფასდეს შარდმჟავის შემცველობა სისხლსა და შარდში, რადგან ის ამ სახის კენჭების მთავარი კომპონენტია.

მკურნალობა

მკურნალობის მთავარი მეთოდია დისტანციური ლითოტრიფსია, რომელიც შემთხვევათა 95%-ში გამოიყენება. სპეციალური ელექტროგანმმუხტველის საშუალებით, კენჭებში ელექტრულ იმპულსებს ატარებენ და ფრაგმენტებად შლიან. ეს გახლავთ ოპერაცია, რომლის დროსაც კანის მთლიანობა არ იღრვევა და არც ნარკოზია საჭირო. ლითოტრიფსიით კენჭი უმცირეს, თვალით ძნელად დასანახავ ფრაგმენტებადაც შეიძლება დაიშალოს და უფრო დიდ ნაწილებადაც. ექიმი აკვირდება კენჭის გამოძევების პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, უფრო მცირე ფრაგმენტებად დასაშლელ მანიპულაციას ატარებს.

აღნიშნული მეთოდით ზოგიერთი კენჭი შეიძლება არ დაიშალოს, განსაკუთრებით — თუ საქმე კალციუმის მონოჰიდრატებთან გვაქვს. ამ შემთხვევაში, მკურნალობის სხვა მეთოდებს

ძვლის პატარა კუბი, რომლითაც ნარდს თამაშობენ	სომხეთის ძველი დედაქალაქი	მსახიობი ... ბერიმორი	ღია ეტლი	იგივეა, რაც ყლუპი	ძვირფასი წითელი ქვა	... უნებ
ასოთა ერთობა	...	...	...	...	...	...
მწვანილი	საფირმო ღვინო „... ველი“	ვაშლის ღვინო	მონღოლეთის დედაქალაქი ...-ბატორი	ფილმი ბურვილისა და ღუი დე ფიუნესის მონაწილეობით	გაცვეთილი ფრაზა: ბაყაყი წყალში ...	

მიმართავენ. საქართველოში ტარდება ე.წ. პუნქციური ოპერაციები — ამ დროს კანის მთლიანობა ირღვევა, რენტგენოლოგიური და ექოსკოპიური კონტროლით თირკმლის მენჯში შეაქვთ სპეციალური აპარატი და კენჭის დაშლა ადგილობრივად ხდება. ეს კონტაქტური ლითოტრიფსიაა. ამ მეთოდით ყველა სახის კენჭი იშლება.

ღია ოპერაციები უცხოეთში ძალზე იშვიათად ტარდება, ჩვენში კი, თუმცა მათი რიცხვი ლითოტრიფსიის დანერგვის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა, მაინც შემთხვევათა 20%-ში გამოიყენება. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენს ქვეყანაში ავადმყოფი ექიმთან ხშირად უკვე გართულებული მდგომარეობის დროს მიდის — მაშინ, როცა ოპერაცია გარდაუვალი ხდება.

შარდკენჭოვანი დაავადების მკურნალობის კონსერვატიული მეთოდი გულისხმობს შარდის გატუტიანებას, განსაკუთრებით — ურატული კენჭების არსებობისას. ეს მკურნალობის საკმაოდ ეფექტური გზაა, თუმცა პაციენტისგან დიდ ნებისყოფას მოითხოვს — როგორი დიდიც არ უნდა იყოს კენჭი, შესაძლებელია მისი დაშლა სპეციალური მედიკამენტების მეშვეობით.

რაც შეეხება შარდსაწვეთის კენჭებს, ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ზომას. პატარა კენჭები შედარებით ადვილად გამოძევდება შარდსაწვეთის სანათურში. თუ შარდსაწვეთში კენჭის გამოძევება ჭირს, სპეციალური ლაზერული ან ულტრაბგერითი გადამწოდის საშუალებით შეიძლება მისი ფრაგმენტებად დანაწევრება.

პროფილაქტიკა

ამ დაავადების პროფილაქტიკა დიდი რაოდენობით სითხის სისტემატურ მიღებას გულისხმობს — განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანს შარდში ჭარბად აქვს მარილი — რათა კრისტალები არ შეწებდეს და კენჭი არ ჩამოყალიბდეს.

■

პანაცეა ძროხისაგან

ინდოეთის მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ, ნაციონალისტურმა BJP-მ, დაიწყო მედიკამენტებისა და კოსმეტიკის გაყიდვა, რომლებიც ძროხის შარდისა და ნაკელის გამოყენებითაა დამზადებული. სავაჭრო ცენტრი, რომელშიც ეს პრეპარატები და კოსმეტიკა, აგრეთვე ძროხის რის პროდუქტები (რძე, კარაქი და ხაჭო) იყიდება, დელიში, BJP-ის შტაბბინაშია გახსნილი და გაცხარებული ვაჭრობა აქვს გამართული.

მედიკამენტები, რომლებიც Goratna-ს („ძროხის საგანძური") სავაჭრო ნიშნით იყიდება, განკუთვნილია მთელი რიგი დაავადებების, მათ შორის — კიბოს, დიაბეტის, ყაბზობისა და დიარეის სამკურნალოდ. ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა „კამდხენა გხანვატიზე", — ყოვლისშემძლე აბებზე, რომელსაც მაღაზიის მენეჯერი მანოჯ კუმარი პანაცეად მიიჩნევს ღვიძლის დაავადებათა, დიაბეტის სხვადასხვა ფორმის, ჰემორროისა და ასთმის დროს. „ცნობა მაღაზიის გახსნის შესახებ ვრცელდება და ჩვენთან სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მოდის", — ამბობს იგი.

Goratna-ს პროდუქციის მწარმოებლები ამბობენ, რომ მათი დამზადება აიურვედას პრინციპებს ეყრდნობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ინდოელი მეცნიერი და ექიმი, აიურვედას მიმართ დადებითადაა განწყობილი და აღნიშნული საშუალებების ეფექტურობის სჯერა, მხოლოდ ცოტა ვინმე თუ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ძროხის შარდი ზრდის პრეპარატების ეფექტურობას. 800 მილიონი ინდოელისათვის ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება, ამიტომ პოლიტიკური პარტიები მის გამოსახულებას ამა თუ იმ ფორმით ხშირად იყენებენ, ამომრჩეველზე ზემოქმედების მიზნით.

■

მშივრები და ავადმყოფები

(ციფრების ენაზე)



ბოლო 12 თვის განმავლობაში ამერიკელთა 15% ერთხელ მაინც მოხვედრილა ისეთ მდგომარეობაში, როდესაც არ ჰქონდა ოჯახისთვის საჭმლის ყიდვის საშუალება, 26%-ს კი, არ ჰქონია ექიმთან ვიზიტისა და წამლის შესაძენად საჭირო ფული. ეს მონაცემები გამოაქვეყნა Pew Center for People and Press-მა, რომელმაც მსოფლიოს 44 ქვეყანაში ჩაატარა გამოკვლევა.

ყველაზე ცოტა მშიერი ადამიანია იაპონიაში (გამოკითხულთა მხოლოდ 4%-მა განაცხადა მსგავსი პრობლემის არსებობის შესახებ), აგრეთვე, გერმანიაში (5%). რუსეთში აღნიშნულ პრობლემასთან შეჯახება მოუხდა გამოკითხულთა 51%-ს, უკრაინაში — 55%-ს, უზბეკეთში — 64%-ს. ჩინეთში შიმშილობის კოეფიციენტი 18%-ია, პოლონეთში — 37%, ჩეხეთში — 8%, თურქეთში — 45%, დიდ ბრიტანეთში — 11%. ყველაზე მძიმე მდგომარეობა დაფიქსირდა ანგოლასა და უგანდაში — ამ ქვეყნების მოსახლეობის 86%-ს პერიოდულად არა აქვს პროდუქტების ყიდვის საშუალება.

სამედიცინო დახმარების მხრივ, საუკეთესო სიტუაციაა იაპონიასა (4%) და საფრანგეთში (5%), ყველაზე უარესი კი — ანგოლაში, სადაც გამოკითხულთა 86%-ს არ ჰქონდა წამლების ყიდვისა და ექიმთან კონსულტაციისთვის ფულის გადახდის საშუალება. საინტერესოა ანალოგიური მონაცემები საქართველოში, მაგრამ აღნიშნულ გამოკითხვაში ჩვენი ქვეყანა არ არის მოხსენიებული. გარკვეული დასკვნების გაკეთება კი, პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების მონაცემების მიხედვით შეიძლება. რუსეთში ექიმის კონსულტაციისთვის საჭირო თანხა არა აქვს მოსახლეობის 54%-,ს უკრაინაში — 56%-ს, უზბეკეთში — 57%-ს. შედარებისთვის: „მედიცინის კოეფიციენტი" 45%-ია, ჩინეთში, 42% — პოლონეთში, 6% — ჩეხეთში, 11% — დიდ ბრიტანეთში, 8% — გერმანიაში, 48% — თურქეთში.

გამოკითხვის დასკვნაში ნათქვამია, რომ ბევრ ქვეყანაში მდგომარეობა გაუმჯობესდა 1975 წელთან შედარებით. სწორედ ამ წელს ჩატარდა ბოლოს ანალოგიური გამოკითხვა.

■

...	ადგილი	ქალაქი ავსტრალიაში	ფულადი გასამრჯელო, რომელსაც უხდიან მწერლებს	გაუნათლებელი, ხეპრე	მწერალი ... დეფო	კავშირებითი სიტყვა
...ლბერგი (მ/ფ ...ხოპლანტელი" ...ოჯინა)	„იმერული ესკიზები" — ... მათხოვარი	ალესანდრო ... პიერო	კიანუ რივზი ფილმში — „ჩემი საკუთარი შტატი ..."	იაპონური თეატრი	ძალიან იშვიათი ნივთი	კომპოზიტორი, ბალეტ „ენიზელის" ავტორი	უეცარი შიში

...ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲙᲣᲠᲜᲔᲑᲐᲡ ᲠᲩᲔᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲔᲑᲘᲗ ᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝᲗ

საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში მრავალი ქრისტიანული სიწმინდეა დაცული, რომელთა შორისაცაა, მოწამეთის მონასტერში დაცული, წმინდა მოწამეების — დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები — უხრწნელი თავნი და მათი წმინდა ნეშტები...

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

VII საუკუნეში, არაბეთისა და სპარსეთის მმართველმა, მურვან ყრუმ საქრისტიანოზე გაილაშქრა: ჯერ საბერძნეთი ააწიოკა და დაიპყრო, შემდეგ სომხეთი, იქიდან კი — საქართველოში შემოიჭრა. იმ პერიოდში, საქართველო ძალზე დასუსტებული იყო: ორ (ქართლისა და იმერეთის) სამეფოდ იყო დაყოფილი, ამიტომ ძლიერ მტერს სათანადოდ ვერ დაუხვდა და წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მემატიანე მოგვითხრობს: „მტერმა ცეცხლითა და მახვილით შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“... ქართლიდან მტერი სამცხეში გადავიდა, დაიპყრო იმჟამინდელი სახელოვანი ქალაქი — ოძრხე, ააოხრა დანარჩენი მესხური მიწებიც და ზეკარის უღელტეხილით, იმერეთისკენ დაიძრა.

იმ დროს, არგვეთის მთავრები იყვნენ ძმები — დავით და კონსტანტინე მხეიძეები, შემდგომში, არგვეთელებად წოდებულნი. დავითი და კონსტანტინე ღვთის მოშიშებითა და სიყვარულით გამოირჩეოდნენ: „იყვნეს წმიდანი ესე ქალწულ ხორცითა და მეცნიერ ძველისა და ახლისა სჯულისა. ჭეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა... ორნივე სავსე სულითა წმიდითა“, — მოგვითხრობს მემატიანე.

როდესაც ძმებმა მესხეთში არაბთა შემოსევის ამბავი შეიტყვეს, შემწედ მოუხმეს უფალს და დიდძალი ლაშქარი შეკრიბეს. ერს კი გაძლიერებული ლოცვები და ღამისთევები დაუდგინეს.

სამცხიდან არგვეთისკენ მიმავალ მტერს, არგვეთელთა ლაშქარი ფერსათის მთასთან შეხვდა. ღვთის შეწევნით, ქართველებმა არაბები დაამარცხეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. სიკვდილს გადარჩენილმა არაბებმა დამარცხების შესახებ მურვან ყრუს შეატყობინეს. განრისხებულმა ტირანმა ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და შურისძიებით ანთებული, არგვეთისკენ გაემართა: „შეუზახა ყოველსა სიმრავლესა წარმართთასა და წარმოემართნეს და მოვიდნენ არგვეთსა“. მართალია, ქართველები მამაცურად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, მაგრამ არაბთა ურიცხვ ლაშქართან ვერაფერს გახდნენ — მტერმა ყველაფერი ააოხრა. გადარჩენილმა მოსახლეობამ მთებსა და ტყეებს შეაფარა თავი. არაბებმა დავითი და კონსტანტინე შეიპყრეს და მურვან ყრუს მიჰგვარეს (ტირანს „ყრუ“, ქართველებმა შეარქვეს — გაუგონარი სისასტიკისთვის: „ამისათვის ეწოდა ყრუ, რომელ მეორედ არა მიითვლიდა სიტყვასა განმზრახთასა“). არგვეთის მთავართა შეპყრობით გახარებულმა მტარვალმა მადლობა შესწირა მუჰამედს...

მურვანს მოეწონა ახალგაზრდა, მხნე და ვაჟკაცური გარეგნობით გამორჩეული ძმები, ამიტომ გადაწყვიტა, თავის მხარეზე გადაებირებინა და სარწმუნოების შეცვლაზეც დაეთანხმებინა. ტირანმა დავითს მიმართა: „გამიგია შენი ვაჟკაცობის ამბავი, ამიტომ გირჩევ, დაუტევო ცუდი და ამაო სიტყუაი სიცოფისა თქვენისაი და დაემორჩილო სჯულსა მუჰამედისასა“, — რაზეც სასტიკი უარი მიიღო. განრისხებული მურვანი კონსტანტინეს მიუბრუნდა და მის გადაბირებას შეეცადა, მაგრამ მანაც უშიშრად უარყო მტრის წინადადება.

მურვან ყრუს ბრძანებით, დავითსა და კონსტანტინეს ერთი კვირის მანძილზე, საპყრობილეში არც საჭმელს აწვდიდნენ და არც წყალს ასმევდნენ. ერთი კვირის შემდეგ, კვლავ სასტიკ დამპყრობელს მიჰგვარეს: „მიიღებთ მაჰმადის სჯულს თუ ისევ უარს ბედავთ?“ — ჰკითხა მურვანმა. ძმებმა კვლავ დაგმეს მაჰმადის სჯული. იგი „მაცდურად და წარმწყმედლად“ მოიხსენიეს. დავითსა და კონსტანტინეს ამქვეყნიური დიდებაც შესთავაზეს, უხვი საბოძვარიც; ბოლოს, ტანჯვა-წამებითაც დაემუქრნენ, მაგრამ ამაოდ: „ვერარამან ჭირმან და არცა დიდებამან ამის საწუთროისამან ვერ განმაშორეს ჩვენ სიყვარულსა და სარწმუნოებასა იესუ ქრისტესსა, არამედ მზად ვართ სახელისა მისისათვის შიმშილსა და წყურვილსა, ცეცხლსა და მახვილსა და წყალსა და ამის ყოვლისა შემდგომად სასუფევლისათვის ცათასა“, — განაცხადეს დავითმა და კონსტანტინემ. მურვან ყრუს საბოლოოდ გადაეწურა მათი მოქცევის იმედი და ძმების სასტიკად დასჯა ბრძანა. დავითი და კონსტანტინე მდინარე რიონის პირას გაიყვანეს, ტანისამოსი გახადეს, ხეზე ფეხებით დაკიდეს და გვემეს. შემდეგ, ხიდან ჩამოხსნეს, ხელფეხი მჭიდროდ შეუკრეს, მძიმე ლოდები გამოაბეს და მდინარეში ჩაყარეს.

ღამით სასწაული აღესრულა: მდინარე რიონში, იმ ადგილას, სადაც წმინდა მოწამეები ჩაყარეს, სამსვეტოვანი ნათლის შუქი დაეშვა, რომლის ბრწყინვალებამაც უკუნი ღამე გაანათა. უჩვეულო ნათლის ხილვამ მდინარის ნაპირთან მიიყვანა უამრავი ადამიანი, რომელიც ხილული სასწაულის მოწმე გახდა: მდინარის ზედაპირზე დავითისა და კონსტანტინეს წმინდა სხეულები გულაღმა ტივტივებდა, ლოდებისა და თოკების გარეშე. ხალხმა წმინდა მოწამეთა გვამები წყლიდან ამოასვენა და მურვან ყრუს მიერ დანგრეული ეკლესიის ქვემოთ, კლდის ძველთაძველ აკლდამაში დაასვენა. XI საუკუნეში, ბაგრატ მესამემ ხელახლა ააგო არაბთაგან დანგრეული ეკლესია და წმინდანთა ნეშტები იქ გადაასვენა. ტაძარს მოწამეთა ეწოდა.

XX საუკუნემდე, დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები მოწამეთის მონასტერში იყო დაცული. 1925 წელს, ქუთაისის იმდროინდელმა (საბჭოურმა) ხელმძღვანელობამ უარყო დავითისა და კონსტანტინეს წმინდანობა. ამის გამო, მათი წმინდა ნეშტები მონასტრიდან წამოიღეს; რამდენიმე დღით ქუთაისში, შუა მოედანზე გამოფინეს, შემდეგ კი, ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცეს, სადაც 1954 წლამდე, სარდაფში ჰქონდათ შენახული. 1954 წელს, მუზეუმის დირექციამ წმინდა მოწამეების ნეშტები ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს, გაბრიელს (ქიქოძე) გადასცა, რომელმაც მორწმუნეთაგან შემოწირული თანხით, ხის ლუსკუმით შემოსა დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები და კვლავ მოწამეთის მონასტერში დააბრუნა.

წმინდა მოწამეების უხრწნელი ნაწილები დღემდე მოწამეთის მონასტერშია დავანებული. წმინდა საძვალე მოწამეთის ხარების ტაძრის აღმოსავლეთის მხარეს, შემაღლებულ ადგილზე, ხის მოჩუქურთმებული ორი ლომის მხრებზე დგას. ლუსკუმის ქვემოთ დატოვებულია ადგილი, რათა მორწმუნეებმა მუხლმოდრეკით მიაგონ პატივი მოწამე წმინდანთა უხრწნელ ნაწილებს, რომელთა წყალობითაც, მრავალი სასწაულებრივი ფიზიკური და სულიერი კურნება აღსრულებულა და დღემდე ანიჭებს კურნებას წმინდა საძვალის წინაშე რწმენითა და სასოებით მლოცველთ. ■

იმ ურიცხვ ანკეტებში, რომლებიც გრიგოლ რობაქიძეს ცხოვრების მანძილზე საკუთარი ხელით შეუვსია, თავისი დაბადების თარიღად ჩაწერილი აქვს 1884 წლის პირველი ნოემბერი. არა მარტო ანკეტებში — ავტობიოგრაფიაშიც ასეა. მოგვიანებით, მწერლის ცხოვრებით დაინტერესებულმა მკვლევარებმა არქივში იპოვეს მეტრიკული ჩანაწერი, სადაც გრიგოლ რობაქიძის დაბადების თარიღად დასახელებულია 1880 წელი... სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მწერალი თვითონაც აღარ მალავდა, რომ დაბადებული იყო 1880 წლის 28 ოქტომბერს, სოფელ სვირში.

გრიგოლ რობაქიძის ორი ქორწინება და მესამე დიდი სიყვარული 80 წლის ასაკში

თამუნა კვინიკაძე

ერთ-ერთ წერილში ის წერს მეგობარს: „...დამთრგუნველად მოქმედებს ჩემზე. მე ყოველთვის გამოვიყურები უფრო ახალგაზრდად, ვიდრე ჩემი წლები მაძლევენ ამას“... ეს წერილი 1955 წლის 25 სექტემბრით არის დათარიღებული. იქნებ, ეს იყო მიზეზი მისი ასეთი საქციელისა?.. მას გამუდმებით აწუხებდა კითხვა: „რა გავაკეთო? შემთხვევა გავაობიექტურო, რაც საჯაროდ აღიარებას ნიშნავს და ამით კომპლექსს თავი დავაღწიო. აბა, როგორ? რომელი სახით?.. ამავდროულად ვფიქრობ, შემთხვევა პოლიციას ვაცნობო, საპასპორტო განყოფილებაში. შეასწორებენ კი? როგორც შენიშვნას, მაინც მიიღებენ მხედველობაში. შენ შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ დეპრესიაში ვიმყოფები ახლა მე“. ათასგვარი აზრი გამოთქმულა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ეს მაინც გრიგოლ რობაქიძის საიდუმლოდ დარჩა.

გრიგოლის მშობლები, ხელმოკლე ადამიანები იყვნენ. სამწუხაროდ, მწირი ცნობებია შემონახული იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაატარა მან ბავშვობა. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1895 წლის სექტემბერში შესულა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. მაგრამ მანამდე?.. არაფერია ცნობილი. ამ სიცარიელეს ცოტათი ავსებს თავად გრიგოლ რობაქიძის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი. „ჩუმი, ჩაკეტილი, მარტოსული, თითქმის მელანქოლიური — ასეთი ვიყავი ბავშვობაში. შეუცნობელ არსში ჩაძირულს მეჩვენებოდა, თითქოს რაღაცას ვიხსენებდი. ვინმე რომ შემოჭრილიყო მაშინ ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში, ნამდვილად ერთ შეკვრა ანამნეზიას იპოვიდა. სავსე იყო ნისლით მოცული ხილვებით. გვიან, მოწიფულ ასაკში ისინი, როგორც ხელშესახები სურათები გამომეცხადნენ“.

ქუთაისის სასულიერო სემინარია გრიგოლმა 1901 წელს დაამთავრა. შემდეგ, კი იურიევში გაემგზავრა, იქაურ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. გრიგოლი დიდხანს არ დარჩენილა ამ სასწავლებელში. 4 თვის შემდეგ ის გერმანიაში გაემგზავრა. „ცხოვრებისგან აღელვებული, ვერ ვჩერდები ერთსა და იმავე ადგილას...“ წამდაუწუმ თვალწინ მესახება ერთი ძლიერი კითხვა: „რა არის კაცის ცხოვრება? რამდენად ვაკვირდებოდი და ვითვალისწინებდი ამ კითხვას, იმდენად უფრო საზიზღარსაშიშრად მეხატებოდა ჩვენი ცხოვრება...“

მრავალი უცნაურობა სდევს თან გრიგოლ რობაქიძის პიროვნებას და საერთოდ, მის ბიოგრაფიას. უცნაურობაა ისიც, რომ მკვლევარებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, გრიგოლ რობაქიძეს ერთი შვილი ჰყავდა თუ ორი. ნათესავები ირწმუნებიან, ორი ჰყავდაო. მაგრამ რატომღაც, რობაქიძის პოეზიაში მხოლოდ ერთ შვილზე — ალლაზეა (ორი ლ-თი წერდა თავისი შვილის სახელს) ლაპარაკი.

ალლას დედა, გრიგოლ რობაქიძის პირველი ცოლი, ნინა დომენსკაია ძალზე ლამაზი და ერთობ თავნება, ჯიუტი ქალი ყოფილა, თუ რაიმეს ამოიჩემებდა, აღარ გადათქვამდა. ასე ამოუჩემებია — ბაქოში უნდა წავიდე და მშობლები ვნახოო. ბავშვის წაყვანაც გადაუწყვეტია.

ცუდი დრო იყო. ომი მძვინვარებდა. ქვეყანაში მისვლა-მოსვლა და საკვები ჭირდა. ნარ-ნარი სენი მუსრავდა ხალხს. გზებზე შეიარაღებული ბანდები დაძრწოდნენ, უმოწყალოდ ხოცავდნენ მგზავრებს. ბაქოშიც მთელ ქალაქს ეპიდემია მოსდებოდა. არც საავადმყოფოები ჰყოფნიდათ და არც ექიმები. მიცვალებულთა დამარხვასაც ძლივს ახერხებდნენ... ნუ წახვალ და ნუ წახვალ, ბავშვს მაინც ნუ წაიყვანო, — შეხვეწებია გრიგოლი ცოლს. ნინას თავისი არ დაუშლია, წასულა და ბავშვიც თან წაუყვანია. საბედისწერო აღმოჩნდა ეს მგზავრობა. ბაქოში ბავშვს უკურნებელი სენი შეეყარა და იმსხვერპლა კიდეც იგი ამ ავადმყოფობამ. ქმარმა ცოლს ეს უკვე აღარ აპატია. გრიგოლ რობაქიძე და ნინა დომენსკაია გაიყარნენ...

გრიგოლ რობაქიძე ჩვენთვის უცნობ ქალბაგონთან ერთად

პირველთან შედარებით, უფრო იღბლიანი იყო გრიგოლის მეორე ქორწინება — ელენა ფიალკინასთან. ელენა თავადაც მწერალი გახლდათ, ისინი 1922 წელს შეუღლოდნენ. 1931 წლამდე ცხოვრობდნენ საქართველოში, ხოლო შემდეგ, გერმანიაში წავიდნენ. „1938 წლამდე შევინარჩუნე სსრკ-ის მოქალაქეობა. ამ წელს გერმანელებმა საბჭოთა მოქაალაქეებს მოსთხოვეს — ან საბჭოთა პასპორტებში უკან დასაბრუნებელი ვიზა ჩაეკრათ, ან დარჩენილიყვნენ მოქალაქეობის თვინიერ. მე უკანასკნელი ვამჯობინე. მას აქეთ არც ერთი ქვეყნის მოქალაქე არა ვარ“, — წერს ელენა თავის ბიოგრაფიაში.

35 წლის მანძილზე ელენა ფიალკინა, რობაქიძის ერთგული ცოლი, მეგობარი და თანამგზავრი იყო. მათ შვილი არ ჰყოლიათ. იშვილეს და გაზარდეს ელენას ობოლი დისწული, ელენა (ალია) პოგორელოვა.

გრიგოლ რობაქიძე დიდად აფასებდა ცოლის მხატვრულ შემოქმედებას. ცხოვრების უკანასკნელი 7 წელი ელენამ საშინელ ტანჯვაში გაატარა: მას დამბლა დაეცა და მოძრაობისა და მეტყველების უნარი დაკარგა.

უმძიმესი ვითარება შეექმნა გრიგოლ რობაქიძეს ოჯახში. ყველაფერი თავად უნდა ეკეთებინა, არავინ ჰყავდა დამხმარე. ელენა პოგორელოვა იმხანად, ფეხმძიმედ იყო. ვერ იცლიდა, ბიძას რომ შეშველებოდა. 1950 წელს გოგო შეეძინა, რომელსაც თამარი დაარქვეს. ალიას ქმარი, იტალიელი დიპლომატი იყო. ამის გამო მათ ხშირად უწევდათ მოგზაურობა. გრიგოლი და ელენა უპატრონოდ იყვნენ დარჩენილი.

„ადამის წყევლა თავს დამატყდა

„ადამის წყევლა თავს დამაგდა მთელი თავისი საშინელებით — სიამაყით ალბათ ბედი „გავახელე“

ელენე ფიალკინა

მთელი თავისი საშინელებით — სიამაყით ალბათ ბედი „გავახელე“. უნდა სანოვაგე ვიყიდო, უნდა გავამზადო: საუზმე, სადილი, სამხარი, ვახშამი. ეს კიდევ არაფერი. ალაგება ბინისა, ხვეტა-გვა, რეცხვა, ნაწილობრივ ყველაფერი ეს, მე მაქვს დაკისრებული. კიდევ მეტი. მიხდება ფუნქციების ასრულება: სათნოების დისა, მომვლელისა, დროდადრო მასაჟისტისაც. ...ნივთიერი შევიწროვებაც კარს მადგია“, — სწერს გრიგოლი თამარ და აკაკი პაპავებს.

იმხანად მართლაც, ძალიან უჭირდა გრიგოლს ნივთიერად. მისი წიგნები აღარ გამოდიოდა, აღარც ჟურნალ-გაზეთები ბეჭდავდნენ მის სტატიებს, აღარც ლექციებს აკითხებდნენ...

ელენა ფიალკინა 1957 წელს გარდაიცვალა.

გრიგოლი სულ მარტოდმარტო დარჩა. შვილობილი, დიპლომატ ქმართან ერთად, სხვადასხვა ქვეყანაში მსახურობდა. იშვიათად ნახულობდნენ ერთმანეთს. გრიგოლს მეგობრებთან და თანამემამულეებთან ყოფნა ენატრებოდა: ზოგჯერ ბარათებით ეხმიანებოდა შვილობილი. სულ მარტოობას მოხუცთა თავშესაფარში ყოფნა სჯობსო, — სწერდა იგი გრიგოლს. მაგრამ ის ასე არ ფიქრობდა. მიუხედავად ასაკისა, არც სულიერი ენერგია აკლდა და არც ხორციელი. ოღონდ, სულ უფრო და უფრო აწუხებდა სამშობლოზე ფიქრი, ენატრებოდა იგი. ტკივილი უხვად გადადიოდა მის ფიქრებში, მზე აქაც ანათებდა, მაგრამ არა „ცხრათვალა“.

...სადაც არის, 80 წელი მიუკაკუნებს გრიგოლს კარზე. და არ იცის, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი ორი წელი სხვანაირი იქნება, ახალგაზრდა ქალი მოვა მის ცხოვრებაში — გრაფინია გიტა ფონ შტრახვიტცი... 48 წლით უფროსი იყო გრიგოლი გიტაზე... გრიგოლმა მიიღო ეს სიყვარული, როგორც ღმერთის საჩუქარი: „როგორც უდაბნოში დაღლილ-დაქანცული ქარავანი შემთხვევით წააწყდება წაროს და გამოცოცხლდება, ასე შემხვდი შენ“, — სწერს ქართველი მწერალი გერმანელ ქალს. ათასგვარ საალერსო სახელს უწოდებს: „ჩემო სამოთხისმიერო მეგობარო: ენგარდი!“ „ჩემო შეუდარებელო შეყვარებულო!“ „ჩემო მისტიურო მეუღლევ: ჰათორ *(ჰათორი — ცის ქალღმერთია. — ავტ.)*!“

ქალი კი გრიგოლს დიონისეს უწოდებს. ამ სახელითაც გახარებულია იგი. გიტა არწმუნებს: ჩემი მეორე სახელია ათანასია. ათანასია ბერძნულად უკვდავს ნიშნავს. შენც უკვდავი იქნებიო ჩემში...

მსოფლიო ლიტერატურაში არსად შემხვედრია ისეთი სიყვარული, როგორიც ჩვენიაო, — ეპასუხება გრიგოლი, — ალბათ, იგი ჰგავს ჩემი ნორინას და ლევანის სიყვარულს („გრაალის მცველნი“). როგორც ნორინა, ზუსტად ისე დგახარ შენ „მზის გზაზე“. მაგრამ იმათი სიყვარულისგან განსხვავებით, შენი დაბადებულიაო მისტიკური თუარწიაღიდანო...

რობაქიძე ფლობდა რაღაცას, რასაც დღეს იშვიათად იპოვით...

გრიგოლი წერილების ბოლოს თითქმის ყოველთვის ქართულად აწერდა — „გფარვიდეს ლაშარი“.

როცა სასიხარულო ამბავს შეიტყობდა, კვეხნას იწყებდა: „გუშინ დიდი სიხარული განვიცადე, როგორც ქართველმა. კალათბურთში ევროპის თასზე თბილისის „დინამომ“ მადრიდის „რეალს“ მოუგო. ფანტასტიკურია! საქართველო ცოცხალია! გაუმარჯოს საქართველოს!“ — უზიარებდა აღტაცებას გიტას.

ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი რომ ნახა, — „ქართული გენია როკვით განფენილი“ დაწერა, სტატია გიტას გაუგზავნა: დავბეჭდოთ და საქართველოში როგორმე გავაგზავნოთო, — სთხოვა.

...გრიგოლი ღელავს. ვერ ისვენებს. რაღაც აშინებს. ქალი ანუგეშებს: ნუ გეშინია, ჩვენს სიყვარულს ავი თვალი ვერ მოერევა, ჩვენი საიდუმლო — „შენ — მე“ — მიუწვდომელია ბოროტისათვის; მე შენი ვარ — ვარ ერთი შენთან — წამდაუწუმ იმეორებს გიტა წერილებში. ის მითოლოგიური კუთხით უხსნის: ქალი ისეთივე უსაზღვროა, როგორიც ზღვა, მამაკაცი კი, ისევე შეზღუდული, როგორიც ტბაო... გრიგოლს მოსწონს ეს აზრი.

ისინი დაქორწინებასაც აპირებენ. გრიგოლს ცოტათი აფრთხობს, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს ამ ამბისადმი შვილობილი. თუმცა იმედოვნებს კიდეც — ალია გონიერი ქალია, ყველაფერს გაიგებსო. მართლაც, როცა გიტასა და გრიგოლის გადაწყვეტილება შეიტყო, მისწერა: „გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენი გადაწყვეტილებისათვის. დიდი იმედი მაქვს, რომ იგი (ქორწინება) იმას მოგიტანთ, რასაც მისგან მოელით“.

გრიგოლი გიტას მამას ჰპირდება — ჩემთან გიტას თავი არ წამოსტკივდება, ბეწვი არ ჩამოუვარდებაო. ეს ჩემი რაინდული ფიციაო.

ორივე ჩქარობს...

1962 წლის 17 ნოემბერს, გრიგოლი ბარათით გიტას უთვლის — მალე სულ ერთად ვიქნებითო. მაგრამ სიკვდილი კართან არის ჩასაფრებული. 19 ნოემბერს, გრიგოლ რობაქიძე საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა და...

უკანასკნელ გზაზე იგი მხოლოდ 8 ადამიანმა გააცილა: ნინო დადიანმა, დიკა კედიამ, ნინო და კალისტრატე სალიებმა, სანდრო ფანჩულიძემ, ხარიტონ შავიშვილმა, კიტა ჩხენკელმა და ნიკოლოზ ჩხოტუა-მაყაშვილმა.

რამდენიმე თვის შემდეგ — 1963 წლის აპრილში, გრიგოლის ერთ ძველ მეგობარს, არნიმ ზიგრისტს, გიტა ფონ შტრახვიტცმა მისწერა:

„რობაქიძე ფლობდა რაღაცას, რასაც დღეს იშვიათად იპოვით — სიბრძნეს. სიბრძნე სიყვარულს და წრფელ გულს გულისხმობს. ჩვენ ალბათ, შეგვიძლია ვიპოვოთ გრიგოლ რობაქიძის პიროვნებაში შეცდომები, მაგრამ მისი ჭეშმარიტი „მე“, მისი მშვენიერი და სულიერი „მე“ იყო სასწაულებრივი“... ■

ფრაზები

გენიალური

თავის მამულში კაცს გაჭირვება სხვადასხვარიგად ენუგეშება: მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის და გულსა გულის პასუხი ესმის!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

«მილანის» ქართველი ფეხბურთელი, რომელსაც დაბადების დღეზე იტალიის პრემიერ-მინისტრი სტუმრობს

ჯახი ჯალაძე „მაქსის“ გამოშვებას საქართველოში არ გეგმავს

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახი კალაძემ, ჩვენი ბოლო შეხვედრისას გულისტკივილით აღნიშნა: ნაკრები რომ აგებს, მილანში ჩასვლა აღარ მინდა, რადგან უკვე იმას კი არ მეკითხებიან, ვისთან დავმარცხდით, არამედ იმას, თუ რა ანგარიშით წავაგეთო... თან კახამ დააყოლა: რომელ სანაკრებო წარმატებაზე ან უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანაზეა ლაპარაკი, როდესაც საქართველოში ნორმალური სავარჯიშო მოედანი არ არსებობსო?! გარდა ნაკრებისა, კახას კიდევ ერთი დიდი სატკივარი აწუხებს: უკვე 4 წელია, მისი ძმა, ლევან კალაძე გატაცებულია და ამ საქმის გამოძიებას დასასრული არ უჩანს. მართალია, აღნიშნულ თემაზე ნაკრების კაპიტანმა ვრცლად საუბარი არ ისურვა, თუმცა, დარწმუნებულია, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბოლოს და ბოლოს, საქმე მალე გაიხსნებაო. ცხადია, ჩვენც ამის იმედი გვაქვს. დღეს კი, გთავაზობთ ინტერვიუს ყველაზე წარმატებულ ქართველ ფეხბურთელთან.

გიორგი ლანჩავა

„სამტრედიაში“ დაწუნებული

— მამაჩემი კარლო კალაძე თავის დროზე, სამტრედიის საფეხბურთო გუნდ „ლოკომოტივში“ თამაშობდა მცველად და ამიტომ სპორტის ეს სახეობა ჩემთვის ბავშვობიდან ახლობელი იყო. ფეხბურთი სიგიჟემდე მიყვარდა და სკოლიდან დაბრუნებული, სანამ გაკვეთილების სწავლას დავიწყებდი, პირველ რიგში, ეზოში თანატოლებთან ერთად, ბურთს დავდევდი. ხშირად ფეხბურთი სახლშიც მითამაშია და ამის გამო, მამას ფანჯრის მინების გამოცვლა ლამის ყოველდღე უხდებოდა. როცა ის სამტრედიული კლუბის პრეზიდენტი გახდა, ფაქტობრივად, გუნდის ვარჯიში არ გამიცდენია, ხოლო 12 წლისამ, ჩემს მშობლიურ ქალაქში საფეხბურთო სკოლაში დავიწყე სიარული, მწვრთნელ ვანო ყურულაშვილთან. თავიდან თავდასხმაში ვითამაშობდი და საკმაოდ ბევრი გოლი გამიტანია. მახსოვს, დასავლეთ საქართველოს რეგიონში ბავშვთა გუნდებს შორის ჩემპიონატი ტარდებოდა და ჩემს გუნდში საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. 14 წლის ვიყავი, როდესაც საქართველოს უმაღლეს ლიგაში დებიუტი მქონდა. „სამტრედია“, რომლის მწვრთნელი მაშინ ზურა ხიზანიშვილის მამა, ნოდარ ხიზანიშვილი იყო, საკუთარ მოედანზე ოჩამჩირის „ამირანს“ 4:0 უგებდა და თამაშის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, შეცვლაზე შევედი. ამის შემდეგ, გაიოზ დარსაძემ 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა საქართველოს ნაკრებში მიმიწვია, სადაც ერთი პერიოდი, ასევე თავდასხმაში გამოვდიოდი, მაგრამ მერე, დარსაძემ მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გადამიყვანა. თბილისში ჩამოსულმა, ერთი წელი ბავშვთა გუნდ „თბილისში“ ვითამაშე და ისევ სამტრედიაში დავბრუნდი, რომელიც, საბოლოო ჯამში, განაწყენებულმა დავტოვე. საქმე ის არის, რომ ჩემზე ზოგიერთები ამბობდნენ, მომავალი არ აქვს და აქედან გამომდინარე, გუნდში თითქმის არ მათამაშებდნენ. ცხადია, ამას ვერ შევეგუებოდი და გადავწყვიტე, ბედი სხვაგან მეცადა.

ილბლიანი მატჩი იტალიელებთან და ზარი ჯიევიდან

— აწ გარდაცვლილი გივი ნოდია იმ პერიოდში, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი იყო და მამამ, რომელიც ბატონ გივისთან მეგობრობდა, მას სთხოვა, გავესინჯე. 15 წლის ვიყავი, „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ვარჯიში რომ დავიწყე. თავიდან, ზედმეტი წონა მქონდა, მაგრამ 3 კვირის შემდეგ, სათანადო ფორმაში რომ მოვედი, ამხანაგური მატჩი მათამაშეს და ცენტრალური მცველის პოზიციაზე ის შეხვედრა ძალიან ძლიერად ჩავატარე. საბოლოოდ, გუნდში ამიყვანეს და ხელფასი — 50 დოლარი დამინიშნეს. „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ჩემი დებიუტი დავით ყიფიანის მთავარი მწვრთნელობისას შედგა, სტუმრად გორის „დილასთან“ დაპირისპირებისას. იმ მატჩში, კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ, გორელთა კარში გოლი მაკრატელა დარტყმით გავიტანე და თავად წარმოიდგინეთ, როგორი გახარებული ვიქნებოდი. თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდი და სეზონის დასრულებისას, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტი გავხდი. იმ დროს უკვე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოვდიოდი და ჩემზე ხშირად ამბობდნენ — პირველი ნაკრების კანდიდატიაო. ქვეყნის ეროვნულ გუნდში 17 წლის ასაკში, ალექსანდრე ჩივაძემ მიმიწვია და პირველი თამაში კვიპროსის ნაკრებთან ჩავატარე სტუმრად. ჩემს კარიერაში გადამწყვეტი კი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თბილისში იტალიელებთან გამართული შეხვედრა აღმოჩნდა, რომელიც ფრედ 0:0 დასრულდა. მაშინ ძირითად შემადგენლობაში კახი ცხადაძე თამაშობდა, მაგრამ მატჩის დაწყებიდან მცირე ხანში მან ტრავმა მიიღო და ნაკრების იმდროინდელმა მწვრთნელმა, დავით ყიფიანმა მოედანზე მე შემიყვანა, ცენტრალურ მცველად. იმ თამაშში პერსონალურად ვმეურვეობდი კრისტიან ვიერის, რომლის ნეიტრალიზება კარგად შევძელი. თან იმანაც შემიწყო ხელი, რომ თამაშში ახალჩართულმა მოვახერხე ვიერისთვის ბურთის ართმევა, რამაც საკუთარი თავის რწმენა შემმატა. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ნაკრებში სათამაშოდ ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი და დიდად არ ვნერვიულობდი... მომდევნო მატჩში — მოლდავეთის ნაკრებთან უკვე ძირითად შემადგენლობაში ვიყავი და ის თამაშიც მაღალ დონეზე ჩავატარე. ამის შემდეგ, ბევრი დრო არ იყო გასული, რომ „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე, სადაც ოთახში დავით მუჯირთან ერთად ვცხოვრობდი, დამირეკა ერთმა პიროვნებამ, კიევის „დინამოს“ მენეჯერად გამეცნო და მკითხა, მსურდა თუ არა უკრაინულ გრანდში თამაში. ცხადია, ვუპასუხე, რომ კიევში დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდი კარიერას. მართალია, თბილისის „დინამოში“ ერთ-ერთ

წამყვან ფეხბურთელად ვითვლებოდი და ხელფასი 500 დოლარი მქონდა, მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ საქართველოს ჩემპიონატში საკუთარი შესაძლებლობები ამოვწურე. ამიტომ მენეჯერის შეთავაზებას, რომ კიევში წავსულიყავი და კლუბის პრეზიდენტს და მთავარ მწვრთნელს, ვალერი ლობანოვსკის შევხვედროდი, სიამოვნებით დავთანხმდი. უკრაინის დედაქალაქში მამასთან ერთად ჩავედი და კლუბის ხელმძღვანელობას ვუთხარი, რომ თბილისის „დინამოსთან“ 10-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებდა. საერთოდ, იმ პერიოდში, „დინამოში“ ასე იყო მიღებული — პერსპექტიულ ბავშვებს გრძელვადიან ხელშეკრულებაზე აწერინებდნენ ხელს. მეც 16 წლის ვიყავი, კლუბთან პროფესიონალური კონტრაქტი რომ გავაფორმე — არადა, საერთაშორისო ნორმებით, ასეთი სახის კონტრაქტის დადება ფეხბურთელთან მხოლოდ 18 წლის ასაკიდან ხდება. მაგრამ „დინამოში“ ისეთი სიტუაცია იყო, რომ ხელშეკრულების არდადების შემთხვევაში, გუნდში არ დამტოვებდნენ... კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელებმა მითხრეს: თუ ჩვენთან თამაში გინდა, დარჩი და ყველაფერს მოვაგვარებთო. თავიდან, „დინამოს“ ჩემი გაშვება არ სურდა და გარკვეული პრობლემაც შემექმნა, მაგრამ საბოლოოდ, კიეველთა კლუბის პრეზიდენტმა თბილისური კლუბის მაშინდელ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან მოლაპარაკებისას ყველაფერი მოაგვარა.

საუკეთესო, ტესტების ჩაბარებისას

— კიევის „დინამოს“ ლეგენდარულ მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკისთან, რომელმაც ჩემს წარმატებულ კარიერაში უდიდესი როლი ითამაშა, შეხვედრა დღევანდელ დღესავით მახსოვს. მის კაბინეტში, სადაც ლობანოვსკი მარტო იმყოფებოდა, მამასთან ერთად შევედი. როცა ვალერი ვასილევიჩმა დამინახა, ასეთი რამ მითხრა: ბეჭები ნამდვილი კაცის გაქვს და დიდი ფეხბურთის თამაში თუ გინდა, ყველაფერი უნდა დამიჯეროო... ლობანოვსკი გუნდში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და როცა გამოჩნდებოდა ხოლმე, ყველა რიდით ხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მკაცრი იყო, ფეხბურთელებთან ურთიერთობისას არაფერი ეშლებოდა. მოთამაშეები მას პატივს სცემდნენ, რადგან ძალზე სამართლიანი ადამიანი გახლდათ და ძირითად შემადგენლობაში იმას ათამაშებდა, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებდა. კიევში ახალი ჩასული ვიყავი, როცა გუნდთან ერთად მინიფეხბურთის ტურნირში მივიღე მონაწილეობა და კარგად გამოვიჩინე თავი. ამის შემდეგ, მოსამზადებლად რუიტში გავემგზავრეთ, სადაც დღეში სამჯერ ვვარჯიშობდით. ლობანოვსკი ხანგრძლივ ვარჯიშებს არ ატარებდა, მაგრამ ისინი იმდენად დატვირთული იყო, რომ პირველ ხანებში, ცოტა მაკლდა იმას, რომ წვრთნის დასრულებისას, გული არ ამრეოდა. თუმცა, ამას არ შევუშინებივარ, პირიქით — უფრო ვინდომებდი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ლობანოვსკის საწვრთნელ მეთოდებს როცა შევეჩვიე, სავალდებულო ტესტების ჩაბარებისას, ყველას ვჯობნიდი. სხვათა შორის, მკლავზე ვეფხვის თავისგამოსახულებიანი სვირინგი კიევში გავიკეთე, რაც ჩემს შეუპოვრობასა და მიზანდასახულობას გამოხატავდა... მოგეხსენებათ, ნებისმიერი მაღალი დონის გუნდში დამკვიდრება ძნელია და ამიტომ, კონკურენტი მოედანზე თავად თუ არ „შეჭამე“, ის „გადაგყლაპავს“. ამიტომ, გუნდში ახალი ჩარიცხული, არავის არაფერს ვუთმობდი. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ თანაგუნდელებმა საკმაოდ კარგად მიმიღეს, რადგან უკრაინელებს ქართველების მიმართ ყოველთვის ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდათ. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ რუსული, ფაქტობრივად, არ ვიცოდი და როდესაც პარტნიორები ხედავდნენ, ამ ენაზე ლაპარაკისას როგორ ვჯახირობდი, ხშირად მაშაყირებდნენ.

მოსკოვის „სპარტაკის“ მარცხი და გოლი „ბაიერნის“ ჯარში

— პირველი სერიოზული გამოცდა კიევურ კლუბში, მოსკოვში დსთ-ის ტურნირზე ჩავაბარე. ეს ასპარეზობა ჩვენთვის უფრო, მოსამზადებელ ხასიათს ატარებდა და ამიტომ ლობანოვსკი გუნდს თითო ტაიმს განსხვავებული შემადგენლობით ათამაშებდა. მთავარი მწვრთნელის ასისტენტები თითოეული ფეხბურთელის ტექნიკურ-ტაქტიკურ მონაცემებს მატჩების მსვლელობისას აღნუსხავდნენ და აღმოჩნდა, რომ საუკეთესო მაჩვენებელი მქონდა. თანამეგობრობის თასის ფინალში მოსკოვის „სპარტაკს“ შევხვდით. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა და შესვენებაზე ლობანოვსკიმ მითხრა, რომ არ მოვწონდი, რადგან შეტევაში ხშირად არ ვერთვებოდი. საერთოდ, მას უყვარდა, როდესაც მეტოქის გადაცემას ჩავჭრიდი და შეტევაზე გადავდიოდი, ამიტომ მწვრთნელმა მიმითითა, რომ თამაშის მსვლელობისას ღია ზონები ჩნდებოდა და შემეძლო, შესაფერის მომენტში შემეტია. მართლაც, მეორე ტაიმი 10 წუთის დაწყებული იყო, რომ მოწინააღმდეგეს ბურთი წავართვი და „სპარტაკელთა“ კარისკენ დავიძარი, თან საჯარიმოსთან მიახლოებისას, შევჩენკოსთან „კედელი“ გავითამაშე და მარცხენა ფეხით შორეულ კუთხეში გავგზავნე ბურთი. ეს ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა — თამაში 1:0 მოვიგეთ. ამ მატჩის შემდეგ, თანაგუნდელებმა სულ სხვა თვალით დამიწყეს ყურება. უკრაინელმა გულშემატკივარმაც შემიყვარა, რადგან კიევის „დინამოს“ დაპირისპირება მოსკოვის „სპარტაკთან“ მუდამ პრინციპულ ხასიათს ატარებდა... იმ დროის განმავლობაში, რაც უკრაინაში ვთამაშობდი, თუ ტრავმა არ მქონდა, ყოველთვის გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვიყავი. პრესაც ჩემს თამაშს მუდამ კარგად აფასებდა და ჟურნალისტებთან მშვენიერი ურთიერთობა მქონდა. ჩემპიონთა ლიგაში პირველი შეხვედრა ათენის „პანათინაიკოსთან“ წავაგეთ 1:2 — არადა, 1:0 ვიგებდით... საერთოდ, ფართო აუდიტორიამ, როგორც უკრაინაში, ასევე ევროპაში, სწორედ აღნიშნულ ტურნირზე თამაშისას გამიცნო. ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მატჩი მადრიდის „რეალთან“, რომელიც წინა გათამაშების გამარჯვებული გახლდათ და ახალს სწორედ კიევში გამოეთიშა... ასევე, დაუვიწყარია შეხვედრა მიუნხენის „ბაიერნთან“, რომლის კარშიც გოლი გავიტანე. ამ თამაშების შემდეგ, უკვე მივხვდი, რომ უფრო მაღალ დონეზე ასპარეზობა მჭირდებოდა, ვიდრე უკრაინის პირველობა იყო.

როგორ მოატყუეს იტალიელებმა გერმანელები

— „მილანში“ ანდრეი შევჩენკოს გადასვლის შემდეგ, მის ახალ კლუბთან იტალიაში ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ, სადაც დაახლოებით 25 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმის შესრულებისას, გავიტანე გოლი. იტალიურ პრესაში უკვე წელიწად-ნახევარი იწერებოდა, რომ „მილანის“ ინტერესთა სფეროში შევდიოდი და ამ გოლმაც ალბათ, მილანელთა მიერ ჩემი შეძენის სურვილი უფრო გაზარდა. თუმცა, იტალიურ გრანდში ჩემი გადასვლა უცბად არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ იმ დროისთვის, კიევის „დინამოსთან“ კონტრაქტი მიმთავრდებოდა და კლუბის პრეზიდენტთან შევედი, რათა მეთქვა, რომ „დინამოს“ დატოვებას ვაპირებდი. მითხრა — არ წახვიდე და ჩვენ გაგყიდითო. ამაზე არ დავთანხმდი. ჩვენ შორის დაძაბული საუბარი გაიმართა და ბოლოს, პრეზიდენტმა მითხრა: კარგი, რა

მოგვიდა?.. აჰა, ნახე — მსოფლიო ნაკრებში ხარ გამოძახებულიო, — თან მოსაწვევი მომაწოდა, სადაც ეწერა, რომ იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში საქველმოქმედო მატჩზე ვიყავი მიწვეული მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში. იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ, დასასვენებლად გავემგზავრე ავსტრიის ერთ-ერთ ზამთრის კურორტზე, სადაც ხშირად ჩავდივარ, რადგან თოვლი ძალიან მიყვარს. ამ დროს მიუნხენის „ბაიერნის“ წარმომადგენლებმა დამირეკეს მობილურ ტელეფონზე და მკითხეს, ხომ ვერ შევძლებდი გერმანიაში ჩასვლას? თან დამპირდნენ, რომ თვითმფრინავის ბილეთსა და სასტუმროში ცხოვრობის ხარჯებს ამინაზღაურებდნენ. გერმანიაში „ბაიერნის“ შეფებს კარლ-ჰაინც რუმენიგესა და ული ჰიონესს შევხვდი. მათ განმიცხადეს, რომ კლუბს ჩემი შეძენა სურდა და ამასთან დაკავშირებით, კიევში ორჯერ ფაქსიც გაუგზავნიათ, მაგრამ „დინამოს“ ხელმძღვანელობას მათთვის უთქვამს: კალაძის გაყიდვისგან თავს ვიკავებთო. მე ავუხსენი, რომ „ბაიერნში“ თამაშის სურვილი მქონდა და პირად კონტრაქტზეც მოვილაპარაკებდი, ოღონდ მათ კიევის „დინამოსთან“ უნდა გაერკვიათ ურთიერთობა. არ ვიცი, საიდან, მაგრამ კიევში შეიტყვეს, რომ მიუნხენელებს შევხვდი. დსთის მორიგ ტურნირზე გაფრენის წინ კი, „დინამოს“ პრეზიდენტი ჩემთან მოვიდა და მითხრა: ტანსაცმელი წამოიღე, რადგან მოსკოვში ორ თამაშს ჩაატარებ და მილანში უნდა გაფრინდე, რათა იტალიური კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდეო. თან გამაფრთხილა, რომ ამის თაობაზე არავისთვის არაფერი მეთქვა. მოსკოვიდან იტალიაში „მილანის“ ქართველ მენეჯერ რეზო ჭოხონელიძეთან ერთად გავფრინდი, რომელიც 18 წელია, იტალიაში ცხოვრობს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნიჭიერი ფეხბურთელების მოძიებითაა დაკავებული. ჭოხონელიძე თავადაც ყოფილი ფეხბურთელია და თბილისის „დინამოს“ გარდა, ქუთაისის „ტორპედოშიც“ აქვს ნათამაშები. სხვათა შორის, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს შეხვედრისას ვუთხარი, რომ ჩემით „მილანი“ იყო დაინტერესებული და ისინი თურმე იტალიაშიც ჩასულან ჩემ გამო, მაგრამ მილანელებს უთქვამთ — კალაძის ყიდვას არ ვაპირებთო. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ იტალიელებმა გერმანელები მოატყუეს... მილანში ჩასული, კლუბის პრეზიდენტ ადრიანო გალიანისა და სპორტულ დირექტორ არიედო ბრაიდას შევხვდი, რომელთაც საღამოს, რესტორანში ვახშმობისას ხუთწლიან კონტრაქტზე ხელის მოწერა შემომთავაზეს. ამან ისე დამაბნია, რომ მათ ვუთხარი: ცოტა დრო მომეცით, მოვიფიქრებ-მეთქი. იმავე საღამოს მამას დავურეკე, რომელმაც არ იცოდა, იტალიაში რომ ვიყავი და გაუკვირდა კიდეც — მილანში რა გინდაო? როდესაც ვუპასუხე — „მილანი“ ხუთწლიან კონტრაქტს მთავაზობს და რა ვქნა, მოვაწერო ხელი-მეთქი? მამამ ისეთი ხმით მიპასუხა — მოაწერე, აბა, რა უნდა ქნაო! — რომ აღარც მიფიქრია და ერთ საათში ხელშეკრულება გავაფორმე. მაშინ „მილანმა“ ჩემს სანაცვლოდ 16 მილიონი დოლარი გადაიხადა და ანდრეი შევჩენკოს გაყიდვის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებს შორის ეს ტრანსფერი ყველაზე ძვირად ღირებულია.

ჯახას თარჯიმანი მალდინი, გიდი შევჩენკო და პირველი იტალიური სიტყვები

— მილანი იტალიის ჩრდილოეთით მდებარე სამრეწველო ქალაქია, რომელიც კიევს სილამაზით ვერ შეედრება. ამიტომ თავდაპირველად, იქ ჩასული, არაფერს გავუოცებივარ. პირველ ხანებში, ქუჩებში მეგზურობას ანდრეი შევჩენკო მიწევდა, რომელიც ძალზე დამეხმარა ახალ კლუბში ადაპტაციის გავლაშიც. ვარჯიშებზე მწვრთნელის დავალებას იტალიურიდან ინგლისურად გუნდის ლეგენდარული კაპიტანი პაოლო მალდინი მითარგმნიდა, რადგან მაშინ იტალიურად მხოლოდ სიტყვა „ჩაო“ ვიცოდი. პირველი იტალიური სიტყვები, რომლებიც ვისწავლე, გახლდათ: „მარჯვნივ“, „მარცხნივ“, „წინ“, „უკან“, ვინაიდან თამაშის მსვლელობისას, ისინი ჩემთვის ძალზე საჭირო იყო... სხვათა შორის, იტალიელებს საქართველოს შესახებ გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ, ვინაიდან ჩვენ ორჯერ მოვხვდით ერთ ჯგუფში — ჯერ მსოფლიო, შემდეგ კი — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები იტალიის ეროვნული გუნდისთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა და თანაგუნდელები ჩვენს დაპირისპირებას ახლაც მახსენებენ. იტალიის ჩემპიონატში პირველი თამაში „რეჯინასთან“ ჩავატარე, რომელშიც მაღალ დონეზე ვიასპარეზე და მატჩის დასრულებისას, საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადმომცეს. ამის შემდეგ, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვიყავი და ჩემპიონატის დასრულებამდე 4 გოლიც გავიტანე. მაგრამ ახალ სეზონში გუნდის მთავარ მწვრთნელად თურქი ფატიჰ თერიმი დაინიშნა, რომელიც გამუდმებით მიცვლიდა სათამაშო პოზიციას და ხანდახან სათადარიგოთა სკამზე მსვამდა. ამან, ცხადია, გამანაწყენა და ერთ-ერთი იტალიური სპორტული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ვთქვი: თუ „მილანში“ არ მათამაშებენ, მაშინ ეს კლუბი ჩემთვის საინტერესო აღარ იქნება-მეთქი, — თან დავამატე — მართალია, ძალიან სახელოვანი გუნდის წევრი ვარ, მაგრამ აქ იმიტომ მოვედი, რომ ყველას დავუმტკიცო, ძლიერი ფეხბურთელი ვარ-მეთქი. ამის შემდეგ, თერიმი უკვე სხვაგვარად მეპყრობოდა და სასტარტო შემადგენლობაშიც მაყენებდა... თურქი მწვრთნელი „მილანის“ თავკაცის პოსტზე კარლო ანჩელოტიმ შეცვალა, რომელთანაც თავდაპირველად, არავითარი პრობლემა არ მქონდა, მაგრამ ბოლო დროს, ის ჩემთვის არასასურველად ითვლება, რადგან ძირითად შემადგენლობაში ხან მათამაშებს, ხან — არა. აქვე გეტყვით, რომ კიევის „დინამოდან“ „მილანში“ გადასვლის შემდეგ, იტალიურ კლუბში ფაქტობრივად, ვისვენებდი, რადგან კიევისგან განსხვავებით, „მილანში“ ვარჯიშზე დიდი დატვირთვა არ იყო და ყურადღება ძირითადად, ტაქტიკური ხასიათის წვრთნას ეთმობოდა. მილანელები გაკვირვებულიც კი იყვნენ, რომ ვარჯიშის დროს ბევრს დავრბოდი... მილანის „სან-სიროს“ სტადიონზე თამაში ფეხბურთელისთვის იგივეა, რაც ოპერის მომღერლისთვის „ლა სკალის“ სცენაზე გამოსვლა. გულშემატკივარი ერთ შეცდომასაც არავის აპატიებს და სტვენით აიკლებს. საერთოდ, „მილანი“ არის კლუბი, სადაც ნებისმიერ მეტოქესთან პაექრობისას, მხოლოდ გამარჯვებას ისახავენ მიზნად და რაც არ უნდა ძლიერ გუნდს ვეთამაშებოდეთ, წინასწარ მატჩის ფრედ დასრულებაზე არავინ ლაპარაკობს. წაგებას ხომ თავისთავად არ ახსენებენ. მიუხედავად იმისა, რომ მალდინი მილანელთა ცოცხალი ლეგენდაა, იგი ცხოვრებაში მშვენიერი ადამიანია და საკუთარ თავს ვინმეს ზევიდან ყურების უფლებას არ მისცემს. საერთოდ, ყოფილი საბჭოური კლუბებისგან განსხვავებით, „მილანში“ უფროს-უმცროსობა არ არსებობს და როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ ყველა ფეხბურთელი თანაბარი უფლებით სარგებლობს.

მილანურ დერბიზე დამოკიდებული პრემიერ-მინისტრის ბედი

— მილანური დერბი „მილანსა“ და „ინტერს“ შორის ჩვენი კლუბისთვის წლის უმთავრესი მატჩია. მაყურებელმა შესაძლოა, სეზონში ნებისმიერი თამაშის წაგება გვაპატიოს, მაგრამ „ინტერთან“ მარცხს ვერაფრით შეეგუება. მატჩის დაწყებამდე 2-3 საათით ადრე, ქალაქი ფაქტობრივად, მკვდარია და ტაქსის გაჩერება რომ გსურდეს, ავტომანქანას ვერ იპოვი. ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელია დერბი, რომელშიც „ინტერი“ 6:0 დავამარცხეთ. მაშინ ჩვენი კლუბის მეპატრონე — სილვიო ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე იყრიდა კენჭს და „ინტერთან“ მოგება მის აქციებს საგრძნო-

ბლად გაზრდიდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ძალიან იოლად გავიმარჯვეთ და ბერლუსკონისაც პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებაში ხელი არ შეშლია. 2003 წლის სეზონში „ინტერს“, გარდა იტალიის ჩემპიონატისა, ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში შევხვდით და მაშინ დაძაბულ ბრძოლაში ლიგის ფინალის საგზური ჩვენ მოვიპოვეთ. თან ფინალში ასევე იტალიური გუნდი — „იუვენტუსი“ შეგვხვდა, რომელსაც იტალიაში ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს. მართალია, ასეთი მაღალი რანგის ტურნირის ფინალში თამაში პირველად მიწევდა, მაგრამ არ ვნერვიულობდი და ერთი სული მქონდა, მატჩის დღე როდის დადგებოდა. თამაშის დაწყებამდე, კარლო ანჩელოტიმ ჩვეულებისამებრ, ფურცლები დაგვირიგა თითოეულ მოთამაშეს, სადაც ეწერა, თუ რა დავალება გვქონდა მოცემული. როგორც იცით, მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დასრულდა, ამიტომ გამარჯვებული, პენალტების სერიას უნდა გამოევლინა. მატჩამდე იმ ფეხბურთელებს შორის არ ვფიგურირებდი, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში, თერთმეტმეტრიანი უნდა დაერტყათ. მაგრამ პენალტების დრო რომ მოვიდა, ზოგიერთ მოთამაშეს შეეშინდა დაკისრებული მისიის შესრულება. მაგალითად, ინძაგიმ საერთოდ ფეხი აიტკივა შიშისაგან და მოედნიდან თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გავიდა. აქედან გამომდინარე, იძულებული გავხდი, თერთმეტმეტრიანი შემესრულებინა და როდესაც იგი ვერ გამოვიყენე, მოედნის ცენტრში თანაგუნდელებთან დაბრუნება აღარ მსურდა. მერჩივნა მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი კარგად დასრულდა და თასს ჩვენ დავეუფლეთ. ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, ჩემთვის უიღბლო ხანა დაიწყო — ტრავმის გამო 5 თვე დასვენებამ მომიწია, შემდეგ, კი დავიწყე თამაში, მაგრამ ორჯერ ისევ ტრავმა მივიღე და ფაქტობრივად, მთელი სეზონი გამიცდა. იტალიის ჩემპიონი კი გავხდი, მაგრამ ძალზე ცოტა მატჩი მქონდა ჩატარებული. გასულ სეზონში ჩემსა და კლუბს შორის უთანხმოების მიზეზი ის გახლდათ, რომ „მილანთან“ კონტრაქტი მიმთავრდებოდა, ხოლო მათი მოთხოვნის მიუხედავად, ახალ ხელშეკრულებას ხელს არ ვაწერდი. გარდა ამისა, ჩემი შეძენა ლონდონის „ჩელსის“ სურდა. ბოლოს და ბოლოს, ლონდონელებთან მოლაპარაკება ჩაიშალა და ისევ „მილანში“ დავრჩი. არადა, შემეძლო, კონტრაქტისთვის ხელი არ მომეწერა, მაგრამ ნახევარი წელი უქმად ვიქნებოდი და შემდეგ, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ნებისმიერ კლუბში წავიდოდი. სხვათა შორის, იმ პერიოდში, როდესაც კონტრაქტის გაფორმება არ მინდოდა, ანჩელოტი განგებ არ მათამაშებდა, ამიტომ „ლივერპულთან“ ჩემპიონთა თასის ფინალი გამოვტოვე. ამჟამად, „მილანთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე მაკავშირებს და იგი იმიტომ გავაფორმე, რომ გალიანიმ, ბრაიდასთან ერთად, თამაშის გარანტია მომცა. მაშინ ჩვენს მოლაპარაკებას ანჩელოტი არ ესწრებოდა. ახლა, როდესაც ზოგჯერ არ მათამაშებენ, ვფიქრობ — ხომ არ ავჩქარდი ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით? მართალია, საკმაოდ დიდ თანხას ვიღებ „მილანში“, მაგრამ მე თამაში მსურს, რადგან ჯერ ახალგაზრდა ვარ, თან, საქართველოს ნაკრების კაპიტანი გახლავართ და სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე მიმდინარე მოვლენების ყურება ნამდვილად არ მინდა, თორემ, 5 წლის მანძილზე ფეხი ფეხზე რომ გადავიდო, კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას მაინც მივიღებ...



ბერლუსკონის სტუმრობაო...

— იტალიაში ფეხბურთი ერის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მის შესახებ ლაპარაკი 24 საათის განმავლობაში მესმის. ფეხბურთისადმი სიყვარული მოსახლეობის ყველა ფენას გამჯდარი აქვს — უბრალო მუშიდან დაწყებული, პრემიერ-მინისტრით დამთავრებული. იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ხშირად მოდის „მილანის“ ბაზაზე, ფეხბურთელებს სხვადასხვა საკითხზე ესაუბრება და ანეკდოტებსაც ჰყვება. იგი შარშან ჩემს დაბადების დღეზეც მოვიდა, როდესაც „ინტერს“ მოვუგეთ და მთელი გუნდი რესტორანში დავპატიჟე. სხვათა შორის, „მილანის“ ერთადერთი ფეხბურთელი ვარ, რომელსაც ბერლუსკონიმ ასეთი პატივი დასდო. ფეხბურთელები იტალიაში ყველაზე ცნობილი სახეები არიან და ხშირად ხდება, როდესაც ქუჩაში მიმავალს ან ავტოგრაფს, ან ფოტოს გადაღებას მთხოვენ. მართალია, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ ზოგჯერ სურვილი მაქვს, თავისუფლად გავიარო, ისე, რომ არავის ყურადღება არ მივიპყრო. მინდა გითხრათ, რომ იტალიურ სპორტულ გაზეთებს საერთოდ არ ვკითხულობ და არც საფეხბურთო ტელეგადაცემებს ვუყურებ, რადგან იტალიაში ბევრი ჟურნალისტი, არაპროფესიონალია. ხშირად ფეხბურთს ქალებიც აშუქებენ და თავად მიხვდებით, როგორ დონეზეც იქნება მომზადებული ესა თუ ის სტატია ფეხბურთზე. ყველაზე ცუდი კი ის გახლავთ, რომ იტალიაში ბევრია კორუმპირებული სპორტული ჟურნალისტი, რომელსაც არ ეთაკილება, ფული აიღოს ამა თუ იმ ფეხბურთელის მენეჯერისაგან, რათა შემდეგ საკუთარ რეპორტაჟში შეაქოს. ამიტომ ვცდილობ, თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად რესტორანში წავიდე. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ადრიანო ჩელენტანოს ქალიშვილთან, ჯორჯო არმანისთან, ჯან-ფრანკო ფერესთან, დოლჩესა და გაბანასთან და მათთან ერთად რესტორანში ვახშმობა ჩემთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. ხშირად ვსტუმრობ ანდრეი შევჩენკოს, რომელიც, რაც დაცოლშვილდა, დროს ძირითადად ოჯახის წევრებთან ერთად ატარებს. ხანდახან ტელევიზიითაც მიწევს გამოსვლა, როდესაც სპორტულ გადაცემებში მიწვევენ.

„მაქსის“ გამომცემელი

— ერთი წლის წინ, კიეველ მეგობარ ვალერი პოლიაკოვთან ერთად, რომელიც ჟურნალისტი გახლავთ, უკრაინაში ევროპაში საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალის — „მაქსის“ გამოცემა გადავწყვიტე. ამ ჟურნალს იტალიური კორპორაცია „რიცოლი“ უშვებს, რომელიც უამრავი ჟურნალისა თუ გაზეთის მფლობელია. მე „რიცოლისგან“ ოფიციალურად ვიყიდე „მაქსის“ დაბეჭდვაზე ლიცენზია და ამჟამად იგი კიევშიც გამოდის. „მაქსი“ ისეთივე ტიპის ჟურნალია, როგორიც „ვოგი“ ან „ჯი-ქიუ“ და ვინაიდან უკრაინაში ცხოვრების დონემ საგრძნობლად აიწია საქართველოსთან შედარებით, მივიჩნიე, რომ მას შესაძლოა, წარმატება ჰქონოდა. ჟურნალი თვეში ერთხელ გამოდის და მისი ტირაჟი ამჟამად 25000-ია. სიმართლე გითხრათ, უკრაინაში რა ფასად ყიდიან, არ ვიცი... საერთოდ, ჟურნალის შემოქმედებით საქმიანობაში არ ვერევი და მხოლოდ იმ გოგონების არჩევაში ვმონაწილეობ, რომელთა ფოტოები „მაქსის“ ფურცლებზე უნდა დაიბეჭდოს. აქვე გეტყვით, რომ უახლოეს მომავალში, ამ ჟურნალის საქართველოში გამოცემა დაგეგმილი არ მაქვს.

ავტომობილების მოტრფიალე

— ქართველ მამაკაცთა უმრავლესობის მსგავსად, ავტომობილები ძალიან მიყვარს. პირველად საჭესთან რომ დავჯექი, 12 წლის ვიყავი და მამაჩემის „ვოლგის“ პედლებს ძლივს ვწვდებოდი. თბილისის „დინამოში“ ყოფნისას, „ჟიგული-09“ ვიყიდე, შემდეგ — „ფორდ ექსპლორერი“ მყავდა, ასევე დავდიოდი სპორტული „ნისანით“, სხვადასხვა კლასის „მერსედესით“. კიევის „დინამოში“ თამაშისას, ყვითელი „ფერარი“ ვიყიდე, რომელსაც, სანომრე ნიშნების მაგივრად, მიკრული ჰქონდა ფირნიში, სადაც რუსული ასოებით ეწერა — KAXA. უკრაინული კანონებით ასეთი რამ ნებადართული იყო. იტალიაში გადასვლის შემდეგ, რამდენიმე ავტომობილი გამოვიცვალე და სულ ბოლოს, Porshe Carrera CT შევიძინე, რომელზე სწრაფიც ალბათ, მხოლოდ თვითმფრინავია. ასეთი ავტომანქანა მსოფლიოში 1200 ცალია გამოშვებული და მისი ღირებულება 400.000 ევროა. ამ დონის ავტომობილი კიევში პირველმა მე ჩავიყვანე.

■

რომანს სახლი არ მიჰყიდეს

როგორც ჩანს, ფულით ყველაფერს მართლა ვერ იყიდი. ამას წინათ, რომან აბრამოვიჩმა ლონდონში მეცხრამეტე საუკუნეში აგებული შენობის შეძენა მოისურვა, რომელიც მისი კლუბის, „ჩელსის“ სტადიონ „სტამფორდ ბრიჯთან“ ახლოს მდებარეობს, თუმცა რუსი მილიარდერის მცდელობა ფიასკოთი დასრულდა. აბრამოვიჩის წარმომადგენლებმა სახლის მფლობელის შესახებ მოიძიეს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ეს ძველი შენობა ნორვეგიელი მილიონერის, ჯონ ფრედრიკსენის კუთვნილება ყოფილა. ამ უკანასკნელს იგი 2001 წელს 40 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეუძენია. აბრამოვიჩი არ დაწვრილმანებულა და ფრედრიკსენს თავიდანვე 70 მილიონი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. „ჩელსის“ მფლობელს ისღა დარჩენოდა, თანხა ჯერ 80, შემდეგ 90 მილიონამდე გაეზარდა. ბოლოს ჩუკოტკის გუბერნატორმა არც 100 მილიონი გირვანქა დაიშურა, მაგრამ ამაოდ. ნორვეგიელმა სახლის გაყიდვა არ ისურვა, რამაც რუსი ოლიგარქი მეტისმეტად გააღიზიანა. სახლი, რომელშიც 10 საძინებელი ოთახი, სატანვარჯიშო დარბაზი და ბურთის სათამაშო ოთახიც ყოფილა განთავსებული, რომანს ძალიან მოსწონებია. აღბათ ამ შემთხვევამდე, მისი მილიონების წინაშე არც ერთი ბარიერი გადაულახავი არ დარჩენილა, ამიტომ ლონდონური კლუბის თავკაცის, ჯონ ფრედრიკსენის სიჯიუტემ იმედგაცრუებული დატოვა. ■

კაკა ქორწინდება

ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და „მილანის“ ნახევარმცველი, კაკა და მისი რჩეული, კაროლინ სეკიკა, 23 დეკემბერს იქორწინებენ. წყვილი ჯერ კიდევ ზაფხულში აპირებდა დაოჯახებას; მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქორწინების ცერემონია 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გაიმართებოდა, თუმცა კაკამ და კაროლინმა კვლავ შეცვალეს გადაწყვეტილება და შეუღლებას საშობაო არდადეგებზე აპირებენ. შეყვარებულების თქმით, ისინი კიდევ ერთ წელიწადს ველარ მოიცდიან. უკვე ოთხი წელია, რაც 23 წლის კაკა და 17 წლის კაროლინი (რომელიც ქორწინების დღისთვის უკვე 18 წლის იქნება) ერთმანეთს ხვდებიან. პირველად შეყვარებულთან ერთად, კაკა საზოგადოებაში, გასული წლის 29 სექტემბერს გამოჩნდა. ეს ანდრეი შევჩენკოს ქორწილში მოხდა. საინტერესოა, რომ კაროლინის დედა Dior-ის სახეა ბრაზილიაში. სხვათა შორის, თავიდან ის ქალიშვილის იტალიაში გადასვლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა. ■

ალუმი მუნდიალის ჯენჭისყრის ცერემონიაზე

32 წლის გერმანელი მოდელი, ჰაიდი კლუმი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კენჭისყრის ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 9 დეკემბერს ლაიფციგში გაიმართება. როგორც ცნობილია, ამ ღონისძიებაზე ტრადიციულად მსოფლიო სპორტისა და შოუბიზნესის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყრიან ხოლმე თავს. კენჭისყრაზე სულ 3700 ადამიანია მიწვეული, მათ შორის, 32-ვე გუნდის წარმომადგენელი. ამ დღეს ისინი თავიანთი ნაკრებების მეტოქეების ვინაობას გაიგებენ. რა თქმა უნდა, ზეიმს დიეგო მარადონა და პელეც დაესწრებიან. რაც შეეხება ჰაიდის, მას ცოტა ხნის წინ, ვაჟიშვილი შეეძინა, — ამჯერად ახალი ქმრის, ბრიტანელი მომღერლის, სილისაგან. გარდა ამისა, სუპერმოდელს „ფორმულა-1“-ის გუნდ „რენოს“ მფლობელ, ფლავიო ბრიატორესგანაც ჰყავს ქალიშვილი. ჰაიდიმ პოპულარობა 1992 წელს მიუნხენში გამართულ სილამაზის კონკურსზე მოიპოვა. ამის შემდეგ, გერმანელი ლამაზმანი ნიუ-იორკში გადაბარგდა, სადაც მისით ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედის“ რეპორტიორი დაინტერესდა. ამ გამოცემის პირველ გვერდზე დაბეჭდილმა კლუმის სურათმა ნამდვილი ფურორი მოახდინა. გოგონას „გუჩიმ“, „კრისტიან დიორმა“ და სხვა ცნობილმა საფირმო ნიშნებმა შესთავაზეს კონტრაქტები. იგი წარმატებულად თანამშრომლობდა ისეთ ჟურნალებთან, როგორებიცაა „ელი“, „ვოგი“ და „მარი კლერი“. მუშაობდა ყველაზე პრესტიჟულ სარეკლამო სააგენტოებთან. გარდა ამისა, ჰაიდის სამსახიობო ნიჭიც აღმოაჩნდა და პოპულარულ სერიალ „სპინ სიტიში“ მონაწილეობდა. შრომისმოყვარეობისა და გრაციის წყალობით, კლუმმა „ამერიკის პირველი ლამაზმანის“ ტიტულიც მოიპოვა. გერმანიაში კი თავისი სახელის მატარებელი პარფიუმერიული ფირმა დააარსა. Forbes-ის მონაცემების თანახმად, გასულ წელს, კლუმმა ყველაზე მდიდარ მოდელთა შორის, მესამე ადგილი დაიკავა. ის წელიწადში რვა მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. მისი შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამებში მონაწილეობა წარმოადგენს. ამჟამად, ჰაიდი ისეთ ბრენდებთან თანამშრომლობს, როგორიც Victoria`s Secret, Katjes, Spar და Comma-ა. ამასთან, ბოლო დროს მისი შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა. ლამაზმანმა რამდენიმე ხელსაყრელი კონტრაქტი გააფორმა და ერთ-ერთი პოპულარული რეალითი-შოუს წამყვანიცაა. ■

როგორ აღმოვფხვრათ კორუფცია ფეხბურთში?

როგორც ცნობილია, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გერმანიაში დიდი სკანდალი აგორდა ე.წ. ჩაწყობილი თამაშების გამოაშკარავების შედეგად, რომლებშიც ზოგიერთი მსაჯი მონაწილეობდა. ამის გამო, ფეხბურთელებისთვის ტოტალიზატორში ფსონის დადების აკრძალვის შესახებაც ალაპარაკდნენ. ამას წინათ, აქტუალურ თემაზე საკუთარი მოსაზრება ცნობილმა ფეხბურთელმა, მარიო ბასლერმაც გამოთქვა. „მთელი ერი, მთელი ბუნდესლიგა თამაშობს ტოტალიზატორში და ამით ყველა დიდ სიამოვნებას იღებს. ფულს მეც ვდებ ხოლმე. ხანდახან მეკითხებიან: თქვენ მოთამაშე იყავით, ახლა სამწვრთნელო საქმიანობას ეწევით. ამორალურად ხომ არ მიგაჩნით მეტოქეთა წაგებაზე ფსონის დადებით ფულის მოგება? არა, ეს ამორალური არ არის“, — ვპასუხობ მე. ამორალური ის იქნებოდა, ფსონი საკუთარი გუნდის წაგებაზე რომ დამედო. მაგრამ ამას ჩემი მორალური კოდექსი მიკრძალავს. მთელი ბუნდესლიგა საბუკმეკერო კანტორებთანაა დაკავშირებული. არაერთ სტადიონზე მათი სარეკლმო ბანერებია განთავსებული. და ამ ფონზე, თავად მოთამაშეებს ფსონის დადება უნდა ავუკრძალოთ? ეს ხომ უაზრობაა. ყველა კლუბზე, სადაც კი თამაშმა მომიწია, ფსონებს ვდებდი. რა თქმა უნდა, მხოლოდ მოგებაზე. ეს „ბაიერნში“ უფრო ძნელი იყო, რადგან ამ გუნდის მოგება, როგორც წესი, მცირე კოეფიციენტით ფასდება ხოლმე. ერთ დროს, ამ კლუბთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ერთ-ერთ ბუკმეკერს. ის, ისე დაუახლოვდა მოთამაშეებს, რომ მათთან სასტუმროს ნომრებშიც კი თავისუფლად შედიოდა. ეს უკვე მეტისმეტი გახლდათ. ამიტომ ხელმძღვანელობამ მას გუნდთან ურთიერთობა აუკრძალა“, — იხსენებს ბასლერი. აღსანიშნავია ის, რომ ჩაწყობილ თამაშებში მსაჯთა მონაწილეობის აღმოფხვრის მიზნით ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი კიდევ ერთხელ გამოვიდა „პროფესიონალი არბიტრების ინსტიტუტის“ შემოღების ინიციატივით. „თუ მსაჯები წელიწადში ანაზღაურების სახით 100 ათას ევროს მაინც მიიღებენ, ეს მომავალში ანალოგიური სკანდალების აცილებაში დაგვეხმარება. უკვე ათი წელია, პროფესიონალი მსაჯების შესახებ ვლაპარაკობთ. თუ მსაჯობა კარგად ანაზღაურებად პროფესიად იქცევა, არბიტრებს ვინმესთან გარიგებაზე წასვლა აღარ დასჭირდებათ. ისინი ისევე ივლიან სამსახურში, როგორც სხვა ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლები. დღეს ფეხბურთში იმხელა ფული ტრიალებს, რომ არბიტრთა ნორმალური ანაზღაურებისთვის საჭირო სახსრების გამონახვა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. რა თქმა უნდა, მათი ანაზღაურების დონე იმ ლიგის, მატჩების დონის შესაბამისი იქნება, რომლებსაც მსაჯები ემსახურებიან. მაგრამ ვფიქრობ, წელიწადში 100 ათასი ევრო — სრულიად რეალური თანხაა“, — დასძენს ბლატერი. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ დღეისათვის ევროპის ე.წ. დიდი საფეხბურთო ხუთეულის ქვეყნებიდან, ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში პროფესიონალ არბიტრებს მხოლოდ ინგლისელები და ფრანგები იყენებენ. გერმანიაში, ესპანეთსა და იტალიაში კი, მსაჯებს თავიანთი ქვეყნების ფედერაციებთან კონტრაქტები არა აქვთ გაფორმებული. ■

ბუფონი სერედოვაზე იქორწინებს?

„იუვენტუსის“ გოლკიპერ, ჯანლუიჯი ბუფონისა და რუსული წარმოშობის ჩეხი მოდელის, ალენა სერედოვას რომანსულ უფრო სერიოზული ხდება. ყოველ შემთხვევაში, ალენას ერთი სული აქვს, თუ როდის მისთხოვდება იტალიელ მეკარეს. შეგახსენებთ, რომ ორივე მათგანი 27 წლისაა. ჯანლუიჯი და ალენა უკვე ექვსი თვეა, რაც ერთმანეთს ხვდებიან. ბოლო დროს კი წყვილს ურთიერთობისა და ქორწინებაზე ფიქრის საკმაო დროც ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში „მილანის“ ბრაზილიელ ლეგიონერ კაკასთან შეტაკების გამო, ბუფონმა მხრის მძიმე ტრავმა მიიღო. როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ბუფონმაც მთელი თავისუფალი დრო შეყვარებულთან ერთად გაატარა. სხვათა შორის, ჯიჯი და ალენა უკვე დიდი ხანია, რაც ერთმანეთს იცნობენ. ეს არცაა გასაკვირი — ჩეხი ლამაზმანის ეროტიკული ფოტოები ხომ ევროპის თითქმის ყველა წამყვან პორნოსაიტს ამშვენებს. გარდა ამისა, ბუფონი სუპერმოდელს კრისტიან ვიერისგანაც იცნობდა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ალენა სწორედ კრისტიანის საყვარელი გახლდათ. როგორც ჩანს, მსოფლიოში ფეხბურთში „გამეფებული“ დაცვითი თამაშის ტენდენცია, ამურულ ცხოვრებაშიც ეფექტური აღმოჩნდა. ფორვარდთან შედარებით, მილიონობით მამაკაცის საოცნებო ქალმა, გოლკიპერს მიანიჭა უპირატესობა და ახლა მასთან ერთად ბედნიერიცაა. რაც შეეხება ბუფონს, რომელსაც საშუალო სკოლაც არ დაუმთავრებია, ალენასთან ქორწინება ორმაგად წაადგება. როგორც ცნობილია, სერედოვა ფილოსოფიურ მეცნიერებათა მაგისტრია. ამიტომ, მასთან თანაცხოვრებით, გოლკიპერი ინტელექტსაც აიმაღლებს. ■

სპეიტით „პლეიბოიში“

სკეიტბორდით სეირნობა ექსტრემალურ გართობად ითვლება. ამიტომ, სპორტის ამ სახეობით ძირითადად, თინეიჯერები არიან გატაცებული, თანაც გორგოლაჭებიან ფიცარზე სუსტი სქესის წარმომადგენლებიც დიდი სიამოვნებით დგებიან. მაგალითად, ჰიზერ კრისტენსენი პროფესიონალი სკეიტბორდისტი არ არის, მაგრამ სწორედ ამ სახის ფიზიკური აქტიურობის წყალობით მიიპყრო მან „პლეიბოის“ მესვეურთა ყურადღება. უფრო მეტიც, ფოტოსესიამ მისი ექსტრემალური გატაცების კონტექსტში ჩაიარა. თუმცა, ჰიზერი ფოტოკორესპონდენტების ყურადღებას მხოლოდ სკეიტზე სეირნობისას როდი იპყრობს. 2001 წელს ის საუკეთესოდ აღიარეს გოგონათა შორის, რომლებიც ქვედა თეთრეულის დემონსტრირებას ახდენდნენ. მიუხედავად ამისა, კრისტენსენის მიერ მიცემული ყველა ინტერვიუს ლაიტმოტივი სკეიტია. როგორც თავად ჰიზერი ამბობს, სკეიტზე დგომა მისთვის ბოიფრენდს უსწავლებია. ამიტომ ლამაზმანი დღემდე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სკეიტბორდისტი ბიჭი გაიცნოს. „ხანდახან მშვიდი ვარ, მორიდებული, მაგრამ ადვილად შემიძლია გარდასახვა და სკეიტბორდისტთა მორიგ საღამოზე ლუდის დასალევად წასვლა“, — ამბობს ჰიზერი, რომლის კიდევ ერთი ჰობი საკუთარი, 1968 წელს გამოშვებული „მუსტანგით“ სეირნობაცაა, რასაც ის თავისუფალი დროის დიდ ნაწილს უთმობს. ■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-46)

ახალგაზრდა ქირურგ ლანა მესხს, რომელსაც მთავარი ექიმი სამსახურიდან დაითხოვს, კოლეგა — გიზო ვაშაკიძე ახალგახსნილ ფარმაცევტულ ფირმაში სამუშაოდ წაიყვანს, რომელიც მას და მის მეგობარს ეკუთვნის. ჯერჯერობით, ლანას დიდად არც პირად ცხოვრებაში უმართლებს, რის გამოც დედამისი — თამარი განსაკუთრებით ნერვიულობს.

ჯერ კიდევ საავადმყოფოში მუშაობისას, ავადმყოფის სანახავად მიმავალ ლანას თავს დაესხმება ნარკომანი, რომლისგანაც ახალგაზრდა მამაკაცი დაიხსნის. ლანას მხსნელი — ლევან ქართველიშვილი კერძო სამშენებლო ფირმის მეპატრონეა. მას მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს და 6 წლის ქალიშვილს მარტო ზრდის. ახალგაზრდებს ერთმანეთი თავიდანვე მოეწონებათ. თუმცა ლანა თავს მაინც შორს დაიჭერს. ამასობაში, ლევანს რამდენიმე თვით გერმანიაში, სტაჟირებაზე მოუწევს წასვლა. მანამდე ის ლანას ხვდება და თავის ყველაზე დიდ საიდუმლოს უმხელს. ლევანის ახალგაზრდა მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ, თავად ლევანი კი ამ დროს თურმე, ყოფილ საყვარელთან პაემანზე ყოფილა. ამის გამო ის ძალზე იტანჯება.

ლევანის გამგზავრების შემდეგ, ლანა გიზოს ფირმაში იწყებს მუშაობას. ფირმის შეფი — გივი გიგაური ქალს მაშინვე არშიყობას დაუწყებს, რაც ლანას დიდად არ აშფოთებს. სამაგიეროდ, ის შეფის მდივანს — თინიკო ელიავას დაუმეგობრდება, რომელიც მას ფირმის მთელ „შიდასამზარეულოს“ გადმოულაგებს...

მოულოდნელად, ლანას კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდება: დედა მის ტანზე უცნაურ ლაქებს შენიშნავს და თავის მეგობარ ექიმთან გააქანებს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დიაგნოზს დაუსვამს. მაგრამ ექიმის მიერ დანიშნულ წამალს ლანა არ სვამს, რითიც დედის გულისწყრომას გამოიწვევს. შემდეგ, თამარი შემთხვევით აღმოაჩენს ათას დოლარს, რომელიც ლანას, ლევანმა დაუტოვა. ქალიშვილი მოკლედ მოუყვება დედას ამ კაცის შესახებ, მაგრამ თამარი უეცრად ეტყვის — შენ ის კაცი უკვე გიყვარსო... ამ საუბრის დროს, თამარი შვილს სთხოვს, წავიდეს სოფელში ბებიასთან, რომელსაც სურს, წამლების საგვარეულო რეცეპტები გადასცეს...

გიზომ ლანას თხოვნა ბოლომდე არც კი მოისმინა, გივი გიგაურთან ისე გაუშვა: შენთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს ამიერიდან მხოლოდ ის წყვეტსო. გივიმ კი პირიქით: ლანას გულდასმით მოუსმინა და შემდეგლა უთხრა:

— რა პრობლემაა? ერთი კი არა, მთელი ორი კვირითაც კი გაგიშვებ.

— ორი კვირა ნამდვილად არ დამჭირდება. — იუარა ლანამ.

— მაშინ, რამდენიც დაგჭირდება, ზუსტად იმდენ ხანს დარჩი... — ბავშვივით დაუყვავა გივიმ ქალს. — ამასობაში, ჩვენც ნელ-ნელა დავლაგდებით. თორემ, გავიგე, აქაურ უწესრიგობას ძალიან შეუწუხებიხარ...

— მაპატიეთ, ბატონო გივი, მაგრამ ცოტა უნიჭო ინფორმატორი უნდა გყავდეთ... — გადაკრულ სიტყვებზე პირდაპირ უპასუხა ლანამ. — მე აქაურმა უწესრიგობამ კი არა, მხოლოდ საკუთარმა უსაქმურობამ შემაწუხა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — ხელები საქმიანად მოიფშვნიტა გივიმ. — უკან რომ დაბრუნდები, იმდენი საქმე დაგხვდება, მგონი, იხვეწებოდე, ცოტა ამომასუნთქეთო...

— ძალიან დამავალებთ... — დაიწყო ლანამ.

— აი, ინფორმატორს რაც შეეხება, — თითქოს, ლანას სიტყვები საერთოდ არ გაუგონიაო, ისე განაგრძო გიგაურმა. — გეთანხმები, დიდი ნიჭით ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ საჭირო კაცია და ჯერჯერობით ვერ შეველევი... რას იტყვი, ხომ მართალი ვარ?

— ვერაფერს გეტყვით, ბატონო გივი, რადგან არ ვიცი, კონკრეტულად ვის გულისხმობთ — თავი შორს დაიჭირა ლანამ.

— ვის და გიზოს, — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა ლანას გივიმ.

— გიზო ჩემი დიდი ხნის კოლეგა და მეგობარია, ბატონო გივი და აქამდე ჩემთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია.

— ჯერჯერობით, არც ჩემთვის, — ცივად მოუჭრა გივიმ და საუბარი მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანა: — თუ საიდუმლო არ არის, სოფელში რისთვის მიდიხარ?

— ბებიაჩემია შეუძლოდ.

— რა აწუხებს?

— გაცივდა. თანაც, მოხუცების ამბავი ხომ იცით: ხან რა შემოუტევს და ხან — რა...

— თუ გინდა, სამსახურის მანქანით გაგიშვებ. — მოლება გივი.

— არა, რას ბრძანებთ?! — იუარა ლანამ.

— მართლა, მართლა... — რა იცი, ბებია როგორ დაგხვდეს. იქნებ, სულაც მისი თბილისში წამოყვანა დაგჭირდეს.

— არა, გმადლობთ, — თავი ისევ შორს დაიჭირა ლანამ. — მაინც არ წამომყვება.

— მაშინ, იქნებ, წამლები გჭირდება?.. მითხარი, არ მოგერიდოს. ჩვენს ფირმაში შინაურებისთვის ყველაფერი მოიძებნება.

— დიდი მადლობა, ბატონო გივი, მაგრამ ნამდვილად არ არის საჭირო, რადგან ბებიაჩემი საკუთარი ხელით დამზადებული წამლების გარდა, მაინც არაფერს იკარებს...

— როგორ? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა გივიმ. — ფარმაცევტი ბებია გყავს?

— არა, უბრალოდ, შინაური მკურნალია. თუმცა, ხალხი ძალიან ემადლიერება. უამრავი ადამიანი ჰყავს მორჩენილი.

— რას მეუბნები?! — გახალისდა შეფი. — მაინც, რა წამლებს ამზადებს?

— ძირითადად, მცენარეულ ნაყენებს და მალამოებს.

— თურმანიძის მალამოს მსგავს რაღაცებსაც?

— ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ბებიაჩემის დამზადებულ მალამოებს ზოგჯერ თურმანიძისაზე უკეთესი ეფექტიც კი აქვს, მაგრამ მაინც ნაკლებადაა ცნობილი...

— გასაგებია... — წმით ჩაფიქრდა გივი და მერე დაუმატა: — ერთი ეს მითხარი, ბებიაშენს მალამოების დამზადება ვინ ასწავლა?

— დედამისმა. იმას კიდევ — დედამისმა...

— ძირითადად, რა დაავადებებს კურნავს?

— მართალი გითხრათ, ამით დიდად არასდროს დავინტერესებულვარ, მაგრამ როგორც დედაჩემისგან ვიცი, ნაყენებით ძირითადად, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს მკურნალობს, მალამოებით კი — დამწვრობას და კანის სხვადასხვა დაავადებას...

„უი, ღმერთო ჩემო!.. — ჩაფიქრდა უცბად ლანა. — იქნებ, ბებიაჩემმა მეც მომარჩინოს?.. ისე, დედაჩემიც კარგი ვინმეა: ექიმებში დამატარებს და დედამისის მალამოები კი ერთხელაც არ გახსენებია...“

— რას გეტყვი, იცი?.. — უცბად, საიდანღაც შორიდან ჩაესმა შეფის ხმა ფიქრებში წასულ ლანას. — სოფელში როგორც კი ჩახვალ, მაშინვე დამირეკე!.. არა, უმჯობესია, შენი ნომერი დამიტოვე და მე თვითონ დაგირეკავ... რაღაც საინტერესო იდეა მომივიდა თავში, მაგრამ კარგად რომ დავალაგებ, მერე დაგელაპარაკები...

— როგორც თქვენ იტყვით, ბატონო გივი, — წასასვლელად მოემზადა ლანა.

— ჰო, მართლა!.. — შეაჩერა ის გივიმ. — თინიკოს უთხარი, მივლინება გაგიფორმოს...

გიგაურის კაბინეტიდან ლანა ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული გამოვიდა.

— რა იყო? — მაშინვე ეცა მას თინიკო.

— არ გიშვებს?

— როგორ არა, — გამოერკვა ლანა, — შენზე მითხრა, მივლინებას გაგიფორმებსო.

— აბა, რას ვიზამ?! — მაშინვე დაფაცურდა თინიკო. — ისე, სხვა არაფერი უკითხავს?

— დანარჩენს მივლინების ფურცელს რომ გამიმზადებ, მერე მოგიყვები.

— ხუთ წუთში შენთან გავჩნდები, — მაშინვე კომპიუტერს ეცა თინიკო.

მაგრამ თინიკომ ლანას კაბინეტის კარი კარგა ხნის შემდეგ შეაღო.

— ეგ არის შენი ხუთი წუთი? — უსაყვედურა ლანამ.

— გივიმ შემაყოვნა, — მაშინვე სკამს დაასკდა თინიკო.

— რაო?.. ისევ სიყვარულის ახსნის ხასიათზე ხომ არ დადგა?

— არა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა... — ფეხი ფეხზე გამომწვევად გადაიდო თინიკომ.

— რა საქმეზე, გოგო, გაგიჟდი?!

— არა, „ის“ საქმე არ მიგულისხმია... — ჩამოქნილი ფეხი არხეინად აიქნია თინიკომ, — უბრალოდ, როგორც კი შენ გამოხვედი, მაშინვე გიზო გამოიძახა და აქამდე რაღაცაზე ბჭობდნენ. სამჯერ შევუვარდი — ლანას მივლინებაზე ხელი მომიწერე-მეთქი, — მაგრამ სანამ გიზოსთან ლაქლაქს არ მორჩა, პასუხი არ მაღირსა... რას გეტყვი იცი? — წამით ჩაფიქრდა თინიკო. — თავი მომჭერი, თუ მორიგი ახვრობა არ ჩაიფიქრეს...

— იახვრონ და იყვნენ. ნეტავ, შენ რა გენაღვლება?! — მივლინების ფურცელი ფაქიზად მოკეცა და ხელჩანთაში შეინახა ლანამ.

— მე — არაფერი, მაგრამ აი, შენ კი...

— მე საერთოდ, რა შუაში ვარ?

— არ ვიცი, მაგრამ რამდენჯერაც კაბინეტში შევედი, იმდენჯერ გივის შენი სახელი ეკერა პირზე. ჩემს დანახვაზე კი მაშინვე სიტყვა აშრებოდა. ბოლოს მიყვირა კიდეც: ნუ შემჭამე!.. ხელის მოწერას რომ დავაპირებ, თვითონ დაგიძახებო.

— დაგიძახა?

— დამიძახა და მკაცრად გამაფრთხილა, დღეიდან ჩემს კაბინეტში დაუკაკუნებლად შემოსვლა აღარ გაბედოო... შევალ არა, მაგისმა მზემ, კარს ავუტალახებ... ერთ კვირასაც ვერ მოითმენს და ისევ თვითონ მომიხოხდება ნაცემი ძაღლივით.

— შეიძლება, რაღაც გთხოვო? — გააწყვეტინა როლში შესულ თინიკოს ლანამ.

— რა ნებართვას იღებ? რაც გინდა, ის მთხოვე.

— თუ ჩემი არყოფნის პერიოდში აქ რამე მნიშვნელოვანი მოხდა, აუცილებლად დამირეკე, კარგი?

— მნიშვნელოვანში რას გულისხმობ?.. გივიმ თუ კისერი მოიტეხა და გიზოც თან მიჰყვა?.. — გადაიკისკისა გამხიარულებულმა თინიკომ.

— ფრთხილად იყავი, მანამდე ჩვენ არ წაგვატეხინონ კისერი.

— ფეხები არ მომჭამონ ძირში! — ლამაზ ფეხებზე სიამაყით დაიხედა თინიკომ. — ტყუილად კი არ დავდივარ კარატეზე!

— სად დადიხარ?

— აღმოსავლურ ორთაბრძოლებზე. რა?.. შენთვის არ მითქვამს?

— პირველად მესმის.

— გინდა, შენც წაგიყვანო?

— მიმიღებენ?

— არ შეგეხვეწებიან, რომ?.. ორ თვეში იმდენ რამეს ისწავლი, რომ გივის და გიზოსნაირებს ერთი დარტყმით გააგორებ...

— კარგი, როგორც კი სოფლიდან დავბრუნდები, მაშინვე მივიდეთ. მანამდე კი, ასი თვალი და ასი ყური გამოიბი და აქაურობას ისე დააკვირდი.

— შენც დროზე დაბრუნდი. ნამეტანიც კი ნუ გადაჰყვები ბებიაშენს, — ფეხზე მკვირცხლად წამოხტა თინიკო და ლანას მეგობრულად გადაეხვია...

დიდუბის ავტოსადგურამდე ლანა თამარმა გააცილა და სანამ სამარშრუტო ტაქსიში მის გვერდით თავისუფალი ადგილი იყო, ფეხი არაფრით მოიცვალა. მაგრამ, როცა მანქანას ხანში შესული ქალი და პატარა გოგონა მიუახლოვდნენ, ლანამ დედას მაშინვე ხმადაბლა გადაულაპარაკა:

— დედა, „მარშრუტკაში“ მხოლოდ ჩემ გვერდით დარჩა თავისუფალი ადგილი. ასე რომ...

— კარგი, კარგი, — შვილს სწრაფად დაემშვიდობა თამარი და მანქანიდან უხალისოდ ჩავიდა.

ლანამ მეტროსკენ მიმავალ მობუზულ თამარს სევდიანად გააყოლა თვალი. ამასობაში, მის გვერდით სწორედ ის ქალი დაჯდა და გოგონა კალთაში ჩაისვა. როგორც კი ტაქსი დაიძრა, გოგონაც მაშინვე აცმუკდა და ქალს ყურში რაღაც უჩურჩულა.

— არ შეიძლება, — მოკლედ უპასუხა ქალმა.

— გეხვეწები, რა, ბებო! — მაინც არ მოეშვა გოგონა და თან მალულად გახედა ლანას.

— ხომ გითხარი, არ შეიძლება-მეთქი!.. — ორივე ხელი ისე შემოხვია მას ქალმა, თითქოს შეეშინდა კალთიდან არ გადამიხტესო.

— სულ ერთი წუთით, რა, ბებო! — თავისას არაფრით იშლიდა ბავშვი, რომელსაც ბოლოს, ფიქრებში წასულმა ლანამაც მიაქცია ყურადღება, თავზე ხელი გადაუსვა და ისე ჰკითხა:

— რა გქვია?

— თამუნა, — ჩაიბურტყუნა ბავშვმა და თავი დახარა.

— ძალიან ლამაზი სახელია... ფანჯარასთან დაჯდომა ხომ არ გინდა, თამუნა?

— მინდა! — მაშინვე თავი ასწია გახალისებულმა გოგონამ და ლანას შავი, ბრიალა თვალები შეანათა.

„ღმერთო, — გაიფიქრა ლანამ, — სად მინახავს ეს თვალები?..“ — შემდეგ ხმამაღლა დაუმატა:

— მაშინ მოდი, ჩემს კალთაში გადმოსკუპდი.

თამუნამ მართლაც, მაშინვე ლანას კალთაში ისკუპა და, თან ნიშნის მოგებით გახედა ბებიას.

— იცოდე, დეიდა არ შეაწუხო! — მაშინვე დარიგება დაუწყო მას ქალმა.

— რა შეწუხებაა, ქალბატონო!.. თუ გინდათ, საერთოდაც გავცვალოთ ადგილები.

— მოდი, ბებო გენაცვალოს, გავუცვალოთ დეიდას ადგილი, — ლანას კალთიდან ბავშვის წამოყენება სცადა ქალმა, მაგრამ გაჯიუტებული თამუნა ლანას ტკიპასავით მიეკრა.

— იჯდეს, არა უშავს, — დაამშვიდა ლანამ ქალი. — ნამდვილად არ მაწუხებს.

— აი, ასეთი უცნაური ბავშვია — ამოიოხრა ქალმა. — რასაც დაიჩემებს, ველარაფრით გადაათქმევინებ. —

— მე მგვანებია, — გაეღიმა ლანას.

— თქვენ მსგავსი სიჯიუტისგან ღმერთმა დაგიფაროთ!

— აბა, ერთი დედაჩემს ჰკითხეთ...

— დედათქვენი, ალბათ, ის ქალი იყო ხომ, რომ გაცილებდათ?

— დიახ.

— დედაშენს რა ჰქვია? — ჰკითხა უცბად თამუნამ ლანას.

— დედაჩემს შენსავით თამარი ჰქვია.

— მე თამუნა ვარ.

— ბავშვობაში ისიც თამუნა იყო.

— შენ ვინღა იყავი?

— მე-ე?.. — წამით ჩაფიქრდა ლანა. — მე ყოველთვის ლანა ვიყავი.

— ნინო ბებოც ყოველთვის ნინო იყო, — ბებიისკენ პაწია ხელი გაიშვირა თამუნამ.

— ნინოც ძალიან კარგი სახელია.

— ჩემს დედიკოს უფრო კარგი სახელი

ერქვა, მაგრამ იცი, რა მოუვიდა?..

— თამუნა! — გააწყვეტინა შვილიშვილს ნინომ. — ნუ დაღალე დეიდა.

— დეიდა კი არა, ლანა დეიდა, — ამაყად გაუსწორა თამუნამ ბებიას.

სწორედ იმწუთას სამარშრუტო ტაქსის, ტალახში გვარიანად ამოსვრილმა „ბე-ემ-ვემ“ გაუსწრო, მისმა მძღოლმა „მარშრუტკას“ ხელით რაღაც ანიშნა, თავად კი მანქანა გზიდან გადაიყვანა და გააჩერა. ცოტა ხანში ტაქსის მძღოლმაც მას მიჰბაძა.

— რა მოხდა? — იკითხა ერთ-ერთმა მგზავრმა.

— ახლავე გავიგებთ, — მშვიდად უპასუხა ტაქსის მძღოლმა.

ამასობაში უცხოური მანქანიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა, ტაქსისთან მიირბინა, კარი ხმაურით გამოაღო, სალონი მოათვალიერა და როგორც კი ნინო და თამუნა შენიშნა, სიხარულით შესძახა:

— ნინო ბიცოლა, თამო, ჩამოდით!

— დათუნა, შენა ხარ, ბიჭო? — მაშინვე დაფაცურდა თამარი. — მე კი მეგონა, საერთოდ გადაიფიქრე წამოსვლა...

— ცოტა ჩქარა, რა! — გაისმა ისევ იმ მგზავრის უკმაყოფილო ხმა.

ნინომ შვილიშვილის ხელი წამოავლო და ლანას სწრაფად დაემშვიდობა.

— „პაკა“! — ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა ლანას ტაქსიდან ჩასულმა თამუნამ, რომელიც ახალგაზრდამ მაშინვე ხელში აიტაცა და მანქანისკენ გააქანა.

გზაში მანქანები ერთმანეთს კიდევ რამდენჯერმე გაუსწორდნენ და ლანამ „ბე-ემ-ვეს“ ჩამუქებულ მინაზე ცხვირპირმიჭყლეტილი თამუნაც დაინახა, რომელიც მას ხელს გამეტებით უქნევდა. „რა კარგი ბავშვია, — თამუნას თავადაც დაუქნია ხელი ლანამ. — მაინც, სად მინახავს ეს თვალები?..“ — გაიფიქრა მან და ნელ-ნელა თვალები მილულა. მალე ჩაეძინა კიდეც და უცნაური სიზმარი ნახა: ვითომ, მანქანამ, რომელშიც თამუნა და ნინო ისხდნენ, ლანას მანქანას კიდევ ერთხელ გაუსწრო და ბავშვმა მაშინვე ხელი დაუქნია. ლანამაც ხელის დაქნევა დააპირა, მაგრამ უეცრად, „ბე-ემ-ვე“ წინ გიჟივით გაიჭრა, შემდეგ ჰაერში უბრალოდ კი არ აიწია, აფრინდა და უფსკრულში გადაეშვა. ლანას მაშინვე გამოეღვიძა, ირგვლივ დამფრთხალმა მიმოიხედა და თვალები ჭყიტა: გაჩერებულ ტაქსიში ორად ორი მგზავრი — მოხუცი მამაკაცი და თოთობავშვიანი ქალიღა ისხდნენ. დანარჩენები კი, დაბლა ჩასულიყვნენ და ხევში რაღაცას გადაჰყურებდნენ.

— რა მოხდა? — ჰკითხა ლანამ ბავშვიან ქალს.

— მანქანა გადავარდა... — დანანებით უპასუხა ქალმა.

— მანქანა? — მაშინვე გულმა რეჩხი უყო ლანას, ტაქსიდან სწრაფად ჩავიდა და გზის პირას მდგარ ადამიანებთან მიირბინა.

— მაგათი ბედი, რომ მანქანა ხემ დაიჭირა, თორემ ძირამდე სული არც ერთს არ დაჰყვებოდა, — გადაულაპარაკა ლანას წინ მდგარმა ერთმა მამაკაცმა მეორეს. ლანამ მამაკაცები აქეთ-იქით გასწია და ნაცნობი „ბე-ემ-ვე“ დაინახა, რომელიც ფერდობზე ობლად ამოსულ ხეს „ჩაჰხუტებოდა“.

— მანქანის მგზავრები სადღა არიან? — ელდა ეცა ლანას.

— უკვე ამოიყვანეს და აგერ იქით, ასულიერებენ, — გზის მეორე მხარეს შეგროვილი რამდენიმე ადამიანისკენ გაიშვირა ხელი ერთ-ერთმა მამაკაცმა.

ლანამ უმალვე გზაზე გადაირბინა და სახედასისხლიანებული ნინო დაინახა, რომელსაც გულში მიტკალივით გაფითრებული თამუნა ჩაეკრა.

— ქალბატონო ნინო, — მაშინვე ქალთან ჩაიმუხლა ლანამ. — ნუ გეშინიათ, მე ექიმი ვარ...

ნაკაწრებსა და დაჟეჟილობას თუ არ ჩავთვლით, „ბე-ემ-ვეს“ სამივე მგზავრი პრაქტიკულად უვნებელი იყო. დაზაფრული ბებია და შვილიშვილი ისევ სამარშრუტო ტაქსიში გადმოსხდნენ, მანქანის მძღოლს კი ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს: იქნებ, ვინმე ღვთისნიერმა ჩამოიაროს და მანქანა ამომათრევინოსო...

როგორც კი ნინო და თამუნა ლანას გვერდით მოთავსდნენ, ბავშვი მაშინვე მის კალთაში გადახოხდა და ისე ჩაეხუტა, რომ ლანას გული უცნაურად მოეწურა.

— მოგიკვდეს შენ ბებო!.. — ბავშვს აბურდულ თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა ნინომ.

თამუნამ ბებიის ხელი ჯიქურ მოიშორა, ლანას კიდევ უფრო გამეტებით ჩაეკრა, ლამაზი თვალები მილულა და მალეევე ჩაეძინა.

— შენ შემოგევლე!.. — შვილიშვილს ახლა ჩალურჯებულ ხელზე აკოცა ნინომ და აქვითინდა.

— დამშვიდდით, ქალბატონო ნინო, — ხმადაბლა გადაულაპარაკა ქალს ლანამ, — მთავარია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

— ამას რომ რამე მოსვლოდა, ხომ პირდაპირ თავით უნდა გადავშვებულიყავი იმ ხევში... — ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა თამარს.

— აბა, რას ამბობთ?!. ღმერთი ამისთანა ანგელოზს როგორ გაიმეტებდა!.. — ბავშვს კულულებზე ხელი ნაზად გადაუსვა ლანამ.

— ეჰ, შვილო, — ამოიოხრა ნინომ, — ადამიანმა ღმერთის სამდურავი როგორ უნდა თქვა, მაგრამ გამეტება ისეთი უნდა, ჩვენ რომ გაგვიმეტა...

— რას გულისხმობთ? — დაინტერესდა ლანა.

— რას და... — ბავშვის მშვიდ სუნთქვას წამით ყური მიუგდო ნინომ და მერეღა დაუმატა: — თამუნას დედა სულ ახალგაზრდა გამოგვეცალა ხელიდან.

— რას მეუბნებით?! — შეწუხდა ლანა. — რა სჭირდა?

— არც არაფერი... სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ქალი იყო. მაგრამ ვიღაც არაადამიანმა დღისით-მზისით, სადარბაზოში გასაქურდად ძალით შეიყვანა და გულიც გაუხეთქა საწყალ გოგოს.

— რა-ა?! — გაოცებისგან თვალები არაბუნებრივად გაუფართოვდა ლანას.

— ჰო, შვილო, ჰო... უბედური ჩემი რძალი ხომ ნაადრევად ამოეფარა მიწას და არც ჩემი ბიჭია უკეთეს დღეში... მოუკვდეს დედა ჩემს ლევანიკოს!.. ახლა, ეს ამბავი რომ იცოდეს, ხომ ფეხით გამოიქცეოდა გერმანიიდან...

— თქვენი შვილი გერმანიაში ცხოვრობს? — სული ძლივსღა მოითქვა ლანამ.

— არა, მივლინებითაა წასული... გადაჰყვა საქმეს... წესიერად ბავშვისთვისაც კი ვეღარ იცლის... ცოლის მოყვანას ხომ საერთოდ ვერ უხსენებ... ისე, ნანიკოს დამკარგავს არც გაემტყუნება... იცი, რა რძალი მყავდა?.. ნამდვილი ანგელოზი!.. იმის შემდეგ ვინ უნდა შემოვიდეს ჩემს ოჯახში, გული ოდნავ მაინც რომ გამითბოს... თუმცა, ჩემს გულს ვინღა ჩივის... ნეტავ, ამ ბავშვს მიხედავდეს და... შენ გათხოვილი ხარ, შვილო? — სრულიად მოულოდნელად ჰკითხა ნინომ საბოლოოდ გაოგნებულ ლანას.

— არა. — ხმა ძლივს ამოიღო მან.

— არც ყოფილხარ?

— არა, — გაეღიმა ლანას, — ვერ მოვასწარი.

— გათხოვება-გამოთხოვებას დღეს რაღა მოსწრება უნდა, ჩემო კარგო, — დანანებით ჩაილაპარაკა ნინომ, — წესიერი, ოჯახში გაზრდილი ქალი გახდა სანატრელი, თორემ, გრძელფეხება და ჭკუამოკლე გოგონებმა აავსეს ქვეყანა... კიდევ კარგი, ჩემი ლევანი უკვე ჭკუადამჯდარი კაცია, თორემ, იმასაც ვინმე ასეთი სულელი აეკიდებოდა და საბოლოოდ დავიღუპებოდით...

— თქვენი შვილი რამდენი წლისაა? — დაუფიქრებლად ჰკითხა ქალს ლანამ.

— ოცდათორმეტის... თამუნა კი ამ შემოდგომაზე ექვსი წლის გახდა, შემოევლოს ბებო, — ბავშვს თავზე ხელი კიდევ ერთხელ სიყვარულით გადაუსვა ნინომ, — გვარად ქართველიშვილები ვართ, რაჭიდან... ალბათ, შენც რაჭველი ხარ, თორემ, ამ ზამთარში აქეთ პირს რა გაქნევინებდა?

— ჰო, აქაური ვარ... ახლა დედაჩემის სოფელში, ბებიის სანახავად მივდივარ.

— თამუნაც ბებიის, უფრო სწორად — თავისი მოსახელე დიდი ბებიის, ჩემი დედამთილის სანახავად მიმყავს. შემოგვითვალა, ისე ნუ მომკლავთ, ბავშვი ერთხელ კიდევ რომ არ მაჩვენოთო. მაგრამ რძლების ამბავი ხომ იცი. თავიდან თავი შორს დავიჭირე: რამ გადარია ჩემი დედამთილი, ამ შუა ზამთარში ერთადერთ შვილიშვილს რაჭის გზას როგორ გავუყენებ-მეთქი და მარტო ჩემი ქმარი გავუგზავნე: ჩადი, ნახე დედაშენი და დაამშვიდე, ბავშვს ზაფხულში ჩამოგიყვანთ-თქო. მაგრამ ჩემი ქმარი დედამისზე უარესია — ჩავიდა თუ არა, დღე ერთი იყო და ასჯერ მაინც მირეკავდა, — ბავშვი ჩამოიყვანე, ცოტა ჰაერი ჩაყლაპოსო... ჰოდა, აი, კინაღამ არ გადამაყოლებინეს აქაურ ჰაერს?..

ამასობაში ტაქსი რაიონულ ცენტრში შევიდა და ავტოსადგურთან გაჩერდა. ნინომ ლანას ჩაფრენილი თამუნა ძლივს გამოაფხიზლა და ჩასასვლელად გაამზადა.

— რას გეტყვი, იცი, ჩემო კარგო?.. — მიუბრუნდა ის შემდეგ ლანას. — ახლა შენი სოფლისკენ მაინც არაფერი წავა. მოდი, ამაღამ ჩვენთან დარჩი. ხვალ კი ჩემი ქმარი რაიმე მანქანას გამოგინახავს და გაგამგზავრებს... ხსენებაზე, აგერ არ მობრძანდება?!. — მანქანისკენ მომავალ ჭაღარა დარბაისელ კაცზე ანიშნა ნინომ.

— არა, ქალბატონო ნინო, — იუარა ლანამ. — ასე ნამდვილად ვერ შეგაწუხებთ. თანაც, ჩემი ბიძაშვილი უნდა დამხვედროდა და ალბათ, სადმე აქ ტრიალებს...

ლანას ბიძაშვილი გოგა მართლაც მალე გამოჩნდა. ჯერ ლანა გადაკოცნა, მერე მისი სამგზავრო ჩანთა ხელში ბუმბულივით მსუბუქად აიტაცა და შორიახლოს მდგარი „კოლხოზნიკისკენ“ გაარბენინა. ლანა კი ამასობაში, თამუნას, ნინოსა და ახალგაცნობილ თამუნას ბაბუასაც დაემშვიდობა და მანქანაში ჩაჯდა.

სოფლის ოღროჩოღრო გზაზე ოხვრა-ხვნეშით მიმავალი, მოფახფახებული „კოლხოზნიკი“ ლანას გვარიანად ანჯღრევდა, საჭეს უზარმაზარი ტორებით ჩაფრენილი გოგა კი, კითხვას კითხვაზე აყრიდა. ლანა ბიძაშვილის ყველა კითხვას დინჯად და ამომწურავად პასუხობდა, თუმცა, ფიქრით სულ სხვაგან იყო: „გამოდის, რომ ლევანის მთელი ოჯახი ერთ დღეს გავიცანი...“

— მაინც რა პატარაა ეს ქვეყანა!..

— რა მითხარი? — ჩაესმა უცბად გოგას ხმა. — რა არის პატარაო?

— არა, არაფერი... — ხმამაღლა ფიქრი სასწრაფოდ შეწყვიტა ლანამ. — სოფელში მალე ვიქნებით?

— აგერ ა, ამ აღმართსაც ავივლით და უკვე სახლში ვართ. იცი, ბებიაშენი რა შეხვედრას გიწყობს?!.

— ბებიაშენიო, ისე ამბობ, თითქოს ბებიაშენი არ იყოს... — ხმაში საყვედური გამოურია ლანამ.

— ჰო, მაგრამ მე უკვე თვალებში „მაზოლები“ გავუჩინე, შენ კი სულ სხვა ხარ... უკვე სამი წელია, აქეთ პირი აღარ გიქნია და დიდსა და პატარას ძალიან მოენატრე.

— მართლა? — გული გაუთბა ლანას. — შენც მოგენატრე?

— აბა, რა!. შენ ხომ ჩემი უფროსი დაუნა ხარ.

— დაუნა — ანუ და, ხომ?

— ჰო!

— დაუნა, ძმაუნა, ბოშუნა, კაცუნა...

— რა იყო?.. არ მოგწონს ჩვენებური ლაპარაკი?

— რატომაც არა, ძალიანაც მომწონს... აქაურობას უხდება. საერთოდაც, ყველა კუთხეს უხდება თავისი კილო... უბრალოდ, იმას ვერ ვიტან, თბილისში რომ ჩამოვა სოფლელი კაცი და იქაც ჯიუტად „მეიტანე-წეიღეს“ დამკვიდრებას ცდილობს...

— შენ ოღონდ თბილისში დამპატიჟე და ლაპარაკით ვაკელებისგან თუ გამომარჩიო, თავს მევიჭრი!..

— რა ჩემი დაპატიჟება გინდა? როცა მოისურვებ, მაშინ ჩამოდი.

— ვინ გიშვებს, თორემ, კი... მამაჩემს სულ იმის შიში აქვს, ვაითუ, ქალაქს გემო გოუგოს და უკან აღარ დაბრუნდესო...

— ისე, ეს არცთუ ისე უსაფუძვლო შიშია...

— შენც მართალი ხარ... ქალაქში რომ ფეხი მომაკიდებინა, აქაური ტალახის ზელასღა მევინდომებ?!. — ამოიოხრა გოგამ...

ლანას ბიძის ოჯახში საკმაოდ თბილად შეხვდნენ და გემრიელი სუფრაც გაუშალეს. ის იყო, ოჯახის თავმა, შალიკომ პირველი ჭიქა ასწია, რომ კარი ხელჯოხზე დაყრდნობილმა ლანას ბებიამ, ქეთომ შემოაღო.

— რა მოგარბენინებდა, შე ქალო? — დედას მაშინვე ფეხზე წამოუდგა შალიკო და დანარჩენებიც მას აჰყვნენ, — ცოტას წევიხემსებდით და ყველანი შენთან არ ამევიდოდით?!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! — გაუწყრა ქეთო შვილს და მაშინვე ლანას გადაეხვია: — შენ შემოგევლოს შენი ბებია, როგორ დამშვენებულხარ!..

როგორც კი სუფრის წევრები ოდნავ დანაყრდნენ, ქეთომ შვილიშვილს გადახედა:

— წავიდეთ ბებია?

— წავიდეთ, — ფეხზე წამოდგა ლანა.

— ა, უყურე ახლა ამას! — ფეხზე წამოდგა შალიკოც. — ამ ღამეში გორაზე თუ არ აახოხე ჩემი დისშვილი, აქანა ვერ მოვასვენებთ?!. ის დროა, შენც გამოკეტო შენი ქოხი და ჩვენთან ჩამობარგდე. არ მოგბეზრდა მარტო ყურყუტი?..

— მარტონი თქვენა ხართ, თორემ, მე მთელი ქვეყანა გარს მახვევია, — კიდევ ერთხელ გაუწყრა შვილს ქეთო და შემდეგ ცოტა მოშორებით, ფერდობზე მდგარი პატარა კოხტა სახლისკენ გაუძღვა ლანას....

იმ ღამეს ბებია-შვილიშვილს ლაპარაკში ღამის დაათენდა. ლოგინში წამომჯდარმა ქეთომ შვილიშვილს ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. საკუთარ ქალიშვილს შორიდან ქოქოლა დააყარა: რძალს გადაჰყვეს და დედა არც მოიკითხოსო?!. შემდეგ ლანას მამაც გაიხსენა, დამჭკნარ ლოყაზე ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა და თავი მართლა დედაბერივით უმწეოდ ჩაქინდრა. ლანას მოეჩვენა, რომ ქეთოს ჩაეძინა და საწოლებს შორის, პატარა მაგიდაზე მდგარ ნავთის ლამპას ნელ-ნელა ჩაუწია.

— არ ჩააქრო! — მაშინვე თავი ასწია ქეთომ. — ჯერ შენთან ლაპარაკი არ დამიმთავრებია... ისე, თუ ძალიან გეძინება, მითხარი და ხვალისთვის გადავდოთ.

— არა, რას ამბობ?.. — იუარა ხის სახლის სურნელით გაბრუებულმა ლანამ და საბანი გულმოდგინედ ამოიკეცა. — ისე მაინც ძალიან საინტერესო ადამიანი ხარ. მთელი ცხოვრება აქ გაატარე და რაჭულად მაინც არ უქცევ.

— იმიტომ არ ვუქცევ, შვილო, რომ ჩემთან ყოველდღე, მილეთის ხალხი დადის და ამიტომ, ყველასთვის გასაგებ ენაზე ანუ გამართული ქართულით უნდა ვილაპარაკო.

— შემთხვევით, აფრიკელი ან პუერტორიკოელი რომ გეწვიოს, მერე? შენი გამართული ქართული რას გიშველის? — მხიარულად გადაიკისკისა ლანამ.

— შენ გეცინება და ამას წინათ, ფრანგი ბოტანიკოსები მყავდნენ სტუმრად...

— მერე, რა ენაზე ელაპარაკე?

— ქართულად. აქაური ფრანგულის მასწავლებელი ამოვიყვანეთ, მაგრამ ენა კინაღამ მოიტეხა, საწყალმა... სულ აღარ ხსომებია ფრანგული... მოკლედ, მაგრად კი ვიჯახირეთ, მაგრამ ერთმანეთს მაინც ყველაფერი გავაგებინეთ.

— ისე, საინტერესოა, მაინც რა უნდოდათ შენგან?

— მოვეშვათ ფრანგებს... რაც უნდოდათ, ყველაფერი ავუხსენი და გავატანე კიდეც. შენთან მე სხვა, ბევრად უფრო სერიოზული საქმე მაქვს.

— გისმენ, — მართლა სმენად იქცა ლანა.

— ხომ იცი, ამ სოფელში ზოგი მხსნელს მეძახის, ზოგიც — კუდურას.

— ანუ, ლიტერატურულად — კუდიანს, ხომ?

— ჰო.

— სიმართლე გითხრა, შენი კუდიანობის ამბავი პირველად მესმის.

— პირველად გესმის თუ მეასედ, მაინც ასეა. რაღა შორს მიდიხარ? აგერ, ა, ბიცოლაშენიც ასე ფიქრობს...

— როგორ? ბიცოლაჩემმა ფიქრი დაიწყო?..

— შენც დედაშენივით ენამწარე გამოსულხარ...

— დედაჩემის ენამწარობა ვინ თქვა, ბებია?.. — ეშმაკურად გაეღიმა ლანას. — პირიდან სულ თაფლი და შაქარი გადმოსდის.

— ვიცი, მე მაგის თაფლი და შაქარი... ცოტათი მამაშენმა დაუტკბო ენა-პირი, თორემ იცი, გათხოვებამდე რა ორკაპი იყო?

— ხედავ, შენ!.. — მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი ლანამ. — თურმე, სად მარხია ძაღლის თავი!..

— შენც ასე დაგატკბობს შენი ქმარი, აბა!

— რა დროს ჩემი ქმარია?! მოდი, ისევ შენს კუდიანობაზე ვილაპარაკოთ. — საუბრის ძველ კალაპოტში დაბრუნება სცადა ლანამ.

— ცოტა ფრთხილად, თორემ, ხომ იცი, კუდიანებმა ენის დაბმაც იციან, — გაეღიმა ქეთოს და შემდეგ დაუმატა: — მიდი, კუთხეში რომ სკივრი დგას, თავი ახადე და შიგ რომ რკინის ლამაზი ყუთია, აქ მომიტანე.

— იმ ყუთში კიდევ, სხვა ყუთი იქნება და ასე შემდეგ, ხომ? — ხუმრობის ხასიათზე დადგა ლანა.

— ჯერ ის ყუთი მომიტანე და შიგ რა არის, მერე აგიხსნი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მან თავის სახელოსნოს ფაბრიკა შეარქვა, სადაც პოპვარსკვლავების ნაცვლად პოპარტს ქმნიდა და ამისთვის კონვეიერულ მეთოდს იყენებდა.

ენდი უორჰოლი — ფაბრიკანტი და პოპარტის ხატი

ადამიანი ფუტლარში

ენდი უორჰოლი ინტერვიუს მიცემას უფრთხოდა. მხატვარი ორატორულ ხელოვნებასთან მწყრალად იყო და ამიტომ პრესასთან შეხვედრებზე ხშირად თავის ორეულებს აგზავნიდა. ეს როლი, ზოგჯერ ანეკდოტურ პერსონაჟებსაც ეკისრებოდათ. ალან მინჯერი სუფთა სისხლის ინდიელი ბოგანო იყო. ფაბრიკაში შემთხვევითი სამუშაოს საძიებლად მიეხეტებოდა ხოლმე და როგორც აღმოჩნდა, არცთუ ტყუილად: ენდის როლში პრესკონფერენციაში მონაწილეობისათვის მან 600 დოლარს გამოჰკრა ხელი. ინდიელს თმა ვერცხლისფრად შეუღებეს, ხოლო სახესა და ხელებზე ღია ფერის გრიმი გაუკეთეს. გარდასახვის პროცესი ენდის ქურთუკმა და სათვალემ დაასრულა. სრული მსგავსებისთვის ინდიელს პირში საღეჭი რეზინი ჩასჩარეს და გადმოფურთხება აუკრძალეს: თავად ენდის ხომ ყბები პუბლიკის წინაშე არასოდეს გაუჩერებია.

დიადი პროვოკატორი და მისტიფიკატორი, ადამიანთა გაბრიყვებისა და მასხრად აგდების ოსტატი გახლდათ. ერთხელ, რადიოსტუდიაში მომღერალი ქალის — ნიკოს ნაცვლად გამოცხადდა. ენდის ხუმრობამ ნიკო აღაფრთოვანა და მან ენდი უორჰოლის ფენომენის ახსნა სცადა: „პოპარტის (popular art — ყველასათვის ხელმისაწვდომი ხელოვნება, მოდერნისტული მიმართულება ხელოვნებაში) არსი სწორედ ისაა — როდესაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავი სხვად გაასაღოს“.

მხატვარს სხვადასხვა ნიღბის მორგება და ბიოგრაფიის შეთხზულ ფაქტებს მიღმა მიმალვა უყვარდა. ამიტომ მის შესახებ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. მისი ნამდვილი სახელი ანჯეი ვარჰოლია, მაგრამ ამერიკელთათვის უჩვეულო სახელი, მოგვიანებით, შემთხვევით, ენდი უორჰოლად გადაუკეთეს. მხატვარს ბევრი აღარ უფიქრია და ახალი სახელი დაირქვა.

მალე მისი ცნობილი პარიკიც მოირგო. რომელიღაც დაავადების გამო, ენდი ადრევე გამელოტდა და უამრავი ვერცხლისფერი პარიკი შეიძინა. ორიგინალურმა პარიკმა, ჩაცმის სათანადო სტილი მოითხოვა. განსხეულებული ღვთაების ხატების შესაქმნელად, ენდი ძვირფას კოსტიუმებს საღებავს ასხამდა. უჩინარი ადამიანის სახე მუქმა სათვალემ და ნებისმიერ ამინდში გაშლილმა ქოლგამ შეავსო. მოგვიანებით, მსოფლიომ სწორედ ამგვარი უორჰოლი გაიცნო. პროვინციელი ბიჭუნა, ქალაქელი დენდი გახდა, მისი სტილი კი — სამაგალითო. „უორჰოლის საუკეთესო ქმნილება — თავად უორჰოლია“, — წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მის ნეკროლოგში, ენდი უორჰოლის გარდაცვალების შემდგომ.

ოხლოფობის პიარი

პიარის დიადი ძალა ენდი უორჰოლმა ახალგაზრდობაშივე შეიგრძნო, დაფასა და იწინასწარმეტყველა, რომ ახლო მომავალში ნებისმიერი ადამიანი სახელის მოხვეჭას 15 წუთში შეძლებდა. მომავლის პროგნოზი მხატვარმა საკუთარი აწმყოს საფუძველზე შეძლო. ენდი ნიუ-იორკში ცხოვრობდა, ქალაქში, სადაც იმედებით აღსავსე იმდენივე მხატვარი ცხოვრობს, რამდენი ძაღლიც დასეირნობს ცენტრალურ პარკში. ამიტომ პუბლიკისათვის თავის შეხსენება, მართლაც რომ ყოველ 15 წუთშია საჭირო.

მხატვარი თანდაყოლილ ოხლოფობიას (ბრბოს შიში) განუწყვეტლივ ებრძოდა და მუდამ იქ ჩნდებოდა, სადაც ტელეკამერებისა და ფოტოაპარატების მოზღვავება იგრძნობოდა. მზად იყო, საზოგადოებრივი ტუალეტის გახსნასაც კი დასწრებოდა, თუ იქ ტელეკამერას შეამჩნევდა.

უორჰოლის ოცნება — საკუთარი ტელეშოუს გმირად ქცეულიყო — განუხორციელებელი დარჩა, ამიტომ სხვა, ცოტა არ



იყოს, უცნაური გზა აირჩია — ისე ცხოვრობდა, თითქოს უჩინარი, ფარული კამერა მუდამ თან დაჰყვებოდა და მარტო დარჩენილიც საკუთარ ქცევას აკონტროლებდა.

ტელეშოუს იდეამ უორჰოლი იმდენად შეიპყრო, რომ წარმოსახული ტელეკამერის არსებობას ყოველ წამს გრძნობდა. მხატვარმა დროს გაუსწრო და დღეს ძალზე პოპულარული reality show-ს გმირად დიდი ხნის წინ იქცა. ვალერი სოლანასის თავდასხმის შემდგომ მიღებული მრავალრიცხოვანი ჭრილობით გატანჯული ენდი საავადმყოფოს პალატაშიც კი თავს პირდაპირ ეთერში გრძნობდა. მასზე თავდასხმა ბობ კენედის მკვლელობის მეორე დღეს მოხდა. ნახევრად უგონო მდგომარეობაში მყოფ მხატვარს, წმინდა პატრიკის ტაძრიდან გადმოცემული კენედის პანაშვიდის სატელევიზიო ტრანსლაციის ხმა ჩაესმა. უორჰოლი ფიქრებით ტაძარში გადავიდა და წარმოიდგინა, რომ იქ შეკრებილნი მისი პირადი ტელეშოუს მაყურებლები იყვნენ და მის გადასარჩენად ლოცულობდნენ...

მწვანე ორცხობილა

მომავალი მხატვარი სამხრეთ კარპატებიდან ემიგრირებულ ოჯახში, 1928 წლის აგვისტოში დაიბადა. ბავშვობა პიტსბურგში გაატარა, სადაც ოჯახის მამა მეშახტედ მუშაობდა. ენდი კარგად ხატავდა, ამიტომ სწავლა კარნეგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დიზაინის ფაკულტეტზე განაგრძო. საქმეს აღღო მალევე აუღო. რეკლამის, მისალოცი ბარათების, წიგნებისა და ფეხსაცმლის დიზაინის შექმნით, ის თავის გატანას იოლად ახერხებდა. დიზაინერული ნამუშევრებისათვის რამდენიმე პრესტიჟული პრემია მოიპოვა და მალე მასზე, მოდური ჟურნალების კრიტიკოსები ალაპარაკდნენ.

მისი პოპარტი, სუპერმენისა და დიკ ტრეისის კომიქსების საფუძველზე შექმნილი ნახატებით დაიწყო. მსოფლიო დიდება კი ერთდოლარიანი ბანკონოტებისგამოსახულებიანმა ნამუშევარმა და ტომატის წვნიანის — „კემპბელის“ ქილებმა მოუტანა. ლეგენდის თანახმად, ეს იდეა მას ნაცნობმა ქალმა მიაწოდა. მტანჯველ შემოქმედებით ძიებაში მყოფი უორჰოლის შემხედვარე ქალმა, მხატვარს ურჩია, ის დაეხატა, რაც ყველაფერზე მეტად უყვარდა! — და მანაც ფული და ტომატის წვნიანი დახატა. ამის შემდეგ, მისი ნებისმიერი ნამუშევარი თვალის დახამხამებაში იყიდებოდა — როგორც ჩანს, მხატვრის საყვარელი ნივთების სია საგრძნობლად გაიზარდა.

უორჰოლმა მის მიერ შექმნილი ავანგარდული ფილმების კომერციულ კინოთეატრებში ჩვენებაც კი შეძლო. მაგალითად, ერთ-ერთი ფილმის შინაარსი ასეთი იყო: მამაკაცი ორგაზმს ორალური სექსის მეშვეობით აღწევს, კამერა კი, მის მიმიკას სკურპულოზურად აფიქსირებს... ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ ფილმების ბიუჯეტი ჰოლივუდური მასშტაბებისგან ძალზე შორს იდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამას ავტორისთვის მშვენიერი შემოსავალი მოჰქონდა.

რაც უფრო გიჟური ხდებოდა ენდის იდეები, მით უფრო იზრდებოდა მისი კაპიტალი. როდესაც 1987 წელს მხატვარი ინფარქტით გარდაიცვალა, ფაბრიკაში მისი ოთახები გააღეს და იქ ნამდვილი საგანძური აღმოაჩინეს. მარმარილოს მაგიდებზე, ლუდოვიკო XV-ის დროინდელ ანტიკვარულ სავარძლებსა და მოჩუქურთმებულ კარადებში შავი ხისგან გამოთლილი აფრიკული ფიგურები, ტიფანის ბრილიანტები და ორცხობილას უამრავი ქილა ეწყო. ქილების შიგთავსი მწვანე ფერის და ხრაშუნა იყო (მხატვარი სეიფებს არ ენდობოდა და ფულს ორცხობილას ქილებში ინახავდა). უორჰოლის კოლექცია „სოტბის“ აუქციონზე 25 მლნ დოლარად გაიყიდა.

დრაკულა და კონკია

ხელოვნებაში ახალი სიტყვა რომ ეთქვა, უორჰოლი მზად იყო, ტილოზე მოეშარდა ან მხატვრული ტილო გამვლელთათვის ფეხქვეშ გაეფინა. ამგვარი პროფანაციებისათვის ძალზე ხშირად რომ არ მიემართა, ენდი სხვისი იდეების მოპარვასაც არ თაკილობდა. სწორედ ამიტომ, მის სახელოსნოში შეიქმნა ფაბრიკა, სადაც მუდამ სხვადასხვა ჯურის ექსტრემალური პირი დაეხეტებოდა.

ენდი ფაბრიკანტებს სისხლს უკანასკნელ წვეთამდე გამოსწოვდა ხოლმე, რის გამოც მას მეტსახელად დრელა (დრაკულასინდერელა) შეარქვეს. ამის მიუხედავად, უორჰოლი „თანამებრძოლთა“ სიმცირეს არ უჩიოდა, რადგან მათ ენდის ჩრდილქვეშ იუპიტერის სხივებით გათბობისა და დიდების ნამცეცებით ტკბობის საშუალება ეძლეოდათ.

ენდი უორჰოლის მულტიმედიურ შოუში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა: ისინი კინოფილმებს უჩვენებდნენ, ინსტალაციებსა და პერფორმანსებს აწყობდნენ. ამგვარი შოუების უფასო მუსიკალური გაფორმებისათვის ენდიმ ჯგუფ Velvet Underground-ის პროდიუსერობა დაიწყო. უორჰოლის ფაბრიკაში ხელფასს არავინ იღებდა. ხალხს ბუტერბროდების საყიდლად საჭირო ორიოდე დოლარიც სამათხოვროდ ჰქონდა გამხდარი. ფინანსური სადავეები მთლიანად უორჰოლის მკაცრ ხელში იყო მოქცეული. სწორედ ამიტომ, ფაბრიკის ზოგიერთი მკვიდრის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა. მათ შორის ყველაზე სავალალო, ეიდი სეჯვიკის ბედი აღმოჩნდა.

მდიდარი ოჯახის შვილმა, სასიამოვნო გარეგნობის მქონე გოგონამ მთელი მზითვი უორჰოლის პროექტებში დააბანდა. სანაცვლოდ, ენდიმ გოგონა რამდენიმე ფილმში გადაიღო, საქმროსთან, ბობ დილანთან წააჩხუბა და ამფეტამინებს შეაჩვია. „ფაბრიკის პრინცესის“ სიკვდილის მიზეზი ბარბიტურანტების გადაჭარბებული დოზა შეიქმნა, რომლითაც სეჯვიკს ფსიქიკური აშლილობის გამო მკურნალობდნენ.

„მე ენდი უორჰოლს ვესროლე!“

არანაკლებ ტრაგიკული ბედი ეწია ვალერი სოლანჟს. მერილენდის უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა გოგონამ, რომელიც ოდესღაც საკუთარმა მამამ გააუპატიურა, შემდგომ კი მეძავეობით ირჩენდა თავს, საკუთარი თეორია ჩამოაყალიბა, რომლის მიხედვით — ყველა მამაკაცი განადგურებას იმსახურებდა. სოლანჟმა ერთხანს ქვეყანაში მაწანწალის ცხოვრებით იცხოვრა, შემდეგ კი უორჰოლის ფაბრიკას მიაშურა, სადაც ახალშექმნილი პიესა — „საჯდომები მაღლა!“ მიიტანა. პატარა ბიჭების ვარდისფერი საჯდომების ფრიად მოყვარულ უორჰოლს პიესის სათაური თვალში მოუვიდა. სოლანჟს შეჰპირდა, რომ პიესის მიხედვით ფილმს გადაიღებდა, სინამდვილეში კი, ნაწარმოები სანაგვეში მოისროლა, რადგან მამაკაცთა სიძულვილით გაჟღენთილი პიესა არ მოეწონა. როგორც ამბობენ, სოლანჟს შესანიშნავი იუმორის გრძნობა და ლიტერატურული ტალანტი ჰქონდა. მან გადაწყვიტა, ხელნაწერი გამომცემლობა „ოლიმპიას“ პორნოგრაფიული ლიტერატურის გამომცემელ მორის ჟიროდიასთვის მიეყიდა. გოგონას რამდენიმე დოლარი გადაუხადეს და შეჰპირდნენ, რომ მის ნაწარმოებს... ოდესმე დაბეჭდავდნენ. უორჰოლი არ ამხელდა, რომ პიესა გადააგდო. ვალერის ფილმებში იღებდა და მის იდეებს საკუთარ პროექტებში იყენებდა. ბოლოს და ბოლოს, ვალერიმ ჰონორარი დაჟინებით მოითხოვა. ენდის კი ფულთან განშორება ძალზე არ უყვარდა. გოგონას დუხჭირი ცხოვრება და ლოდინი მოჰბეზრდა, საკუთარი „პროგრესული“ თეორიიდან გამომდინარე, მოქმედება გადაწყვიტა და უორჰოლისა და ჟიროდიას მოკვლა განიზრახა. მკვლელობის დღეს, ჟიროდიას ვერსად მიაგნო, მხატვარმა კი ფილტვებში, კუჭში, ღვიძლსა და ელენთაში ცხელი ტყვიები მიიღო. არავის სჯეროდა, რომ მხატვრის ამფეტამინებით დაუძლურებული, გამოფიტული სხეული ჭრილობებს გაუმკლავდებოდა, მაგრამ ამ საბედისწერო დღის შემ-

დეგ, უორჰოლმა კიდევ 23 წელს იცოცხლა. თავდასხმის მეორე დღეს, ვალერი სოლანჟი პოლიციას ამ სიტყვებით ჩაჰბარდა: „მე ენდი უორჰოლს ვესროლე!“ თავისი საქციელი კი იმით ახსნა, რომ უორჰოლი მისით მანიპულირებდა. ვალერიმ სიცოცხლის დარჩენილი წლები ციხეებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გაატარა და სიღატაკეში გარდაიცვალა.

„ტეილორ მედის უკანალი“

ვალერი სოლანჟთან დაკავშირებულმა ამბებმა უორჰოლი ინფანტილური შიშების სამყაროში დააბრუნა. ადრეულ ბავშვობაში მხატვარს ხალხის სასტიკად ეშინოდა. სწავლაში ჩამორჩენილი, ღატაკი ბიჭი, მუდამ თანაკლასელთა დაცინვის ობიექტი იყო. მუდმივმა სტრესმა, წმინდა ვიტას ცეკვით დაავადება (ქორეა — ნერვული დაავადება) განუვითარა... თავდასხმის შემდგომ, ენდიმ ჯავშანჟილეტის ხმარება დაიწყო, ფაბრიკა პრაქტიკულად დაშალა, რადგან ყველგან და ყველაფერში საფრთხესა და შეთქმულებას ხედავდა. და გარშემო მყოფ ადამიანებს ეჭვიანობით სული ამოხადა.

როგორც ამბობდნენ, მთელ ამერიკაში არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელსაც უფრო მეტი მტერი ჰყავდა, ვიდრე უორჰოლს. მას

შემდეგ, რაც ენდიმ ფილმი „ტეილორ მედის უკანალი“ პუბლიკას უჩვენა, მისი უახლოესი მეგობარი ტეილორ მედი მოსაკლავად დასდევდა. ამ სურათის გადაღება მხატვარმა იმ პირობით შეძლო, რომ მასალას არავის უჩვენებდა. „ის ნებისმიერს მოატყუებს, სისხლის უკანასკნელ წვეთებს გამოსწოვს და სანაგვზე მოისვრის!“ — გაჰყვიროდა გამწარებული მედი. ენდი ადამიანებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებაში შემჩნეული მართლაც არასდროს ყოფილა.

ფრიგიდულობა — წარმატების საიდუმლო

უორჰოლი ადამინებთან ახლო ურთიერთობისკენ არ მიილტვოდა. მათ, ვინც ბედმა ენდის შეახვედრა, მხატვარი ცხოვრების თანამგზავრად არ თვლიდა, ისინი მხოლოდ „თანამებრძოლნი“ იყვნენ. მას ოჯახი არასდროს შეუქმნია, ქალებთან ხანგრძლივ ურთიერთობას არ ამყარებდა და მამაკაცებთან უპრობლემო კავშირს ამჯობინებდა. ჰომოსექსუალები და ტრანსვესტიტები კი, ფაბრიკაში მუდამ თავზესაყრელად იყვნენ. სექსუალური პერვერსიები, ღამეული ღრეობები და ამფეტამინების მოხმარება ფაბრიკის მკვიდრთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ენდი უორჰოლი საკუთრივ სექსის მიმართ გულგრილი იყო. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ წარმატება მხოლოდ ფრიგიდულ ადამიანთა ხვედრია. სექსი კი, შემოქმედებისათვის აუცილებელი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს.

ენდი სექსსა და სიყვარულს ერთმანეთისგან მიჯნავდა, სიყვარული კი მართლაც შეეძლო — განსაკუთრებით სიჭაბუკის ასაკში, როდესაც მწერალ ტრუმენ კაპოტეს სატელეფონო ზარებით სულს ხდიდა. წლებმა უორჰოლს ცინიზმი შემატა. მხატვარი სიყვარულით ვაჭრობას დასაშვებად თვლიდა და ამბობდა, რომ სიყვარული ფანტაზიის ნაყოფი იყო: „თქვენი ფანტაზიები რომ არა, არც პრობლემები გექნებოდათ, რადგან ცხოვრებას ისეთად მიიღებდით, როგორიც ის სინამდვილეშია; მაგრამ მაშინ არც რომანტიკული სიყვარული იარსებებდა — როდესაც ადამიანი საკუთარი ოცნების ხორცშესხმას მასში პოულობს, ვინც ამ ოცნებასთან ახლოსაც ვერ მივა“.

უორჰოლი სანაგვეზე

„ნარჩენებთან მუშაობა, მათგან შემოქმედებითი ნამუშევრების შექმნა მუდამ მიყვარდა. ყველასათვის გამოუსადეგარ გადაყრილ ნივთებში მოულოდნელობის უზარმაზარი პოტენციალი იმალება“, — ამბობდა მხატვარი.

როგორც ყველა გლეხის შვილს, ნივთები მასაც ძალიან უყვარდა და აშკარად უსარგებლო ნივთებთანაც კი განშორება უმძიმდა. ყავლგასულ ნივთებს ფაქიზად ფუთავდა, ყუთებში ალაგებდა და ფაბრიკის მიყრუებულ კუთხეში ინახავდა. ენდის შემოქმედების არსიც ხომ სწორედ ეს იყო: მსოფლიო ნაგავში იქექებოდა და ყველაზე ბრჭყვიალა, თვალში საცემ ნივთებს არჩევდა. ასეთი კი, შესაძლოა, ტომატის წვნიანის ქილა, „კოკა-კოლის“ ბოთლი, ან მეოცნებე ბოგანო ყოფილიყო. რაც უფრო მეტად ჩვეულებრივი იყო ნივთი, მით უფრო მეტად უთბობდა მხატვარს გულს. მის მიერ შერჩეული საგნები უბრალო ადამიანს ამერიკის პრეზიდენტთან და ელიზაბეტ ტეილორთან ათანაბრებდა, რადგან მათ შორის, ვინც მერილინ მონრო, „კოკა-კოლა“ ან „კემპბელის“ წვნიანი შეიყვარა, შესაძლოა, ნებისმიერი ადამიანი აღმოჩნდეს. მათ შორის ჩვენც... ■

იოკო ონო და პოლ მაკარტნი დაზავდნენ

„ბითლზის“ ლეგენდარული მომღერლის, ჯონ ლენონის ქვრივი — იოკო ონო, მეუღლის კოლეგას, პოლ მაკარტნის დაუზავდა, მეგობრული ხელი გაუწოდა.

შეგახსენებთ, რომ ბევრი, „ბითლზის“ ორ ლიდერს შორის განხეთქილების მიზეზად იოკო ონოს მიიჩნევს. ამ განხეთქილებამ 1970 წელს ჯგუფის დაშლა გამოიწვია. ამის შემდეგ მუსიკოსები შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ერთმანეთი არ გაეკილათ. 1980 წელს ჯონ ლენონის გარდაცვალების შემდგომ, ესტაფეტა მის ქვრივზე გადავიდა და უკანასკნელ ხანებამდე პრესა-

ში ხშირდა ჩნდებოდა ინფორმაცია, მათ შორის არსებული უთანხმოების შესახებ, რომლის ძირითადი მიზეზი „ბითლზის“ შემოქმედებითი მემკვიდრეობა იყო. ახლახან, ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას, ჯონ ლენონის 72 წლის ქვრივმა განაცხადა, რომ პოლთან „ძალზე კარგი“ ურთიერთობა აკავშირებს. „საქმეზე მშვიდად ვსაუბრობთ...ბევრს სურს, რომ მე და პოლი რინგზე გვიხილოს... ეს ხომ საინტერესო სანახაობაა. ხალხს გასართობად სახალისო თემები სჭირდება. მაგალითად, ჩემი და პოლის ჩხუბი, მაგრამ მინდა, მათ იმედი გავუცრუო: დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრა მშვიდობიანი იქნება. წარსულში მრავალი უთანხმოება გვქონდა, მაგრამ ახლა ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ, რადგან ბოლოს და ბოლოს მივხვდით, რომ ლენონის ცხოვრებაში ორივემ ჩვენ-ჩვენი როლი ვითამაშეთ“, — ამბობს იოკო ონო.

ნუთუ 35-წლიანი ომი მართლაც დასრულდა, — თუ ეს მხოლოდ დროებითი ზავია?.. — ამას მომავალი გვიჩვენებს. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
822-009-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

როდ სტიუარტს თანამედროვე ნარკომანიმის არ ესმის

ლეგენდარულმა როკმუსიკოსმა — როდ სტიუარტმა აღიარა, რომ იმ თანამედროვე ახალგაზრდების გაგება ძალზე უჭირს, რომლებიც კოკაინით არიან გატაცებულნი. „ვერ ვხვდები, თუ რატომ მიმართავენ დღეს კოკაინს. ჩემს დროს ყველაფერი სხვაგვარად იყო. თუნდაც ის, რომ მაშინ კოკაინი გაცილებით სუფთა იყო. ახლა დილერები მასში მარილს, სარეცხ ფხვნილს და სხვა ათასგვარ სისაძაგლეს ურევენ...“ ამბობს მუსიკოსი, რომელიც ფიქრობს, რომ მისი ახალგაზრდობის წლებში კოკაინი რაღაც ახალი, უჩვეულო და გასაკვირი რამ იყო. ახლა კი ეს შხამი ძალზე გავრცელდა და ამით ვეღარავის გააკვირვებ. როდ სტიუარტი არ მალავს, რომ თავის დროზე კოკაინის მომხმარებელი იყო, მაგრამ ამ დამღუპველი ჩვევის კლანჭებიდან სხვა გატაცებებმა, მათ შორის, ფეხბურთის სიყვარულმა იხსნა. ■

ᲰᲝᲚᲘᲣᲓᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ ᲩᲐᲘᲨᲐᲚᲐ

ქალთა გულთამპყრობელ ლეონარდო დი კაპრიოსა და მის საცოლეს, ფოტომოდელ ჟიზელ ბიუნდჰენს შორის კიდევ ერთი ჩხუბის მიზეზად მსახიობი სიენა მილერი იქცა. რამდენიმე კვირის წინ, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ღამის კლუბში, ლეონარდო და სიენა ფრიად პიკანტურ ვითარებაში შენიშნეს. ამ ცნობამ ჟიზელი იმდენად აღაშფოთა, რომ მან ლეოსთან სამუდამო განშორების გადაწყვეტილება მიიღო. „ჟიზელი ლეოს გაუთავებელმა გატაცებებმა დაღალა. სიენას ამბავმა კი მისი მოთმინების ფიალა აავსო“, — განუცხადა ჟურნალ Sun-ის ჟურნალისტებს დი კაპრიოს ერთ-ერთმა მეგობარმა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ლეონარდო დი კაპრიოს სულ უფრო ხშირად ხედავენ ჰილტონების იმპერიის ერთადერთ მემკვიდრესთან, პერის ჰილტონთან ერთად, რომელთანაც ოდესღაც რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებდა. ■



ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲑᲐᲜᲓᲔᲠᲐᲡᲘ ᲛᲔᲠᲓᲔᲛᲐ

კინოვარსკვლავმა ანტონიო ბანდერასმა ფილმის „ზოროს ლეგენდა“ გადაღებების დროს მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ახალგაზრდობა გაფრინდა. „ყოველთვის, როდესაც ტრიუკების შესრულების დროს მიწას ვენარცხებოდი, ჩემი ძვლები კვნესოდნენ და მეუბნებოდნენ — „ეი, ანტონიო, შენ ხომ უკვე 45 წლის ხარ!“ — მაგრამ ამ გულახდილი აღიარების მიუხედავად, აღნიშნა, რომ ფილმის „ზოროს ნიღბის“ გადაღებებზე მიღებული გამოცდილების გახსენება და აღდგენა არ გასჭირვებია. „ეს ჩვევები ველოსიპედის ტარებას წააგავს, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ ისწავლი და შემდგომ, აღარასოდეს დაგავიწყდება“, — ამბობს ანტონიო ბანდერასი, რომელმაც „ზოროს ნიღბის“ გადაღებების შემდგომ, ტრიუკებისა და ცეკვის გაკვეთილების გარდა, მემკვიდრეობით დაშნაც მიიღო. ახლა ამ ბასრ იარაღს მსახიობი 9 წლის ქალიშვილის სტელას აბეზარ თაყვანისმცემელთა მოსაგერიებლად იყენებს. ■

ᲯᲔᲡᲘᲙᲐ ᲐᲚᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲡᲘᲛᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲡᲯᲔᲛᲐ



რეჟისორები ჯესიკა ალბას სერიოზული როლების თამაშს არ ანებებენ, მას მხოლოდ სექსუალური ქალბატონების როლებს სთავაზობენ და მისგან კამერის წინ მომხიბვლელი სხეულის გამომზეურებას მოითხოვენ. სურათში — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხეში“ — ჯესიკას გმირი დროის უმეტეს ნაწილს ბიკინებში ატარებს და მამრობითი სქესის მაყურებლის გულებს იპყრობს. მიღწეული წარმატების გასამყარებლად პროდიუსერები ჯესიკა ალბას მხოლოდ იმ სცენარებს სთავაზობენ, სადაც აუცილებლად გვხვდება სცენა საშხაპეში და ეროტიკული ხასიათის ეპიზოდები. „როდესაც სერიოზული რეჟისორი კარგ სცენარზე მუშაობს, ასეთი სცენები იქნებ აუცილებელიც იყოს, მაგრამ კადრში ჩემი დედიშობილა გამოჩენა, მამაჩემს ჭკუიდან შეშლის, მე კი მოსვენებას და ძილს დამიფრთხობს“, — ამბობს მსახიობი. ■

61 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲘᲨᲕᲚᲓᲔᲛᲐ

70-იანი წლების პოპულარულმა მოდელმა — ლორენ ჰატონმა, ამერიკული ჟურნალისათვის Big გაშიშვლებაზე თანხმობა განაცხადა. მომავალ თვეში ჟურნალი 61 წლის მოდელის შესახებ სტატიას გამოაქვეყნებს, რომლის სათაურიც ასე ჟღერს Lauren Hutton: The Beauty Persists („ლორენ ჰატონი — უჭკნობი სილამაზე“).

ჟურნალი თავდაპირველად, მხოლოდ ავტობიოგრაფიული სტატიის პუბლიკაციას გეგმავდა. შიშველი ფოტოს გადაღების იდეა სტატიაზე მუშაობის პროცესში იშვა.

„ამ წინადადებამ თავდაპირველად შოკში ჩამაგდო“, — ამბობს მოდელი, რომელმაც სახელი ერთმანეთს დაშორებული წინა კბილების წყალობით გაითქვა. კარგა ხნის ჭოჭმანის შემდეგ, ლორენ ჰატონი ჟურნალის მიერ შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდა, მაგრამ ფოტოსურათის რეტუშირებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. „ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქალები პატრიარქალურ კანონებს არ ემორჩილებოდნენ. მსურს, რომ ლოგინში თავს თავისუფლად გრძნობდნენ. ჩემი თაობის ქალებს მიმზიდველობა ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ და მინდა, რომ ეს ჟურნალის გვერდებზეც გამოჩნდეს“, — ამბობს მოდელი, რომლის ყველაზე თამამი ფოტოსურათები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებშია გამოქვეყნებული. ■

Brera – ელეგანტურობის ჰიმნი

მომავალი წლის იანვარში, Alfa Romeo-ს სამოდელო რიგს სპორტული კუპე — Brera შეემატება. გარეგნულად მოხდენილი მანქანა ფირმის მესვეურებს იმ ტრადიციების გამგრძელებლად ესახებათ, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა Alfa-ს ლეგენდარული კუპეების — 1900 SS, Giulietta Sprint და Alfetta — შექმნისას.

„ბრერას“ ძარა სახელგანთქმული დიზაინერის — ჯუჯაროს მიერაა შემუშავებული, მის ტექნიკურ „საკაზმზე“ კონცერნი „ფიატია“ პასუხისმგებელი, ხოლო მანქანის წარმოება ფირმა „პინინფარინაში“ აეწყობა. ახალი კუპე, მოდელის — Alfa Romeo 159 — ბაზაზე შეიქმნა, ოღონდ, „ბრერა“ მასზე 18 სმ-ით მოკლეა. მისი პარამეტრები ასეთია: სიგრძე — 4,41 მ, სიმაღლე — 1,37 მ, სიგანე — 1,83 მ. კუპეს გამჭვირვალე, პანორამული სახურავი აქვს. რაც შეეხება სალონს — ის თითქმის ისეთივეა, როგორიც მის საბაზო მოდელს აქვს და მხოლოდ ხელსაწყოთა პანელს მიანიჭეს განსხვავებული კონფიგურაცია.

მანქანა აღჭურვილია ოთხცილინდრიანი, 2,2 ლ მოცულობისა და 185 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი. მისი მაქსიმალური სიჩქარე 222 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კმ/სთ-ს 8,6 წმ-ში აღწევს. საწვავის საშუალო ხარჯი — 100 კმ გარბენზე 9,4 ლ-ს შეადგენს. ეს საბაზო ვერსიის მახასიათებლები გახლავთ. რაც შეეხება 3,2 ლ მოცულობის, ექვსცილინდრიანი აგრეგატით აღჭურვილ ვერსიას — მისი მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ია.

ახალ „ბრერას“ არცთუ ისე დიდი საბარგული აქვს — 300 ლ, თუმცა, უკანა სავარძლების აკეცვის შემთხვევაში, მისი მოცულობა 610 ლ-მდე გაიზრდება. ბაზარზე ამ მანქანის გამოსვლიდან რამდენიმე თვეში, ფირმა მომხმარებელს დიზელისძრავიან მოდიფიკაციასაც შესთავაზებს. დიზელი 5-ცილინდრიანი იქნება და 200 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს. რაც შეეხება საბაზო ვერსიის ფასს — ის მყიდველს 34 ათასი ევრო დაუჯდება. ■

ახალი Matiz – „ავტომატით“

საქალაქო მინიავტომობილი — Chevrolet Matiz (აღმოსავლეთ ევროპაში ის Spark-ის სახელით შეჰყავთ) ადრე, მხოლოდ მექანიკურ გადაცემათა კოლოფით იყო აღჭურვილი, ახლა კი, ოთხსაფეხურიანი ავტომატურიც დაურთეს თან. 0,8 ლ სამუშაო მოცულობის სამცილინდრიანი ძრავა 52 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ავტომატურ გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი Matiz-ის მაქსიმალური სიჩქარე 135 კმ/სთ-ს შეადგენს, ხოლო 100 კმ/სთ-ს ის 21,9 წმ-ში აღწევს. აღასანიშნავია მანქანის ეკონომიურობა: 100 კმ გარბენზე ის საშუალოდ, 5,7 ლ ბენზინს წვავს.

ევროპულ ბაზარზე მოდიფიკაცია — Chevrolet Matiz AT (ავტომატურ გადაცემათა კოლოფით) 10.290 ევრო ღირს. Matiz/Spark-ს ამერიკული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსში“ შემავალი კორეული კონცერნის — Daewoo-ს ქარხანაში აწარმოებენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მინიავტომობილის ძველ ვერსიას უზბეკეთში გახსნილი ფირმა — UZ-Daewoo უშვებს. ■

ცხოვრების სტილი Suzuki-საგან

ამერიკულ ქალაქ ლას-ვეგასში გამართულ სატიუნინგო გამოფენაზე იაპონურმა კომპანიამ — Suzuki — აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი 4 კონცეპტუალური მოდელი წარმოადგინა. მაგალითად, სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის შემუშავებულია მოდელი — Blizzard, რომელიც Suzuki Grand Vitara 2.7 TD-ს ბაზაზეა აგებული. მის სახურავზე მოთავსებულია სპორტული ინვენტარის გადასაზიდი 2 კონტეინერი, სალონში კი — კომპიუტერი, რომლითაც მფლობელს ვიდეოთამაშისა და ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობა ექნება.

მეორე კონცეპტი — Wave (ასევე Grand Vitara-ს ბაზაზეა შექმნილი) — საწყალოსნო სპორტის მოყვარულთათვისაა განკუთვნილი. მას შეიძლება დაერთოს ნავის გადასაზიდი მისაბმელი, ბუქსირების პროცესს კი, სპეციალური ვიდეოკამერა გააკონტროლებს. წინა სავარძლებში ჩამონტაჟებულია DVD-პლეიერები, ხოლო სალონში მოთავსებულია მაცივარი და გამოსაწევი გრილი.

მესამე კონცეპტი — Dune — შორეული, თან უგზოობის პირობებში მოგზაურობის მოყვარულთ გაახარებს. მის ძრავასა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა ნაწილებს ფოლადის ფირფიტა იცავს, სახურავზე დამატებითი მაშუქებია მოთავსებული, ხოლო საბარგულში, გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის, ნამდვილი მინისახელოსნოა განთავსებული.

დაბოლოს, „სუძუკის“ მეოთხე კონცეპტი — Sea. მის სახურავზე სპეციალური კრიონშტეინებით მაგრდება უინდსერფინგის დაფა, საბარგულში კი — მინისაშხაპე, აგრეთვე — სველი ტანსაცმლისთვის განკუთვნილი ბოქსი, რომელიც გამათბობლითა და ვენტილაციის სისტემითაა აღჭურვილი. ■

„ცხოვრებაში ყოველთვის იჩაგრებიან ის ადამიანები, რომლებსაც ისეთი სისუსტეები ახასიათებთ, როგორიცაა: ერთგულება, კეთილშობილება, სიყვარულის უნარი“ — მითხრა ტელეჟურნალისტმა ნატო ნიჟარაძემ, რომელიც უკვე დიდი ხიანია, რაც ამ ტელევიზიას ემსახურება, რადგან სწორედ იმ სისუსტეებით გამოირჩევა, რომელსაც თავად დამღუპველად თვლის. ნატო ცხოვრებაშიც ისეთივე მხიარულია, როგორსაც ტელეეკრანზე ვხედავთ. იმდენად ხელმარჯვეა, რომ როცა სახლში რაიმე ფუჭდება, ხელოსანსაც კი აღარ იძახებს. მის ხელმარჯვეობას ჩვენც შევესწარით — ნატომ, რამდენიმე თვის, თუ წლის წინ გაჩერებული საათი აამუშავა და წყლის ავზიც კი შეაკეთა, რომელიც ჟონავდა.

ნატო ნიჟარაძის ჰუმორიანი, 9-ნიმიანი ნაბეჭი და 7-ჯერ მიმიმე „კასეტა“

ლიკა ქაჯაია

— სკოლაში ყოფნის დროს, რატომღაც ტექნიკური საგნები უფრო მიზიდავდა. სიმართლე გითხრათ, პროფესიის არჩევაზე სერიოზულად არც ვფიქრობდი, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად გავაგრძელებდი სწავლას... ჩემმა კლასელმა, რომელთან ერთადაც 7 თუ 5 წლის განმავლობაში ერთ მერხთან ვიჯექი, შემომთავაზა: მოდი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბაროთ, ძალიან საინტერესო პროფესიაა... გამოცდაზე გავედით და სასაცილო რა იყო იცით? მე ჩავაბარე, ის კი — ჩაიჭრა.

— ამ პროფესიით თუ გიმუშავია?

— ნუ გამახსენებ, რა!..

— რატომ?

— 3 წელი ვმუშაობდი გეოგრაფიის ინსტიტუტში. მართალია, ჩემი პროფესია ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ მაშინ მომეჩვენა, რომ ამ პროფესიით ბევრს ვერაფერს მივაღწევდი, რადგან უფრო პოპულარული საქმიანობა იმ დროსაც იურისტობა, ექიმობა, პოლიტიკოსობა იყო. თანაც, გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიწყო შემცირებები. მართალია, ჩემთვის არავის უთქვამს წადიო, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჩემი მოწოდება არ იყო და წამოვედი. ჩემი ადგილი ვიღაცას იქნებ ძალიან სჭირდებოდა, იქ ხომ მიდიოდა ბრძოლა გადარჩენისათვის? თუმცა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ჯერ კიდევ დაუცველი დისერტაცია, ბევრმა გამოიყენა ანუ ერთი აგური მეცნიერებაში მეც დავდე.

— რა შემთხვევაში დაუბრუნდებოდი გეოლოგის პროფესიას?

— თუ დავინახე, რომ ვინმეს დავჭირდი, მაშინ... მაგრამ ეს ვინმე უცხოელი იქნება. ე.ი. უნდა წავიდე საზღვარგარეთ და ჩემი თავი მთლიანად მეცნიერებას მივუძღვნა. მეცნიერება კი ოჯახს ვერ იტანს. ის მისი ერთგვარი კონკურენტია. მე უნდა ვიფიქრო და ვიომო მხოლოდ კაცობრიობის გადარჩენისთვის და ა.შ. ვგავარ იმ ადამიანს, რომელიც ლაღ ცხოვრებას შეელევა და ოჯახს მიატოვებს?

— შენი ჟურნალისტური კარიერა როგორ დაიწყო?

— „საქართველოს ხმა“ ჟურნალისტებს იღებდა. მივედი და განვაცხადე: წერა მეც მეხერხება-მეთქი. აბა, დაჯექი და დაწერეო — განმიცხადეს.

— თუ გახსოვს, რა დაწერე?

— რაღაც თავისუფალი თემა, მაგრამ მგონი, ამას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ყურადღებას იმას უფრო აქცევდნენ — რამდენად სწრაფად წერ. მოკლედ მიმიღეს... მერე, მთელი რიგი სამსახურები გამოვიცვალე: „აუდიენცია“, „იბერია“ და ა.შ.

— რას განიცდიდი, როდესაც პირველად დადექი ტელეკამერების წინ?

— წამყვანის რანგში, პირველად ტელეკომპანია „იბერიაზე“ გავიჩითე. საშინლად ვნერვიულობდი... მასალაზე ე.წ. ხმის დადება 7-ჯერ მომიხდა. სიუჟეტი მეტროპოლიტენზე იყო, რომლით მგზავრობაც ძვირდებოდა. იმდენად ვნერვიულობდი, რომ ჯიუტად ვიმეორებდი „თუთხმეტს“ და „მეტროპოლიტენს“ მეგრული კილოთი. ბოლოს მკითხეს: გოგო, შენ მეგრელი ვინ გყავსო? გავინაზე — ბებია-მეთქი. ახლა ვხუმრობ ხოლმე: აი, სად იმძლავრა წინაპრის გენებმა-მეთქი. „იბერიიდან“ „რუსთავი 2“-ში გადავინაცვლე. ჯერ „კურიერისთვის“ ვაკეთებდი მასალებს. ახლა კი, უკვე დაახლოებით 4 წელია, რაც დილის გადაცემისთვის ვამზადებ რეპორტაჟებს, ყირაზე ვდგები, სხვების გამხიარულებას ვცდილობ. იცი, ხანდახან ვფიქრობ: ხომ არ მეყოფა, ხალხს თავი ხომ არ მოვაბეზრე? იქნებ ღირს, დავსერიოზულდე, მაგრამ გამომივა კი ეს?

— რატომ არ გამოგივა? სერიოზული არასდროს ხარ?

— ნებისმიერ ქალს შეუძლია სერიოზული დაიჭიროს, თუ ის ქალურია, დონეა, ხომ სწორია? *(იცინის)*... ისე ხუმრობა ხუმრობაში ბევრ რამეს ვსწავლობ.

— მაგალითად?

— ჩემმა რუბრიკამ — „მარჯვე ხელები“, იმდენი რამე მასწავლა, რომ ხელოსანსაც აღარ ვიძახებ ხოლმე. ყველაფრის გაკეთება შემიძლია.

— არ მატყუებ?

— რას ამბობ? მე უნიკალური ვარ, ძალიან ნიჭიერი. „ვაფშე“, ვის ვგავარ ნეტავ? თუმცა, ოჯახის წევრებმა რაც კი იცოდნენ, ყველაფერი მე დამაბერტყეს. რა გაცინებს? სხვათა შორის, მსახიობობაც მეხერხება. თეატრალურშიც კი მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მამაჩემმა და ჩემმა ბიძაშვილმა მითხრეს: თუ იქ ჩააბარებ, ფეხებით ჩამოგკიდებთო. არადა, ბიძაშვილიც მსახიობია და მისი ცოლიც. ვიფიქრე, ალბათ, იქ რაღაც საშინელება ხდება-მეთქი და ჩაბარება გადავიფიქრე... ისე ნიჭი კი მართლაც მქონდა — თითქმის ყველა მსახიობს ვბაძავდი, იმიტაციას ვაკეთებდი, მაგრამ რად გინდა?.. მე სხვა ნიჭიც მაქვს, მაგრამ თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით.

— იქნებ გაგვიმხილო, კიდევ რა ნიჭით დაგაჯილდოვა ღმერთმა?

— როცა ვინმეს დახმარება სჭირდება, პირველი გავრბივარ ხოლმე. არაჩვეულებრივი ნიჭია, არა? წარმოიდგინე, მედიცინის არაფერი გამეგება, მაგრამ ვინმე ცუდად რომ ხდება, მასთან პირველი მე მივდივარ. მართალია, ავადმყოფს ვერ ვეხმარები, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველი ვარ.

— ასეთი შემთხვევა ხშირად გქონია?

— რამდენჯერმე მქონდა ასეთი შემთხვევა და სხვათა შორის, მეკითხებოდნენ: პირველი რატომ გარბიხარ, რისი გაკეთება შეგიძლიაო? მაგრამ რა ვქნა? მე ხომ ყველა მიყვარს... დედამიწა ძალიან პატარა და საყვარელია, რომელიც შორიდან წერტილს ჰგავს; ამიტომ, ყველა ერთმანეთის მეგობრები უნდა ვიყოთ. რა სჯობია ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც ყველა კარგ რაღაცეებს ლაპარაკობს, არ „სტერვობს“, ადამიანს რომ გაუღიმებ და ისიც საპასუხოდ გიღიმის. ამაზე დიდი ბედნიერება განა არსებობს?

— სამწუხაროდ, დღესდღეობით, ქუჩაში მოღიმარ ადამიანებს მგონი, ნაკლებად ვხვდებით?

— მე ყველა მიღიმის და რა ვიცი? თუ გინდათ, ამის რეცეპტს გაგიმხელთ.

— რა ჰქვია შენს რეცეპტს?

— „ბუმერანგი“. საერთოდ, ცუდიც და კარგი ხასიათიც გადამდებია, ბუმერანგივით გიბრუნდება უკან. დილით, სახლიდან რომ გამოხვალ, უნდა იყვირო (ოღონდ, ჩუმად): რა ლამაზი ქვეყანაა, გამარჯობათ, გაიღვიძეთ ხალხო! თუმცა, ნოდარ დუმბაძის სიტყვები რა შუაშია? *(იცინის)*. შენ თავს შთააგონე: რა კარგი დღეა, რა ბედნიერი ვარ. გაუცინე ადამიანებს, უთხარი მათ: მშვიდობიან დღეს გისურვებთ. კარგი აურა „გაუშვი“ და უცებ დაინახავ, რომ ყველა იღიმის.

— ეს შედეგს გამოიღებს?

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს შედეგს გამოიღებს. რჩევას ტყუილად არ მოგცემდით. მე ეს გამომიცდია და ამიტომაც ვარ ამაში ასე დარწმუნებული... მთავარია, არ შეგეშინდეთ იმის, რომ ვიღაცას გიჟი ეგონებით. ამას ხშირად ვაკეთებ და არავის დარჩენია ჩემზე გიჟის შთაბეჭდილება. თუ რა თქმა უნდა, ჩემს რეცეპტს არ გადაამლაშებთ, ყველაფერი კარგად იქნება... მოდი, სცადე და მერე შედეგი მომახსენე.

— აუცილებლად ვცდი... ნატო, შეგიძლია თუ არა, გაიხსენო სიუჟეტი, რომელმაც შენი მხიარულება სევდით შეცვალა?

— ბევრი გულის ამაჩუყებელი სიუჟეტი მაქვს მომზადებული, რომელი ერთი გავიხსენო არ ვიცი. იცი, რა ცუდად, საშინლად ცხოვრობენ ადამიანები? ამის წარმოდგენა იმ ხალხს გაუჭირდება, რომელსაც გაჭირვება არ უნახავს, მაგრამ რატომღაც მაინც წუწუნებს... ერთხელ, გლდანიდან, პოლიციის რომელიღაც ქვეგანყოფილებიდან დარეკეს. გვითხრეს, რომ იპოვეს მიტოვებული ბავშვი. „რუსთავი 2“ პირველი მივიდა შემთხვევის ადგილზე. კორპუსებს შორის, ეზოში, რაღაც ჩვრებში გახვეული ჩვილი ეგდო (მადლობა ღმერთს, ბავშვი დროზე იპოვეს).

— მოდი, ცოტა გავმხიარულდეთ. შენი პროფესიის გადამკიდეს, ალბათ, კურიოზებიც ბლომად დაგიგროვდა?

— ო, იმდენი კურიოზი მქონია, რომელი ერთი მოგიყვე, არ ვიცი. იცი, ბოლოს მომხდარ კურიოზებს „ვაფშე“ ვეღარ ვიხსენებ. თუმცა, ჩვენი ოპერატორი, ის, ვინც სტუდიის საეთეროში ზის, იწერს ხოლმე რაღაცებს და ამას წინათ მითხრა: იმდენი რამ დაგიგროვდა, საახალწლოდ კარგი სიუჟეტი გამოვაო... მოდი, ვაღიარებ, რომ იმ კატეგორიის ადამიანი ვარ, რომელსაც ყველა ცხოველის ეშინია. მნიშვნელობა არა აქვს, ის დადის, დაბობღავს თუ რას შვრება. თავს კარგად მხოლოდ ადამიანთა გარემოცვაში ვგრძნობ. მაგრამ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხომ ყველანაირ შარში უნდა გავეხვე: ცხენზე უნდა შევჯდე, ძაღლებს ყბაში ხელი უნდა შევუყო და ა.შ. ხანდახან თავბედს ვიწყევლი ეს რა პროფესია ავირჩიე-მეთქი. ერთხელ, კავკასიური ნაგაზების გარემოცვაში აღმოვჩნდი. ძაღლების პატრონები გავაფრთხილე: ცხოველებს ხელი მაგრად მოჰკიდეთ-მეთქი. ჩაირთო კამერა და იძულებული გავხდი, შიში დამევიწყებინა, იმიტომ, რომ მაყურებელი არ გამეწბილებინა და ეკრანზე კარგად გამოვჩენილიყავი. მოკლედ, ჩაჩოქილი ვარ და რაღაცებს ვქაქანებ. უკან ძაღლის სუნთქვას ვგრძნობ, რომელიც ჩემზე მაღალი ჩანს (მე ხომ ფაქტობრივად ვზივარ). მას აცვია მაისური, რომელზეც წერია ციფრი „9“. ვქაქანებ: თუ თქვენ გაქვთ ასეთი „მაიკა“, ჩააცვით ის თქვენს ძაღლს და... უცებ ვიგრძენი *(მხრებზე იდებს ხელს. — ავტ.)*, ზუსტად აქ დამადო თათი. იქვე მოვკვდი. გული არ წამსვლია, მაგრამ არც არაფერი დამაკლდა. არ ვიძროდი. ბოლოს ვიყვირე: კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი. რაც მართალია, მართალია — სიცოცხლე იქ დამთავრდა... კურიოზი კიდევ მოგიყვე?

— სიამოვნებით მოგისმენ...

— ერთხელ, რალს ვაშუქებდი. მითხრეს: ბოლოს, სპორტულ მანქანაში შენც ჩაჯექი, ჩვენ დავიძრებით, შენ კი, ხალხს ხელს დაუქნევ და დაემშვიდობებიო. ბოლო კი ისეთი იყო — ოო... ავტომობილი 250 კმ/სთ სიჩქარით დაიძრა. არ ვიცი, ასეთი მანქანების მაქსიმალური სიჩქარე რამდენია, მაგრამ ის შეჩვენებული ისეთი სისწრაფით მოსწყდა ადგილს, რომ სიუჟეტი „აბა, კა�ა“-თი დასრულდა. სხვა ვერაფერი მოვასწარი. მანქანიდან გადმოსული კი ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ თმა აღარ მევარცხნებოდა... ერთხელ, ბეისბოლს ვაშუქებ და თამაში გადავწყვიტე. წესი ასეთი იყო: ბურთი უნდა ისროლო, გაიქცე, დაიჭირო და დაამიწო თუ რაღაც. მე გავიქეცი (თან არ დაგავიწყდეთ, თავზე, წონით, 7-ჯერ ჩემზე მძიმე „კასკა“ მახურავს) და... წავიქეცი, ნახევარი გუნდი მე მაყენებდა *(იცინის)*. მოკლედ, ჩვენთან ყველაფერი ხდება: იქვე ვკვდები და ვცოცხლდები.

— ნატო, რა შეგძინა ჟურნალისტის პროფესიამ?

— ჟურნალისტის პროფესიამ, პირველ რიგში, ძალიან ბევრი ნაცნობი შემძინა. იმიტომ, რომ მე თვითონ ვარ ძალიან კონტაქტური. ნაცნობების უსასრულო სია მაქვს. აი, მაგალითად, მეორეჯერ რომ გნახავ, დაგიძახებ: გამარჯობა, ჩემო კარგო, როგორ ხარ? „ნივიუუები“ არც მეხერხება და ვერც ვიტან. ამ ქვეყანაზე, კარგი ურთიერთობების გარდა, რა შეგვრჩება?

— ამ პროფესიამ პოპულარული არ გაგხადა?

— პოპულარობის რა გითხრა? თუმცა, უფრო მეტმა ადამიანმა იცის ჩემი არსებობა...

ჟურნალისტის პროფესიამ, პირველ რიგში, ძალიან ბევრი ნაცნობი შემძინა

— თავისუფალი დრო არ გრჩება?

— კი, მაგრამ ძალიან ცოტა, სადღაც 2 საათი. არა, ვიტყუები — 40 წუთი.

— ამ დროს, როგორ ისვენებ ხოლმე?

— დივანზე მივეგდები და ვამბობ: მადლობა ღმერთს, რომ ეს დივანი არსებობს-მეთქი.

— შვილებისთვის როდისლა იცლი?

— თქვენ გგონიათ, რომ ამ 40 წუთის განმავლობაში დივანზე ვწევარ? არა. ახლა აღგიწერთ, თუ რა ხდება ამ დროს სახლში: შემომეხვევიან შვილები — უხარიათ, რომ დედა მოვიდა. მერე დიმკა *(შვილი. — ავტ.)* მეტყვის: დაიღალე?.. ცოტა ხანში უკვე მათთგან ერთად დავრბივარ, ვთამაშობ. მინდა, მხიარული დედა ვიყო. მიმაჩნია, რომ ბავშვებს მარტო დედის მოფერება კი არ უნდათ, არამედ მასთან თამაში. მეც ხომ ვიყავი პატარა და ვიცი, ყველაზე მეტად რა მინდოდა... ერთხელ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჩემს გოგონას — ანასტასიას ჰკითხა: დედიკო ტელევიზორში რას აკეთებსო? იმანაც უპასუხა: ბუშტებს ბერავსო.

— რა ბუშტებს ბერავდი?

— ერთ-ერთი ჩართვის დროს, ქალბატონი ბუშტებით ჭაღს აკეთებდა. მეც მათ გაბერვაში ვეხმარებოდი. ბავშვი ვერ მიხვდა, რას ვაკეთებდი და თქვა ის, რაც ნახა.

— ვინ არის შენი საყვარელი რესპონდენტი?

— ასეთი ძალიან ბევრი მყავს. თითქმის ყველა, ვისთანაც კი მიწევს ურთიერთობა. იშვიათად ხდება ისე, როცა ადამიანთან ურთიერთობას ვერ ვამყარებ. ამ დროს, მეტი აქტიურობა მმართებს, რაღაცებს ვიგონებ, რათა ეს ყველაფერი მაყურებელმა ვერ შეამჩნიოს. ვფიქრობ, რომ სწორედ ამაში გამოიხატება შენი პროფესიონალიზმი.

— ნატო, რა სიახლეებია შენს ჟურნალისტურ კარიერაში?

— ჯერჯერობით, არაფერი. ისე, სიამოვნებით გავაკეთებდი რაღაც შოუს, რომელიც ყველა არსებულ შოუზე უფრო ხალისიანი იქნებოდა. ვნახოთ, იქნებ, მართლაც შემომთავაზონ რაიმე? *(იცინის)*.

— რას ნიშნავს შენთვის ჟურნალისტიკა და როგორი უნდა იყოს ნამდვილი ჟურნალისტი?

— ჟურნალისტიკა ჩემთვის ის ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც მე მაყურებელს ვეკონტაქტები. ეს კი ძალიან მომწონს. მთავარია, ვახერხებ თუ არა იმას, რომ მაყურებელს მივაწოდო დადებითი იმპულსი. თუ ამას ვახერხებ, მაშინ ჩათვალეთ — ჩემი მისია უკვე შესრულებულია... ჟურნალისტმა მაყურებელს უნდა მიაწოდოს სწორი ინფორმაცია და რაც შეიძლება სწრაფად. სისწრაფე კი გამოცდილებასთან და შრომასთან ერთად მოდის. არც ერთი ადამიანი არ იბადება დ-ო-ნ-ე-დ. ■

სხვა ტელეკომპანიებისგან განსხვავებით, „მზემ“ ახალი სატელევიზიო სეზონი შემოდგომის მიწურულს გახსნა. როგორც მისი ხელმძღვანელი, ზაზა თანანაშვილი ამბობს, განახლებული სამაუწყებლო ბადით გასვლა, სიმბოლურად, გიორგობის დღესასწაულს და ვარდების რევოლუციის ორი წლისთავს დაამთხვიეს. განსხვავებული გადაცემები, ქართული სერიალი და დოკუმენტური ფილმები — ასეთია მოკლედ სამოქმედო პროგრამა, რომლითაც ტელეკომპანია ქართულ სატელევიზიო ბაზარზე ახალი წარმატების იმედით ბრუნდება...

„მზე“ „ძიძა ანგიტრიტაში“ დაბრუნებას აპირებს

ემა ტუხიაშვილი

— გარკვეული პერიოდის წინ, ტელეკომპანიას რაღაც პრობლემები მართლაც ჰქონდა. ამა წლის სექტემბერში განვახორციელეთ რეორგანიზაცია და სამსახურიდან დაახლოებით 150 თანამშრომელი გავათავისუფლეთ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ სატელევიზიო ეთერს ეს დიდად არ დაეტყობა. ტელევიზიაში დარჩნენ მხოლოდ პროფესიონალები, ვინც დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობს იმისათვის, რომ საუკეთესო ქართული ტელევიზიის სახელი მოვიხვეჭოთ. უკვე გვაქვს ტელეკომპანიის განვითარების მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა; მომავალი ივლისიდან მთელი საქართველოს მასშტაბით შევძლებთ მაუწყებლობას, ხოლო თებერვალში მაყურებელს კიდევ რამდენიმე ახალ სატელევიზიო პროექტს შევთავაზებთ. დარწმუნებული ვარ — ხალხს სჯერა იმის, რომ ჩვენ არა მხოლოდ დავიბრუნებთ იმ ნიშს, რომელიც ქართულ ტელებაზარზე გვეკავა, არამედ ვიქნებით საუკეთესო ტელევიზია საქართველოში. საამისო პოტენციალი ნამდვილად გვაქვს.

— ეს ზოგადად, მაგრამ იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რა სახის გადაცემებით აპირებთ, კონკურენცია გაუწიოთ წარმატებულ ქართულ ტელეარხებს და მიიზიდოთ მაყურებელი?

— ალბათ მოგეხსენებათ, რომ გასული სატელევიზიო სეზონის განმავლობაში, ჩვენ ჩავატარეთ სატელევიზიო ფილმების ფესტივალი, რომელსაც საზოგადოების მხრიდან საკმაოდ კარგი გამოძახილი ჰქონდა. ახალ სეზონში გავაგრძელებთ ამ ფესტივალს და მეტიც, მას ალბათ საერთაშორისო სახეს მივცემთ. „მზეზე“ ძირითადი ცვლილებები საინფორმაციო გადაცემებს შეეხო. კერძოდ, 5, 7-წუთიანი საინფორმაციო გადაცემები ყოველი საათის ბოლოს გავა ეთერში, თან — წამყვანის გარეშე. მინდა გითხრათ, რომ ასეთი საინფორმაციო გადაცემის ფორმა დსთ-ის სივრცეში არც ერთ ტელეკომპანიას არა აქვს. საღამოს 6 საათზე კი, მაყურებელს გავაცნობთ ინფორმაციას საქართველოს რეგიონების შესახებ. ახალი ანალიტიკური გადაცემა ექნება სოფო მოსიძეს, სახელწოდებით — „ღამის ცვლა“, სადაც ის დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს შეაჯამებს. ვგეგმავთ ტოქშოუს, რომლის მთავარი გმირი და თემაც, ქალი იქნება. გავითვალისწინეთ ქართველ ფეხბურთის მოყვარულთა მოსაზრებები და შევიძინეთ ინგლისისა და ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატების ტრანსლირების უფლება. მაკა ასათიანის ხელმძღვანელობით *(ის ადრე, სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე მუშაობდა)* შეიქმნა გადაცემათა ციკლი — „გზა ევროპისკენ“. ეს პროექტი მოგვითხრობს იმ სახელმწიფოების შესახებ, ვინც ცოტა ხნის წინ გახდა ევროკავშირის წევრი და გაიმართება სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ რამდენად მომგებიანი აღმოჩნდა ეს მათთვის. ცნობილმა ანიმატორმა დათო სიხარულიძემ, ჩვენი ტელეკომპანიისთვის მოამზადა პროექტი — „ბაბავჯანა“, ოღონდ, სახელწოდების მიუხედავად, ეს არ იქნება საბავშვო გადაცემა. ზურაბ დვალი მუშაობს პროექტზე — „რუსთაველი“, იგი ეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს. საგანგებოდ ჩვენი კომპანიისთვის ლაშა ცერიაშვილმა გადაიღო ტელესერიალი — „ასა“, რომელიც ერთი არაჩვეულებრივი სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს. მასში მთავარ როლებს შეასრულებენ მალხაზ ქვრივიშვილი და გოგოლა კალანდაძე. ირაკლი ტრიპოლსკის ხელმძღვანელობით იქმნება გადაცემათა ციკლი საქართველოს ისტორიის შესახებ, ქართული ფოლკლორის შესახებ. ვაგრძელებთ მუშაობას ქართულ დოკუმენტურ ფილმებზე და ცოტა ხანში, რეჟისორი დათო კალანდია კიდევ ერთ საინტერესო სურათს შესთავაზებს მაყურებელს. რაღაც მიზეზების გამო, „მზის“ ეთერით იტალიური სერიალის „ჩენტო ვეტრინეს“ ჩვენების შეწყვეტა მოგვიხდა, — რამაც მაყურებელთა საკმაოდ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია: გამუდმებით რეკავდნენ, გვიგზავნიდნენ წერილებს. მახსოვს, ამის გამო, ჩვენი ტელევიზიის ვებგვერდზე ვიღაცამ გაკვირვებაც გამოხატა: რა მოგვიდათ, ხალხნო, ასეთი დაჟინებით საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანა არ მოგითხოვიათო!.. მინდა, ჩვენს მაყურებელს ვახარო, რომ კვლავ გავაგრძელებთ ამ სერიალის ჩვენებას.

— საუკეთესო საეთერო დროს, სხვადასხვა ტელევიზიის ეკრანებზე საკმაოდ მაღალრეიტინგული გადაცემები გადის. საინტერესოა, როგორ აპირებთ, წაართვათ მათ მაყურებელი?

— ვიცით, რომ ამ პატარა პაუზის განმავლობაში მაყურებელთა რაღაც ნაწილი მართლაც, დავკარგეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაცისთვის რაღაცის წართმევას ვაპირებთ. ხალხი ჩვენკენ აუცილებლად შემობრუნდება, თუ კარგი გადაცემები გვექნება. ამაში კი ეჭვი არ გვეპარება. და კიდევ — მართალია, ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ჩვენი პროგრამები რაც შეიძლება მაღალრეიტინგული იყოს, მაგრამ ამის მისაღწევად არასდროს ვუჩვენებთ სატელევიზიო ეთერით სექსს, როგორც ამას სხვა ტელკომპანია აკეთებს და არ დავუთმობთ ეთერს ქეიფსა და ღრეობას, რასაც თავის მაყურებელს კიდევ ერთი ქართული არხი სთავაზობს. ტელეკომპანია „მზე“ ძირითადად, ეროვნული ფასეულობების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.

— როგორ ფიქრობთ — არსებობს თუ არა ქართულ ტელესივრცეში ჯანსაღი კონკურენცია და ვის მიიჩნევთ თქვენს კონკურენტებად?

— მიმაჩნია, რომ კონკურენცია სატელევიზიო კომპანიებს შორის მართლაც არ-



5, 7-წუთიანი საინფორმაციო გადაცემები ყოველი საათის ბოლოს გავა ეთერში, თან — წამყვანის გარეშე

სებობს, თანაც — საკმაოდ მძაფრი. ხოლო რაც შეეხება ჩვენს კონკურენტებს, ვფიქრობ, ეს ტელეკომპანია „იმედი“ და „რუსთავი 2“-ია.

— ალბათ, რეკლამაც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს თქვენ არხის ეთერში.

— დღეს ქართული ტელევიზიის დაფინანსების ერთადერთი წყარო, რეკლამაა, ამიტომ ამის გარეშე ვერც ჩვენ შევძლებთ მუშაობას. გარდა ამისა, იცით ალბათ, რომ „მზე“ ძალზე ახალგაზრდა ტელეარხია — მხოლოდ არსებობის ორ წელს ითვლის, ამიტომ საკმაოდ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და თუ ჩვენი ბიზნესგეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ, სამ წელიწადში შევძლებთ, კომერციულად მომგებიან ტელევიზიად ვიქცეთ. ეთერით რეკლამას მხოლოდ კანონით ლიმიტირებულ დროს დავუთმობთ და შევეცდებით, რომ გაწელილი სარეკლამო რგოლებით მაყურებელს თავი არ მოვაბეზროთ.

— ბოლო დროს, საკმაოდ ხშირად ისმის ხმები ხელისუფლების მხრიდან მასმედიაზე ზეწოლის შესახებ. როგორც ვიცი, გადაცემებისთვის სტუმრების შერჩევისას, ხდება ეწ. გარიგებები, თუ ვინ ვისთან ერთად უნდა მიიწვიონ დებატებისთვის. როგორ ფიქრობთ — შეძლებთ, გაუმკლავდეთ ამ ყველაფერს?

...გარდა ამისა, შევიძინეთ კიდევ ერთი სტუდია ხილიანის ქუჩაზე, რომელიც მანამდე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ეკუთვნოდა

— მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ 3 თვეა, რაც ამ ტელეკომპანიის დირექტორის მოვალეობას ვასრულებ და ჩემთვის მუქარით, დაშინებით ჯერჯერობით არავის მოუმართავს. ჩვენ გახლავართ აბსოლუტურად დამოუკიდებელი ტელეკომპანია და ვიტყვით იმას, რაც იქნება შიშველი სიმართლე.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ერთ-ერთ საინფორმაციო გადაცემას მთლიანად საქართველოს რეგიონებს მიუძღვნით. გაქვთ თუ არა რეგიონული ბიუროები?

— ამჟამად გვაქვს წარმომადგენლობები: ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისში, კახეთში, რუსთავსა და მოსკოვში. სამომავლოდ კი ვგეგმავთ, ტელეკომპანია „მზის“ წარმომადგენლობები ჯერ საქართველოს ყველა რეგიონში, მოგვიანებით კი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სხვა ქვეყნებშიც შევქმნათ.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ რეალური შოუ, ქართულ ტელესივრცეში მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს. თქვენც ხომ არ აპირებთ შემოგვთავაზოთ „ამტანების“ და „ბარის“ მსგავსი პროექტი?

— გამოგიტყდებით, რომ ასეთი სახის შოუს შექმნაზე ჩვენც ვიფიქრეთ. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ „მაესტროს“ „ამტანებს“ საზოგადოებაში საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა. მართლაც, ვმუშაობთ რეალური შოუს პროექტზე, ვხვეწთ მას, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ გვაქვს, როდის შევძლებთ მის რეალიზებას. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს იქნება სახალხო პროექტი, სადაც მონაწილეობას მიიღებს მაყურებელი. მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი პროექტის ფარგლებში, ინტიმური სცენების ჩვენებას ნამდვილად არ ვაპირებთ.

— თქვენ ტელეკომპანიის ცნობილი სახეები სად წავიდნენ? სხვა ტელევიზიებთან თანამშრომლობა ხომ არ გადაწყვიტეს?

— იქნებ, უფრო დამიკონკრეტოთ, ვის გულისხმობთ?

— მაგალითად, აპირებს თუ არა თქვენთან თანამშრომლობას ირაკლი იმნაიშვილი?

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ირაკლი ზაფხულში შვებულებაში იყო წასული, შემდეგ, მივლინებით იმყოფებოდა ამერიკაში. მერე, ჩვენ შორის შედგა საქმიანი საუბარი და მან გამიზიარა, რომ სურს, მოამზადოს ახალი პროექტი ჩვენი ტელეკომპანიისთვის. როგორც ჩემთვის ცნობილია, ის სხვა ტელეკომპანიებთან არ თანამშრომლობს.

— არც თქვენ გიცდიათ, რეიტინგის ასამაღლებლად, სხვა ტელევიზიებიდან მოგეზიდათ ცნობილი ტელესახეები?

— ამის აუცილებლობას ნამდვილად ვერ ვხედავ, რადგან საკმარისი ძალა გვაქვს სტარტის ასაღებად. მოგვიანებით, თავად შევთავაზებთ საზოგადოებას ახალ ტელესახეებს. აქვე მინდა გითხრათ, რომ განახლებულ ტელესივრცეში სრულიად ახალი დიზაინის სტუდიებით გავდივართ. შევიძინეთ კიდევ ერთი სტუდია ხილიანის ქუჩაზე, რომელიც მანამდე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ეკუთვნოდა. იქ ახლა, ტელესერიალის გადაღებები მიმდინარეობს. ჩვენ გვინდა, ვიყოთ საოჯახო ტელევიზია, აგებული ეროვნულ ფასეულობებზე.

■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. სად გაიხსნა პირველი საზოგადოებრივი ტუალეტი?

ა) ლონდონში;
ბ) პარიზში;
გ) სანქტ-პეტერბურგში.

2. რომელი სკოლა დაამთავრა კახა ლომაიამ?

ა) რუსული;
ბ) ფიზიკა-მათემატიკური;
გ) ქართული.

3. თავდაპირველად, „მის მსოფლიოს“ ტიტულის მოსაპოვებლად, გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: ნიჩბოსნობაში, ცურვაში, ცეკვაში, სიმღერასა და...



ა) ...ლექსის კითხვაში;
ბ) ...მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრაში;
გ) ...პროზაული ნაწარმოების ნაწყვეტის კითხვაში.

4. საკუთარი სხეულის რა ნაწილი არ მოსწონს ჯენიფერ ლოპესს?

ა) მკერდი;
ბ) საჯდომი;
გ) ცხვირი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რამდენიმე დღის წინ, დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში კონცერტი გაიმართა, რომელიც ექსპერიმენტადაც კი შეაფასეს, რადგან აქ გაჟღერდა როგორც ქალაქური, ისე თანამედროვე სიმღერები. ამავე დროს, ლათინურამერიკული ცეკვებით გამოდიოდნენ მაესტრო მორისი და ჯგუფი „ვივა ლათინო“. კონცერტზე, მომღერალი თიკა ფაცაცია წამყვანის ამპლუაში წარდგა პუბლიკის წინაშე. „ექსპერიმენტებზე ვგიჟდები და მგონი, რაღაც გამომივიდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, თავიდან ბოლომდე დავიხარჯე“, — განაცხადა მან.

ექსპერიმენტი, რომლის გამაც ორივეს ერთამის ერთდა აგირეს...

ლიკა ქაჯაია

კონცერტის ორგანიზატორი, პრომოუტერი

ზვიად შელია:

— დღეს რაღაც ექსპერიმენტი გამომივიდა. კონცერტზე მონაწილეობას იღებდნენ ყველა ასაკის ადამიანები: ნატო გელაშვილი, გიო ხუციშვილი, მაია კვირკველია, ანსამბლი „იმერეთი“, დათო ძიძიგური, ნინო ბადურაშვილი და ა.შ. ლათინურამერიკული ცეკვები წარმოგვიდგინა მაესტრო მორისმა და ჯგუფმა „ვივა ლათინომ“. ანუ აქ ისმოდა როგორც ქალაქური, ისე თანამედროვე სიმღერები. ეს ერთგვარი სინთეზია, რომელმაც გაამართლა, ხალხი კარგად გაერთო.

— თიკა ფაცაცია წამყვანის ამპლუაში მოგვევლინა. ეს ვისი იდეა იყო?

— ეს იდეა რესტორნის დირექტორმა, ლიკა კვარაცხელიამ შემომთავაზა. სიმართლე გითხრათ, თავიდან ცოტა შემეშინდა: — თავს როგორ გაართმევს-მეთქი?.. მაგრამ თიკას წამყვანობა გამოუვიდა.

— ამ ბოლო დროს მოხშირდა კონცერტების კლუბებში თუ რესტორნებში გამართვა. ასე რატომ ხდება?

— ალბათ იმიტომ, რომ აქ საკმაოდ მაღალ ჰორონარებს აძლევენ მომღერლებს. მოხშირდაო თქვი, მაგრამ ასეთი საღამოები დიდი ხანია არ ჩატარებულა, ამიტომაც იყო, რომ ბევრმა მომღერალმა დამირეკა და ლამის დედა მაგინა: ჩვენ რატომ არ დაგვიძახეო?

— ზვიად, გავიგე, ერთ თვეში მომღერალ სოფო ხალვაშს ირთავსო. მართალია?

— ჯერჯერობით არა *(იცინის)*.

— როგორც ვიცი, საპროდიუსერო ცენტრი ჩამოაყალიბე?

— დიახ. ეს არის "L-X PROMOTION", რომლის პრეზენტაციაც წლის ბოლომდე გაიმართება და იგი კონკრეტული მომღერლების წარმოჩენაზე და კონცერტების გამართვაზე იზრუნებს.

— დაბოლოს, შენი უახლოესი გეგმები?

— შემომთავაზეს, ძალზე ნიჭიერი, ცნობილი მომღერლის პროდიუსერობა.

— კონკრეტულად?

— ამას მალე გაიგებთ... ასევე მოლაპარაკება დავასრულეთ მოსკოვთან, სადაც ჩავიყვან რამდენიმე მომღერალს, გაიმართება 3 კონცერტი (31 დეკემბრიდან 15 იანვრამდე)... აგრეთვე არის საინტერესო შემოთავაზება ჩემი მეგობრისგან, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, ჰყავს გერმანელი მეუღლე და აქვს სამოდელო ბიზნესი. იქაც ვაპირებთ მომღერლების წაყვანას, რათა გავმართოთ კონცერტი გერმანიაში მყოფი ქართველი საზოგადოებისთვის.

თიკა ფაცაცია:

— ექსპერიმენტებზე ვგიჟდები და მგონი, რაღაც გამომივიდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, თავიდან ბოლომდე დავიხარჯე. სიამოვნებით გავაგრძელებდი ამ საქმეს.

— რამდენიმე კვირის წინ, როცა შენთან სასაუბროდ მოვედი დეპრესიული იყავი, ამბობდი: ალბათ, კონცერტებზე იმიტომ არ მეძახიან, რომ ეტყობა, საჭირო არ ვარო. მას შემდეგ რა შეიცვალა?

— იმ მუქ ფერს, რომელიც დაგიხატე, ამ ბოლო დროს წინწკლები გაუჩნდა და მეც აქტიური პერიოდი დამიდგა. ეს როდემდე გაგრძელდება არ ვიცი, მაგრამ იმედია, აქტიური პერიოდი დიდხანს გასტანს.

— ახლო მომავალში, რაიმე კონცერტზე მონაწილეობის მიღებას ხომ არ გეგმავ?

— არანიარ ინფორმაციას არ ვფლობ, რომ გამოვდიოდე მეცოდინება... იცი, მე ყოველთვის ვაკვირდები სიტუაციას — სათანადო მომენტში, სათანადო ადგილას და ხალხში მინდა ვიყო. თუ სადმე რამე ხდება, ყოველთვის იქ რომ ვიყო, ყველაფერი მეცოდინება, მაგრამ ეს აღარ მიზიდავს. თუ რამეს შემომთავაზებენ კი ბატონო, თუ ვინმეს სჭირდება თიკა ფაცაცია, იცის — ვინ ვარ, აუცილებლად მიპოვის. არა მგონია, ვიღაცისთვის თვალში შეჩხერამ მომიტანოს წარმატება.

— სათანადო ადგილას, სათანადო მომენტში მინდა ვიყო, — ამბობ. რას გულისხმობ?

— ყოველთვის ვაქცევ ყურადღებას იმას, თუ სად ტარდება კონცერტი, ვინ გამოდის, რა დონისაა, როგორი ანაზღაურება მექნება. ეს ის კარგი თვისებაა, რომელიც ჯგუფ „სეთიდან“ გამომყვა. დღეს, უფასო კონცერტები მომრავლდა. თუ ასეთი კონცერტი კარგი ხარისხისაა, მე იქ გამოჩენა მიღირს, მაგრამ როცა ყოველკვირა ვიღაცები რაღაცას აწყობენ და თანაც ანაზღაურების გარეშე — იქ არ გამოვალ. მე იმას კი არ ვამბობ, რომ სიმღერით გამდიდრება მინდა, უბრალოდ, ანაზღაურება იმისთვის მჭირდება, რომ თავი დავიმშვიდო. რაღაცით დამაფასეს-მეთქი, — ვიფიქრო. ამაში ვერავითარ სიამაყეს ან ალოგიკურს ვერ ვხედავ.

— ინოვს ხშირად იცვლი. ეს იმის გამო ხდება, რომ ექსპერიმენტები გიყვარს თუ იმიტომ, რომ ამას შენი საქმიანობა მოითხოვს?

— ადრე შავთმიანი ვიყავი, მერე წაბლისფერზე გადავედი და ა.შ. ეს ჩემგან მოდის — ხანდახან ძალიან მინდა, ჩემში რაღაც შევცვალო, თორემ გათვლებით არაფერს ვაკეთებ.

— თიკა, შენ პროდიუსერი ვინ არის?

— პროდიუსერი აღარ მყავს.

— ეი. პროდიუსერის ძიებაში ხარ?

— არავისაც არ ვეძებ. ვიღაცებისგან შემოთავაზებები არის, მაგრამ ჯერჯერობით, ვფიქრობ...

— დაბოლოს, შენი უახლოესი გეგმა როგორია?

— იმას, რასაც ვაპირებ, მთლად ექსპერიმენტი არ ჰქვია, მაგრამ კონკრეტულად რას ვგულისხმობ, ამას ჯერ ვერ გაგიმხელთ, მერე საინტერესო აღარ იქნება. ამ სიურპრიზის მოწყობა, შეიძლება ახალ წლამდე მოვახერხო. ■

ამ სიურპრიზის მოწყობა, შეიძლება ახალ წლამდე მოვახერხო (თიკა ფაცაცია ზვიად შელიასთან ერთად)

ზედიზედ, სამი ღამის განმავლობაში ის სახლი მესიზმრებოდა, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ავდიოდი კიბეზე და მეოთხე სართულზე, ჩემი ყოფილი ბინის კარის გაღებას ვცდილობდი. გასაღებს ვერ ვარგებდი, მხრით, ხელებით, ფეხებით ვცდილობდი კარის შემტვრევას, მაგრამ უშედეგოდ... ეს სიზმარი მხოლოდ ერთხელ რომ მენახა, ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ ვინაიდან სამჯერ განმეორდა, ვიფიქრე, ალბათ რაიმეს უნდა ნიშნავდეს-მეთქი... ჩემი ქვეცნობიერი რაღაც სიგნალს მაძლევდა, რაღაც პრობლემაზე მიმანიშნებდა... შეშინებულმა, ჩემი სიზმარი რამდენიმე ახლობელს ვუამბე. სასაცილოდ არ ეყოთ... მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ძალზე სერიოზულად მოეკიდა ჩემს საწუხარს და თავის ნაცნობთან, „სიზმრების სპეციალისტთან“ მისვლა მირჩია. თავდაპირველად, გამეცინა მის შემოთავაზებაზე, მაგრამ ბოლოს, ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია. რამდენიმე წუთის შემდეგ, ქალბატონი სალომეს პირისპირ, სავარძელში ვიჯექი და სიზმრების შესახებ მის საინტერესო მოსაზრებებს ვისმენდი. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ თქვენც გაგიზიარებთ.

მარი ჯაფარიძე

ქალბატონი სალომე მკითხავი არ გეგონოთ. ის პროფესიით ფსიქოლოგი გახლავთ, როგორც თვითონ ამბობს, კომუნისტების დროს მისი პროფესია არავის სჭირდებოდა და იძულებული გახდა, დამატებით ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაემთავრებინა, რომ სამსახური ეშოვა. ის ახლაც თბილისის ერთ-ერთ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგე გახლავთ (ამიტომ გვთხოვა მისი გვარი არ გაგვემჟღავნებინა). სიზმრის ახსნას კი სრულიად განსხვავებული, ფსიქოლოგიური მიდგომით ცდილობს. ცრურწმენების არ სჯერა... სამაგიეროდ, დარწმუნებულია, რომ სიზმრის მართვაც შესაძლებელია და ამ გზით უამრავი პრობლემის მოგვარებაც...

— ქალბატონო სალომე, გამიგია, რომ ფსიქოლოგები გამოყოფენ სიზმრების 7 ტიპს, რომელიც „სიუჟეტურად“ ყველაზე გავრცელებულია... თქვენ ეთანხმებით მათ მოსაზრებას?

— დიახ, როგორც თქვენ ამბობთ, „სიუჟეტის“ ანუ შინაარსის მიხედვით შესაძლოა, სიზმრები მართლაც 7 ჯგუფად დავყოთ. ფარული შიში, განუხოციელებელი მიზნები, საიდუმლო ფანტაზიები... ეს ყველაფერი სიზმრებში აისახება და თუ იცით, როგორ გაშიფროთ ძილში ნანახი, შესაძლოა, სულ იოლად გაუმკლავდეთ ამა თუ იმ პრობლემას.

— მოდით, სათითაოდ განვიხილოთ თითოეული ტიპის სიზმარი და გვითხარით მისი თქვენეული ახსნა.

— თუ თქვენ სიზმარში ნახულობთ, რომ საზარელი გარეგნობის ადამიანი მოგდევთ, ებრძვით გაურკვეველი გარეგნობის მხეცს, ან სულაც ვერ ხედავთ, ვინ მოგდევთ, მაგრამ ძალ-ღონეს არ იშურებთ, რომ გაიქცეთ, ის კი ფეხდაფეხ მოგყვებათ და სადაცაა, დაგეწევათ კიდეც, ეს ნიშნავს, რომ თქვენს ცხოვრებაში არსებობს ადამიანი ან გარემო პირობები, რომელიც თქვენს გასრესას ცდილობს. თუ ასეთ სიზმარს ნახავთ, ეცადეთ, გაიხსენოთ დეტალები — ადგილი, დრო, თქვენი შეგრძნებები, მდევრის გარეგნობა... შედეგი, შესაძლოა ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდეს და სულ იოლად აღმოაჩინოთ ის ფაქტორი, რომელიც ცხოვრებაში გზღუდავთ.

— შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითი მოგვიყვანოთ?

— დიახ. ჩემმა მეზობელმა მოიყვანა ნათესავი გოგონა, რომელიც მიამბობდა, რომ დროგამოშვებით ნახულობდა სიზმარს, სადაც მთავარი „მოქმედი გმირები“ იყვნენ თვითონ და უზარმაზარეშვებიანი ბულდოგი, რომელიც მის შეჭმას ცდილობდა. დაწვრილებით გაიხსენა ყველა დეტალი... ვუთხარი, რომ ბულდოგი იყო მისი შეფი, რომელიც ძალზე ავიწროებდა და ვურჩიე, ფრთხილად ყოფილიყო. გოგონას სახეზე შევატყვე, რომ ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა და ირონიული ღიმილით დამემშვიდობა. სულ რაღაც 2 კვირის შემდეგ გავიგე, რომ ის სამსახურიდან დაუთხოვიათ იმის გამო, რომ მის ადგილზე შეფის ძმისშვილი დაუნიშნავთ...

— როგორია სიზმრის მეორე ტიპი?

— თუ სიზმარში საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანს ნახულობთ, მსახიობი იქნება ეს თუ პოლიტიკური მოღვაწე, შესაძლოა, ეს იმის ნიშანი იყოს, რომ გსურთ, რომელიმე მათგანს ჰგავდეთ. მაგალითად, იყოთ თამუნა ამონაშვილივით სექსუალური, შალვა ნათელაშვილივით ამოუცნობი და შოკის მომგვრელი ან გიგა ბოკერიასავით გაგიღიმოთ ბედმა და მოულოდნელად აღმოჩნდეთ ცხოვრების ზედაპირზე. შესაძლოა, ცხადში ამის შესახებ საკუთარ თავსაც არ უტყდებოდეთ, მაგრამ მთავარია, რომ ეს სიზმარი მიანიშნებს სწრაფვას სრულყოფილებისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს თქვენი ფარული ოცნებაა, რომელიც ძილში შეგახსენებთ, რომ გსურთ, იყოთ უფრო მომხიბვლელი და პოპულარული. არსებობს ამ სიზმრის ახსნის მეორე ვერსიაც. კერძოდ, ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც თავს აწონებთ, თქვენ კი თქვენი მიღწევებითა და გარეგნობით არ ხართ კმაყოფილი. სიზმარი მიგანიშნებთ, რომ დროა დაიხვეწოთ...

— რადგან ცნობილ ადამიანებზე ჩამოვარდა სიტყვა, იქნებ გვითხრათ, რას უნდა მიგვანიშნებდეს მიხეილ სააკაშვილის დასიზმრება?

— თუ ბატონი მიშა თქვენს სიზმარშიც პრეზიდენტია, ჩათვალეთ, რომ მომდევნო ერთი კვირის მანძილზე აუცილებლად გადაჭრით მნიშვნელოვან პრობლემას. თუ მასთან ერთად მეგობრულად ზიხართ და ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებთ, მომდევნო კვირა შფოთიანი და „დაულაგებელი“ გექნებათ, აუცილებლად მოგიწევთ შორ გზაზე გამგზავრება და რაგინდ გულმოდგინედაც არ უნდა დაგეგმოთ რამე, მაინც ვერაფერს გააკეთებთ, ხოლო თუ მიშა სიზმარში მხარზე ხელს მოგითათუნებთ და გაგიღიმებთ, აუცილებლად დაგაწინაურებენ ან ხელფასს მოგიმატებენ. ამჯერად, კონკრეტულად მიშაზე იმიტომ ვსაუბრობთ, რომ ის ჩვენი პრეზიდენტი გახლავთ. მის ადგილზე კობა დავითაშვილი, ან სხვა ვინმე რომ იყოს, მათი დასიზმრებაც იმავე შედეგს მოგვიტანდა, რაც ზემოთ მიშაზე ვთქვით.

— გადავიდეთ მესამე ტიპის სიზმარზე...

— ხშირად ვნახულობთ სიზმრად, რომ ვართ უცხო ქალაქში და გზას ვერ ვიგნებთ ან გვინდა, რომ ადგილს მოვწყდეთ, მაგრამ ვერანაირად ვახერხებთ გადაადგილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურ ცხოვრებაში რაღაცამ დაგაბნიათ, აგაფორიაქათ და გამოსავალს ვერ პოულობთ. შესაძლოა, გელით შეხვედრა, რომელზე ფიქრიც ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრს წარმოშობს: გონება გეუბნებათ — წადი შეხვედრაზე, კარგი ვარიანტია, ძალზე პერსპექტიული... ხოლო გული გკარნახობთ: — არ წახვიდე, არ არის ის ადამიანი შენი შესაფერისი... სიზმარში ფეხის გადადგმა გულის ფარული კარნახის გამო გიჭირთ. შესაძლოა, ასეთ დროს სიზმარში ნახოთ, რომ ვიღაცასთან ტელეფონით ცდილობთ დაკავშირებას, მაგრამ სხვაგან ხვდებით ან პირს აღებთ, ხმა კი არ ამოგდით... რომ გაიღვიძებთ, გაიხსენეთ, ვისი სახელის თქმას ცდილობდით ამ დროს, რა საქმე გქონდათ მასთან. მართალია, თქვენ გეძინათ, მაგრამ თქვენი ტვინის უჯრედები ცდილობდნენ რაღაც ინფორმაციის მოპოვებას.

— ქალბატონო სალომე, ხომ ვერ გვეტყვით, რომელ დღეებში ნანახი სიზმარი ცხადდება უფრო ხშირად?

— ხუთშაბათ ღამით (პარასკევი რომ თენდება) ნანახი სიზმარი აუცილებლად აგვიხდება. შაბათს ნანახი სიზმარი არაფერს ნიშნავს, ხოლო დანარჩენ დღეებში ნანახი სიზმრის ახდენა-არახდენა მთვარის ფაზაზეა დამოკიდებული...

— ახლა მეოთხე „სიუჟეტზე“ ვისაუბროთ...

— ეს სიზმრის ყველაზე გავრცელებული ტიპია. თქვენ გესიზმრებათ, რომ ხალხმრავალ ქუჩაზე მიდიხართ და მოულოდნელად აღმოაჩენთ, რომ მთლად შიშველი ხართ... ეს ნიშნავს, რომ მიგაჩნიათ, ძალზე ბევრი ნაკლი გაქვთ ან უახლოეს მომავალში მოგიწევთ არასასიამოვნო სიტუაციაში მოხვედრა. მე თვითონ მაშინ დამესიზმრა ასეთი საშინელი „სიუჟეტი“, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს, არცთუ ისე ახლობელ ადამიანს გული გადავუშალე და ბევრი ისეთი რამ მოვუყევი, რომ მერე ვინანე... ასეთმა სიზმარმა შესაძლოა მიგვანიშნოს იმაზე, რომ ქვეცნობიერად გვეშინია უხერხულ სიტუაციაში აღმოჩენის. გააანალიზეთ, შეგიძლიათ თუ არა ამ სიტუაციის თავიდან აცილება.

— ეროტიკულ სიზმრებზე რას გვეტყვით?

— ეს სიზმრის ერთ-ერთი გავრცელებული ტიპი გახლავთ. ეროტიკულ სიზმარში, სექსუალურ პარტნიორად შესაძლოა იხილოთ ადამიანი, რომელზეც რეალურ ცხოვრებაში ოცნებობთ და ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ თუ გესიზმრებათ ადამიანი, რომელსაც სინამდვილეში ვერ იტანთ ან ვერც კი წარმოგიდგენიათ ის თქვენ გვერდით?.. ხშირ შემთხვევაში, ეროტიკული სიზმარი საერთოდ არანაირ კავშირში არ გახლავთ ადამიანის სექსუალურ ფანტაზიებსა და მოთხოვნილებებთან. შესაძლოა, გქონდეთ სამსახური, სადაც მხოლოდ ძალდატანებით დადიხართ და ისეთ საქმეს აკეთებთ, რომელიც სიამოვნებას არ გგვრით და ასეთ შემთხვევაში, დაგესიზმროთ სექსი იმ ადამიანთან, ვისაც ვერ იტანთ... ეს სავსებით ბუნებრივი რეაქცია იქნება, ყოველდღიურ, გამაღიზიანებელ საქმიანობაზე.

— ჩემი აზრით, სიზმარში ფრენაც არცთუ იშვიათი მოვლენაა...

— დიახ, ასეა. ფრენას, სიმაღლიდან ვარდნას ან წყალში ჩაძირვას ერთი და იგივე ახსნა უნდა მოვუძებნოთ. ხალხში გავრცელებული აზრი, რომ სიზმარში ცურვა ან ბანაობა ავადმყოფობას მოასწავებს, მცდარია. ხშირად იმასაც ამბობენ ხოლმე — თუ სიზმარში დაფრინავ, ე.ი. იზრდებიო... მსგავსი სიზმარი შესაძლოა 60-70 წლის ადამიანმა ნახოს, მაგრამ აბა, ის როგორ გაიზრდება? როდესაც მსგავს სიზმარს ნახავთ, თქვენს თავს ჰკითხეთ — რატომ გრძნობთ თავს ჰაერში გამოკიდებულად? მსგავსი სიზმრის გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა იყოს ვალი, რომლის გადახდასაც ვერ ვახერხებთ. ბუნებრივია, გვაწუხებს ეს პრობლემა, გვთრგუნავს და სიზმარში ვნახულობთ, რომ წყალში ვიხრჩობით ან უბრალოდ, დიდი სიმაღლიდან ვვარდებით. ასეთივე სიზმრის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ თავდაჯერებული არ ხართ ან თავს ისე გრძნობთ, თითქოს ფეხქვეშ საყრდენი გამოგეცალათ. ასეთ დროს უნდა ეცადოთ, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოთ. შეგიძლიათ „შეუკვეთოთ“ სიზმარი საკუთარ თავს და ასეთი მეთოდით მოძებნოთ გზა, როგორ გაუმკლავდეთ საკუთარ პრობლემას.

სიზმრის მეშვიდე ტიპი გახლავთ „სიუჟეტი“, როდესაც ხელში ჩვილი ბავშვი გიჭირავთ, ან დაკარგეთ ბავშვი, რომელიც სიზმარში თქვენი შვილი იყო, მაგრამ სინამდვილეში ბავშვი არასოდეს გყოლიათ. ეს სიზმარი ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა შეცვალოთ თქვენი ცხოვრების რომელიმე მხარე. სამსახური იქნება ეს, პირადი ცხოვრება თუ სხვა წვრილმანი დეტალი. სიახლე სტიმულს მოგცემთ... თუნდაც ამ სიახლემ თქვენი ცხოვრება რადიკალურად შეცვალოს...

— ხშირად ისე ხდება, რომ სიზმარს ვერ ვიმახსოვრებთ ხოლმე, ხანდახან კი დეტალურად შეგვიძლია გადმოვცეთ ძილში ნანახი. რატომ ხდება ასე?

— სიზმარი, რაოდენ ხანგრძლივიც უნდა გეჩვენოთ, სულ რამდენიმე წამს გრძელდება. მისი დამახსოვრება კი დამოკიდებულია იმაზე, ძილის რომელ ფაზაში ვიხილავთ მას. ყველაზე კარგად დილით, გამთენიისას ნანახი სიზმარი გვამახსოვრდება. თუმცა, შესაძლებელია ისიც, რომ სიზმრის დამახსოვრება ისწავლოთ. დაძინებისას უთხარით საკუთარ თავს — ამაღამ სიზმარს აუცილებლად დავიმახსოვრებ! საწოლთან იქონიეთ კალამი და ბლოკნოტი, სადაც გაღვიძებისთანავე (თუნდაც შუაღამისას გამოგეღვიძოთ), ჩაიწერთ ძილში ნანახს, თანაც ძალზე დეტალურად. გაღვიძებისთანავე ნუ გაახელთ თვალს. ჯერ სცადეთ სიზმრის „დაფიქსირება“ გონებაში და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიწერეთ ის ფურცელზე. თუ სიზმარი დეტალურად არ გახსოვთ, დილით დაიწყეთ მისი მოყოლა ახლობელი ადამიანისთვის. ამ დროს ბევრი წვრილმანის გახსენებას შეძლებთ.

— დაბოლოს, იქნებ, ჩემი სიზმარიც ამიხსნათ, რომელიც თქვენთან მოსვლის მიზეზი გახდა...

— ერთი კითხვა მაქვს: — კარგად დაფიქრდი, ამ ბოლო დროს, ხომ არ შეხვედრიხარ ისეთ ადამიანს, რომელსაც ბავშვობაში იცნობდი, მაგრამ უკვე დიდი ხანია, არ გინახავს?

— დიახ, ასეთი ჩემი ბავშვობის მეგობარია, რომელიც ბოლო 8 წლის მანძილზე უცხოეთში ცხოვრობდა და ამ რამდენიმე ხნის წინ დაბრუნდა.

— თქვენი ურთიერთობა ძველებურად, თბილად და მეგობრულად გაგრძელდა?

— იცით, როდესაც ამ წლების განმავლობაში ტელეფონით ვკონტაქტობდით, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მისი დაბრუნების შემდეგ, ჩვენ შორის უხილავი კედელი აღიმართა, რომელიც ვერ გადავლახე მიუხედავად ჩემი მცდელობისა. ეს ადამიანი ჩემთვის თითქოს გაუცხოვდა, რაზეც გული მწყდება...

— ესეც თქვენი სიზმარი... კარი, რომლის გაღებასაც თქვენ სიზმარში ცდილობდით, თქვენი მეგობრის შინაგანი სამყაროს შესასვლელია, რომელსაც თქვენი მცდელობის მიუხედავად, გასაღები ვერ მოარგეთ... ხანდახან სიზმრის საშუალებით ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება სავსებით რეალურადაა შესაძლებელი. მაგალითად, თუ სიზმარში გამოდევნებულ საზარელ ადამიანს კი არ გაექცევით, არამედ მიუბრუნდებით და ეტყვით — მე შენი არ მეშინია. — ან — არ ვიცი, რომელი პრობლემა ხარ, მაგრამ ჩემს აზროვნებაში მე შენ გაგაქრობ... შედეგით თვითონვე გაოცებული დარჩებით. ასევე მშვიდად შეგიძლიათ, სიზმარში მოძებნოთ გასასვლელი უცნობი ქალაქიდან ან „ფრენის“ დროს, უშიშრად უბრძანოთ საკუთარ თავს, რომ რბილად დაეშვათ მიწაზე. სავსებით რეალურია, რომ თუ სიზმრის მართვას შეძლებთ, თქვენი პრობლემები თითქოს თავისთავად დაიწყებს მოგვარებას.

■

გაქვთ თუ არა მოსმენის უნარიქ

პლუტარქე ამბობდა: „ისწავლე ადამიანების მოსმენა. იმათი მოსმენა მოგიტანს სარგებლობას, ვინც ცუდად ლაპარაკობს“.

გამოკვლევები მოწმობს, რომ ადამიანების მხოლოდ 10%-ს შეუძლია მოსაუბრის გულისყურით მოსმენა.

ეს აქტიური პროცესია, რომელიც მოითხოვს ყურადღებას სასაუბრო თემის მიმართ. თვითონ სიტყვა — „მოსმენა“, — „ინფორმაციის მისაღებად გონების შეგნებულ ძალდატანებას“ ნიშნავს. აუცილებელია მოსმენის სურვილი გქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ იმას გაიგონებთ, რისი გაგონებაც გსურთ.

თითოეული ადამიანი ინდივიდუალური მოსმენის მანერით გამოირჩევა, რომელშიც მისი პიროვნება, ხასიათი, ინტელექტი, მისწრაფებები, მდგომარეობა და ასაკიც კი აირეკლება. რა თქმა უნდა, ბევრი რამ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

მოსმენის სტილი სამსახურებრივ მდგომარეობაზეცაა დამოკიდებული და იმაზეც, თუ ვინ გესაუბრებათ — ქალი თუ მამაკაცი. როცა ორი ქალი ან მამაკაცი საუბრობს, ისინი ხშირად აწყვეტინებენ ერთმანეთს სიტყვას, მაგრამ როცა ქალი და მამაკაცი საუბრობს, მამაკაცი ორჯერ უფრო ხშირად აწყვეტინებს სიტყვას ქალს.

საქმე ის გახლავთ, რომ მამაკაცებს საუბრის შინაარსი უფრო აინტერესებთ — მაშინ, როდესაც ქალები უფრო მეტ ყურადღებას ურთიერთობის პროცესს უთმობენ. თურმე, მამაკაცი მომეტებული ყურადღებით თანამოსაუბრეს 15-20 წამის განმავლობაში უსმენს — ამის შემდეგ უკვე საკუთარ თავს უგდებს ყურს და ფიქრობს იმაზე, თუ რა შემატოს საუბრის თემას.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ საკუთარი თავის მოსმენა — მამაკაცური თვისებაა, რომელიც მათ საუბრის არსის დაზუსტებისა და პრობლემის გადაწყვეტის ჩვევის წყალობით გამოუმუშავდებათ. ამის შედეგია ის, რომ მამაკაცს ხშირად, მზად აქვს პასუხი. ქალი, რომელიც უსმენს თანამოსაუბრე მამაკაცს, უფრო კარგად ხედავს და სწვდება მისი ხასიათის თავისებურებებს.

შეიძლება თუ არა შევიცვალოთ მოსმენის სტილი?

თურმე, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა, თუნდაც ხანმოკლე ვარჯიშის შედეგად. უნდა ვეცადოთ, სრულვყოთ თავი ყოველდღიური ურთიერთობისას. საამისოდ ჩაიტარეთ მოსმენის ტესტირება. სცადეთ, ის კონკრეტულ ადამიანთან წარმოსახვითი დიალოგის სახით შეასრულოთ:

— დახუჭეთ თვალები და ჩამოთვალეთ ყველა სიტყვა, რომელსაც დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში გაიგონებთ;

— გაახილეთ თვალები და შეადარეთ ერთმანეთს თქვენი და მის მიერ ჩამოთვლილი სიტყვები;

— ერთნაირი სიტყვები გაიგონეთ? თუ ის სიტყვებია, რომლებიც მხოლოდ ერთ-ერთმა თქვენგანმა წარმოთქვა, მეორემ კი — არა; თქვენი აზრით, ეს რისი შედეგია უფრო მეტად — მოსმენის თუ უყურადღებობის?_

ეს ტესტი გვიჩვენებს, რომ მოსმენის ყველაზე აუცილებელი პირობა — ყურადღებაა.

გირჩევთ:

— ყოველთვის უსმინეთ ადამიანს ისე, თითქოს ნათქვამის გამეორება გჭირდებათ; ძალიან ეფექტურია, ეცადოთ, მოკლედ გაიმეოროთ მოსმენილი, მაგალითად — „როგორც გავიგე....“

— მოსმენის დროს, კითხვების დასმა ნუ მოგერიდებათ. კონფუცი ამბობდა: „ვინც კითხვებს სვამს, 5 წუთის განმავლობაშია სულელი, ხოლო ვინც კითხვებს არ სვამს — მთელი ცხოვრება...“

თამუნა კვინიკაძე

ირაკლი ლომაია: „აურის დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს“

ცნობილ მკურნალს, მლოცველსა და ექსტრასენს, ირაკლი ლომაიას უამრავი ადამიანი ემადლიერება. მისმა ფენომენმა მარტო ქართველები კი არა, უცხოელებიც გააოცა. ირაკლი რამდენიმე თვის წინ დაბრუნდა ევროპიდან და პაციენტების მიღებას აგრძელებს. ამბობენ, ლოცვით ნამდვილ სასწაულებს ახდენსო; ირაკლი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს, მასთან დახმარების საათხოვნელად ხალხი საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდის. ლოცვის ძალით ირაკლიმ უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევისა და მოსალოდნელ უბედურებას. იგი ხედავს მაგიური ზემოქმედების შედეგს და დაბინძურებულ აურას უარყოფითი მუხტისგან ასუფთავებს. ირაკლის მაღალჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ, მის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგია.

— ვიცი, რომ უცხოელები კვლავაც გეპატიჟებიან. წახვალთ საზღვარგარეთ?

— ამერიკიდან უკვე მივიღე მიწვევა. კონტრაქტის თანახმად, გამგზავრების ვადა ერთი წელი და ხუთი თვეა. ასე რომ, არ ვჩქარობ.

— ირაკლი, რაში ეხმარებით მაღალჩინოსნებს?

— მაღალჩინოსნები საკუთარ სკამებსა და ბიზნესს იცავენ, წარმატების მისაღწევად იბრძვიან. ცივილიზებულ ქვეყნებში ნებისმიერ თანამდებობის პირს ჰყავს საკუთარი „მცველი“, ჩენაირი ადამიანის სახით.

— გარდა იმისა, რომ ხსნით ვადოს, თვალს, თქვენ გზაბნეულ სულებს აცილებთ საიქიოში. როგორ ახერხებთ კავშირის დამყარებას პოლტერგეისტთან?

— მე ვხედავ მიცვალებულთა სულებს და საგანგებო ლოცვებით შემიძლია, გზაბნეული პოლტერგეისტი საიქიოში გავაცილო.



ტრაგიკულად ანუ არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილები თუ დროზე არ დაადგებიან სასუფევლის გზას, მოხეტიალე სულებად გადაიქცევიან და სპეციალური ლოცვები, პარაკლისი და სამდღიანი საკურთხია საჭირო, რათა არ გაბოროტდნენ და საქაოში არ დიდონ ბინა. გამბვინვარებული სული შესაძლოა, ოჯახში დარჩეს და მის წევრებს უბარაქობა, ავადმყოფობა და უბედურება მოუტანოს, ბედ-იღბალი ჩაუკეტოს, ჩხუბისა და დეპრესიის მიზეზი გახდეს.

— როგორ კურნავთ ავადმყოფებს?

— აურის დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს. მძიმე კარმა და ადამიანის ბიოველში ხელოვნურად შეყვანილი ნეგატიური პროგრამა ანუ ვირუსი, წინაპრების ცოდვა, საგვარეულო წყევლა, ხატზე გადაცემა და ავი თვალი უამრავ დაავადებას იწვევს. დიაგნოზს ექსტრასენსული მეთოდით ვსვამ, რისთვისაც მჭირდება ახალგადაღებული ფერადი ფოტო (3X4-ზე). სამდღიანი გამოკვლევის შემდეგ ვადგენ, ექვემდებარება თუ არა პაციენტის ორგანიზმი მკურნალობას. წინასწარ ვადგენ, ექსტრასენსული მეთოდი უნდა გამოვიყენო თუ ხილვებში ნასწავლი რეცეპტებით ჩემ მიერ დამზადებული მცენარეული წამლები.

P.S. მიღების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა, 12-დან 17 საათამდე. მისამართი: ყაზბეგის №18 (მე-4 სართული), ბინა №10. საკონტაქტო ტელეფონები: 899-50-15-78. . მონაცემები შეტანილია ინტერნეტში:

web-site.www.ikaextrasens.com
e-mail: ika@ikaextrasens.com

R

ბედის რიცხვი და ჯანმრთელობა

მეტაფიზიკურ დისციპლინებში გატარებულია აზრი, რომ ყველა ადამიანს დაბადებიდანვე, მიდრეკილება აქვს ამა თუ იმ დაავადებისაკენ. გენეტიკური სენი ადამიანს უშუალოდ მისი წინაპრებისგან გადაეცემა — ანუ, ასე ვთქვათ, გვაროვნული ხაზით „მოძრაობს“, ამასთანავე, მისი განკურნება საკმაოდ პრობლემატურია. არსებობს ასევე დაავადებები, რომლებიც ადამიანებს ემუქრება, მათი ზოდიაქოს ნიშნიდან, კარმიდან თუ „ბედის რიცხვიდან“ გამომდინარე — ეი. ერთი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს ასევე აქვთ მიდრეკილება, ერთნაირი დაავადებებისაკენ.

დღეს, მოკლედ განვიხილავთ „ბედის რიცხვის“ რაობას და გავიგებთ ამა თუ იმ რიცხვის მატარებელი ადამიანის მიდრეკილებას სხვადასხვა დაავადებისაკენ (რა თქმა უნდა, ეს მიდრეკილება მაინც პირობითია და საბოლოოდ, მისი არსებობა მრავალ სხვა ფაქტორზეცაა დამოკიდებული).

ადამიანს, რომლის ციფრია 1 (ვინც დაიბადა ნებისმერი თვის 1-ელ, 10, 19 ან 28 რიცხვში) მიდრეკილება აქვს მხედველობასთან დაკავშირებული დაავადებებისაკენ, განსაკუთრებით — ასტიგმატიზმისკენ. მასზე ასევე ნეგატიურად მოქმედებს კაშკაშა სინათლე. არსებობს „მზის დარტყმების“ საშიშროება. შესაძლოა, პრობლემები გაუჩნდეს გულთან, სისხლძარღვებთან, წნევასთან დაკავშირებით. ის ვერ იტანს ჩაკეტილ სივრცეს. ამ ადამიანმა საკუთარ ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იანვარში, მაისსა და ოქტომბერში.

ადამიანს, რომლის ციფრია 2 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 2, 11, 20 ან 29 რიცხვში), შესაძლოა, პრობლემები გაუჩნდეს კუჭთან და საჭმლის მომნელებელ სისტემასთან დაკავშირებით. მან არ უნდა მიიღოს უცხო და გაურეცხავი საკვები, რადგან არსებობს მოწამვლის ალბათობა. ასევე მიდრეკილება აქვს ჰემოროის, სიმსივნეებისა და დიაბეტისკენ. ქალებში სუსტია რეპროდუქციული ორგანოები. ადამიანი, რომლის ციფრია 2, საკუთარი ჯანმრთელობისადმი განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს იანვარში, აპრილსა და ნოემბერში

ადამიანს, რომლის ციფრია 3 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 3, 12, 21 ან 30 რიცხვში), მიდრეკილება აქვს „ემოციური“ დაავადებებისაკენ (აპათია, დეპრესია), რომლებსაც იწვევს მძიმე შრომა და დაძაბული მოვლენები. ასევე მოსალოდნელია წნევის ცვალებადობა, სისხლისა და კანის დაავადებები, თირკმლებში ფუნქციის დარღვევა. ჯანმრთელობისთვის ნეგატიური თვეებია: თებერვალი, ივნისი, აგვისტო და სექტემბერი.

ადამიანი, რომლის ციფრია 4 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 4, 13, 22 ან 31 რიცხვში), ხშირად ისეთი „უცნაური“ დაავადებებით სნეულდება, რომელთა განკურნება კლასიკური მედიცინის საშუალებით ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია. ეს არის უმიზეზო შიშები, გაურკვეველი ფობიები, გონებრივი და ემოციური „გადახრები“, „გათვალვა“ და „ჯადოს“ მოქმედება. თუმცა, ამ ადამიანს ხშირ შემთხვევაში, თვითონვე მიჰყავს საკუთარი თავი ამ მდგომარეობამდე. ჯანმრთელობისთვის სახიფათო თვეებია: იანვარი, მაისი და დეკემბერი.

ადამიანს, რომლის ციფრია 5 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 5, 14 ან 23 რიცხვში), მიდრეკილება აქვს ტვინის ფუნქციების მოშლისკენ. მას აგრეთვე აწუხებს ნერვული დაავადებები, რომლებსაც მოსდევს: მეხსიერების დაქვეითება ან სრული მოშლა, უძილობა, ამნეზია, ნერვული „წიკები“, დამბლა, პრობლემები სასუნთქ გზებთან. ამ ადამიანმა საკუთარ ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს: იანვარში, მარტსა და დეკემბერში.

ადამიანს, რომლის ციფრია 6 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 6, 15 ან 24 რიცხვში), მიდრეკილება აქვს ცხვირის, ყელის, სასუნთქი გზების (ასთმა) და სისხლის მიმოქცევასთან დაკავშირებული დაავადებებისკენ. ასევე შესაძლოა, პრობლემები გაუჩნდეს ალერგიასთან დაკავშირებით. ქალებს ენერგეტიკულად სუსტი სარძევე ჯირკვლები აქვთ. ამ ადამიანმა ჯანმრთელობაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს: იანვარში, თებერვალში, აპრილსა და აგვისტოში.

ადამიანს, რომლის ციფრია 7 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 7, 16 ან 25 რიცხვში), უმეტესწილად ფსიქიკური დაავადებები აწუხებს. ახასიათებს მუდმივი ნერვული დაძაბულობა, უცნაური ხილვები, „ჩაციკვლა“, მოუწესრიგებელი ძილი და ღამის კოშმარები. ჯანმრთელობისთვის სახიფათო თვეებია: მაისი, ოქტომბერი და ნოემბერი.

ადამიანი, რომლის ციფრია 8 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 8, 17 ან 26 რიცხვში), ჯანმრთელობას ძირითადად, საკუთარი ხასიათის რადიკალური ცვლილებების გამო გაიუარესებს (ხშირი დეპრესია, „დაძმარებულ“ გუნებაზე ყოფნა, აპათია). ეს ადამიანი ზოგჯერ ხდება არასწორი მკურნალობის მსხვერპლი. მას სუსტი ხერხემალი და საერთო ძვლოვანი სისტემა აქვს. ჯანმრთელობის მხრივ, მისთვის ნეგატიური თვეებია: თებერვალი, ივნისი, აგვისტო და სექტემბერი.

ადამიანი, რომლის ციფრია 9 (ვინც დაიბადა ნებისმიერი თვის 9, 18 ან 27 რიცხვში), უფრო ხშირად იღებს ტრავმას, დამწვრობებს; შედარებით იშვიათად სნეულდება ქრონიკული დაავადებით, რადგან ის საკმაოდ ენერგიული და ამასთანავე, ხიფათიანია. ის უნდა უფრთხილდეს ცეცხლს, დაზგა-დანადგარებს, ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს, ბასრ და მსხვრევად საგნებს, ასევე სპორტის ექსტრემალურ სახეობებს. განსაკუთრებული ყურადღება მართებს: იანვარში, ივლისსა და ოქტომბერში. ■

რუბრიკა მოამზადა რამაზ გიგაურმა

1 კლიმის ერთი ძმისთვის ხელმწერა
2 საშშობლო
3 მსხვილი თოკი
4 გამხმარი ხილი
5 ვერდის ოპერა
6 მდინარე რუსეთში
7 რისამე გამოყენება
8 ფრანგი პოეტი
9 ოპტიკური მინა
10 რბილი ტყავი
11 გერმანული ავტომობილი
12 უგუმბათო ეკლესია
13 რკინიგზის ხაზი
14 ჯეტილსალიცილის მაკა
15 მოხატული ჭერი
16 უთავო ხელთათმანი
17 კეტრინ ...-ჯონსი
18 ბუდისტური სალოცავი
19 სიკვლისწინა მდგომარეობა
20 ფრიკის შტატი
21 ხის ბრტყელი ნაჭერი
22 ხვეწნა
23 ქეჩის ლულის სამაგრი დაზა
24 რისამე გონივრული სიფუძველი
25 შიცლდის ხე
26 ... ბესინჯერი
27 სათელო ტანის მღვდელი კოლეგებს
28 ნაზი, სათუთი
29 ბალზაკირებული გვამი
30 ყარყატის სახეობა
31 ღვაწლი

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. პალაცო; 2. შლაგერი; 3. კოლეგა; 4. გომართელი; 5. ლისაბონი; 6. კანონირი; 7. მიკადო; 8. სანა; 9. ოჰაიო; 10. ლაგუნა; 11. ნიცა; 12. ჰონორი; კანონირი; 7. მოკადო; 8. სანა; 9. ოჰაიო; 10. ლაგუნა; 11. ნიცა; 12. ჰონორი; 13. რუკა; 14. რაბინი; 15. სეინერი; 16. ბაგირი; 17. როკადა; 18. ალჟირი; 19. ირიდა; 20. ჭური; 21. დოში; 22. რემბო; 23. რეტინა; 24. გოია; 25. არგო; 26. ბოზა; 27. ბენ; 28. იენა; 29. შინელი; 30. ონორე; 31. გარაჟი; 32. ილიადა.

სურათზე: პოლ ნიუმენი.

სიტყვათა მაკიანე

ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ძველი რომის არმია ლაშქრობის დროს, როგორც წესი, ქალაქებსა და სოფლებში არ ათევდა ღამეს. სადაც არ უნდა გაჩერებულიყო ლაშქარი, იქვე ბანაკს მოაწყობდა და მიწაყრილით შემოიფარგლებოდა. ასეთ დროებით ბანაკებში, ცხადია, ჯერ მოხერხდებოდა ხის ან ქვის თავშესაფრის აგება, ამიტომ არმიას მსუბუქი, ადვილად გადასატანი, ტყავის კარვები დაჰქონდა თან. ამ ტყავის კარვებს რომაელმა ჯარისკაცებმა პეპლები — რომაულად „პაპილიუსი“ შეარქვეს.

მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში რომაელებმა მრავალი სიახლე შეიტანეს. ტყავის კარვები, მაგალითად, ფრანგებმა გადაიღეს და სახელიც თავისებურად შეუცვალეს. შემდგომში, ეს შეცვლილი სახელი — „პავილიონი“ — ყოველგვარ ადვილად ასაგებ, დროებით ადგილსამყოფელს დაერქვა. ფრანგულიდან ეს სიტყვა სხვა ენებში, მათ შორის, ქართულში შემოვიდა.

ᲛᲔᲢᲠᲝ

სიტყვა — „მეტროპოლიტენის“ წარმოშობა შემთხვევას მიეწერება. 1860 წელს, ლონდონში დაიწყეს მსოფლიოში პირველი, მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა. სამუშაოს შესრულება ერთმა კერძო ფირმამ — „დედაქალაქის სარკინიგზო კომპანიამ“ იკისრა. ამ ფირმის სახელწოდების პირველი სიტყვა — „დედაქალაქი“ (ინგლისურად „მეტროპოლიტენ“) დაარქვეს ფრანგებმა 1898 წელს პარიზში აშენებულ მიწისქვეშა რკინიგზას.

ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘ

„შანტე“ ფრანგულად ნიშნავს გალობას, სიმღერას. ფრანგმა ჩიტის დამჭერებმა იციან ერთგვარი სიმღერა, რომელიც ჩიტის გალობას წააგავს; ამ სიმღერით მიიტყუებენ ხოლმე ჩიტებს და იჭერენ. აქედან მოდის სხვადასხვა ენაში დამკვიდრებული სიტყვა, რომელიც მუქარით, დაშინებით ადამიანისგან რაღაც მოთხოვნის შესრულებას ნიშნავს.

მოამზადა თამუნა კვინიკაძემ

55-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ; 4-გ.

ანეკდოტები

***

მაროს თავისი ძროხა მიჰყავს ბუღასთან. მეზობლის ცოლი აგრაფინა ეკითხება:

— მარო, სად მიგყავს ე შენი საქონელი?

— ბუღასთანა, — იყო პასუხი.

— მერედა, არ გეცოდება სამი კილო-

მეტრი რო უნდა ატარო?

— შენა ქალო მაგითვინ გურიიდან ჩამოხვედი და ეგა რა, ღირსი არ არი?! — იყო პასუხი.

***

მაყვალა:

— მიხოო... ხო ეგრე ფიქრობ, რო მე ყველაზე ლამაზი ვარ?!

მიხო:

— ხო!..

— ხო ეგრე ფიქრობ, რო მე ყველაზე კაი ტუჩები მაქვს?!

— ხო!..

— ვაი, მიხო, ძვირფასო, რა კარქ სიტყვებ მეუბნები!..

***

ვეფხია და მზევინარი „უჟასებს“ უყურებენ. უცებ მზევინარი საშინელ ურჩხულს დაინახავს და იყვირებს.

— ვაი, დედაااااა!!!

ვეფხია:

— რაო, მზევინარ, დედაშენი იცან?!

***

სვანი წიგნში „ბრიტვას“ ჩადებს და დაავიწყდება სად ჩადო.

გადაშლის სარჩევს და ეძებს: ბრ, ბრ, ბრ...

***

მთავარი ექიმი ეუბნება მედდას:

— მე-8 პალატაში პაციენტს აუღეთ სისხლი?

— დიახ ექიმო... ზუსტად 5 ლიტრი და 200 გრამი აღმოაჩნდა.

***

ცოლი დაბრუნდა სამსახურიდან, ჩაჯდა სავარძელში და ესაუბრება ქმარს, რომელიც იატაკს ხეხავს.

— ჩემმა უფროსმა მითხრა, შენი გულისთვის მზად ვარ, ოჯახი დავანგრიოო.... რა თქმა უნდა, ხუმრობს.

— იქნებ, არ ხუმრობს? — საცოდავად ამოხედა ქმარმა.

***

— რომელია ყველაზე მარტივი ენა?

— სვანური.

— რატომ?

— სვანებიც კი სწავლობენ.

***

ცოლ-ქმარი იყრება. მოსამართლე მიზეზს კითხულობს:

— ჩემი ქმარი კახელი ვირია — ეუბნება ცოლი.

— მერე, ქორწინებამდე ეს არ იცოდით?

— არ ვიცოდი...

— ტყუის, ჯო!.. კახელიც რო ვიყავ იცოდა!.. — იღრიალა ქმარმა.

***

— როდესაც მე თქვენგან მანქანას ვყიდულობდი, თქვენ შემპირდით, რომ შემიცვლიდით ყველაფერს, რაც გამიფუჭდებოდა და გამიტყდებოდა. მართალს ვამბობ?

— დიახ.

— მაშინ, მომეცით სამი წინა კბილი, მარცხენა მენჯის ძვალი და ორი ნეკნი...

***

გურული ვაშლის დასაკრეფად ხეზე ავიდა. ტოტი მოუტყდა და ჩამოვარდა. უგონოდ მყოფი ექიმთან წაიყვანეს. ექიმმა თქვა:

— დაგვიანებულია!

— რავა, ძამა?! სანამ ხეზე ევიდოდა, მანამდის ხო არ მევიყვანდით?!

***

ორი გველი მაგარი დაბოლილია.

— ბიჭო, ჩვენ შხამიანები ვართ? — ეკითხება ერთი მეორეს.

— მაგარი სიმონ...

— ვაიმეე!!!

— რა მოხდა ტო?!

— ენაზე ვიკბინე ჩემი...

***

ნარკომანი სახლში წამალს დამალავს და წავა. ცოტა ხანში შინ ბრუნდება, ეძებს, ვერ პოულობს და ბებოს ეკითხება:

— ბებო, ბებო, აქ რო წამალი დავდე, ხო არ დაგინახია?

ბებია:

— ბებო?!. ბებო კი არა, საქართველოს დედოფალო-თქო!.. შე უზრდელო!

***

— ვაშლი გაქვთ?

— არა.

— ქლიავი?

— არა.

— ლიმონი?

— არა.

— აპა, რა გაქვთ?

— უკაცრავად, ძმაო, შარზე ხომ არა ხარ, აქ ხილის მაღაზიაა და არა ცნობათა ბიურო...

***

ქუთაისის საავადმყოფოს საოპერაციოში:

— ექიმო, ექიმო... იგი, პაციენტი დავკარგეთ.

— რა უშავს, მაგნაირები კიდო მთელი პალატა გვყავს.

***

ექიმმა პაციენტის გასინჯვა დაასრულა:

— მდაა, ერთი რამ ვერაფრით გავიგე, — ჩემამდე როგორ მოაღწიეთ.

***

— ექიმო, სმენას ვკარგავ, — წუწუნებს პაციენტი, — საკუთარი ხველებაც კი არ მესმის.

— აი, თქვენ წამალი. მიიღეთ დღეში სამჯერ.

— უკეთესად გავიგონებ?

— არა... უფრო ძლიერად დაახველებთ.

***

მიხოს სძინავს, მარო აღვიძებს:

— ადე კაცო, რა დროი ძილია, მოსავალი კარს მოგვადგა!

— მერე, მაგაი რა ჯობია, თავი ფეხით მოსულა და მე რაღად მაღვიძებ?!

***

ორი მეგობარი საუბრობს:

— შენი ცოლი სექსის დროს თვალებს ხუჭავს?

— ყოველთვის. რადგან ვერ იტანს, როცა ჩემს კმაყოფილ სახეს ხედავს.

***

— სეროჟ, წამო, დავლიოთ.

— არა, ამჟამად არ მინდა.

— არც იმჟამადა?!

რამდენად სასიამოვნო ადამიანი ბრძანდებით საურთიერთოდ?

1. მოსმენა უფრო გიყვართ, ვიდრე ლაპარაკი?
2. შეგიძლია თუ არა ყოველთვის გამოძებნოთ სალაპარაკო თემა, მათ შორის, უცნობ ადამიანთან საუბრის დროსაც?
3. თანამოსაუბრეს ყოველთვის ყურადღებით უსმენთ?
4. გიყვართ თუ არა სხვებისთვის რჩევის მიცემა?
5 თუკი თქვენთვის უინტერესო თემაზე გელაპარაკებიან, აგრძნობინებთ თუ არა თანამოსაუბრეს, რომ ეს თემა არ გაინტერესებთ?
6. ღიზიანდებით თუ არა, როცა ლაპარაკის დროს ყურს არ გიგდებენ?
7. გაქვთ თუ არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით?
8. თუკი თქვენთვის უცხო თემაზე ჩამოვარდება საუბარი, ეცდებით თუ არა ამ თემის გავრცობას?
9. გიყვართ თუ არა ყურადღების ცენტრში ყოფნა?
10. არსებობს თუ არა ისეთი სამიოდე სფერო, რომელშიც შეგიძლიათ საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინოთ?
11. კარგი ორატორი ბრძანდებით?

დაანგარიშეთ ქულები: დადებითი პასუხის შემთხვევაში 1,2,3,6,7,8,9,10,11 შეკითხვებში დაიწერეთ 1 ქულა; 4,5 შეკითხვებზე, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში — 1 ქულა; ხოლო სხვა შემთხვევებში — 0 ქულა.

ტესტის შედეგები

1-3 ქულა: რთული სათქმელია, თქვენ ან გამუდმებით ჩუმად ხართ და ძნელად თუ ვინმე დაგაცდენინებთ სიტყვას, ან ზედმეტად გულღია ხასიათით გამოირჩევით და თავის მომაბეზრებელი ლაქლაქის გამო, თქვენთან ურთიერთობას ყველა გაურბის. თუმცა, ერთი რამ უდავო ფაქტად რჩება: თქვენთან ურთიერთობა ყოველთვის სასიამოვნო როდია — ზოგჯერ, თქვენი უსაგნო რატრატის მოსმენა, თანამოსაუბრისთვის მძიმე გამოცდის ტოლფასია. ამ საკითხზე აუცილებლად გმართებთ დაფიქრება.

4-9 ქულა: შესაძლოა, არცთუ ისე გულღია ხასიათით გამოირჩევით, მაგრამ თითქმის ყოველთვის ყურადღებიანი და სასიამოვნო მოსაუბრის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ზოგჯერ, როცა ცუდ ხასიათზე ხართ, შესაძლოა, საოცრად დაბნეულიც კი იყოთ, მაგრამ ასეთ დროს საკუთარი პერსონის მიმართ მოჭარბებული ყურადღების გამოვლენას არასოდეს ითხოვთ.

9-11 ქულა: საურთიერთოდ ძალზე სასიამოვნო ადამიანი ბრძანდებით — თქვენ გარეშე თქვენი მეგობრები საერთოდ ვერ ძლებენ. ეს შესანიშნავია, მაგრამ ისმის ერთი კითხვა: ზოგჯერ სცენაზე გამოსული მსახიობივით ხომ არ გიწევთ თამაში?

მიდრეკილი ხართ თუ არა მარტოობისაკენ?

1. შეგიძლიათ თუ არა, რომ სამსახურის შემდეგ, მარტომ იხეტიალოთ ქალაქის ქუჩებში?
2. როცა შვებულებაში ხართ გასასვლელი და აგარაკზე წასასვლელად თანმხლებს ვერ პოულობთ, მიგაჩნიათ თუ არა ეს კატასტროფად?
3. ორიოდ საათში მეგობართან შეხვედრა გაქვთ დათქმული. ამ ხნის მანძილზე შეგიძლიათ თუ არა საკუთარი თავის შექცევა?
4. გიყვართ ცეცხლის მოლიცლიცე ენების ყურება?
5. როცა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი საქმით ხართ დაკავებული, სატელეფონო ზარები ხომ არ გაღიზიანებთ?
6. გიყვართ თუ არა ფეხით სიარული?
7. შეგიძლიათ თუ არა მარტომ აღნიშნოთ ახალი წელი და თანაც, ასეთ დროს, კარგ ხასიათზეც იყოთ?
8. დაბადების დღეზე უამრავ სტუმარს იწვევთ?
9. გრძნობთ თუ არა თავისუფლად თავს უცხო ადამიანების კომპანიაში?
10. უცხო ქალაქში ყოფნისას, ვერ პოულობთ თქვენთვის საჭირო ქუჩას. როგორ მოიქცევით?

ა) გააჩერებთ გამვლელს და ჰკითხავთ;

ბ) სამისამართო ბიუროს მომსახურებით ისარგებლებთ;

გ) ეცდებით, საკუთარი ძალებით პოვნას.

11. გიყვართ საჩუქრების მიძღვნა?
12. გიოცნებიათ მსახიობობაზე?

დაანგარიშეთ ქულები:

დადებით პასუხებში 1, 3, 4, 5, 6, 7, 10-ბ, 12 შეკითხვებში დაიწერეთ 1 ქულა; უარყოფით პასუხებში 2, 8, 9, 10-გ, 11 შეკითხვებში — 2 ქულა; სხვა შემთხვევებში — 0 ქულა.

ტესტის შედეგები

8 ქულაზე მეტი: უდავოა, რომ თქვენ მარტოობისკენ ხართ მიდრეკილი. გიყვართ ფიქრი, სხვადასხვა სიტუაციის გაანალიზება, ოცნება, მოვლენათა გონების თვალით განჭვრეტა. მაგრამ ეს საკმაოდ სახიფათოა: ამ გზით შესაძლოა, სრულიად უკარება და მარტოსულ ადამიანად იქცეთ.

4-8 ქულა: ზომიერად გულღია ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ აზრების მოსაკრებად, ხანდახან მარტო ყოფნაც გჭირდებათ. საკმარისია, რამდენიმე საათი მარტოობაში გაატაროთ და თქვენ უკვე მზად ხართ, სიამოვნებით იურთიერთოთ სხვებთან. ეს შესანიშნავია!

4 ქულაზე ნაკლები: ზედმეტად გულღია ხასიათით გამოირჩევით, ზიზღს გგვრით მარტოობის შეგრძნება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საკუთარი ქმედებების გაანალიზებას ყოველთვის ვერც კი ახერხებთ. გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საკუთარ თავთან გატარებულმა ორიოდე საათმა, შესაძლოა, არაერთი შეცდომა აგარიდოთ თავიდან.

გენიოსების ცხოვრებიდან

ახალი წლის წინაღამეს მოურავმა უთხრა აკაკის — თქვენი ცხენი მოუპარავთ, მაგრამ იმედია ვიპოვიო.

— თუ ღმერთი გწამთ, ძებნას ნუ დაუწყებთ... დაიკარგოს, — მიუგო აკაკიმ, — ეს ძველი წელიწადი, მთელი თორმეტი თვე უბედური იყო ჩემთვის! ახლა ეტყობა, ჩემს ცხენზე შემჯდარა და ისე მიდის. ნუ გამოუდგები, აღარც მისი დაბრუნება მინდა და აღარც ჩემი ცხენი.

◆ ◆ ◆

კბილის ექიმი აუგად მოიხსენიებდა აკაკის. ეს რომ მგოსანს უთხრეს, გაიღიმა: — ნეტავ, რა დამიშავებია იმ ადამიანისთვის? ალბათ, იმაზე მემდურის, საღი კბილები რომ მაქვსო!

◆ ◆ ◆



ნოდარ დუმბაძის ერთ მეგობარს ქორწილზე მიართვეს დანა-ჩანგლის ნაკრები, ყველა ერთნაირად ბლაგვი. დახედა ნოდარმა და მაშინვე თქვა:

— ეს დანა-ჩანგალი მხოლოდ იმისთვის გამოდგება, როცა დაგივარდება, გაიგო, სტუმრად ქალი მოდის თუ კაცი.

◆ ◆ ◆

უნივერსიტეტში განიხილავდნენ ნოდარ დუმბაძის რომანს „მე ვხედავ მზეს“. ერთმა ჰკითხა: ეს შენი „სოსოიას რუსი“ ამ რომანში და კერძოდ, გურიის სოფელში, საიდან გაჩნდაო? ნოდარმა მყისვე მიუგო: დალოცვილებო, საქართველოში 200 ათასზე მეტი რუსია და ერთხელაც არავის უკითხავს, საიდან გაჩნდნენ აქ და ჩემს რომანში ერთი რუსის გაჩენა გიკვირთო?!

◆ ◆ ◆

სახელგანთქმული მხატვარი რემბრანდტი უსახსრობის გამო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ფული უნდა ეშოვა და ამისათვის ძალზე ეშმაკური, თანაც იოლი ხერხი მოიგონა. იგი მოულოდნელად გაქრა ამსტერდამიდან, რამდენიმე დღის შემდეგ კი, მეუღლის მეშვეობით, გაავრცელა ხმა... მხატვრის გარდაცვალების შესახებ.

მაშინვე მიაშურეს ძაძით მოსილ მხატვრის ცოლს. ყველას სურდა, შეეძინა რაიმე ტილო, ნახატი ან მონასმი მაინც, ისეთი გამოჩენილი მხატვრისა, როგორიც რემბრანდტი იყო. ფასები სულ მაღლა და მაღლა იწევდა და მოკლე ხანში, სოლიდურ ფასად გაიყიდა ბევრი ნამუშევარი...

რამდენიმე კვირის შემდეგ, ამსტერდამის ქუჩებში გამოჩნდა მკვდრად გამოცხადებული მხატვარი.

რემბრანდტის ოინმა ყველგან მხიარულება გამოიწვია და რასაკვირველია, თავად მხატვარსაც სატირალი არაფერი ჰქონდა.

◆ ◆ ◆

იტალიელი კომპოზიტორი ჯაკომო პუჩინი დიდი ოპტიმისტი გახლდათ. მას იუმორის გრძნობა ყველაზე მძიმე სიტუაციებშიც კი არ ტოვებდა. ერთხელ, ფეხი მოიტეხა და საავადმყოფოში მოათავსეს. რამდენიმე დღის შემდეგ, მეგობრები ეწვივნენ. პუჩინი მიესალმა მათ და მხიარულად უთხრა:

— რა ბედნიერი ვარ, მეგობრებო! უკვე დაიწყეს ჩემი ძეგლის აგება!

— ნუ ლაპარაკობ სისულელეს, თავი დაანებე მაგ უაზრო ხუმრობას, — შეჰყვირა ერთ-ერთმა სტუმარმა.

— მე სრულებითაც არ ვხუმრობ, — უპასუხა კომპოზიტორმა და... თაბაშირში ჩასმული ფეხი უჩვენა.

◆ ◆ ◆

ჩარლი ჩაპლინს ჰკითხეს:

— სიკვდილის შემდეგ, სად ისურვებდი მოხვედრას — ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში?

— ძნელი სათქმელია, — მიუგო გენიალურმა მსახიობმა, — ამინდი ალბათ, სამოთხეში უკეთესია, ხოლო რაც შეეხება კარგ საზოგადოებას — მე ჯოჯოხეთს ვამჯობინებდი...

◆ ◆ ◆

სიკო დოლიძის მოგონებიდან:

ვლადიკავკაზში „მამის მკვლელს“ ვიღებდით. გადაღებაზე თან წავიყვანეთ ქართველი გოლიათი სანდრო კანდელაკი. ერთ დღეს, როდესაც სცენარის დაზუსტებაზე ვმუშაობდით, ოთახში შეშფოთებული ადმინისტრატორი შემოვარდა:

— ჩქარა გვიშველეთ, ბატონო სიკო, ჩვენი სანდრო ვიღაც ლუდის გამყიდველმა გააჯავრა და ახლა აქეთ მოდის გამყიდველითა და ჯიხურით ხელში.

ყველანი გარეთ გავცვივდით და მოულოდნელობისაგან ენა პირში ჩაგვივარდა. სანდროს ადგილიდან მოეგლიჯა ბაზრის თავში მდგარი ჯიხური, აეტაცებინა და ჩვენკენ მოჰქონდა. ჯიხურის შიგნით შეშინებული გამყიდველი, როგორც ორაგული ფაცერში, ისე ფართხალებდა.

— სიკო, ამ ქურდბაცაცას ვერაფერი გავაგებინე, მომყავს და იქნებ, თქვენ მაინც შეუტოკოთ გაყინული ტვინის ძარღვი.

ლუდის გამყიდველს ტვინის შეტოკება აღარ სჭირდებოდა. ისე იყო შეშინებული, რომ კარგა ხნის განმავლობაში დაეკარგებოდა ლუდის, ქაფით მოპარვის სურვილი.

■

ჯვარედინი

■	6	■	29	■	32	18	24	3	26	■	5	■	5	■
17	21	22	21	25	26	■	10	■	9	20	32	5	30	26
■	3	■	18	■	13	7	5	9	26	■	11	■	33	■
9	26	11	26	33	26	■	25	■	5	17	5	22	26	5
26	■	5	■	21	■	16	26	5	■	20	■	5	■	31
25	26	23	20	10	26	5	■	9	20	23	5	22	26	5
28	■	11	■	4	■	15	10	21	■	9	■	26	■	25
5	9	5	15	26	25	26	■	20	11	26	10	5	33	26
■	24	■	20	■	5	■	11	■	5	■	5	■	21	■
14	10	5	25	23	26	■	5	■	23	21	15	21	10	26
■	29	■	13	■	3	24	12	33	26	■	26	■	33	■
27	26	27	26	9	26	■	18	■	5	14	21	25	26	5
24	■	26	■	21	■	32	5	26	■	10	■	26	■	11
8	5	15	5	10	26	■	9	■	19	5	10	22	7	5
5	■	5	■	26	■	1	5	26	■	24	■	5	■	21

ა5	ბ	გ23	დ	ე	ვ	ზ	თ	ი26	კ	ლ
მ	ნ25	ო	პ	ჟ	რ10	ს	ტ	უ	ფ14	ქ
ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ

წინა ნომრის ჯიფრვორდის პასუხები

ა-1; ბ-6; გ-11; დ-32; ე-16; ვ-12; ზ-4; თ-21; ი-8; კ-18; ლ-10; მ-13; ნ-24; ო-2; პ-15; ჟ-7; რ-28; ს-22; ტ-30; უ-25; ფ-5; ქ-27; ღ-20; ყ-29; შ-14; ჩ-26; ც-3; ძ-19; წ-31; ჭ-17; ხ-33; ჯ-23; ჰ-9.

რუბრიკა მოამზადა თამუნა კვინიკაძემ

ფოტოკუთხეები







იკითხეთ TV-კარუსელი

25 ნოემბერი 2005

უკვე პარასკევობით